1168
2002

კვირის პალიტრა
N29(110) 18/VII.-24/VII.2002.
ფასი 60 თ.



# როდის „იშიფრება" მალხაზ ქვრივიშვილი და რა გააკეთა ახლახან გოგოლასთან ერთად

## ტანჯვისთვის გაჩენილი ოჯახი

ანუ ფსიქიკური აშლილობა მემკვიდრეობით



## აკაკი ასათიანის შინაური ომები



## რაში იყენებს საშა ლა ჟოლი კლიენტების თმას


გოგი დემეტრაძე:
„... მორფს რომ გაიკეთებ, თურმე
სიამოვნებისგან იტყვი: „ავოიეეე!..“
— აი, სწორედ „ავოიეეე“ სტადიონები
აქვთ კორეაში... ნახევარფინალში
რომ წააგეს კორეელებმა,
კინაღამ გული წამივიდა...“
გვ. 37

№29 (110)
18 - 24 ივლისი 2002
ფასი 60 თეთრი

**მინიატურები**
რეტრო-„ბომბისტები“! 3
**ერთი კითხვა** 4
**ფსიქო-ემოციური პორტრეტი**
როგორ ჩაფლა ყელამდე თოვლში ირინა სარიშვილმა აკაკი ასათიანი 6
**გემოვნება**
მალხაზ ქვრივიშვილი: „როდესაც გრძნობა მიჩნდება ქალის მიმართ, ვერ ვახერხებ მის დამალვას და „ვიშიფრები“...“ 9
**კრიმინალი**
ფეხბურთის თამაში მკვლელობით დასრულდა 12
**ტრაგედია**
„როგორც ჩანს, ტანჯვისთვისაა ჩემი ოჯახი გაჩენილი...“ 14
**ანტიდეპრესანტი**
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 18
**ოსტატი**
„არღნის ინგლისელი ფანი დღემდე, ყოველ შობა-ახალ წელს გვილოცავს ხოლმე...“ 18
**შეჩერებული წამი**
რატომ არ უყვარდა ლადო გუდიაშვილს ყურების ხატვა 21
**ამპლუა**
„ემი“ ქართული სცენის დაპყრობას სექტემბრიდან დაიწყებს 22
**აღმოჩენა**
ჩამოვა თუ არა ნახევარი მსოფლიო ქუსას ხეობაში ნიანგის ნაპოვნი ნაკვალევის სანახავად?.. 24
**დეკლარანტები**
უქონელი და „გამჭვირვალე“ ირაკლი ბათიაშვილი იარაღის კოლექციის ღირებულებას არ ამხელს 26
**ბედი კაცისა**
ბალერინის საბედისწერო ნახტომი, ბერიას გამჭოლი მზერა და ინგუშეთში გატაცებული ბიჭუნას სამშობლოში დაბრუნების ამბავი 29
**შეამოწმეთ თქვენი ცოდნა**
ტესტი ერუდიციაზე 31

## ჩამოვა თუ არა ნახევარი მსოფლიო ქუსას ხეობაში ნიანგის ნაპოვნი ნაკვალევის სანახავად?..



— სათაფლიის ნაკვალევი ორფეხა ცხოველმა — საშუალო ზომის დინოზავრმა დატოვა, მისი ეკოლოგიური ასაკიც, რა თქმა უნდა, უფრო ძველია — 130 მილიონი წელი, მაგრამ „ჩემი ნიანგი“ 65-70 მილიონი წლისა გახლავთ. დიახ, მას ევრაზიაში ანალოგი არ მოეძებნება...

24

## მალხაზ ქვრივიშვილი: „როდესაც გრძნობა მიჩნდება ქალის მიმართ , ვერ ვახერხებ მის დამალვას და „ვიშიფრები“...“

ჩემზე რომ იგონებენ რაიმეს, იმდენად არ ვღიზიანდები, მაგრამ როცა ქალზე ჭორაობენ, ეს უკვე აუტანელია! მით უმეტეს, როცა ის ქალი ნორმალური და კარგი ადამიანია. ზოგჯერ ისეც ხდება ხოლმე, რომ ჭორი მართალია.



9

## ფეხბურთის თამაში მკვლელობით დასრულდა



ხვიჩა მივიდა არსენასთან და უთხრა: ჩემს ხელში ხარ გაზრდილი, შე ნაბიჭვარო, ბიჭები ვის უნდა ამოუყვანოო?!. — და სახეში ხელი გაარტყა... არსენას ხელში დანა ეჭირა და რამდენჯერმე მოიქნია.

12

## როგორ ჩაფლა ყელამდე თოვლში ირინა სარიშვილმა აკაკი ასათიანი

ტრაბახი პატარაობისას მიყვარდა. ერთხელ, სარდაფში ჩავვარდი. 5 წლის ვიყავი. რომ ამომიყვანეს, შეშინებულებმა მკითხეს: ჩავარდიო? — არა, კურდღელი დავინახე და ჩავხტი-მეთქი.



6

**სამყარო**

კოსმეტიკური რევოლუცია 32

**საგანძური**

დმანისში აღმოჩენილი თავის ქალები ოქროს ზოდებზე ბევრად ძვირი ღირს!.. 34

**მუნდიალი**

- პელეს მესამედ გაჩემპიონება 36
- „ჩემპიონატზე კორეის ნაკრების არანორმალური ქომაგი გავხდი“ 37

**ვარსკვლავი**

უმა თურმანი – ყველაზე სექსუალური გარეგნობის „ალბერტ აინშტაინი“ 40

**სასარგებლო აზრები**

აფორიზმების ენციკლოპედია 42

**მოგზაურის დღიურები**

ერთ დღეში ნაშოვნი 60 დოლარი და გზა ისევ „Золотое кольцо“-სკენ... 43

**ტესტი**

ერთგული მკითხველი 45

**რომანი**

რუსუდან ბერიძე. ლანდების ცეკვა (გაგრძელება) 46

**აქეთურ-იქითური** 50,51

**საუკუნეების სიღრმიდან**

ინტრიგები საქართველოს სამეფო კარზე (წერილი მე-3) 54

**ავტო** 56

**ჯანმრთელობა**

- დექა-ვიუ – განმეორება იქნება 58
- მტრის პორტრეტი 59
- შხაპი თუ აბაზანა 60

**სკანვორდი** 61

**ჰოროსკოპი**

კვირის (22-28 ივლისი) ასტროლოგიური პროგნოზი 62

**ტესტი**

შეგიძლიათ თუ არა სხვისი საიდუმლოს შენახვა? 63

**კალეიდოსკოპი**

ჭრელ-ჭრელი ამბები 64


## „როგორც ჩანს, ტანჯვისთვისაა ჩემი ოჯახი გაჩენილი...“



მამას მისთვის შეუგინებია: ყოჩაღად იმუშავე, ნუ ზარმაცობო, – შემდეგ კი თავშიც წამოურტყამს. ტარიელს მამისათვის ცული მოუქნევია... ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა. მამამ ათი-თხუთმეტი წუთი იხრიალა და გათავდა.

14

## ერთ დღეში ნაშოვნი 60 დოლარი და გზა ისევ „Золотое кольцо“-სკენ...

ბრუკლინის ე.წ. „ქართული ბირჟა“ მე-14 ავენიუსა და 39-ე ქუჩის გადაკვეთაზე მდებარეობდა. როდესაც ამ ადგილს მივუახლოვდით, ჩემი ყურადღება სამგლოვიარო ტანსაცმელში გამოწყობილი ადამიანების დიდმა ჯგუფმა მიიპყრო. ამ დროს ცაზე მეხის გავარდნასავით, მოულოდნელი რამ მოხდა.

43



## უმა თურმანი: ყველაზე სექსუალური გარეგნობის „ალბერტ აინშტაინი“



მისი ბიოგრაფიის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და უცნაურ მონაკვეთად უმაზე ასაკით გაცილებით უფროს მსახიობთან – გერი ოლდმენთან მისი ძალზედ ხანმოკლე ქორწინებაა მიჩნეული, რომლის ხსენებაც ჟურნალისტებს პრაქტიკულად აკრძალული აქვთ.

40

## ლანდების ცეკვა

ტარანივით „გამომშრალ“ ჟურნალისტ ქალს, ანი საგრიმიოროს კუთხეში ჰყავდა „მიმწყვდეული“. ეტყობოდა, რომ გოგონა კლუბში ახალი მისული იყო, რადგან არც საცეკვაო კოსტიუმი ეცვა და ვერც გრიმის გაკეთება მოესწრო. იერიშზე გადასული ჟურნალისტი კითხვას კითხვაზე აყრიდა.

46



გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი


საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“



# რეტრო-„ბომბისტები"!

რეტრო... თუ არ ვცდები, ადრეც გვისაუბრია ამ თემაზე. ჩვენ თუ არა, სხვას ულაპარაკია და უწერია ამაზე ბევრი, რადგან რეტრო – მოდაშია!

იქნებ პარადოქსული იყოს – რეტრო ხომ ძველს გულისხმობს, მოდა კი, პირიქით – უახლესს, მაგრამ თუ ერთ ბრძნულ ანდაზას გავიხსენებ (რომლის აზრიც, მართალი გითხრათ, მთლად კარგად არ მესმის) – „ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია", მაშინ არაფერია პარადოქსული იმაში, რომ „რეტრო", იმის მიუხედავად, რომ „ძველს" ნიშნავს, მაინც შეიძლება ახალი, ანუ მოდური იყოს!

მოდა კი... მოდა ხომ, ცხოვრების ყველა სფეროში მოქმედებს და არა მარტო ჩაცმა-დახურვაში. მაგალითად: პროფესიის არჩევაში, ცხვირის ფორმის არჩევაში, სექსუალური ორიენტაციის არჩევაში, რელიგიის არჩევაში, საცხოვრებელი უბნის არჩევაში, პოლიტიკური პარტიის არჩევაში და ა.შ.



ესე იგი, რაღაც არის „მოდური" და „კაიტიპური" და რაღაც – „გოიმური". მოდურად ითვლება – მებაჟეობა, პედერასტობა, ლოყაზე ხალი, პარლამენტის წევრობა, „სპონსორისტობა", „პატრიოტობანა"... ეს ყველაფერი კი, ხომ სწორედ რეტროა, ანუ „კარგად დავიწყებული ძველი!" სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, მებაჟეები და ჰომოსექსუალისტები (ანუ „სოდომისტები") ჯერ კიდევ ბიბლიაში გვევლინებიან „წამყვან პერსონაჟებად".

მაგრამ რეტრო, როგორც წესი, მოდის დასაბრუნებლად ასე შორს არ მიდის ხოლმე – მისთვის ოპტიმალური 80-100 წელიწადია. ასე „დაგვიბრუნდა" მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ვიწრო შარვლები, საგაზეთო ბუმი, სოციალისტური პარტია, წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ ბრძოლა და ა.შ. სულ ახლახან კი, სულ რამდენიმე თვეა, კიდევ ერთი „კარგად დავიწყებული ძველი" გაიხსენეს საქართველოში: ვინც, ასე თუ ისე, იცნობს ცხრაასიანი წლების სიტუაციას, ან მაშინდელი პრესა წაუკითხავს, ეცოდინება, რომ ტერორიზმი და ტერაქტები ბევრს პროფესიად ჰქონდა მაშინ გადაქცეული. თუმცა ახლა ამაზე კი არა, ტერორისტთა ერთ კონკრეტულ „ვიწრო სპეციალიზაციაზე" მაქვს საუბარი, რომელსაც ადრე, „ბომბისტებს" უწოდებდნენ! შემდგომში დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნულმა გმირმა, ვალოდია გოგუაძემაც და ქართული ფოლკლორის „პერსონაჟმა" – სიმონა დოლიძემაც, სწორედ „ბომბისტობით" გაითქვეს სახელი! „ნატვრის ხეც" ხომ გახსოვთ, ერთ-ერთ გმირზე რომ ამბობენ – ანარქისტია, ღამღამობით სახლში ბომბებს ამზადებსო.

ჰოდა, აი: გაიხსენა ვიღაც „ჭეშმარიტმა ქართველმა" წინაპართა ხელობა, როგორც სხვებმა აღადგინეს მეაკვნეობა (თუმცა, აკვანს აღარავინ იყენებს), მეარღნეობა (თუმცა, არღნები აღარ არის),.. მეეტლეობა (იმის მიუხედავად, რომ ეტლები მხოლოდ „თბილისობაზე" ჩანს)... ახლა, ამბობენ, რაიკომის მდივნობის აღდგენასაც აპირებენო (იყო ასეთი საინტერესო „პროფესია" ახლო წარსულში)...

მოკლედ, კარგია რეტრო და გაიხსენა ვიღაც პატრიოტმა „ბომბისტობა": ხან სად დარეკეს და ხან სად – ბომბია ჩადებულიო! ატყდება ერთი ვაი-უშველებელი, დაცლიან შენობას, მოვარდებიან „საპიორები", ჩაირთვება ტელეკამერები – მიდის პირდაპირი ტელერეპორტაჟი... მოკლედ, საქმე უჩნდება ხალხს და ამიტაც სასარგებლოა ასეთი აქციები, როგორც იტყვიან: полезное с приятным!

თუმცა, არც ისეა საქმე, ზემოთ ნახსენებ „თბილისობაზე", ვითომ რეტროს სტილში „ბუტაფორიული კინტოები" და „ბუტაფორიული ყარაჩოხელები" რომ გამოჰყავთ, თავიანთი ბუტაფორიული ულვაშებითა და ბუტაფორიული ხალებით. აქ, ხანდახან, მართლა ფეთქდება ხოლმე ბომბი. მართალია, ამას ჯერ არავინ შესწირვია, მაგრამ ხმა ხომ ჰქონდა მაგარი, – ჯერჯერობით ესეც საქმეა.

ერთი სიტყვით, მთავარია, რომ ტრადიციის აღდგენას საფუძველი დაედო! ახლა მთავარია, სახელმწიფომ გამოიჩინოს გონიერება და მხოლოდ ენთუზიასტების ანაბარად არ დატოვოს ეს კარგი წამოწყება და ყოველმხრივ მხარში ამოუდგეს მას: უნდა შეიქმნას „ბომბისტების" სპეციალიზებული სკოლა, აიგოს საწვრთნელი ბაზები, მომზადდეს ინსტრუქტორები, პრესით პოპულარიზაცია უნდა გაეწიოს ეროვნულ წესჩვეულებებს...

**P.S.** სასიხარულოა, რომ „ბომბისტების" წამოწყება სხვებმაც აიტაცეს: მტრის მტრულად დახვედრა ხომ ოდითგანვე იყო ჩვენს სისხლსა და ხორცში. დღეს, როდესაც, მტერი მთლად სახლში არ გვივარდება, ნებისმიერი უცხოელი „გამოდგება" „სასპარინგოდ". ამიტომ მტრულად დახვედრის ტრადიციის შესანარჩუნებლად, უკვე დაიწყო ინტენსიური მუშაობა: ყოველდღე, რეგულარულად, თითო უცხოელს ან კლავენ, ან „სიკვდილის პირას მიჰყავთ" ცემით, ტრადიციული „ნადავლის წართმევით".

*პროვოკატორი*

საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა



## „აქ ხელკეტებით შეიარაღებული, მოსული იყო თვითონ პრეზიდენტი, მისი ახლობლები...“

***— რაიმე ახალი ინფორმაცია ხომ არ მიგიღიათ „თავისუფლების ინსტიტუტის“ დარბევის ფაქტთან დაკავშირებით ან თქვენ, თავად, ახალი ვერსია ხომ არ გაგიჩნდათ?***

***გივი თარგამაძე,*** *ანტიკორუფციული საბჭოს წევრი:*

— რაღა მნიშვნელობა აქვს, ვინ იყვნენ, ვისი დაკვეთით დაარბიეს ოფისი და საერთოდ, რა უნდოდათ?! ისინი იყვნენ ბოევიკები, რომლებსაც დარბევის დიდი გამოცდილება აქვთ!.. ათასი ვერსია გავრცელდა — შეიძლება ეს იყო პოლიციის ხალხი, შეიძლება — ბასილ მკალავიშვილის, უშიშროების... მაგრამ პირადად მე, იცით, რას ვფიქრობ? აქ ხელკეტებით შეიარაღებული, მოსული იყო თვითონ პრეზიდენტი, მისი ოჯახის წევრები და ახლობლები, რომელთაც შეჭამეს და დააქციეს ეს ქვეყანა!.. შეუძლებელია, შევარდნაძის მმართველობა კიდევ 2 წელს გაგრძელდეს — მათ ხელისუფლებაში დარჩენის ყველა რესურსი უკვე ამოწურეს. უკვე განვაცხადე და კიდევ ერთხელ ვამბობ: როგორც ნიკოლაე და ელენა ჩაუშესკუებმა დაასრულეს თავიანთი მოღვაწეობა, ედუარდ და ნანული შევარდნაძეებსაც ასევე დაემართებათ... ■

## „გინდა თუ არა, სამი ცოლისდა გყავსო; არა, ბატონო, ორი მყავს – მეტი არა...“

**— წყნეთში უკანონო მშენებლობების არაერთხელ გახმაურებული და პოლიტიზებული თემა, ანტიკორუფციული საბჭოს დასკვნის შედეგად, ისევ აჟღერდა. ანტიკორუფციელთა სხდომაზე თბილისის სატყეო მეურნეობის ყოფილმა უფროსმა შოთა მეფარიძემ და საქართველოს სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარემ გივი ჯაფარიძემ ერთმანეთს ლანძღვა-გინება დააყარეს და მექრთამეობაში დაადანაშაულეს. საკითხავია, რა ვერ გაიყვეს მეფარიძემ და ჯაფარიძემ და კიდევ, დადგება თუ არა ჯაფარიძის პასუხისმგებლობის საკითხი, მაშინ, როდესაც ამბობენ — დეპარტამენტის თავმჯდომარეს ზურგს ოჯახის ახლობელი — კახა თარგამაძე უმაგრებს და ვერაფერსაც ვერ დააკლებენო?**

***გივი ჯაფარიძე,*** *სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარე:*

— მეფარიძე ტყუილებს ლაპარაკობს — წყნეთის ტყე-პარკის ყოველი ჰექტარი სამთავრობო დადგენილების საფუძველზეა გაცემული. თანაც, ჩემს უწყებას მიწების გაცემა-არგაცემას არავინ ეკითხება. თვითონ მეფარიძეს ორი ნაკვეთი რომ აქვს გაცემული მეუღლეზე, რომელიც ჯერ მეხანძრედ ჰყავდა გაფორმებული, მერე კი — მუშად და შვილებზე და მთელ ნათესაობაზე, იმას რატომ არ ამბობს? კახა თარგამაძე ჩემი დისშვილის ქმარია, მაგრამ იქამდე უკვე ვიყავი დეპარტამენტის თავმჯდომარე. ასე რომ, მას ჩემს დანიშვნაში არანაირი წვლილი არ მიუძღვის. დღეს თარგამაძე მინისტრი აღარ არის, მაგრამ საკუთარი თავის დაცვა არ გამიჭირდება. მეფარიძე ცნობილია, როგორც ცილისმწამებელი — ვინც არ მოეწონა, ყველას უჩივლა. ორჯერ გავათავისუფლე და ჩემზე განაწყენებულია. ის დოკუმენტები, რაც მან ანტიკორუფციულს მიუტანა, ზუსტი არ არის. თუ რაიმე დარღვევას აღმოაჩენენ — კი, ბატონო, პასუხს ვაგებ, მაგრამ ასეთი რამ გამორიცხულია! დასამალი არაფერი მაქვს. ჩემს სიდედრს და ცოლისდას რას გადაეკიდა? სიდედრს, როგორც ჩვეულებრივ მოქალაქეს, „აგროსერვისმა“ მისცა ნაკვეთი ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც თავმჯდომარე არ ვიყავი. ახლა კიდევ, რომ აიტეხა — გინდა თუ არა, სამი ცოლისდა გყავს და იმათზეც გაქვს ნაკვეთები გაფორმებულიო, — არა, ბატონო, აქაც იტყუება მეფარიძე... 2 ცოლისდა მყავს, მეტი არა და რა უნდა ჩემგან? ბოლოს და ბოლოს, წყნეთის ფართობები ჩემი მუშაობის პერიოდში არ გამოყოფილა — ეს იყო 1990 წელს, მე კი 1996 წელს დავინიშნე დეპარტამენტის თავმჯდომარედ.

***შოთა მეფარიძე,*** *თბილისის სატყეო მეურნეობის ყოფილი უფროსი:*

— როგორ არ რცხვენია ჯაფარიძეს, ამდენ ტყუილს რომ კადრულობს?! სატყეო დეპარტამენტის გარეშე, წყნეთში ერთი ნაკვეთიც კი არ იყიდება, ეს გამორიცხულია! მექრთამეა და უარყოფს?! გამოჩნდება, ვინ არის მართალი. ის საბუთები, რომელიც წარვადგინე ანტიკორუფციულ საბჭოში, თვითონ ხომ არ დავწერე?! ჯაფარიძეს წყნეთის ტყეების გაჩეხა-განადგურებაში დიდი წვლილი აქვს! რა, ეგ არ იყო, ბაგებში ჰექტარ-ნახევარი რომ გაყიდა? ძალიან იოლად წყვეტს ფართობის გაყიდვა-არგაყიდვის ამბავს — გინდაც 2 ლარად გაყიდოს, სულერთია მაგისთვის, ოღონდ გაყიდოს და ფული აიღოს! გაუყიდავი აღარაფერი დატოვა. ისიც კი გაბედა, რომ წილში შესვლა შემომთავაზა, მაგრამ არც ამაზე წაველი და ამიტომაც მოხდა ასეთი განხეთქილება, ამიტომაც დავუპირისპირდით ერთმანეთს. ■

## „პაიკაევზე ამბობდნენ, მოკლულიაო, მერე კი „ბითლზ-კლუბში“ ნახეს...“

**— საქართველოს უშიშროების სამინისტროსა და აჭარის უშიშროების სამინისტროს ერთობლივი ღონისძიების შედეგად დააკავეს პაიკაევი, რომლის სახელსაც იარაღით ვაჭრობასთან აკავშირებენ. პაიკაევს — ჩეჩნეთის უშიშროების აგენტს რუსული დაზვერვის აგენტადაც მოიაზრებდნენ. ვინ არის სინამდვილეში პაიკაევი და რა ოპერატიულ ინფორმაციას ფლობს უშიშროების მინისტრი მომხდართან დაკავშირებით?**



***ვალერი ხაბურძანია,*** *უშიშროების მინისტრი:*

— პაიკაევი ძალზედ საინტერესო ფიგურაა. ერთხანს იმასაც კი ამბობდნენ, რომ მოკლული იყო, მაგრამ მერე „ბითლზ-კლუბში“ ნახეს და ეს ეჭვი გაქარწყლდა. ამჟამად, საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობისთვის აჭარის უშიშროების სამინისტროშია დაკავებული. მას აღმოაჩნდა ყალბი პასპორტი, აღებული ირაკლი რაზმაძის სახელზე. გვაქვს ოპერატიული მონაცემები იარაღით ვაჭრობასთან პაიკაევის კავშირის შესახებ. ვიცით, რომ ნამდვილად ეწეოდა დანაშაულებრივ საქმიანობას. ყველაფერს გამოძიება დაადგენს. დაიკითხებიან პაიკაევთან დაკავშირებული პირებიც და ყველა, პასუხს აგებს ჩადენილ დანაშაულზე. ბოლოს და ბოლოს, ყველა უნდა მიეჩვიოს, რომ საკუთარ დანაშაულზე პასუხი თვითონ უნდა აგოს! ■

## „ჩემს მოვალეობად მიმაჩნია – არ გავყიდო ის ბიჭები ისევე, როგორც თავის დროზე მე გამყიდეს...“



— 1995 წელს თქვენზე განხორციელებული ტერაქტის შემდეგ უკვე 7 წელი გავიდა და დღემდე ამისთვის პოლიტიკური შეფასება არ მიგიციათ. რატომ ალაპარაკდით მაინცდამაინც ახლა? გიგა გელაშვილის, თემურ ხაჩიშვილისა და გელა პაპუკაშვილის გათავისუფლებამ გაგაღიზიანათ და პრეზიდენტს უნდობლობა ამიტომ გამოუცხადეთ?

**გია ყარყარაშვილი**, *თავდაცვის ყოფილი მინისტრი, პარლამენტარი:*

— აქამდე მხოლოდ იმიტომ ვდუმდი, რომ არ მინდოდა ერთი ადამიანის ყოფნა-არყოფნის საკითხი საზოგადოების განსჯის საგანი გამხდარიყო. ამიტომაც არ ვსაუბრობდი იმ ამბებზე. ეს გადაწყვეტილება იმიტომ კი არ მივიღე, რომ ვიღაც-ვიღაცების გარეთ ყოფნამ გამაღიზიანა, უბრალოდ, ჩემთვის გაუგებარია პრეზიდენტის ამგვარი არასწორი, ჰუმანური პოლიტიკა... რატომ არ შეიწყალა პრეზიდენტმა აფხაზეთის ომის მონაწილეები – 20-22 წლის ბიჭები, უსამართლოდ და დაუმსახურებლად რომ ჩაყარეს ციხეში?! ამ ვითომდა ჰუმანური პოლიტიკის შედეგად, 300 მებრძოლიდან მხოლოდ 70 გაათავისუფლეს. რეპრესიები იმ ადამიანების მიმართ, ვინც ჩემთან ერთად იბრძოდა, მოჩვენებითი სტაბილურობის დასამყარებლად განხორციელდა. პრეზიდენტის უფლებაა, ვინც უნდა, ის გამოუშვას, მაგრამ ჩემს მოვალეობად მიმაჩნია – არ გავყიდო ის ბიჭები ისევე, როგორც თავის დროზე მე გამყიდეს! ეს საქმე კი არასდროს გაიხსნება, რადგან მოსკოვის პროკურატურა დღემდე უარს ამბობს მტკიცებულებების – ტყვიის, იარაღის, მოწმის გადმოცემაზე!..

## „ალბათ გელბახიანსა და დოკვაძესაც შეიწყალებენ...“

— ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ოფისში შეკრებილმა პოლიტიკურმა ლიდერებმა ხაჩიშვილის გათავისუფლება აღიქვეს, როგორც ხელისუფლებაში პოლიტიკური კრიმინალიზაციის დაწყება. შეკრებაზე არ მივიდნენ „მოქალაქეები“ და „აღორძინებლები“. თქვენ განაცხადეთ, რომ არ გააპროტესტებთ ტერორიზმის ბრალდებით გასამართლებულ პატიმართა გათავისუფლებას. არადა, 1995 წელს პრეზიდენტზე მომხდარი ტერაქტის დროს თქვენც მის მანქანაში იჯექით და დაზარალდით კიდეც. და კიდევ: როგორც ბათუმური ბლოკის ყოფილი წევრი, რა კომენტარს გაუკეთებდით იმ ფაქტს, რომ „აღორძინება“ ამ შეკრებაზე არ მივიდა?



**ვახტანგ რჩეულიშვილი**, *სოციალისტური პარტიის ლიდერი, პარლამენტარი:*

— რაიმე საწინააღმდეგო რომ ვთქვა და პრეზიდენტს დავუპირისპირდე, ამით რამე შეიცვლება? გადაწყვეტილება უკვე მიღებულია! როგორც ჩანს, პრეზიდენტი გააღებს საკნის კარს იმ პატიმრებისთვის, ვისი დაპატიმრებაც, თავის დროზე, პოლიტიკური მოტივით მოხდა. ალბათ ჯაბა იოსელიანის წინააღმდეგ მოწყობილ ტერაქტში ბრალდებულ გელბახიანსა და დოკვაძესაც შეიწყალებენ... ეს პოლიტიკაა... და ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი შევარდნაძის ეპოქის დასრულებით დამთავრდება! სჯობს, ისინი შეიწყალოს, ვინც საქართველოს ერთიანობას და ძლიერებას შესწირა თავი, თორემ, ამ დაპირისპირებებით ბევრს ვერაფერს მოვიგებთ! სხვადასხვა პარტიისა თუ ძალოვანი სტრუქტურის დაპირისპირებაში ისეთი ნაღმია ჩადებული, რომ ძნელი წარმოსადგენია, მოხდება თუ არა ამ ნაღმის გაუვნებელყოფა...

## „რუსებმა თავიანთ საქმეს თვითონ მიხედონ...“

— რუსეთის სპეცსამსახურების მიერ ძებნილი, ტერაქტებში ეჭვმიტანილი ჩეჩენი რუსლან ბეშაევი ქართველმა სპეცსამსახურებმა დააკავა. გავრცელებული ინფორმაციით, ბეშაევთან კავშირი აქვს ცნობილ ბიზნესმენს, ჯაბრაილ ხანგოშვილს, რასაც თქვენ მორიგი პროვოკაცია და „თამაში“ უწოდეთ. მაშ, რატომ ან ვის აძლევს ხელს ასეთი მცდარი ინფორმაციის გავრცელება?

**ხიზრი ალდამოვი**, *საქართველოში ჩეჩნეთის წარმომადგენელი:*

— ვის აძლევს ხელს ეს? – ვერ გეტყვით, მაგრამ გარკვეული ძალები უშიშროების სამსახურების შეცდომაში შეყვანას რომ ცდილობენ, ეს ფაქტია! ჯაბრაილ ხანგოშვილი ავტორიტეტული, წესიერი ადამიანია და არაფერ შუაში არ არის. ჯაბრაილი არ არის ის ბიჭი, ასეთ რაღაცებში რომ გაერიოს! ამას მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ. როგორც ამბობენ, ბეშაევი, (რომელიც თურმე დადაშევისა და აბდულხალილოვის გვარებითაც სარგებლობდა) მის სახლში აიყვანეს. ვერ დავიჯერებ, რომ იცნობდნენ ერთმანეთს – კავკასიელი ხალხი სტუმრებს პასპორტებს არ ვთხოვთ და არც გვარს ვეკითხებით ხოლმე... რაც შეეხება ბეშაევს – თუ მას რუსული გვარი აქვს, გამოდის, რომ რუსეთის მოქალაქეა და ჩვენთან არაფერი საქმე არა აქვს! თანაც, საკვირველია: თუ რუსებმა იცოდნენ, რომ მკვლელობასა და დივერსიულ აქტებში ეჭვმიტანილი პიროვნება საქართველოში იმყოფებოდა, ამდენ ხანს გაჩუმებულები რატომ იყვნენ?! ისიც გასარკვევია, როგორ მოხვდა რუსეთიდან საქართველოში – ეტყობა, სპეციალურად უშვებს რუსეთი ასეთ ხალხს საქართველოსკენ, რომ ხვალ ან ზეგ ბრალი წაუყენოს და მსოფლიოს წინაშე დაადანაშაულოს: აი, ხომ ხედავთ, საქართველოში ტერორისტები იმალებიან!.. თუკი რუსლან ბეშაევს რაიმე დანაშაული აქვს ჩადენილი, ამაზე პასუხი უნდა აგებინონ, მაგრამ ჩვენ რა შუაში ვართ? რუსებმა თავიანთ საქმეს თვითონ მიხედონ...

*მოამზადა ნინო ჯავახიშვილმა*

**პოლიტიკურ პროცესებში ტრადიციონალისტი აკაკი ასათიანის აქტიურად ჩართვა, როგორც თავად ვარაუდობს, მისმა გურულობამ განსაზღვრა, თორემ... ბავშვობიდან მეზღვაურობასა და შორეულ ნაოსნობაზე ოცნებობდა. თანამდებობებსაც არასდროს ეძებდა, მაგრამ მისმა „ნამსახურობის ნუსხამ“ ევოლუცია თავისით განიცადა და ბატონი აკაკიც, მასწავლებლობიდან — თარჯიმნობაზე გადავიდა, იქიდან კი უცბად, პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე გადაინაცვლა. მოკლედ, მის თავს, ყველაფერი არატრადიციულად, მისგან დამოუკიდებლად ხდებოდა... დიდ გურულს რომ „უღალატა“ — ეს, ალბათ, ბატონი აკაკის შორეულ წინაპრებს — სვანებს უნდა დავაბრალოთ, 49 წლის წინ, ნ.200 გ წონისა რომ დაიბადა — ეს, ალბათ, მის მშობლებს — თორნიკე ასათიანსა და ციალა სვანიძეს, მაგრამ... აი, უკანასკნელი მონაცემებით, 193 სმ სიმაღლის კაცი, 118 კგ-ს რომ იწონის და ხანდახან რადიკულიტიც აწუხებს, — ეს უკვე აშკარად მისი „დამსახურებაა“...**



# როგორ ჩაფლა ყელამდე თოვლში ირინე სარიშვილმა აკაკი ასათიანი

*მაია მაშვიაშვილი*

— ხანდახან რადიკულიტი შემახსენებს ხოლმე თავს, მაგრამ ეს და ამის მსგავსი მოვლენები ჩემთვის სტრესის საფუძველი არ ხდება. ზოგჯერ ჩემი ნებით ვსუსტდები ხოლმე — თავს უფლებას ვაძლევ, 3-4 საათი დაღვრემილი ვიყო, არაფერი გავაკეთო, არაფერზე ვიფიქრო, ვითომ არაფერი მაინტერესებს დედამიწაზე. ასეთი რამ წელიწადში ერთხელ ხდება ხოლმე... სტრესი უცხოა ჩემთვის. შეიძლება, დაიღალოს კაცი — ვიღლები კიდეც, — მაგრამ თუ საინტერესო საქმე მაქვს, გადამივლის ხოლმე.

**— რა არის თქვენთვის საინტერესო საქმე?**

— აი, მაგალითად: ისტორიული ნაწარმოების კითხვა. თვითონაც ვწერდი. 2 მოთხრობა დავბეჭდე „ცისკარში“. ახლა ვეღარ ვახერხებ წერას... ისე, ჩვენი ისტორიიდან ვინიშნავ ხოლმე ცნობილ პიროვნებათა ცხოვრების უცნობ და საინტერესო დეტალებს. მაგალითად, დავით აღმაშენებელს, თამარ მეფეს როგორი იუმორის გრძნობა ჰქონდათ, რაზე იცინოდნენ... დავითი წერს: არსენ იყალთოელი ვნახე, წამოწოლილი იყო, წერდა და მელანი დაეღვარა; არა უშავს, — უთხრა კალმისტარს, — მეც დავიღალე, ასე რომ, შენც მოითმინეო... აი, ასეთი რამეები მაინტერესებს... კომუნისტები ერთ იდიოტობას წაუმძღვარებენ ხოლმე ალექსანდრე დიუმას ყველა რომანს: სიუჟეტების ოსტატია, მაგრამ ისტორია ასე არ იქმნება, ადამიანის ხასიათს მნიშვნელობა არა აქვს — პროცესებია მთავარი, ისტორიას ადამიანები არ ქმნიანო... მთელი ბავშვობა ვფიქრობდი: აბა, ვინ ქმნის, კაცო? სერიოზულ პოლიტიკაში მოღვაწეობამ დამარწმუნა, რომ ადამიანები თავიანთი ინდივიდუალური თვისებებით ქმნიან ისტორიას. ნაპოლეონმა ვატერლოოს ბრძოლა რომ წააგო, სურდო ჰქონდა. აი, სურდო რომ არ ჰქონოდა, მსოფლიო ისტორია სხვანაირად განვითარდებოდა... ასეთ საკითხებზე გვიანობამდე, 4-5 საათამდე ვმუშაობ. მიყვარს ჩემს შვილებთან საუბარი და მეგობრებთან ყოფნა, თუმცა, ამას ხშირად ვერ ვახერხებ... პოლიტიკა ნარკოტიკივით არის. აღარ მინდა, თავს დავანებებო, რომ იტყვიან, — ილუზიაა, ვერ დაანებებ. რაკი პოლიტიკურ პროცესებში მოვხვდი, ვერ გავდივარ. ვფიქრობ, მანამდე უფლებაც არ მაქვს, სანამ ჩვენს ქვეყანას მოწესრიგებულს არ ვნახავ. მე რომ „დალაგებული“ ქვეყნის შვილი ვყოფილიყავი, ისტორიკოსი ან მწერალი ვიქნებოდი... ეს ინტერესები, თავისთავად, გაორებას იწვევს ჩემში.

**— ფსიქოლოგთან ვიზიტი არასდროს დაგჭირვებიათ?**

— არასდროს. თვითონ ვაკონტროლებ ჩემს თავს. საერთოდ, ფსიქოლოგები დიდ დახმარებას უწევენ ადამიანებს, მაგრამ ეს უფრო, დასავლეთში ხდება. ჩვენში ეს კულტურა ჯერ არ არის. ერიდება ქართველ კაცს. შეიძლება, მეც მერიდება, მაგრამ... ნამდვილად არ გამჭირვებია ისე, რომ ვინმესთვის შემეჩივლა და რჩევა მეკითხა. ვიცი, რომ გამოუვალ სიტუაციაშიც არსებობს გამოსავალი და მე მას მოვძებნი. არ მინდა კვეხნა გამომივიდეს, მაგრამ იმ ადამიანების კატეგორიას მივეკუთვნები, ვისაც საკუთარი თავის ობიექტურად დანახვის და განსჯის უნარი აქვთ.

**— ამიტომ, კრიტიკაზე ან შექებაზე რეაქცია არ გაქვთ?**

— რაღაც, ადვილად ვიტან კრიტიკას. სიამოვნებას არ მგვრის, მაგრამ არც ავადმყოფურად განვიცდი. ქებაც, ჩემთვის ბევრს არაფერს ნიშნავს. აი, ცილისწამებაში კი, ყოველთვის ვეძებ რაღაც მარცვალს. ამას თავისი მიზეზი აქვს, ამიტომ ვფიქრობ ხოლმე, რომ „რაღაცაშია საქმე“...

**— ამ შემთხვევაშიც არ გჭირდებათ ხოლმე რჩევა?**

— თუ ეს ინტიმური საკითხია, ნებისმიერი პრობლემის გადასალახავად, ნამდვილად მყოფნის ძალა. თუ ეს საზოგადო საქმეა... კაცი გენიოსიც რომ იყოს, ათასიდან ერთ შეცდომას მაინც დაუშვებს და შეიძლება, სწორედ ის იყოს საბედისწერო. ამიტომ, მე და ჩემი მეგობრები, თანამოაზრეები გადაწყვეტილებას კოლექტიურად

ვიღებთ. შეიძლება, ჯგუფიც შეცდეს და მთელი ერიც, მაგრამ... თვითონ არ უნდა იყო იდიოტი. არ უნდა ფიქრობდე, რომ შენი განკარგულებები შეუმცდარია. როგორ შეიძლება, მე ერთმა გადავწყვიტო 4 მლნ კაცის პრობლემა?! ამიტომ, საზოგადო საკითხებში რჩევებს ვიღებ.

— **გარშემომყოფებს თქვენთან გულწრფელად საუბრის სურვილი ხშირად თუ უჩნდებათ ხოლმე?**

— თუ შენიშვნებს გულისხმობთ... ამას ჩემი შვილებიც მეუბნებიან: დღეს რაღაც, ისე ვერ ილაპარაკე — ვერ გავიგეთ, რა თქვიო. ისე კი, ადამიანებში ყოველთვის ვიწვევდი გულის გადაშლის სურვილს. სტუმრად ყოფნის დროსაც კი, უსათუოდ გამოჩნდება ვინმე, ვინც თავის ცხოვრებასა და პრობლემებზე მიამბობს ხოლმე. ეტყობა, ჩემში არის რაღაც, რაც მათ ამშვიდებთ... ყურადღებით კი ვუსმენ ხოლმე, მაგრამ გაკეთებით, ბევრს ვერაფერს ვუკეთებ.

— **რჩევას ხომ აძლევთ?**

— რა თქმა უნდა, თუმცა ცნობილი გამონათქვამია: ადამიანს რჩევას იმისთვის ეკითხებიან, რომ მერე, თუ რამე არ გამოვა, მას დააბრალონო. ამიტომ, ჩემი რჩევა ყოველთვის მარტივია: მე ასე გავაკეთებდი, ასე მოვიქცეოდი — დანარჩენი მისი გადასაწყვეტია.

— **წარმოიდგინეთ: თქვენ თვალწინ ავარია მოხდა. პოლიცია თვითმხილველს ეძებს. როგორ მოიქცევით?**

— საინტერესოა... „ძველბიჭური“ წესით, „ჩაშვება“ არ შეიძლება... უნდა გამოვტყდე — არ ვიცი, ახალგაზრდობაში როგორ მოვიქცეოდი, მაგრამ დღეს მიმაჩნია, რომ ასეთი დამოკიდებულება აბსოლუტურად მანკიერია, ფსევდო-„ძველბიჭობაა“, ამიტომ... დამნაშავეს ვამხელდი. ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ ხალხს, წესრიგს, სასჯელის გარდაუვალობას. კანონების დაცვით, საზოგადოებას ვიცავთ. დღეს თუ ის არ დაისჯება, ხვალ სხვა მიბაძავს. ვამხელ და ამით ისევ იმ კაცისთვის ვიზრუნებ: თუ ამჯერად ღმერთმა გადაარჩინა, ხვალ შეიძლება დაიღუპოს... სახელმწიფო იმას ნიშნავს, რომ ადამიანები თავიანთ დაწერილ კანონებს უნდა იცავდნენ, თორემ, კანონი ქაღალდზე დაწერილი ასოებია, ბოლოს და ბოლოს, გვინდა — დავიცავთ, არ გვინდა — არა, მაგრამ თუ არ დავიცავთ, სახელმწიფო დაგვსჯის.





ზოგს უხარია, წესრიგის დარღვევისთვის რომ არ ისჯება და ჰგონია, რომ ამით სხვებზე მაღლა დგას. ის არარაობაა, მანიაკი და ავადმყოფია...

— **წარმოიდგინეთ: ოფიციალურ შეხვედრაზე მიგეჩქარებათ. მეგობარი მანქანას გთავაზობთ, რომელსაც დაზიანებული აქვს მუხრუჭები. ჩაჯდებით ამ მანქანაში?**

— ოფიციალურ შეხვედრაზე წასასვლელად არ ჩავჯდები. თუ ახლობელს ან ქვეყანას რაიმე გასაჭირი აქვს, მაშინ — კი. ჩავმჯდარვარ კიდეც. მთაში მივდიოდით, აუცილებელი იყო ჩემი იქ ასვლა. მძღოლი მთვრალი იყო. კინაღამ გადამჩეხა, იმ დალოცვილმა. კიდევ კარგი, მძიმე მანქანა იყო — „ვოლვო“: მოსრიალდა და თავისით გაჩერდა... რისკიანი არ ვარ, ყოველ შემთხვევაში, უაზროდ არ გავრისკავ. ახლა, სადღაც სტუმრად წასვლა იმის გამო თუ გარისკე, რომ სურათი გადაგიღონ, — ე.ი. გიჟი ხარ. აი, მაგელანისა და კოლუმბის მესმის. ხუმრობთ, ოთახისხელა გემით წყნარი ოკეანის გადალახვას? რადიო არ გაქვს, 8-9 მეტრიანი ტალღები... მაგრამ ეს კაცობრიობას სჭირდებოდა. დიდ იდეას ემსახურებოდნენ. ასეთი კაცების გვერდით გავრისკავდი.

— **სივრცის შიში არ გაქვთ?**

— არა, პირიქით — ძალიან მიყვარს ზღვა, მდინარეები, ტბები. გაშლილი სივცრე არაჩვეულებრივი რამეა. ძალით და ენერგიით ვიმუხტები ხოლმე.

— **ჩაკეტილი სივრცე და სიბნელეც ასევე გხიბლავთ?**

— ახლა, რომ გითხრათ, ჩაკეტილი სივრცე მხიბლავს-მეთქი... არა, კი არ მეშინია, მაგრამ არც სასიამოვნო გრძნობას აღმიძრავს... ლიფტში შესვლას ვერიდები. უცხოეთში და „მეტეხში“ — არა, მაგრამ სხვაგან — „გაჭედვის“ მეშინია. პარლამენტშიც, კაბინეტამდე ფეხით ავდივარ ხოლმე. ერთხელ დამცინეს და ჩამაცივდნენ: გინდა თუ არა, ლიფტში შემოდიო. — მე ვუთხარი: არა, ძმაო, შარია — „გავიჩხირები“ და მერე უნდა ვიყვირო — აკაკი ასათიანი ვარ, ლიფტიდან გამომიყვანეთ-მეთქი... ვინც ყველაზე მეტად ჩამაცივდა — გოჩა ჯოჯუა, — მესამე სართულზე „გაიჩხირა“. საათ-ნახევარი ისხდნენ იქ ის და მეორე ჩემი მეგობარი... ათას წელიწადში ერთხელ რომ გაიჭედოს, რა გარანტია მაქვს, რომ მე არ გავიჭედები?! რისთვის შევიქმნა პრობლემა?! ავალ ფეხით, ვარჯიშიც გამომივა... რაც შეეხება სიბნელეს — მახსოვს, ბავშვობაში როგორ ველოდებოდი ხოლმე წიფის გვირაბში შესვლას, ისე მიყვარდა. მაგრამ ერთხელ — მაშინ პატარა ვიყავი — გვირაბში შევიდა მატარებელი და... შუქი ჩაქრა. მოგვიანებით ვიგრძენი, რომ სიბნელეში ყოფნა არ მსიამოვნებდა. მე მგონი, დისკომფორტს ყველა იგრძნობს, სიბნელეში რომ ჩაკეტო.

— **ბავშვობაში მშობლები ხშირად გიწყრებოდნენ?**

— ერთადერთხელ გამიწყრა მამაჩემი. 16 წლის ვიყავი. ხომ იცით, ყმაწვილობა რა არის: ერთი ღამე დავიკარგე, არ მივედი შინ; დილით ძალიან შეშინებულები დამხვდნენ, მილიციაში მეძებდნენ, გაგიჟდნენ თურმე.

— **გაუმხილეთ, სად იყავით?**

— მშობლებთან ისეთი ურთიერთობა მქონდა, რომ ტყუილი არ მჭირდებოდა.

— **მასწავლებლები როგორ გახასიათებდნენ — ნიჭიერია, მაგრამ ზარმაციო?**

— მასწავლებლები სულ ამით ანუგეშებდნენ მშობლებს... ფიზიკის მასწავლებელი გვყავდა, შოთა აბაიშვილი. ერთ მშობელს უთხრა: თქვენი შვილი ზარმაციც არის და დეგენერატიცო... გაგიჟდა ქალი, ეგონა ეტყოდა — ზარმაცია, მაგრამ ნიჭიერიო... I სკოლაში ვსწავლობდი. მშობლები და ბებიები თავს მევლებოდნენ. ბაბუები 1937 წელს დამიხვრიტეს. მთელ საგვარეულოში, ორივე ოჯახში, პირველი ბიჭი ვიყავი — მათი გადამრჩენი და ამიტომ, არც მე და არც ჩემს უმცროს დას სიყვარული არ მოგვკლებია. მეც ვცდილობდი, კარგად მესწავლა. მეხუთე კლასამდე ერთი „ოთხიანიც“ კი არ მყოლია. მერე, პირველად რომ მივიღე „ოთხიანი“, ბებიამ სახლში ტრაგედია მოაწყო. მეც განვიცადე. მერე მივხვდი: ასეთი რეაქცია იმიტომ ჰქონდათ, რომ მანამდე, სულ „ხუთიანებს“ ვიღებდი; სპეციალურად, „სამიანი“ მივიღე და „ოთხიანზე“ ტრაგედია აღარ ყოფილა. ასე მოვიშორე დისკომფორტი...

— **სპორტს არ მისდევდით?**

— არა, სპორტის არც ერთ სახეობაზე

არ დავდიოდი. ისე, ფეხბურთზე ჭკუას ვკარგავ. გაშმაგებული „ვბალელშჩიკობ“ ხოლმე. გოლს რომ გაიტანენ, ვიგინები, ვყვირი; ხალხი გაოგნებული მიყურებს ხოლმე... ბავშვობაში მუსიკაზე დამაპორწიალებდნენ. დაარტყამდა მასწავლებელი კლავიშს, ბავშვები იტყოდნენ: სოლ. ვაა, — ვფიქრობდი ხოლმე, — საიდან ცნობენ, კაცო?! მიკვირდა: როგორ უმართლებთ, როგორ „ახვედრებენ“-მეთქი. მე კიდევ, გამოცნობაზე ვიყავი: თუ „მოვარტყამდი“, „მოვარტყამდი“... მოკლედ, სმენაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ... მატარებდნენ იმიტომ, რომ გრძელი თითები მქონდა. ნორმალური იყო ახლა ეს?!

— **არა.**

— ჰოდა, დავანებე თავი. ბებიაჩემთან დიდი ომი მქონდა, მაგრამ... ეს იყო ჩემი პირველი პროტესტი და გამარჯვება.

— **სხვა რა გაქვთ სატრაბახო, ბატონო აკაკი?**

— არ ვიცი — გულწრფელად გეუბნებით. ტრაბახი პატარაობისას მიყვარდა. ერთხელ, სარდაფში ჩავვარდი. 5 წლის ვიყავი. რომ ამომიყვანეს, შეშინებულებმა მკითხეს: ჩავარდიო? — არა, კურდღელი დავინახე და ჩავხტი-მეთქი. ცოტა მსუქანი და მოუქნელი ბავშვი ვიყავი და მინდოდა დამემალა, რომ მთლად მარჯვე არ ვიყავი... კიდევ, რა ვიცი. ისე, ბევრს ვსვამ... ძალიან მომწონს, რომ ბავშვები და ძაღლები კეთილგანწყობილნი არიან ჩემ მიმართ: იმათ ხომ არ იციან, ვინვარ, ე.ი. რაღაცას შინაგანად გრძნობენ... საერთოდ, მიმაჩნია, რომ ადამიანები იმის მიხედვით უნდა შეამოწმონ, თუ როგორ ექცევიან მათ ბავშვები და ძაღლები. ბატონ ასლან აბაშიძეს ჰყავს ფანტასტიკური კავკასიური ნაგაზები. ერთი სული მაქვს, მათთან ვითამაშო ხოლმე, მაგრამ იქ ისეთი ოფიციალური სიტუაციაა... როგორი ჭკვიანები არიან, იცით? იციან, რომ მათი პატრონის მეგობარი ხარ და არ გერჩიან. რომ გაითამაშო — ვითომ მტრობ, — ისე, ყასიდად დაიყეფებენ: ხვდებიან, რომ პამპულაობ... კიდევ, ვითომ ვტრაბახობ — ვხუმრობ ხოლმე, როცა მეუბნებიან — რა საშინლად გასუქდი, ცოტა გახდიო, — ვპასუხობ: შენ ასე ამბობ და ქალები თავებს იხოცავენ, გაგიჟებულები არიან ჩემი სილამაზით-მეთქი... კვდებიან ხოლმე სიცილით.

— **ქალებზეც გადავედით... კიდევ რა ხიბლავს მათ თქვენში?**

— რა გითხრათ, ისეთი გამორჩეული გარეგნობა არ მაქვს... მაგრამ თავის დროზე, „არა უშავს ბიჭი“ ვიყავი... მეუბნებიან, რომ შინაგანი ძალა, იუმორის გრძნობა, ჭკუა და სიმშვიდე ხიბლავთ. ეს, სიმართლე გითხრათ, მომწონსება: სიმშვიდე ძალას ნიშნავს. ჩვენთან ტყუილად ჰგონიათ, რომ ვინც ბევრს ყვირის, ის არის „მაგარი“.

— **თქვენ რას ანიჭებთ ქალში უპირატესობას?**

— ეშხს. ამას ვგრძნობ თვალებში, ან მოძრაობაში, ან თმის „გადაგდებაში“... ქალი შეიძლება, ლამაზი არ იყოს, მაგრამ ეშხიანი უნდა იყოს. აი, ფრანგ ქალებს აქვთ ეშხი და ჩვენებს. ჩვენებს არა მგონია, რომელიმე ქალი სჯობდეს...

— **თქვენმა მომავალმა მეუღლემაც ეშხით მოგხიბლათ?**

— ძალიან ეშხიანი გოგო იყო. ორივე — მეც და ირინა აბულაძეც უნივერსიტეტში, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ვსწავლობდით. I კურსზევე, ერთმანეთი რომ გავიცანით, ბობოქარი სიყვარულის პერიოდი გვქონდა, მეორე კურსზე დავქორწინდით და... საკმაოდ მშვიდი და ნორმალური ცოლ-ქმრობა გვაქვს. ორი შვილი გვყავს — თორნიკე და რატი.

— **რა არის ის, რის გამოც ყველაფერზე წახვალთ?**

— სამართლიანობა. ამაში შედის სამშობლოს სიყვარულიც და შვილებისაც. პოლიტიკოსი თუ ხარ, უნდა იცოდე, რომ შენი ქვეყნისთვის ყველაფერზე უნდა წახვიდე. სწორი საქმის მსახური თუ ვარ, როგორ მომიგებენ, კაცო?! იელოველი რომ არის — სახლში არ შევუვარდები და წიგნებს არ დავუწვავ; იმას ჩემი სარწმუნოება აჯობებს. აბა, რატომ მწამს? მარტო იმიტომ, რომ მართლმადიდებლად დავიბადე?.. კომუნისტებმა იცოდნენ, რომ ტყუოდნენ, ამიტომაც ხვრეტდნენ და იჭერდნენ ხალხს. როგორც კი ასეთი ზომების მიღება შეწყვიტეს, მათი წყობაც დაიშალა, — ე.ი. სუსტი და უსამართლო იყო.

— **ბატონო აკაკი, აბა, ვნახოთ, რამდენად წინდახედული ადამიანი ბრძანდებით. წარმოიდგინეთ, გაყინული მდინარე გაქვთ გადასალახავი...**

— თუ გასაჭირი არ მადგას, არ გადავლახავ.

— **ეს — აუცილებელი პირობაა.**

— ა-ა, აუცილებლად უნდა გადავიდე? ქვას ვისვრი და ვნახავ, რამდენად სქელი ყინულია, ხომ არ ჩატყდება, როცა გადავალ...

— **თქვენ წონა ქვას სად იპოვით?**

— ქვა ეყოფა იმას — ქვის ძალა მიჩვენებს, გამიძლებს თუ არა. ერთხელ, ირინა სარიშვილმა რა მიქნა, იცით? ვლადიკავკაზში, ოსებთან შეხვედრაზე ვიყავით წასულები. დაბრუნებისას, გუდაურში გავჩერდით. დიდი მინდორი იყო, საკმაოდ დათოვლილი. სარიშვილმა გადაირბინა ეს მინდორი და დამიძახა — წამოდიო. მეც, ქალი მეძახოდა და როგორ მოვიქცეოდი?! — გადავდგი ნაბიჯი თუ არა, ყელამდე თოვლში აღმოვჩნდი. ხომ იცით, როგორი ფარფატაა. ირინას გაუძლო, თურმე... მეტის ღირსი ვარ, შენ რომ დაგიჯერე-მეთქი, — ვუთხარი. უზომოდ კმაყოფილი იყო. მითხრა: ახლა თოვლს დაგაყრი და ასე შეინახები ზაფხულამდე, მერე ამოვალთ და შენახული დახვდები ხალხსო... იმ დღის მერე ვფიქრობ, რომ ჯერ უნდა მოვსინჯო... თუ საშუალება მაქვს, ან თვითმფრინავით გადავფრინდები, ან ხიდით გადავალ. თუ გასაჭირი მადგას — სადაც გამიძლებს, იმ ადგილას გადავალ. საჭიროება განსაზღვრავს, თორემ, ხომ ხედავთ — წინასწარ რომ არ მოვსინჯე, სარიშვილმა რა მიქნა?

P.S. არა, აკაკი ასათიანი რისკის მოყვარული კაცი მართლაც არ არის. უფრო სწორად — ძალიან ფრთხილი და წინდახედულია. არც თოვლიან მინდორს გადალახავს უაზროდ და არც გაყინულ მდინარეს, სანამ ყინულის სისქეს არ შეამოწმებს. ამავე დროს, საკუთარ შეცდომებზე სწავლობს და წარმატებებსაც, ბავშვობიდან სრულიად დამოუკიდებლად აღწევს. სატრაბახოც იმაზე მეტი აქვს, ვიდრე ამას გულწრფელად ამჟღავნებს. თავმდაბალი კაცია, მაგრამ საკუთარი თავის ფასი იცის. პრინციპულია, მაგრამ სხვის მიერ მიწოდებულ სწორ აზრს არ უგულვებელყოფს და თუკი საქმეს სასიკეთოდ წაადგება, აუცილებლად გამოიყენებს. კრიტიკული მომენტი არ აშინებს, განსაკუთრებით მაშინ, თუ „მის გვერდით“ კოლუმბი და მაგელანია. ბატონ აკაკის თეთრი, ლურჯი და იისფერი უყვარს. ეს მის რომანტიკულობაზე, თავდაჯერებულობასა და გაწონასწორებულ ხასიათზე მეტყველებს. ეს თვისებები მანდილოსნების მოსახიბლადაც კი სავსებით საკმარისია...

■





**„აზნაურის სტუმრობაო, ნუ გგონია ხუმრობაო“ — რატომღაც ეს ფრთიანი გამონათქვამი გამახსენდა, როდესაც პოპულარულ და მოუხელთებელ მალხაზ ქვრივიშვილს, როგორც იქნა, შევხვდი. აზნაურის სტუმრობისა არ იყოს, დავრწმუნდი, რომ არც მალხაზის დაჭერა ყოფილა ხუმრობა საქმე. დილით გვიანობამდე სძინავს, მერე გადაღებაზე ტელევიზიაში გარბის (ჩვენი ინტერვიუც სწორედ ტელევიზიაში, გადაღებებს შორის შესვენების დროს შედგა). საღამოს კი მეგობრებთან ერთად ლხინს შეჰყვება ან სულაც — გადაჰყვება ხოლმე და შუაღამისას ბრუნდება შინ... ასეთია მისი არეული ცხოვრების რეჟიმი — მოკლედ, როცა არ სძინავს, ქეიფობს და როცა არ ქეიფობს, სძინავს.**

# მალხაზ ქვრივიშვილი: როდესაც გრძნობა მიჩნდება ქალის მიმართ, ვერ ვახერხებ მის დამალვას და „ვიშიფრები“...

*ნინო ხავახიშვილი*

*არადა, უამრავი საფიქრალი და სადარდებელი აქვს, მაგრამ საკუთარ პრობლემებს თავზე არავის ახვევს. მართალია, გიო ცერცვაძე „ვალენტინის“ ავეჯით გაწყობილ მშვენიერ ბინაში ნებივრობს, მაგრამ მალხაზს სინამდვილეში საკუთარი სახლი არ აქვს (თუ რატომ, ამაზე საუბარი არ ისურვა), დედასთან ერთად ახლობლის ბინაში ცხოვრობს. თავისი გემოვნებით კი მაშინ მოაწყობს ბინას, როდესაც იყიდის. ლამის ოცნებად გადაექცა ჰქონდეს საკუთარი სახლი, ოჯახი, სადაც დაღლილ-დაქანცული მივა და შვილსა და საყვარელ ქალს მიეფერება.*

**— მალხაზ, როდესაც ოცნება აგისრულდება, როგორ მოაწყობ საკუთარ სახლს — კომფორტულად, უბრალოდ, თუ ძალიან მდიდრულად?**

— მდიდრულად კი არა, რაც შეიძლება კომფორტულად მოვაწყობ — ისე, რომ შინ მისვლა სასიამოვნო იყოს. ოჯახში ძალიან თბილად და მშვიდად უნდა გრძნობდე თავს. ჩემს განწყობაზე მოქმედებს ისიც, თუ როგორ მხვდებიან ოჯახში და ისიც, თუ რა ფერებშია გადაწყვეტილი ინტერიერი. სახლის მოწყობის დროს ჩემი რჩეულის გემოვნებასაც გავითვალისწინებ. ისე, ამ მხრივ, პრეტენზიული არ ვარ. მთავარია, სახლში სხვანაირად კარგად ვგრძნობდე თავს, — სულაც არ ვუყურებ იმას, რა და როგორ დგას ოთახში.

**— ე.ი. უწესრიგობა არ გაღიზიანებს და ვერ ამჩნევ, ნივთები თავ-თავის ადგილზე თუ არ დევს?**

— ვამჩნევ კიდეც და ზოგჯერ ნერვებსაც მიშლის ეს ამბავი; არ მიყვარს არეული, მოუწესრიგებელი სახლი. ყველაფერი სუფთა და კრიალა როცა არის, ამას რა სჯობს? ეს უმეტესად ქალის დამსახურებაა, მაგრამ თუ კაცი მარტო ცხოვრობ, შეიძლება, თვითონაც გააკეთო ეს ყველაფერი.

**— გინდა თქვა, რომ თუ ოდესმე მარტო იცხოვრებ, რეცხვასა და ხეხას დაიწყებ და ყველაფერს კრიალს დააწყებინებ? გეხერხება ასეთი რამეები?**

— რატომაც არა? თუ თვითონ ვერ მოვახერხებ, სხვას დავალაგებინებ. თუ არა და, რა პრობლემაა? — საკუთარი სახლის დალაგებას და ნივთების თუ ტანსაცმლის გარეცხვას არ ვითაკილებ. ამ ცხოვრებაში შეიძლება ოდესმე მარტო დარჩე და ყველაფრისთვის მზად უნდა იყო.

**— ამოჩემებული ხომ არა გაქვს რომელიმე ნივთი — ვთქვათ, ფინჯანი, რომლითაც მხოლოდ შენ მიირთმევ ხოლმე ყავას ან ჩაის? გაქვს ასეთი „გართულებები“?**

— მაქვს ჭიქა, რომლითაც რატომღაც წყლის დალევა მიყვარს; ჭიქა, რომლითაც მხოლოდ ყავას ვსვამ ან ჩაის. „გართულებაში“ არ არის საქმე. უბრალოდ, ის ფინჯანი, რომლითაც ყოველ დილას და საღამოს ჩაის მიირთმევ, თითქოს შენი ერთგული და მეგზური ხდება...

**— ბარემ ისიც მითხარი, როგორ ჩაის და ყავას მიირთმევ?**

— ძალიან მიყვარს ლიმონიანი და მურაბიანი ჩაი, ყავას კი — რძით ვამჯობინებ.

**— როგორია შენი გასტრონომიული გემოვნება, ნერწყვს რაზე ყლაპავ?**

— *(იცინის)* რაზე და მწვადის სუნზე. როგორც კი მწვადის სუნს ვიგრძნობ, მაშინვე პირზე ნერწყვი მადგება, განსაკუთრებით, როცა მშიერი ვარ. მიყვარს საცივი, შემწვარი კარტოფილი და შემწვარი ქათამი. ეს არის და ეს.

**— ახლა არ მითხრა, ალკოჰოლურ სასმელებს არ ვეტანებიო. ღვინის მოტრფიალე ხომ ხარ?**

— სასმელზე არ ვგიჟდები, თუმცა იყო პერიოდი, როცა ვგიჟდებოდი — სტუდენტობის დროს ხშირად ვსვამდი ხოლმე. სხვათა შორის, ძალიან კარგად ვიტან სასმელს, ვერავინ ხვდება, ნასვამი ვარ თუ ფხიზელი. ახლა ქეიფი და კარგი დროს ტარება მიყვარს. შეიძლება ცოტა-ცოტა წითელი ღვინო მოვწრუპო ხოლმე. თამადობასაც როგორღაც „ვახერხებ“... დიქტატორი თამადები არ მომწონს — თამადამ სუფრა ხელში უნდა აიყვანოს, ოღონდ — სტუმრები უნდა გაამხიარულოს და გაახალისოს, ცეკვაც უნდა შეეძლოს და სიმღერაც.

**— თვითონ თუ შეგიძლია ცეკვა-სიმღერა? ამბობენ, მალხაზ ქვრივიშვილმა გოგოლა კალანდაძესთან ერთად სიმღერა ჩაწერაო, მართალია?**

— იყო დრო, როდესაც სუფრასთან, მეგობრებთან ერთად ვმღეროდი; ჩვენი რეპერტუარიც კი გვქონდა. ეს იყო სტუდენტობისას. რამდენიმე წლის წინ, ჩემს ქალიშვილთან ერთად ჩავწერე ერთი ძალიან

ლამაზი სიმღერა, ახლახან კი — გოგოლასთან. კარგი სიმღერა გამოვიდა. ტექსტი ნიკუშა გომელაურს ეკუთვნის, მუსიკა — ახალგაზრდა ნიჭიერ პიანისტს, გიორგი ბეგიშვილს, არანჟირება კი — პაატა გოძიაშვილს. ჯერჯერობით არც ერთი სიმღერა არ არის ცნობილი. ახალი სიმღერა ჩემი მეგობრის, დიმა ორაგველიძის თხოვნით ჩავწერე და ალბათ თვითონ მიხედავს კიდეც ამ საქმეს. შეიძლება კლიპიც გადავიღოთ.

**— საერთოდ, როგორ მუსიკას უსმენ ხოლმე?**

— უფრო, ჯაზის მოყვარული ვარ. კლასიკაც მიყვარს, მაგრამ ამ ბოლო დროს რაღაც ველარ ვუსმენ — უფრო სხვანაირი განწყობა მაქვს — ,,საჯაზე". ქართულ სიმღერებსა და შემსრულებლებსაც თითქმის ყველას ვუსმენ. კრიტიკულად განწყობილი არც ერთის მიმართ არა ვარ. ისე, სხვის კრიტიკასა და გაჭორვას სჯობს, საკუთარი თავი ვაკრიტიკოთ...

**— ეი. თვითკრიტიკული ხარ? იქნებ გაგვიმხილო, მაინც რა „მინუსები" გაქვს?**

— საკმაოდ კრიტიკული ვარ საკუთარი თავის მიმართ, კარგად ვიცი ჩემი მინუსებიც და პლუსებიც, მაგრამ მოდი ამაზე ნუ ვილაპარაკებთ, რა?!

**— კარგი, მაგრამ რადგან კრიტიკაზე და ჭორზე ჩამოვარდა საუბარი, არ შემიძლია არ გკითხო: ამ ბოლო დროს, ისინი, ვისაც ენა არ „უცვდება" ლაპარაკით, ბევრს ჭორაობენ, რაღაც-რაღაცებსაც „გაბრალებენ" და თურმე, ქალების რისხვაც კი შეგარქვეს... ვიცი, ამაზე ძალიან ნერვიულობ ხოლმე. ჭორსა და მითქმა-მოთქმაზე ყოველთვის ასეთი რეაქცია გაქვს?**

— გააჩნია ჭორს! ბოროტი ჭორი, რომელიც ვიღაცას ზიანს მოუტანდა და ოჯახს დაანგრევინებდა, არასდროს მიყვარდა. ასეთი რამ ძალიან მიშლის ნერვებს! უვნებელ ჭორს გულზე არც მოიხვედრებ და იტყვი: რა სისულელეა, ამის მოგონება როგორ შეიძლებოდაო?! მაგრამ როცა რაღაც ცუდ ჭორს ავრცელებ, ხომ უნდა გაითვალისწინო, რა მოჰყვება ამ ყველაფერს?! ჩემზე რომ იგონებენ რაიმეს, იმდენად არ ვღიზიანდები, მაგრამ როცა ქალზე ჭორაობენ, ეს უკვე აუტანელია! მით უმეტეს, როცა ის ქალი ნორმალური და კარგი ადამიანია. ზოგჯერ ისეც ხდება ხოლმე, რომ ჭორი მართალია, მაგრამ ჩემს შემთხვევაში, ყველა ჭორი შეთხზული და მოგონილია!..

**— რაც შეეხება მსახიობობას — პროფესიული თვალსაზრისით, უკვე „გაიზარდე" და გემოვნება საბოლოოდ დაგეხვეწა? საინტერესოა, როგორ როლში გრძნობ თავს უკეთესად?**

— უფრო, სახასიათო როლებს მივიჩნევ ჩემეულად, ისე, ყველა როლი ჩემი არ არის? — ყველა მათგანზე განსაკუთრებულად ვმუშაობდი. ამასობაში მსახიობი იზრდები და გამოცდილებას იძენ. მით უმეტეს, როცა კარგ რეჟისორთან მუშაობ. ამ მხრივ, გამიმართლა: ბედნიერი ვარ, რომ რობერტ სტურუასთან — ამ ბუმბერაზ და გენიოს კაცთან ვმუშაობ. ბევრ აღმოჩენას ვაკეთებ ხოლმე საკუთარ თავში.

**— თამაში გიწევს სცენაზე, თამაშობ — ცხოვრებაშიც. არ იღლები ამდენი თამაშით და ნიღბით?**

— იცი, სცენაზე ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებულ სახეებს ვქმნი. ,,სამანიშვილის დედინაცვალში" კოსტა ვითამაშე, ,,ვასილევში" — ლუბერეცკი, ,,მაკბეტში" — მაკდაფი, ,,ჰამლეტში" — როზენკრანცი; ეს სულ განსხვავებული ტიპაჟებია, ისევე როგორც გიო ცერცვაძე... ეს როლია — ეს ხომ ჩემი ცხოვრების კრედო არ არის. ამ სერიალს ბევრი უყურებს, ყველას თავისი საყვარელი გმირი ჰყავს. ვიღაცას ლალა უყვარს, ვიღაცას ლელა, ვიღაცას ნინო ღონღაძე, ტოტორიკა და ა.შ.

**— თვითონ შენ როგორ მოგწონს გიო? ასეთი კაცები მალხაზ ქვრივიშვილის გემოვნებაში როგორ ჯდება?**

— სულაც არ ჯდება ჩემს გემოვნებაში, მაგრამ რეალურად, ასეთი კაცები არსებობენ და ის, რაც გიოს ახასიათებს, რაღაც

სითბო და ...



მომენტში, თითქმის ყველა კაცში ზის — უბრალოდ, ჩვენ ცოტა ვაშარჟებთ და უფრო სასაცილოს ვხდით...

**— როგორ ადამიანზე ამბობ ხოლმე: ამ კაცს გემოვნების ნატამალიც არა აქვსო? ადამიანები ხშირად, მხოლოდ ჩაცმა-დახურვით ვაფასებთ ვიღაცის გემოვნებასა თუ უგემოვნობას, შენც ასე ხარ?**

— ჩაცმულობას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. შეიძლება, ძალიან მაგარი ფირმის ტანსაცმელი გეცვას, მაგრამ დაუხვეწავი გემოვნება გქონდეს და გაუნათლებელი იყო. განათლებაში წიგნის კითხვას კი არა, მენტალიტეტს, შეგრძნებებს, ურთიერთობებსა და ადამიანურობას ვგულისხმობ. შეიძლება, უბრალო გლეხს ისეთი დახვეწილი გემოვნება ჰქონდეს და ისეთი ინტელექტი, რომ მასთან საუბარიც გესიამოვნოს და სუფრასთან ჯდომაც. გემოვნება არის სადღაც ,,შიგნით", თუმცა ჩაცმულობაც ბევრს ნიშნავს. ყურადღების მიღმა არ დაგრჩება ლამაზი ქალი, რომელსაც გემოვნებით აცვია, გემოვნება თანდათანობით ყალიბდება და იხვეწება. ჩემი გოგონა სულ რაღაც სამი წლის იყო, როცა უკვე პრეტენზიები ჰქონდა ჩაცმასთან დაკავშირებით, ისიც კი გვითხრა: შარვალს არ ჩავიცვამ, კაბა ჩამაცვით, იმიტომ, რომ ბიჭი არ ვარო. ახლა 10 წლისაა და როდესაც რამის საყიდლად მიმყავს მაღაზიაში, საკუთარი გემოვნებით არჩევს ხოლმე ჩასაცმელს. შეიძლება, რაიმე ვურჩიო, მაგრამ არაფერს დავუშლი — გული რატომ უნდა დავწყვიტო?!

**— როგორი სტილის ტანსაცმელში გრძნობ თავს უფრო მოხერხე-**

სიძულვილი მალხაზის შემოქმედებაში



**ბულად და თავისუფლად?**

— გულახდილად რომ გითხრა, ჩაცმა მაგრად მიყვარს. უფრო, სპორტულ ფორმაში ვარ თავისუფლად. ჯინსი მიყვარს, ახალგაზრდობაშიც სულ ჯინსით დავდიოდი. ჩაცმის კლასიკური სტილიც ძალიან მომწონს. მოკლედ, გააჩნია, სად როგორ... აი, ხომ ხედავ, ახლაც რა უბრალოდ მაცვია *(შავ შარვალსა და შავ მაისურზე მიმანიშნებს. — ავტ.)*.

**— ისე, ძალიან ხშირად ხარ შავებში გამოწყობილი. საერთოს, ამ ფერს ანიჭებ უპირატესობას?**

— არ ვიცი, რატომ, მაგრამ რაღაცნაირად მამშვიდებს ეს ფერი. შავის, ცისფრის და თეთრის გარდა, სხვა ფერი არ მიყვარს. ცისფერს-მეთქი, რომ ვამბობ, ხომ მიმიხვდი, რასაც ვგულისხმობ — ცისფერ პერანგს, მაისურს და ა.შ. *(იცინის)*... სხვას არაფერს ვგულისხმობ — არც ცისფერში და არც შავში...

**— მოკლედ, არც შავი ხარ და არც — ცისფერი, არა? იმედია, შენც მიხვდები, რომ ვხუმრობ და არ გამიბრაზდები...**

— *(იცინება)* არც შავი ვარ და არც ცისფერი — თეთრი ვარ, თეთრი! ისე, შავები უფრო მაგრები არიან...

**— მალხაზ, ყოველდღიურობაში, სხვადასხვა ადამიანთან ურთიერთობაშიც ასეთივე უბრალო და უშუალო ხარ?**

— როგორიც ვარ, ისეთი ვარ — უბრალო და უშუალო! ნებისმიერ ადამიანთან ძალიან ადვილად შევდივარ კონტაქტში, თუ ზღვარს არ გადავლენ და შეურაცხყოფას არ მომაყენებენ. თვითონ ზღვარს არც დიდთან გადავდივარ და არც პატარასთან — ვცდილობ, ადამიანებს არ ვაწყენინო და გული არ ვატკინო. ასეთივე კომუნიკაბელურ და უშუალო ადამიანებთან ვმეგობრობ. ისე, არანორმალურებთანაც მაქვს ურთიერთობა — მათშიც არის რაღაც ისეთი, რამაც შეიძლება დამაინტერესოს.

**— ქალის გემოვნებას თუ ენდობი? ვინ გირჩევს ხოლმე ტანსაცმელს, ან ვინ ამოწმებს, ყოველ დილით როგორ გამოიყურები?**

— ყოველ დილით, როცა სახლიდან გამოვდივარ, შემოვტრიალდები და დედაჩემს ვეკითხები ხოლმე: დედა, კარგია? მიხდება? თუმცა, ასეთი რამ დიდი ხანია აღარ მომხდარა, სარკეშიც იშვიათად ვიყურები იმის დასადგენად — კარგად გამოვიყურები თუ არა. ცხოვრებაში იმდენი პრობლემა და საფიქრალი დამიგროვდა, რომ იმაზე უკვე აღარ ვფიქრობ, დღეს რა ჩავიცვა და ხვალ რა ჩავიცვა-მეთქი. ქალის გემოვნებას ყოველთვის ვითვალისწინებ და ვენდობი კიდეც. ოღონდ, იმ შემთხვევაში, თუ თვითონ იმ ქალს ვენდობი, თუმცა მაინც ასჯერ ავწონ-დავწონი ყველაფერს. რაიმის შეძენა რთული პროცესია, გადაწყვეტილების მიღება მიჭირს და თუ რაიმეს ვყიდულობ, ყველას ვეკითხები: ვიყიდო თუ არა-მეთქი?

**— ახლა საუბრის ყველაზე საინტერესო და „ვნებიან" თემას მივუახლოვდით: როგორი ქალები მოსწონს მალხაზ ქვრივიშვილს და საიდან იწყებს ქალის აღქმას?**

— *(ფიქრობს)* იცი, რა, ძალიან ძნელია ამის დაკონკრეტება. ასე, ერთი ხელის მოსმით ვერ ვიტყვი: მაინცდამაინც თხელი, ქერა და ცისფერთვალება, ან — შავგვრემანი, ან — პუტკუნა ქალები მომწონს-მეთქი. რამდენი ლამაზი ყვავილია ამ ქვეყანაზე, მაგრამ ზოგს ვარდი მოსწონს, ზოგს — ყაყაჩო, ზოგს კიდევ — მინდვრის ყვავილები; ეს კაცის გემოვნებაზეა დამოკიდებული. თვალი ჭამს და თვალი სვამსო — ნათქვამია და ასეც არის, თუმცა შეიძლება, შემჩნიო ლამაზი ქალი და მართლაც ძალიან მოგეწონოს, მაგრამ მხოლოდ თვალს მოეწონოს და არა — გულს...

**— და რა ხდება მაშინ, როდესაც ქალი მოგეწონება — მის „შებმას" აქტიურად და თავგამოდებით ცდილობ თუ პირიქით — უფრო მორცხვი ხდები?**

— არ ვცდილობ, რომ ვიბრძოლო და ქალი როგორმე ,,შევაბა''. ამ დროს უფრო, მოწიწებული და მორიდებული ვარ ხოლმე. როდესაც გრძნობა მიჩნდება ქალის მიმართ, ვერ ვახერხებ მის დამალვას და ,,ვიშიფრები''. ამას ყველა გრძნობს, რადგან ბუნებით ვარ ძალიან თბილი ადამიანი და თვითონაც მიყვარს, ჩემ მიმართ სითბოს და სიყვარულს რომ გამოხატავენ. მთავარი ის კი არ არის, ქალს როგორი ტანი ან თვალის ფერი, ან როგორი მიხრა-მოხრა აქვს... მთავარი სულ სხვა რამეა — დანახვა იმ მეორე ადამიანისა, რომელიც შენში რაღაც სასიამოვნო ემოციებს იწვევს და რაღაც სურვილებს აღძრავს... ეს აბსოლუტურად ამოუცნობი და აუხსნელი რამ არის...

**— მალხაზ, სულ ოჯახურ სითბოს, სიყვარულს და საყვარელი ქალის მოფერებას რომ ნატრობ, ბოლოს და ბოლოს, დაოჯახებას კიდევ არ აპირებ?**

— არა, ჯერჯერობით არაფერს ვგეგმავ, ისევ და ისევ იმიტომ, რომ ცხოვრებაში უამრავი პრობლემა მაქვს გადასაწყვეტი...



**— რაც შეეხება საჩუქრებს — საყვარელ ქალს საკუთარი გემოვნებით ურჩევ საჩუქრებს, თუ თავად მის გემოვნებას ანიჭებ უპირატესობას?**

— ქალი თვითონ გკარნახობს, რა და როგორი საჩუქარი უყიდო. უკვე იმდენად გრძნობ იმ ქალს, რომელთანაც ცხოვრობ, რომ ხვდები, რა უნდა გააკეთო მისთვის, რა ესიამოვნება და რა გაუხარდება. ნივთი იქნება ეს, სუნამო თუ რაიმე სხვა...

**— ეტყობა, სამკაულები გიყვარს — ვხედავ, მარჯვენა ხელზე ბეჭედი გიკეთია...**

— ასეთი რაღაცები არასდროს მომწონდა — მაგრამ ეს ნივთი ნაჩუქარია და ამიტომ, ყოველთვის ვატარებ. თანაც, ახლა რატომღაც მომწონს კიდეც, შეგუების მომენტიც არის...

**— მაინც ვისი ნაჩუქარია, ასე რომ ვერ ელევი?**

— ჩემთვის საყვარელმა ადამიანმა მაჩუქა...

**— საყვარელმა ქალმა?**

— დიახ! საყვარელმა ქალმა... ■

ნდობის ტელეფონი
კონსულტაცია
ინტიმი (18 წლიდან)
822 009 005
„მაგთი", „ჯეოსელი",
„მეგაკომი" — 0,70 ლ.
თბილისი — 0,45 ლ.
რაიონები — 0,65 ლ.

# ფეხბურთის თამაში მკვლელობით დასრულდა

## დანაშაულში ბრალი 18 წლის პატიმარს ედება

მეგი ცანავა

ზემოთ მოყვანილი ჩვენება მოწმემ პროკურატურას სამი თვის წინ მისცა. მისი თქმით, დამნაშავე – არსენ ყანჩელაშვილი შემთხვევის ადგილიდან ხვიჩას დაჭრისთანავე გაიქცა.

პროკურატურის მასალების თანახმად, მკვლელობა 2002 წლის 26 აპრილს, თბილისში, ვარკეთილის მე-2 მიკრორაიონში მოხდა. მე-17 საცხოვრებელი კორპუსის უკან მდებარე მოასფალტებულ სტადიონზე უბნის ბიჭები ფეხბურთს თამაშობდნენ. მათ შორის გახლდათ არსენ ყანჩელაშვილი და ხვიჩა გერგეშელიძეც. როგორც გამოძიებით დადგინდა, ეს უკანასკნელი, იმ დროს ნასვამი იყო. თამაშისას მასა და არსენას ერთმანეთში ურთიერთშელაპარაკება მოუხდათ. მოწმე **რუსლან ავეტიანი**, რომელიც შემთხვევის ადგილზე იყო და ჩხუბს შეესწრო, შეკამათებას ასე გადმოგვცემს:

*„...ერთმანეთს უწმაწური სიტყვებით დაუწყეს ლაპარაკი. მე არსენთან მივედი და ვუსაყვედურე – ხვიჩა შენზე უფროსია და როგორ ელაპარაკები-მეთქი? საჩხუბრად იწევდნენ ერთმანეთისკენ, მაგრამ მათ მე ვაკავებდი. ამ დროს, იქ არსენის და მოვიდა და თქვა: ჩემს ძმას თავს თუ არ დაანებებთ, პოლიციას გამოვიძახებო. ამის შემდეგ ის წავიდა. არსენს ვუთხარი: წადი და შენი და გააჩერე, პოლიციას მართლა არ შეატყობინოს-მეთქი. მითხრა – ჩემი და არსად წამსვლელი არ არის, მე კი ხვალ ბიჭებს ამოვიყვან და საქმეს გავარჩევთო. ამის გაგონებაზე ხვიჩა მისკენ წაიწია და უთხრა: ჩემს ხელში ხარ გაზრდილი, შე ნაბიჭვარო, ბიჭები ვის უნდა ამოუყვანოო?!.“*

**„ხვიჩა მივიდა არსენასთან და უთხრა: ჩემს ხელში ხარ გაზრდილი, შე ნაბიჭვარო, ბიჭები ვის უნდა ამოუყვანოო?!. — და სახეში ხელი გაარტყა... არსენას ხელში დანა ეჭირა და რამდენჯერმე მოიქნია. ხვიჩამ დაიძახა: დამჭრაო — და დედის მისამართით შეაგინა. რა მოულოდნელად დამარტყა დანა ამ ნაბიჭვარმა არსენამო, — მითხრა ხვიჩამ“.**

**27 წლის ხვიჩა გერგეშელიძე თბილისის №1 კლინიკურ საავადმყოფოში იმავე დღეს გარდაიცვალა. დანა, ორჯერ დარტყმის შედეგად, მას გულმკერდისა და ზურგის არეში ჰქონდა მოხვედრილი. ორივე ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა.**

არსენ ყანჩელაშვილი 18 წლის გახლავთ. პოლიციის თანამშრომლებმა იგი მკვლელობიდან ერთი თვის შემდეგ – 2002 წლის 24 მაისს, ქალაქ რუსთავში დააკავეს. საქმის გამოძიების შემდეგ, ისანი-სამგორის რაიონის პროკურატურამ მას განზრახ მკვლელობის მუხლი მიუყენა, მიუხედავად იმისა, რომ თავად ყანჩელაშვილმა დანაშაულში თავი დამნაშავედ მხოლოდ ნაწილობრივ ცნო და მკვლელობის დეტალებიც სხვაგვარად აღწერა. არსენ ყანჩელაშვილის ჩვენება იმის შესახებ, რომ ხვიჩა გერგეშელიძისგან თავს იცავდა და ამ უკანასკნელის თავდასხმის გამო, იძულებული გახდა, დანა გამოეყენებინა – პროკურატურამ არ გაიზიარა.

**არსენ ყანჩელაშვილი**, ბრალდებულად დაკითხვისას მიცემული ჩვენებიდან:



*„ხვიჩას მოკვლის განზრახვა არასოდეს მქონია. რაც ჩავიდინე, ეს მხოლოდ იმის გამო მოხდა, რომ მისგან თავს ვიცავდი...*

*ვარკეთილში უმცროს და-ძმასთან ერთად ვცხოვრობ. ჩემი მშობლები გაყრილები არიან და ერთად არ ცხოვრობენ. მამაჩემი, დაახლოებით სამი წელია, არ მინახავს და ახლა სად იმყოფება, არც ის ვიცი. დედაჩემი კი ორი წელია, რაც უცხოეთშია წასული სამუშაოდ. დროდადრო, ცოტა ხნით ჩამოდის ჩვენს სანახავად...*

*2002 წლის 26 აპრილს, დილიდანვე შინ ვიყავი და ვმუშაობდი. ჩემი დაც ჩემთან ერთად იყო, უმცროსი ძმა კი სოფელში ნათესავებთან გახლდათ წასული. დაახლოებით ხუთი საათისთვის, ქვემოთ, ეზოში ჩავედი. იქ პატარა ნაკვეთი გვაქვს და მინდოდა, ვაზი გამესხლა. ამიტომაც თან წავიღე ე.წ. „ბაბოჩკის“ ტიპის დანა. დაახლოებით 8 საათისთვის ბაღში მუშაობას მოვრჩი და იქვე მდებარე სტადიონზე გადავედი, სადაც ბავშვები ფეხბურთს თამაშობდნენ. მათთან მივედი, შემდეგ კი მოედნის თავისუფალ მხარეს, ბურთის კარში დარტყმა დავიწყე. 10 წუთში, სხვა უბნელი, უფროსი ბიჭებიც მოვიდნენ: ხვიჩა გერგეშელიძე,*

**„ხვიჩამ სახის არეში მუშტი გამარტყა, მერე ცემა დამიწყო. ბიჭებმა შეაჩერეს, მაგრამ მათ ხელიდან მაინც დაუსხლტა, მიწიდან რაღაც საგანი აიღო – არ ვიცი, ხის იყო თუ რკინის...“**

რუსლანი — გვარი არ მახსოვს და ჯაბა ხვარძიკია. ნასვამები იყვნენ. მომიახლოვდნენ და ბურთის თამაში მათაც დაიწყეს. ერთ მომენტში, როცა ბურთი მე მქონდა, გერგეშელიძემ უხეშად მომმართა: ჩქარა გადმოაგდე ბურთი, შე ნაბიჭვაროო. ხვიჩას შევეკითხე: ასეთ სიტყვებს რატომ მკადრებ-მეთქი? ამის გამო შევკამათდით. კამათის დროს ხვიჩამ დედის მისამართით გინება დამიწყო, შემდეგ ჩემს საცემრად გამოიწია. ბიჭებმა შეაკავეს... მათ ვუთხარი: ხვალ ფხიზლებს გნახავთ და მაშინ გავარჩიოთ საქმე — ვინ არის მტყუანი და ვინ მართალი-მეთქი. ამის გაგონებაზე ხვიჩამ სახის არეში მუშტი გამარტყა, მერე ცემა დამიწყო. ბიჭებმა შეაჩერეს, მაგრამ მათ ხელიდან მაინც დაუსხლტა, მიწიდან რაღაც საგანი აიღო — არ ვიცი, ხის იყო თუ რკინის და გინებ-გინებით, პირდაპირ ჩემკენ წამოვიდა. აღნიშნული საგანი რამდენჯერმე მომიქნია. იმ მომენტში მეც გამახსენდა, რომ შარვლის უკანა ჯიბეში დანა მედო. მაშინვე ამოვიღე და თავდაცვის მიზნით, ხვიჩა რომ არ მოახლოებულიყო, მისივე მიმართულებით მოვიქნიე. ვიგრძენი, რომ ჩემ მიერ მოქნეული დანა ხვიჩას, სხეულში მოხვდა, ზუსტად რა ადგილას — ვერ დავინახე. დაიყვირა — დამჭრაო... მე შემეშინდა და გავჩერდი. შიშისგან დანა იქვე მოვისროლე, შემდეგ კი მეტრო „ვარკეთილისკენ" გავიქეცი. იქიდან სამარშრუტო ტაქსით ქალაქ რუსთავში წავედი. იქ ჩემი ნათესავის ბინაში მივედი, ბინის გასაღები მე მქონდა და მთელი ამ ხნის განმავლობაში იქ ვიყავი. მეორე დღეს, ტელეფონით მეზობელს დავუკავშირდი, რათა ხვიჩას მდგომარეობის შესახებ გამეგო რამე. მეზობელმა მითხრა, რომ ხვიჩა იმავე დღეს გარდაიცვალა..."

შემთხვევის ადგილას მყოფი რუსლან ავეტიანისა და ჯაბა ხვარძიკიას ჩვენებებით, ისინი, ისევე როგორც ხვიჩა, ნასვამები იყვნენ, თუმცა კატეგორიულად ირწმუნებიან, რომ ჩხუბისას გერგეშელიძეს არანაირი საგანი არ ეჭირა ხელში. ბრალდებულის ჩვენებას, პროკურატურა, პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, მოგონილად მიიჩნევს. გამომძიებლის აზრით, არსენ ყანჩელაშვილი ვენახის გასასხლავად „ბაბოჩკა" დანით არ წავიდოდა, რადგან ამით სამუშაოს შესრულებას ის, უბრალოდ, ვერ შეძლებდა. აღსანიშნავია, რომ მოწმეთა ჩვენებებში არსენის ბაღში მუშაობის შესახებ არაფერია ნათქვამი. პროკურატურის ვერსიით, „ყანჩელაშვილმა დანა ჯიბეში ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩაიდო".

ამ პოზიციას კატეგორიულად ეწინააღმდეგება ბრალდებულის ადვოკატი **გოგიტა გაბაიძე:**

„ყანჩელაშვილს ჯიბეში დანა ვინმეს მოსაკლავად არ ედო. ის გარკვევით აღნიშნავს, რომ ვაზის გასასხლავად იყო ეზოში ჩასული. თუმცა, გარდა ამისა, განზრახ მკვლელობაში მის უდანაშაულობას ისიც ადასტურებს, რომ ყანჩელაშვილი ბაღში მუშაობის შემდეგ, სტადიონზე ფეხბურთს თამაშობდა. მას რომ ვინმეს მკვლელობა ჰქონოდა განზრახული, ბურთის თამაშს არ დაიწყებდა, პირიქით, დანის ჯიბეში ჩადების მომენტიდან განზრახვის სისრულეში მოყვანას ეცდებოდა.

ვერც ის გახდება გამოძიების მხრიდან სადავო, რომ ყანჩელაშვილს ნასვამ მდგომარეობაში მყოფი და საკმაოდ ძლიერი ალკოჰოლის (არყის) ზემოქმედების ქვეშ მყოფი გერგეშელიძე აუხირდა. ის, რომ მან ყანჩელაშვილი დაამცირა და აბუჩად აიგდო, მოწმეთა ჩვენებებითაც დადასტურებულია. თანაც, აწ გარდაცვლილი, ყანჩელაშვილზე საკმაოდ უფროსი და ჯანიანი, ტანად მასზე უფრო მაღალი გახლდათ. ბუნებრივია, ყანჩელაშვილის ფიზიკურ განადგურებას იგი ადვილად შეძლებდა, მით უმეტეს მაშინ, როცა, ბრალდებულის თქმით, ხის თუ რკინის ჯოხი მოუქნია მას; ამით ყანჩელაშვილს თავდაცვის ყველა ხერხისკენ უბიძგა. ამ ფაქტს შეესწრო ბრალდებულის დაც. მისი ძმა რომ საგანგაშო სიტუაციაში არ დაენახა, იმ ბიჭებს პოლიციის გამოძახებით არ დააშინებდა. ამიტომაც მოუწოდა მათ: ჩემს ძმას თავი დაანებეთო.

ამ და სხვა მნიშვნელოვანი დეტალების მიუხედავად, გამოძიება მაინც სასურველ კვალიფიკაციას ჩაებღაუჭა და ყანჩელაშვილს 108-ე (განზრახ მკვლელობა) მუხლი მიუყენა".

ადვოკატმა არსენ ყანჩელაშვილისთვის მუხლის გადაკვალიფიცირება მოითხოვა. მისი აზრით, მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლებშია ჩადენილი. შესაბამისი შუამდგომლობით მან პროკურატურას მიმართა, თუმცა სამართალდამცავებმა აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე კატეგორიული უარი განაცხადეს. გამოძიების დადგენილებით, ყანჩელაშვილი განზრახ მკვლელობაშია დამნაშავე და უახლოეს მომავალში, პროკურატურა სწორედ ამ მუხლით გადაუგზავნის საქმეს სასამართლოს. ■

**შემთხვევის ადგილას მყოფი რუსლან ავეტიანისა და ჯაბა ხვარძიკიას ჩვენებებით, ისინი, ისევე როგორც ხვიჩა, ნასვამები იყვნენ, თუმცა კატეგორიულად ირწმუნებიან, რომ ჩხუბისას გერგეშელიძეს არანაირი საგანი არ ეჭირა ხელში.**


ჩვენ მივაღწიეთ ამას!
საერთო წონის დაკლება 31 კგ!!!
წონის დაკლების და ჯანმრთელობის კონტროლის ახალი სისტემის საშუალებით ჩვენ დავიბრუნეთ ახალგაზრდული იერი და ჯანმრთელობა!





დაიბრუნეთ თქვენი ახალგაზრდობა და ჯანმრთელობა ჩვენი კვალიფიციური ზედამხედველობის ქვეშ.
დაგვირეკეთ: 957067 (17 სთ-მდე); 227756; 382374 (17 სთ-ის შემდეგ); 893345008 ანდრო, ნატა

# „როგორც ჩანს, ტანჯვისთვისაა ჩემი ოჯახი გაჩენილი..."

**ეს ამბავი რომ მოვისმინე, გავოგნდი. თურმე რამხელა ტკივილით ცხოვრობენ ის ადამიანები, რომელთა ოჯახებშიც მოულოდნელი ტრაგედია დატრიალდა. თამარ ვაჩეიშვილი პედაგოგია. ის ორი შვილის დედაა. მისი უფროსი ვაჟი პოლიტიკოსია, თანაც საკმაოდ ცნობილი. უმცროსი ახლა გერმანიაში ცხოვრობს, „ფოლკსვაგენის" ავტოქარხანაში მუშაობს. მას სამი შვილი დაეღუპა, ცოლი კი, ცოცხალი ჰყავს, მაგრამ რომ იტყვიან, ამ ქვეყნისა აღარ არის... ქალბატონმა თამარმა, დარდი რომ ვერავის გაუზიარა, ჩვენ დაგვიკავშირდა: მინდა ვიღაცამ მოისმინოს, ჩემი ტკივილი გაიზიაროსო. ასე აღმოვჩნდი თამარ ვაჩეიშვილთან პირისპირ. ქალბატონ თამარს თბილისში ძალიან ბევრი ადამიანი იცნობს. ის წლების მანძილზე, რუსული სკოლის მოსწავლეებს ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა და ბავშვებს ძალიან უყვარდათ. არ ვავიწყდები, მირეკავენ და მამხნევებენო, — მითხრა.**

*ლელა ჭანკოტაძე*

— მოსწავლეებით მიდგას სული. რუსულენოვანი მოსახლეობა რუსეთში რომ წავიდა, ჩემი მოსწავლეების უმეტესობაც დამემშვიდობა. ვინც აქ დარჩა, ყველას ვებრალები. ჩემმა ერთმა მოსწავლემ ისიც კი მითხრა: მიკვირს, როგორ გაუძელით ამდენ რამეს, თქვენს ადგილას ალბათ თავს მოვიკლავდიო.

**— როგორ დაიწყო ეს ყველაფერი?**

— ვანში ვცხოვრობდით. ჩვენს სახლში ოთხი ბავშვი იზრდებოდა. მე ნაბოლარა ვიყავი. ჩემი ძმები მანებივრებდნენ. ჩემი ძმა, ვახო ჩემზე ათი წლით უფროსი იყო. ძალიან ვუყვარდი. ახლაც მახსოვს მისი ჭკვიანი თვალები და ალერსიანი გამოხედვა. კეთილი გული ჰქონდა, ჭიანჭველას ფეხს არ დაადგამდა. მასზე შვიდი წლით უმცროსები იყვნენ ტყუპი — ფრიდონი და ტარიელი. ფრიდონი ვახოსავით ჭკვიანი გახლდათ, ტარიელი კი, გულღრძო და ანჩხლი იყო. ზოგჯერ თმით ისე დამითრევდა ხოლმე, რომ სიმწრისგან ტირილს ვიწყებდი. ჩემი მშობლები რატომღაც ყოველთვის მის მხარეს იჭერდნენ — ხშირად ავადმყოფობს, განერვიულებულია, ხელი უნდა შევუწყოთო. ერთ დღეს, ყველანი ბაღში ვმუშაობდით. დედამ მთხოვა: სახლში გაიქეცი, დოქით წყალი მოიტანეო. წამოვედი. მშიოდა კიდეც. პური მოვიტეხე, საბუდარში კვერცხებს დავუწყე ძებნა: ვიფიქრე, მოვხარშავ და ბაღში ჩემს მშობლებსა და ძმებს წავუღებ-მეთქი. უცბად, ყვირილი მომესმა. ისეთი ძლიერი ხმა იყო, რომ შიშისაგან გავქვავდი. ვეღარაფერი მოვახერხე. იმის მაგივრად, რომ იქით გავქცეულიყავი, საიდანაც ხმა მოდიოდა, საბუდართან ჩავიცუცქე. კივილი რომ გაძლიერდა, კანკალმა ამიტანა და ტირილი დავიწყე. სულ მალე დავინახე, როგორ მორბოდა ხალხი ჩვენი სახლისაკენ. მეც გამოვედი სამალავიდან. ვიღაცის ძლიერი ხელი მომწვდა. მეზობელი ქალი იყო. თინა დეიდამ გულში ჩამიკრა და მითხრა: არ იტირო, დაწყნარდი, ჩემთან წამოდი, ამაღამ ჩემთან დაიძინეო... ვერ გავბედე მეკითხა: რა მოხდა-მეთქი? იმას კი მივხვდი, რომ ვიღაც მოკვდა. მეორე დღეს ფრიდონმა მითხრა: ტარიელმა მამა მოკლაო.



**— რატომ? როგორ?**

— მამას მისთვის შეუგინებია: ყოჩაღად იმუშავე, ნუ ზარმაცობო, — შემდეგ კი თავშიც წამოურტყამს. ტარიელს მამისათვის ცული მოუქნევია... ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა. მამამ ათი-თხუთმეტი წუთი იხრიალა და გათავდა.

**— რამდენი წლის იყო მაშინ ტარიელი?**

— ტარიელი და ფრიდონი თორმეტი წლისანები იყვნენ, მე — ცხრა წლის, ჩვენი უფროსი ძმა, ვახო კი — ცხრამეტის. დანაშაული სწორედ მან აიღო საკუთარ თავზე. მეორე დღესვე, თავისი ფეხით მივიდა მილიციაში. ისე წავიდა, არც მინახავს. მერე გავიგე — შეყვარებულთან შეიარა, დაემშვიდობა. ოჯახში უფროსი მე ვარ, ჩემი ოჯახი უნდა დავიცვაო, — უთხრა თურმე...

**— დედათქვენი თანახმა იყო, ვახოს რომ აეღო საკუთარ თავზე მამის მკვლელობა?**

— დიახ. დედას არასდროს უთქვამს, ვახო ცუდად მოიქცაო, უფრო სწორად, ჩვენს ოჯახში ამაზე საუბარი არასდროს ყოფილა. ვახო ჩვენ შორის უფროსი იყო, ყველანი თითქმის მისი გაზრდილები ვიყავით. თან, ტარიელი ხშირად ავადმყოფობდა. ეპილეფსიით იყო დაავადებული. ბევრჯერ გამოვგლიჯეთ სიკვდილს ხელიდან. ყველამ ვიცოდით — ის ციხეს ვერ გაუძლებდა, ციხეში მოკვდებოდა და ვახომ ციხისთვის ვერ გაიმეტა. საკუთარი ცხოვრება ძმის გამო დაინგრა — არადა, ცოლის შერთვას აპირებდა. ლია პატაშური უყვარდა, ჩვენი ექიმის ერთადერთი გოგო... სასამართლომ ვახოს ათი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

**— ტარიელმა რა თქვა? არ სცადა სიმართლის თქმა?**

— არა. მე მგონი, ამ ამბავს არც განიცდიდა. გარეგნულად ასე ჩანდა... ოჯახში ეს ამბავი არასოდეს გვიხსენებია, თითქოს არც მომხდარა. ერთხელაც არ უცდია ტარიელს, რაიმე ეთქვა, თავი ემართლებინა, თუნდაც ბოდიში მოეხადა... ვახოს დაჭერიდან ექვსი თვის შემდეგ, მისი სიკვდილის ცნობა მივიღეთ. მან ციხეში თავი მოიკლა. არც წერილი დაუტოვებია და არც რომელიმე პატიმრისთვის გაუზიარებია თავისი გულისნადები. მისი სიკვდილით ჩვენს ოჯახში თითქოს წარსულთან კავშირი გაწყდა. ახალი ცხოვრება დავიწყეთ მე, დედამ და ჩემმა ორმა ძმამ... წლები გავიდა, გავიზარდე, დავქალდი და გავთხოვდი. როცა ქმრის სახლში რამდენიმე დღე გავატარე, მივხ-



ვდი, რომ წელში გავიმართე, მშვიდად ძილს მივეჩვიე. მხოლოდ მაშინ გავაცნობიერე, რომ მამისეულ სახლში შიშით შეპყრობილი ვცხოვრობდი. თავს არ ვუმხელდი, თორემ ტარიელის მეშინოდა, ძალიან მეშინოდა. ალბათ, მძულდა კიდეც.

**— როგორ ცხოვრობდით შიშით და სიძულვილით?**

— ტარიელთან მარტო არ ვრჩებოდი. სკოლიდან რომ მოვდიოდი, ღობიდან ჩუმად გადავიხედავდი ხოლმე: თუ ტარიელი შინ იყო, ჩემს ნათლიასთან გავრბოდი. საოცარი პროტესტის გრძნობა გამიჩნდა: ის ხომ, ჩემი ორი უსაყვარლესი ადამიანის — მამისა და ძმის სიკვდილში იყო დამნაშავე. მე მგონი, დედაჩემსა და ფრიდონსაც ეშინოდათ მისი. არ მახსოვს, რომელიმეს შენიშვნა მიეცეს. ყოველთვის იმას აკეთებდა, რაც უნდოდა. მაღალ ხმაზე არც დედა და არც ფრიდონი არ ელაპარაკებოდნენ. ტარიელს არასდროს ეკამათებოდნენ... მაგრამ ჩემი გათხოვების შემდეგ, ტარიელმა ისეთი საუკეთესო თვისებები გამოავლინა, რომ მისი წარსული, დროებით ყველამ დაივიწყა. ჩემთან ხშირად მოდიოდა, სულ თვალებში მიყურებდა. უსიტყვოდ ხვდებოდა, თუ რაიმე პრობლემა მქონდა. ერთხელ, ორსულად რომ ვიყავი, გული შემიღონდა. იმხელას ღრიალებდა თურმე, მთელი ქუჩა ფეხზე დადგა. მთელი საათი, ბავშვივით მკოცნიდა და ხელებზე მეფერებოდა: არ დამღუპო, შენ რომ რამე დაგემართოს, თავს არ ვიცოცხლებო... მერე შვილი შემეძინა. შემიძლია ვთქვა, რომ ტარიელმა გამაზრდევინა. წუთით არ გვტოვებდა. თუ ბავშვი ავად ხდებოდა, ღამეებს უთენებდა. ჩემს ქმარს ძმასავით ედგა მხარში. ბოლოს, ჩვენს მეზობლად ჩაესიძა, ამაში მეც დავეხმარე. მოსიყვარულე მამა და მეუღლე აღმოჩნდა. ბევრი ნაკლის მიუხედავად, მაინც ყველას უყვარდა. საერთოდ არ სვამდა. ქარხანაში მუშაობდა. კარგი ხელფასი ჰქონდა, მატერიალურად არ უჭირდა. მეც მეხმარებოდა ხოლმე და ფრიდონსაც. დედაჩემი რომ გარდაიცვალა, მეგონა, ტარიელი ამ მწუხარებას ვერ გადაიტანდა: ჯერ გაუთავებლად ტიროდა, შემდეგ კი ოთახში ჩაიკეტა და არავის დანახვა არ უნდოდა. ჩემ გარდა, კარი არავის გაუღო. რომ ჩავიხუტე, მივხვდი — მაღალი სიცხე ჰქონდა. ექიმთან არ წამომყვა. მთელი კვირის განმავლობაში სიცხემ არ დაუკლო.

**— არასდროს გილაპარაკიათ წარსულზე?**

— არა. არც მე მიკითხავს და არც მას უთქვამს ჩემთვის რაიმე. ეს თემა ჩვენთვის ტაბუდადებული იყო... ასე გავიდა ოცი წელი. იმ დღეს, შინ არ ვიყავი. ჩემი შვილებიანად ფრიდონთან წავედი. ფრიდონის ცოლი კარგი ადამიანია. მასთან მისვლა ჩემს შვილებსაც ძალიან უყვარდათ. მთელი ღამე საუბარში გავატარეთ. დილით ფრიდონიც მოვიდა: ისეთი სამსახური ჰქონდა, რომ ღამით მორიგეობდა. სახლში რომ შემოვიდა, ვუყვირე: ხუთი წუთი არაფერი თქვა — დამაცადე, გული გავიმაგრო-მეთქი: მისი სახის გამომეტყველებამ მითხრა — წარსული განმეორდაო... მომვარდა ფრიდონი, მომეხვია და აღრიალდა: გაიქეცი, ბავშვები მოაშორე აქაურობას — ტარიელმა ცოლი მოკლა, შენი სახლი უკვე გადაწვეს, ნინოს (რძლის) ნათესავები გააფთრებულები არიანო... დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. ბავშვებს ხელი ჩავკიდე და გავიქეცით. ტრასაზე გავედით. პირველივე ავტობუსს დავუქნიეთ ხელი და გავყევით. გზის ფული გვქონდა და კიდევ ცხრა მანეთი.

**— სად წახვედით?**

— ავტობუსი ქუთაისამდე მიდიოდა. ქუთაისში ნათესავები არ გვყავდა. ავტობუსიდან რომ ჩამოვედით, არ ვიცოდი, სად უნდა წავსულიყავით. მარტო ის ვიცოდი, რომ ნინოს ნათესავები ქუთაისში ძებნას არ დაგვიწყებდნენ. ჩემი უფროსი ბიჭი ათი წლის იყო, უმცროსი — ექვსის. ერთი საათი სადგურში ვიარეთ. უფრო სწორად, ხის სკამებზე ვისხედით და ხმას არ ვიღებდით. უცბად გავიგონე, ქალები საუბრობდნენ. ერთმა თქვა: გუშინ მდგმურები გავუშვი, მინდა წესიერი ხალხი ვნახო — მე ხომ ქირის ფულით ვარსებობო. მივვარდი იმ ქალს, ვუთხარი, ბინას ვეძებ-მეთქი. შემოგვხედა და რომ დაინახა, კარგად ჩაცმულები ვიყავით, მათხოვრებსა და ქურდებს არ ვგავდით, წაგვიყვანა თავის სახლში. შეგვიშვა ერთ პატარა ოთახში და გვითხრა: ბედნიერ ფეხზე შემოსულიყავით ჩემს ოჯახშიო. ჩამოვსხედით საწოლებზე. როგორც კი მარტონი დავრჩით, სამივენი მწარედ ავტირდით. ემოციებისაგან დაღლილები ვიყავით. მერე დავწექით და დავიძინეთ... საღამოს გამეღვიძა. ბავშვები სამშვიდობოს გამოვიყვანე, ახლა შიმშილით ხომ არ დავხოცავ-მეთქი, — ვუთხარი საკუთარ თავს და ფეხაკრეფით გამოვედი სახლიდან. ხალხმრავალ ადგილს როგორც კი მივუახლოვდი, თვალები დავხუჭე და


საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის
წმიდა ილია მართლის სახელობის

**თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი**

გიწვევთ სასწავლებლად სპეციალობებზე:

1. სამართალმცოდნეობა. 2. ჟურნალისტიკა.
3. ქართული ენა-ლიტერატურა. 4. უცხოური ენები - ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული.
5. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები.
6. ფინანსები და საბანკო საქმე. 7. ფილოსოფია და პოლიტოლოგია.
8. ფსიქოლოგია და სოციოლოგია.
9. ისტორია და რელიგიის ისტორია.
10. ხელოვნებათმცოდნეობა და სახვითი ხელოვნება.
11. ფიზიკა და მათემატიკა. 12. ქიმია და ბიოლოგია.
13. სკოლამდელი აღზრდა.
14. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა, მეთოდიკა და ფსიქოლოგია.

**თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი**

საბუთები მიიღება 10-16 სთ-მდე. პ. მელიქიშვილის ქ. №2 (ვერაზე, დიდი საკონცერტო დარბაზის წინ, 51-ე სკოლა).

☎ 92-30-36; 92-30-37; 37-31-32.

დავეცი, — ვითომ ცუდად გავხდი. დამესია ხალხი, მომასულიერეს. ცნობისმოყვარეებმა მკითხეს: რა გჭირსო? ტირილი დავიწყე: ავტობუსიდან ჩამოვედი წყლის დასალევად და ავტობუსს ვეღარ მივუსწარი, უცხო ქალაქში დავრჩი, ათი მანეთი რომ მქონდეს, ბათუმში წავიდოდი — იქნებ ჩემი ბარგი მოვძებნო-მეთქი... მაშინვე მომცა ვიღაც ქალმა ათი მანეთი. ვიღაცამ ფუნთუშები მიყიდა და მომაწოდა: მიირთვით, მშიერი იქნებითო... ძლივს მივაგენი იმ სახლს, რომელშიც ბავშვები დავტოვე. ჩემს ,,ხაზეიკას'' ვუთხარი: ათ მანეთს ახლა მოგცემ, ათ მანეთს კი, თვის ბოლოს-მეთქი. დამთანხმდა. ბიჭებს ფუნთუშები ვაჭამე. ის ღამე ყველაზე მტანჯველი და გრძელი ღამე იყო ჩემს ცხოვრებაში.

**— ქმართან დაკავშირება არ სცადეთ?**

— მეზობელს დავურეკე. მისი იმედი შეიძლებოდა მქონოდა. მითხრა: სახლი ფრიდონსაც გადაუწვეს, გაგიჟებულები არიან, თუ გიპოვეს, შვილებს დაგიხოცავენო... ქმარი მოვიკითხე, მაგრამ მისი ადგილსამყოფელი მეზობელმა არ იცოდა. ასე დამენგრა ცხოვრება. რა უნდა მექნა? ,,ხაზეიკას'' გავუმხილე სიმართლე. გულისხმიერი ქალი აღმოჩნდა. იტირა, მე დაგეხმარებითო, — მითხრა და ყველაფერი მოგვცა: დაწყებული ტანსაცმლიდან, დამთავრებული საკვებით. ვერ დაიჯერებთ, ჩვენზე ისე ზრუნავდა; სულ იმას ცდილობდა, ჩვენთვის რამე გაეკეთებინა. მისი პატივისცემა სიტყვებით არ გადმოიცემა. თავადაც უჭირდა, ვატყობდი — ზოგჯერ მშიერი იძინებდა, თავის წილ საჭმელს ჩემს შვილებს უზოგავდა. ქვრივი იყო, შვილები არ ჰყავდა, დისშვილები ჰპატრონობდნენ... ერთი თვის შემდეგ, ჩემი ქმრის ძებნა დაიწყო. ალბათ საქართველოს ყველა ქალაქი მოიარა, ყველგან ეძებდა კახას. ბოლოს მიაგნო და ჩამოიყვანა. არც იმის წარმოდგენა შეიძლება, თუ როგორ შევხვდით ერთმანეთს. ოცდაათი წლის კაცი ისე ტიროდა, როგორც ორი წლის ბავშვი. ცოტა რომ დაწყნარდა, ,,ხაზეიკას'' უთხრა: იცხოვროს ჩემმა ცოლ-შვილმა შენთან, ბინის ქირასაც გადავიხდი და არც საჭმელსასმელს მოგაკლებთო. ორასი მანეთი დაგვიტოვა. ამ ფულით მეც და ,,ხაზეიკასაც'' პრობლემები შეგვიმსუბუქდა.



**— თვითონ კახა სად წავიდა?**

— მისი ძმა ტალინში ცხოვრობდა. მასთან წავიდა. ორი წლის მანძილზე აღარ გვინახავს. მხოლოდ ფულს გვიგზავნიდა. ორი წლის შემდეგ ჩამოვიდა. აი, ეს ბინა ვიყიდეთ, რომელშიც ახლა ვართ. ჩვენი გაჭირვება ამით დამთავრდა.

**— ფრიდონმა თუ შეძლო ბინის ყიდვა?**

— ხუთი წელი ერთად ვიცხოვრეთ. შემდეგ თბილისში ოროთახიანი ბინა იყიდა, წაიყვანა თავისი ცოლ-შვილი და თავიდან დაიწყო ცხოვრება.

**— ტარიელის შესახებ არაფერი გაგიგონიათ?**

— ის ფოთის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს. სამი წლის შემდეგ გარდაიცვალა.

**— მისი შვილები სად ცხოვრობენ?**

— თავიდან, ბიძასთან იყვნენ. მათმა ბაბუამ ქალიშვილის სიკვდილი ვერ გადაიტანა — ორმოციც არ იყო გასული, გულის შეტევისგან რომ გარდაიცვალა. ბავშვებს ალბათ დედის სახეც აღარ ახსოვთ. იმ ავბედით დღეს შინ არ იყვნენ. ბიძას ჰყოლია წაყვანილი ორივე. ბედი ჰქონიათ, რომ არ დაინახეს, როგორ დაჩეხა გააფთრებულმა ტარიელმა მათი დედა... მეგონა, პრობლემები საბოლოოდ წარსულში დარჩა. ვფიქრობდი: აღარასდროს გავიხსენებ, ვეცდები, ბედნიერად ვიცხოვრო ქმარ-შვილთან ერთად-მეთქი. მაგრამ როგორც ჩანს, ჩემი ოჯახი ტანჯვისთვისაა გაჩენილი... ჩემი უფროსი ვაჟი დაოჯახებულია. კარგი ცოლი ჰყავს, ჯანმრთელი შვილები. უმცროსი ვაჟი კი უბედურია, ძალიან უბედური. ცოლი სიყვარულით შეირთო. ნინო ჭკვიანი, კარგი გოგო იყო. პირველად რომ ვნახე, ვერ წარმოიდგენთ, როგორ მომეწონა. ისეთი ლამაზი, წყლიანი და მოციმციმე თვალები ჰქონდა, რომ ვინატრე — ნეტავი, შვილებიც მას დაემსგავსონ-მეთქი. წლისთავზე ვაჟი ეყოლათ, მაგრამ ახალშობილი დაბადებიდან სულ რაღაც ნახევარ საათში გარდაიცვალა... ნინო ძლივს დავაწყნარე. სულ ტიროდა, მეგონა, მწუხარებას ვერ გაუძლებდა. მისი მწუხარება მაშინ გაასკდა, როცა მეორე შვილიც დაეღუპა. ოთახებში შეშლილივით დარბოდა, თმას იგლეჯდა და ყველაფერს ამტვრევდა. აუცილებელი გახდა ფსიქიატრის დახმარება... ორი წელი დასჭირდა იმისთვის, რომ ნორმალურ ცხოვრებას დაჰბრუნებოდა. ფსიქიატრმა გვირჩია: ხუთი წელი უნდა შეიკავოს თავი მოსალოდნელი ფეხმძიმობისგანო... მაგრამ ნინომ მალე მოინდომა ბავშვის გაჩენა. თხუთმეტ მაისს იმშობიარა. საკმაოდ თბილი დღე იყო, მე კი ისე მციოდა, რომ კბილს კბილზე ვაცემინებდი... პედიატრებმა ბავშვი შეამოწმეს. გვითხრეს — ,,ათიანის'' ბავშვიაო. სანდრო დავარქვით. წუთითაც არ ვცილდებოდი, ცივ ნიავს არ ვაკარებდი. ნინო ძირითადად ისვენებდა ან სუფთა ჰაერზე იჯდა და ქსოვდა. მერე ისევ მოინდომა ბავშვის გაჩენა და ყველანი ისევ შიშმა შეგვიპყრო. მთელი ღამეები ვტიროდი. ხომ ვერ ვეტყოდი, განზრახვაზე ხელი აიღე-მეთქი, — არადა, ძალიან მეშინოდა, კიდევ ერთი ბავშვი არ დაღუპულიყო. საუბედუროდ, ახალშობილმა ერთი კვირაც ვერ იცოცხლა. ექიმებმა მისი სიკვდილის მიზეზი ვერ დაადგინეს. ჩვენს ოჯახში ნამდვილი უბედურება დატრიალდა... ნინო ხმას აღარ გვცემდა. ჩვენი დანახვაც არ უნდოდა. სულ ოთახში იყო ჩაკეტილი და ჭამაზე უარს აცხადებდა. ჩემი შვილი ნერვიულობდა. ოჯახში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ სიკვდილი ვინატრე. აღარ ვიცოდი, როგორ დავხმარებოდი უბედურ გოგოს. ძალიან ბევრს ეწეოდა. მის ოთახში სულ ბოლი იდგა. ვცადე მოვფერებოდი, დამეყვავებინა და ნუგეში მეცა, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ნინომ კარი ჩაკეტა და ოჯახის წევრებთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა. მეორე დღეს, ჩემმა ვაჟმა მისი ოთახის კარი შეამტვრია. ნინო სიცხისაგან იწვოდა. ფსიქიატრიულში დავაწვინეთ. მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა, ის კი ჯერაც არ გამოჯანმრთელებულა. ყოველდღე მის საძინებელში ფანჯრებს ვაღებ, ოთახს ვანიავებ. ზოგჯერ ნინოს საწოლთან ყვავილებს ვდებ. მეცოდება, მაგრამ უფრო მეტად, საკუთარი თავი მებრალება და საკუთარ უბედობაზე მწყდება გული...

*P.S. ეთიკური მოსაზრებების გათვალისწინებით, მოქმედ პირთა გვარ-სახელები შეცვლილია.*

LABORATOIRE INNOTECH INTERNATIONAL

ლაბორატორია

ინოტექ ინტერნასიონალი –



# ზრუნვა ქალის ჯანმრთელობაზე

ქალურ დაავადებებზე საუბარი მეტად დელიკატური თემაა. თუმცა ეს პრობლემა თითქმის ყველა ქალს აწუხებს და მასზე საუბარი პრობლემის გადაწყვეტის აუცილებელი პირობაა. ქალის ჯანმრთელობისადმი მიძღვნილ არაერთ რუბრიკასა თუ ტელეგადაცემაში ხშირად აღნიშნულა, რომ ჯანმრთელმა ქალმა წელიწადში ერთხელ მაინც უნდა მიაკითხოს გინეკოლოგს პროფილაქტიკის მიზნით. მაგრამ, როგორც წესი, ქალები თავს არიდებენ გინეკოლოგთან ვიზიტს და ცდილობენ, თავად მოაგვარონ ქალური პრობლემები. ასეთ ვითარებაში აუცილებელია იმ დაავადებებზე და მისი განკურნების საშუალებებზე საუბარი, რომელიც დაეხმარება ქალს უკეთ გაერკვეს თავისი ორგანიზმის ნიუანსებში და მოაგვაროს ესა თუ ის პრობლემა...

## ვულვოვაგინიტი

ცნობილია, რომ ჯანმრთელი ქალის საშოს ნორმალური მიკროფლორა მრავალფეროვანია. მაგრამ ნორმალური მიკროფლორა პათოგენური მრავალი ხელშემწყობი ფაქტორით ხდება: ადგილობრივი, მეზობელი ორგანოების დაავადებები, ან ზოგადი დაავადებები: დიაბეტი, ინფექციური დაავადებები, ასთენია, ენდოკრინული ჯირკვლების ფუნქციის დარღვევევა. დღესდღეობით საშოს ინფექციებს პირველი ადგილი უჭირავს ქალის სასქესო ორგანოების ინფექციურ-ანთებით დაავადებებს ანუ ვულვოვაგინიტს. მრავალრიცხოვანი კვლევები მოწმობს, რომ ვულვოვაგინიტები პოლიმიკრობული ბუნებისაა და იგი 50-60% შერწყმულია სოკოვან ინფექციასთან. გარდა დიდი რაოდენობით გამონადენისა, მას ახასიათებს წვის, ქავილისა და ტკივილის შეგრძნება.

არასპეციფიკური ვულვოვაგინიტი ცუდად ექვემდებარება მკურნალობას დასუსტებულ ქალებში, ორსულებში, ნაწლავთა დისბაქტერიოზისა და განმეორებითი აბორტების დროს. ვულვოვაგინიტები ხშირად აღენიშნებათ ქალებს სქესობრივი აქტივობის პერიოდში. ასეთი სახის ვულვოვაგინიტი საჭიროებს ორმაგ თერაპიას: ანტიბიოტიკოთერაპიასა და სოკოს საწინააღმდეგო თერაპიულ მკურნალობას.

## გამოცდილი და საიმედო პრეპარატი

ფრანგული ლაბორატორია „ინოტექ ინტერანსიონალი" ათწლეულებია აწარმოებს მსოფლიოში ცნობილ პრეპარატებს, რომლებიც განკუთვნილია ქალებისათვის. ვაგინიტებთან ბრძოლის ორმაგი მოქმედების პრეპარატია „პოლიჟინაქსი", რომელსაც გინეკოლოგიური კაფსულების სახით იწარმოება. იგი მოქმედებს როგორც ეფექტური პოლივალენტური თერაპიული საშუალება. „პოლიჟინაქსი" კომპლექსური პრეპარატია და შეიცავს 2 ანტიბიოტიკს პოლიმიქსინსა და ნეომიცინს.

„პოლიჟინაქსის" ანთების საწინააღმდეგო ეფექტი შვებას ჰგვრის პაციენტს პირველივე კაფსულის შემდეგ. მას აქვს რბილი კაფსულა, რომელიც არ საჭიროებს წინასწარ დასველებას. საშოს სიმშრალის დროს ადვილი შესაყვანია და არ აღიზიანებს საშოს ლორწოვანს.

ბევრს ზოგადი იმუნიტეტის დაქვეითების გამო, ვულვოვაგინიტი უვითარდება ორსულობის დროს. პრეპარატი „პოლიჟინაქსი" აქაც გვეხმარება. ამ პრეპარატის უპირატესობა ისაა, რომ პრაქტიკულად არ იწოვება საშოს ლორწოვანიდან, მას არ ახასიათებს სისტემური ტოქსიკურობა და საშოზე ლოკალურად მოქმედებს, რის გამოც შესაძლებელია მისი გამოყენება ორსულებში.

„პოლიჟინაქსი" გამოიყენება პროფილაქტიკური მიზნითაც: გინეკოლოგიაში ყველა სახის ქირურგიული ჩარევის წინ, ორსულებში სამშობიარო გზების სანაციისათვის. „ინოტექ ინტერნასიონალის" მიერ წარმოებულია ახალი შეფუთვის „პოლიჟინაქსი №12", რომლის უპირატესობა ისაა, რომ ძველ შეფუთვასთან შედარებით უფრო იაფია, მის შემადგენლობაშია 12 კაფსულაა და მოიცავს მკურნალობის სრულ კურს.

„ ОЛИЖИНАКСИ"– გამოცდილი და საიმედო პრეპარატი!

ლაბორატორია ინოტექ ინტერნასიონალი

იკითხეთ „პსპ"-ს აფთიაქებში

R სერტიფიცირებულია

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

გოჩა დვალის
**უბის წიგნაკიდან:**

1. ბიგ ბენი 98 მეტრია სიმაღლეში.
2. სიტყვა ,,ხალიფა“ არაბულად მემკვიდრეს ნიშნავს.
3. დედამიწიდან მთვარემდე 384000 კილომეტრია.
4. საცრემლე პარკის ანთებას დაკრიოცისტიტი ჰქვია.
5. მეფის რუსეთში დეპუტატების გასამრჯელოს დიეტა ერქვა.
6. მთის ბალახი მომიტანეთო, — ითხოვა სიკვდილის წინ ვაჟა-ფშაველამ.
7. ხელის ანბანს, ყრუ-მუნჯთა თითებით ლაპარაკის ხერხს, დაქტილოლოგია ჰქვია.
8. კათოლიკოს-პატრიარქი დავით V სახალხო დამცველის, ნანა დევდარიანის ბაბუა გახლდათ.
9. ძველი ეგვიპტელები პირამიდების მშენებლობაში თითქმის იდეალურად სუფთა რკინას იყენებდნენ. ამ მასალას ისინი მიწაზე ჩამოცვენილი მეტეორიტებიდან მოიპოვებდნენ.
10. მარჯნის მომპოვებელთაგან ყოველი მეორე, ადრეული სიკვდილით კვდება ანდა სამუდამო ხეიბარი ხდება.
11. ბერნარდ შოუ ინგლისური ალფაბეტის გამარტივებაზე ოცნებობდა, ამ საქმისთვის მან თავის ანდერძში 10.000 გირვანქა სტერლინგიც კი გამოყო.



12. ცნობილი სერიალის გმირის, ალფის, სახელი აბრევიატურაა და ასე იშიფრება: Alien Lafe Form.
13. ბონიდან ბერლინში დედაქალაქის გადასატანად გერმანიის მთავრობამ 1994 წელს 20 მილიარდი მარკა გამოყო.
14. გავრცელებულია მოსაზრება, რომ ორტოფოსფორული მჟავა, რომელიც ,,კოკა-კოლას“ ერთ-ერთ ინგრედიენტს წარმოადგენს, შეყვანილია ,,კოკა-კოლას“ შემადგენლობაში უბრალო და პრაგმატული მიზნით — ეს მჟავა იწვევს წყურვილს.
15. მზის ენერგია სითბოდ რომ ვაქციოთ, 12000 მილიონი ტონა ქვანახშირის წვის შედეგად გამოყოფილი სითბოს რაოდენობას გაუტოლდება.
16. რუსული გადაცემის — ,,Что, где, когда“-ს — ქუდში რიჰარდ შტრაუსის სიმფონიის — ,,ასე ამბობდა ზარატუსტრას“ მთავარი თემა ჟღერს. ეს ნაწარმოები შტრაუსმა ნიცშეს ამავე სახელწოდების ნაწარმოებით შთაგონებულმა დაწერა.
17. ბალკანეთის კრიზისის დროს, ბელგრადის ცენტრში დაკიდეს ანტიდასავლური შინაარსის პლაკატი, რომელზეც ეწერა: ,,მოუ-





აკოფ და ვანო (მარჯვნივ) ქიტესოვები ბევრი ადამიანი გაოცებას ვერ ფარავს, როცა შეიტყობს, რომ ცალხელა კაცი არღნებს ამზადებს.

# ,,არღნის ინგლისელი ფანი დღემდე, ყოველ შობა-ახალ წელს გვილოცავს ხოლმე...“

***„მეარღნეა, ვინც უკრავს, ჩვენ კი არღნის ხელოსნები ვართ. არღნის შექმნას საოცარი მუსიკალური სმენა, ხის კარგი ცოდნა და უზომო შრომისმოყვარეობა სჭირდება. კინოფილმებში: „არ იდარდო!“, „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, „მხიარული რომანი“ და ყველგან, სადაც კი არღნის მუსიკა ჟღერს, ის არღანი ან პაპაჩემის დამზადებულია, ან მამაჩემის, ან კიდევ ჩემი“, — ამაყად განმიცხადა ჩემმა რესპონდენტმა, ვანო ქიტესოვმა.***

*ელისო ბურბენიძე*

...ქიტესოვების ოჯახს დაუპატიჟებლად ვესტუმრე. მიუხედავად ამისა, დიასახლისმა,ქალბატონმა რუსუდანმა,ისე შემიპატიჟა შინ, რომ ვინაობა არც უკითხავს. ამ ოჯახში ფეხშედგმულს, ბევრი დრო არ დასჭირდება იმის გასარკვევად, რომ მისი წევრები ყველაზე მეტად, სტუმარსა და შრომისმოყვარეობას აფასებენ. ქიტესოვები არღნის შექმნის საიდუმლოს, მუყაითობასა და მუსიკალურობასთან ერთად, თაობიდან თაობას გადასცემენ. ქართული არღნის შექმნა კი, ჩვენი რესპონდენტის პაპის — ივანე ქიტესოვის სახელს უკავშირდება.

ის ხის საუკეთესო ოსტატი გახლდათ. ამის დამადასტურებლად ის ფაქტი გამოდგება, რომ საბჭოთა პერიოდში მას ლენინისთვის საწერი მაგიდისა და წიგნის თაროების დამზადებაც კი შეუკვეთეს. მანამდე კი, მე-19 საუკუნის მიწურულს, ქიტესოვი თბილისში ოდესიდან ახალშემოტანილი არღნით დაინტერესდა.

1886 წელს ოდესაში გერმანიიდან ჩასულმა, არღნის შექმნის ოსტატმა იოჰან ნეჩადამ იქ საამქრო გახსნა. ნეჩადას მიერ დამზადებულ არღნებს ზედ მისამართიც ეწერა. თბილისელმა ხის ოსტატმა ოდესაში ამ წარწერის წყალობით მიაგნო გერმანელ ოსტატს და დაემოწაფა. ნეჩადას მანუფაქტურული ტიპის საწარმო ჰქონდა გახსნილი. ამ საწარმოში ერთი არღნის შესაქმნელად 18 ოსტატი, სხვადასხვა და მხოლოდ მასზე დაკისრებულ სამუშაოს ასრულებდა. თვით არღნის შექმნის სრულ საიდუმლოს კი მხოლოდ პირადად ნეჩადა ფლობდა. წესით, გერმანელი ოსტატის საქმე მის ვაჟებს უნდა გაეგრძელებინათ, მაგრამ...

ივანე ქიტესოვი, გარდა იმისა, რომ ხის საუცხოო ოსტატი გახლდათ, საოცარი მუსიკალურობითაც გამოირჩეოდა. თბილისელი ხელოსნის შესაძლებლობები გერმანელისთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ნეჩადა და ქიტესოვი დამეგობრდნენ და სწორედ ივანეში დაინახა იოჰანმა თავისი საქმის ღირსეული გამგრძელებელი და თავისი საიდუმლოც გაანდო.

არღნის შექმნის საქმეში ბოლომდე დახელოვნებული ოსტატი თბილისში დაბრუნდა. გამომგზავრებამდე ნეჩადამ ქიტესოვს სთხოვა, პირველ ორ არღანზე, რომელსაც თბილისში შექმნიდა, მასწავლებლის სახელი დაეწერა. მადლიერმა მოსწავლემ არა მარტო ორ, არამედ თავის დამზადე-

ბულ ყველა საკრავს ნეჩადას გვარი დააწერა. ეს ტრადიცია ვანოს შვილმა — აკოფმაც გააგრძელა. სწორედ ამიტომაა, რომ ავლაბარში დამზადებულ არღნებს *Нечада, Балконская, 191* აწერია. მხოლოდ ვანოს შვილიშვილმა, პაპის მოსახელემ და ასევე ხის უბადლო ოსტატმა, ვანო ქიტესოვმა დაარღვია ეს ტრადიცია და თავის გაკეთებულ არღანს ნამდვილი შემქმნელის გვარი დააწერა.

*ბევრი ადამიანი გაოცებას ვერ ფარავს, როცა შეიტყობს, რომ ცალხელა კაცი არღნებს ამზადებს. მაგრამ ეს ვანოს გაცნობამდე შეიძლება გაგიკვირდეს, შემდეგ კი... შემდეგ კიდევ ერთხელ რწმუნდები იმაში, რომ შრომისმოყვარე და მიზანდასახული ადამიანისთვის მიუღწეველი ჩვენს არეულ დროშიც კი არაფერია...*

— სამი წლის ვიყავი, როცა დედასთან მივედი და ვკითხე: დედიკო, შენ მაინც გამაგებინე — რატომ არა მაქვს ხელიმეთქი (*ვანოს დაბადებისას მარჯვენა ხელზე ჭიპლარი შემოეხვია და იდაყვამდე აქვს მოკვეთილი. — ავტ.*)? დედაჩემი, თამარ ჯავახიშვილი, საოცრად ძლიერი და ღვთისმოსავი ქალი იყო. წარბიც კი არ შეუხრია, ისე მიპასუხა: სულ ველოდებოდი, რომ ამას მკითხავდიო; როცა ადამიანი იბადება, ღმერთი მას თავის ჯვარს აწერს; მისი ნება იყო, შენი ამ სახით მოსვლა ქვეყანაზე და მისგან დიდი პატივი იქნება, თუ შენ ამ მძიმე ჯვარს მსუბუქად ატარებო... დაახლოებით იმ პერიოდში, პიანინოთი დავინტერესდი. ინსტრუმენტს ხუფს ავხდიდი და ისევ დავხურავდი ხოლმე — დაკვრის მეშინოდა... ჩემი მშობლები მოთმინებით მადევნებდნენ თვალყურს. უყურებდნენ, როგორ ვწვალობდი, მაგრამ არ ჩარეულან... შემდეგ, ნელ-ნელა შევეჩვიე, ერთხელაც გავბედე და დაკვრა დავიწყე. მარცხენა ხელით მარჯვენის პარტიას ვუკრავდი. მხოლოდ ერთხელ მითხრა მამამ: შვილო, მეტი შეგიძლიაო და მიმანიშნა — იდაყვით ბანი მიეციო. შემდეგ მეტიც მოვინდომე და დღეს მეც ისე ვუკრავ, როგორც ყველა ჯანმრთელი ადამიანი.

— **არ გიფიქრიათ, ხელის პროთეზი გაგეკეთებინათ?**

— არა, ჩემს იდაყვს სამი თითივით ვხმარობ და ვერანაირი პროთეზი მას ვერ შემიცვლის. მითხრეს, რომ გერმანიაში გამიკეთებდნენ პროთეზს, რომელსაც გარეგნულად ნამდვილი ხელისგან ვერც გავარჩევდი, მაგრამ მას ისე ხომ ვერ ვიხმარდი, როგორც ჩემს „სამ თითს" ვხმარობ... ადამიანი ყველაფერს შეძლებს, თუ ღვთის რწმენა და მოთმინების უნარი აქვს. განა მას, ვისაც რაიმე ფიზიკური ნაკლი აქვს და ამას განიცდის, შეუსწავლია თავისი თავი, თავისი ფიზიკური შესაძლებლობები? ექვსი წლიდან მამაჩემს გვერდით ვუდგავარ, თოთხმეტი წლიდან კი, დამოუკიდებლად ვმუშაობ. ერთი არღნის დამზადებას 2 წელი ვუნდები და თითოეული მათგანი საკუთარი შვილივით მიყვარს. დედა შვილს ცხრა თვე ატარებს მუცლით. შეადარეთ ჩემს შრომას. როცა დამკვეთს არღანი მიაქვს, ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს არღანი ტირის, თითქოს ისიც გრძნობს განშორებას და მეც ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს სახლი ცარიელდება: ყველა არღანი ხომ განუმეორებელი და შეუცვლელია.

— **როგორც თქვენს ოჯახში შევიტყვე, თითოეული არღანი რამდენიმე ათეული ფლეიტისგან შედგება, თითო ფლეიტას კი, თითო ნოტი შეესაბამება და ხის მასალაზეა დამოკიდებული, თუ რომელ ბგერას გამოსცემს ფლეიტა. რას იყენებთ ხის მასალად?**

— სამუშაოდ მურყანს, მსხალს, ნეკერჩხალს და მათ სხვადასხვა კომბინაციას ვიყენებთ. მასალის არჩევისას, იმასაც კი



**აკოფის ქალიშვილი — ქალბატონი რუსუდანი**



## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

### გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

ჭირე კბილებს!". სერბები ამ მოწოდებით მონიკა ლევინსკის მიმართავდნენ.

18. ვისაც ინდოეთში უმოგზაურია, ყველა ღირსშესანიშნაობასთან ერთად, რომლითაც მდიდარია ეს ქვეყანა, აუცილებლად დაამახსოვრდებოდა იქაური უმდაბლესი ფენის წარმომადგენლები, რომლებიც, ბავშვები შიმშილისაგან რომ არ მოჰკვდომოდათ, პატარებს უცხოელ ტურისტებს პირდაპირ ავტობუსის ფანჯრებში აწვდიდნენ და ევედრებოდნენ, — თან წაიყვანეთო.

19. „მეექვსე ავადმყოფი შეიხის მეექვსე ცხვარი არის ავად" — ეს ფრაზა ინგლისურად ასე ჟღერს: sixth sick sheik's sixth ship's sick. ეს არის მსოფლიოში ენის ყველაზე რთული გასატეხი და ამის გამო იგი გინესის რეკორდების წიგნშიც შევიდა.

20. ხელსაწყოს, რომლითაც ჰაერის გამჭვირვალობის ხარისხს განსაზღვრავენ, დიაფანომეტრი ჰქვია.

21. პამპერსი ქიმიკოსმა ვიქტორ ნილსმა გამოიგონა. პირველად მსოფლიოში ეს საქონელი 1959 წელს ილინოისის მაღაზიებში გამოჩნდა. P.S. სიტყვა „პამპერსი" ინგლისურად „განებივრებას" ნიშნავს.



22. „ადამიანთა დიდ ნაწილს ურჩევნია მოკვდეს, ვიდრე იფიქროს", — ამბობდა ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსი ბერტრან რასელი.

23. ერთმა ამერიკელმა პოლიციელმა წლის ჯენტლმენის წოდება იმისთვის მიიღო, რომ ავტომობილის არასწორი დაყენებისთვის საკუთარი თავი დაიჯარიმა.

24. მოსკოვში, ზამთარში ძალზედ გავრცელებულია ბეწვის ქუდების ქურდობა. ასეთ ქუდებს იქ საკმაოდ ორიგინალურად იპარავენ. ქურდობა უშუალოდ საზოგადოებრივ საპირფარეშოებში ხდება. ქურდი წინასწარ ირჩევს მსხვერპლს და როცა ეს უკანასკნელი კაბინაში შევა, ქურდი მეზობელი კაბინის კარს შეაღებს. ცოტა ხანს იცდის, რათა დარწმუნდეს, რომ მისი მსხვერპლი უკვე დაკავდა კონკრეტული საქმით, რის შემდეგაც უნიტაზზე დგება, ტიხარს ზემოდან ხელს გადაყოფს და თავის მსხვერპლს თავიდან ქუდს მოხდის. მოვლენათა შემდგომი განვითარება იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი სირბილი იცის ქურდმა და რამდენ ხანში შეიკრავს შარვალს დაზარალებული.

■

აქვს მნიშვნელობა, თუ რამდენი წლისაა ხე. ადრე ძვირფასი ხის ნედლეული რუსეთიდანაც ჩამოგვქონდა. ვანო პაპას დანატოვარ მასალასაც ვიყენებდით. ახლა ამ მხრივ ცოტა გაგვიჭირდა. დღეს მე და მამაჩემი საქართველოს ტყეებში იმ ნედლეულის შემცვლელს ვეძებთ, რაც რუსეთიდან აღარ შემოდის.

**— წამიკითხავს, რომ იოსებ გრიშაშვილი თქვენს ოჯახთან მეგობრობდა და არღანიც დაგიმზადებიათ მისთვის.**

— მამას გრიშაშვილისთვის სამი არღანი აქვს დამზადებული.

**— კი, მაგრამ სამი არღანი რაში სჭირდებოდა?**

*საუბარში ვანოს მამა აკოფი ერთვება:*

— უყვარდა არღნები. ყოველი მომდევნო არღანი წინაზე უკეთესი გამოგვდიოდა. ნელ-ნელა შემდეგ, ბევრი რამ შეიცვალა. ჯერ კიდევ მამაჩემმა გააუმჯობესა არღანი — როგორც გარეგნულად, ასევე ტექნიკური თვალსაზრისით, — შემდეგ ჩვენც ვცდილობდით... გრიშაშვილი ვერც ძველ არღნებს ელეოდა და ახლის შეძენაც სურდა. აქაც ხშირად მოდიოდა და უსმენდა არღანს. ჩვენთან ხშირად სტუმრობდნენ: იოსებ ნონეშვილი, რეზო ლალიძე, გიორგი ცაბაძე. დღეს გიორგის შვილი მოდის ხოლმე და ვანოსთან მეგობრობს. უნდა გენახათ, მისი გაოცება, როცა დაინახა, როგორ უკრავდა ვანო პიანინოზე.





**— ბატონო აკოფ, იოსებ გრიშაშვილთან დაკავშირებით რაიმეს ხომ არ გაიხსენებდით?**

— კაი კაცი იყო. მახსოვს, ერთხელ, მასთან სახლში ვმუშაობდი. არღანში მის ლექსზე დაწერილი სიმღერა — „სად შენი და სად იმისი თვალები" უნდა „ჩამერტყა". სახლში სახილეები ყოველთვის ნაირნაირი ხილით ჰქონდა სავსე და მეც მიმასპინძლდებოდა. სამუშაო რომ დავასრულე, თავის ოთახში შემიყვანა და დამათვალიერებინა. საოცარი ბიბლიოთეკა ჰქონდა. საერთოდ, თავის კაბინეტში ცოტა ვინმეს თუ შეახედებდა... ბოლოს, მანქანაში ჩამსვა, შემნახველ სალაროსთან მიმიყვანა და ფული გამომიტანა. ვიუარე, მაგრამ არ მომეშვა, სანამ თავისი არ გაიტანა. მერე დაიყინა — ფული დაითვალეო. — როგორ გეკადრებათმეთქი? — ვუპასუხე. ძალით დამათვლევინა ფული. თანხა იმაზე ბევრად მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ამგვარი სამუშაოს შესრულებისთვის უნდა ამეღო. ეს მასაც ვუთხარი. სწორედ ამიტომ გეუბნებოდი, დათვალემეთქი; ახლა წადი და ამ ზედმეტი ფულით შენს ამქართან ერთად იქეიფე, თან ჩემი სადღეგრძელო დალიეთო, — მიპასუხა...

**— რა უჯდებოდა მსურველს ერთი არღნის შეძენა?**

— ძალიან ძვირი იყო. არღანს ლამის „ვოლგის" ფასი ედო. დღევანდელმა თაობამ არ იცის არღნის ნამდვილი ფასი. უწინ დაკვეთაც მეტი გვქონდა. ყველა განათლებულ თუ მდიდარ ოჯახს თითო არღანი მაინც ედგა სახლში. დუქნებში კი, ორისამი არღანი ერთად უკრავდა ხოლმე... დღეს ხალხს ფულიც არა აქვს და ჩვენც ნაკლებად გვაქვს შეკვეთა.

**ვანო:**

— სხვათა შორის, არღანი პატრონს „გრძნობს". კარგი პატრონის ხელში არღანი მღერის, ცუდი კაცის ხელში კი, კვნესას იწყებს. ბებიაჩემის სიტყვები მახსენდება: ძველი თბილისი არღნის ხმაზე იღვიძებდა და მის ხმაზევე, ძალიან მშვიდად იძინებდაო. დღეს კი არღანი ტირის...

**— დღეს ძირითადად, ვინ არიან თქვენი დამკვეთები?**

— ხანდახან ის, ვინც არღანს გვიკვეთს, პირადად არც ჩნდება ხოლმე. ეს ის ადამიანები არიან, ვისაც დიდი თანამდებობა ან ფული აქვთ. არ უნდათ მათი ვინაობა რომ ვიცოდეთ... ზოგჯერ უცხოელები ყიდულობენ ჩვენს ნამუშევარს.

**— როგორც ვიცი, თქვენმა ერთ-ერთმა არღანმა, ჰოლანდიაში ჩატარებულ კონკურსზე გაიმარჯვა.**

— ერთი ბიზნესმენის დაკვეთით დავამზადეთ არღანი. მისგან ჩვენი ნახელავი ერთ-ერთმა ჰოლანდიელმა კოლექციონერმა შეისყიდა და იგი ჰოლანდიაში გამართულ მუსიკალური საკრავების მსოფლიო კონკურსზე გაიტანა. ქიტესოვების არღანმა პირველი ადგილი დაიკავა... უნდა გითხრათ — გარდა იმისა, რომ თითოეული არღანი უნიკალურია და არასოდეს მეორდება, ჩვენი ნახელავი სრულიად განსხვავდება გერმანული და რუსული „კატერინკების" თუ „შარმანკებისგან". ამ ფესტივალზე იმყოფებოდა არღნებზე უზომოდ შეყვარებული ინგლისელი კოლექციონერი. მან ჩვენთან დაკავშირება გადაწყვიტა. არღნის იმ ნაწილს, სადაც ჩვენი გვარი ეწერა, სურათი გადაუღო და თბილისის მუზეუმს გამოუგზავნა და მუზეუმის ხელმძღვანელობას ამ არღნების ოსტატებთან დაკავშირება სთხოვა. ინგლისელს თხოვნა შეუსრულეს. სწორედ ამ შემთხვევის წყალობით შევიტყვეთ ჰოლანდიაში მოპოვებული წარმატების ამბავი. არღნის ეს ინგლისელი ფანი დღემდე, ყოველ შობა-ახალ წელს გვილოცავს ხოლმე... ჩვენს ოჯახთან ძალიან თბილი ურთიერთობა ჰქონდა მოსკოვის თოჯინების თეატრის ხელმძღვანელს, ცნობილ თეატრალურ მოღვაწეს სერგეი ობრაზცოვსაც. ძველი, გაფუჭებული არღანი ჰქონდა, რომელსაც როგორც რელიკვიას, ისე ინახავდა. რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, მან ამერიკაში მოგზაურობისას შეიტყო, რომ მის არღანს საბჭოთა კავშირში ქიტესოვების გარდა, ვერავინ შეაკეთებდა. ობრაზცოვი თბილისში ჩამოვიდა და თავისი არღანიც ჩამოიტანა. თბილისიდან უზომოდ გახარებული დაბრუნდა მოსკოვში.

**— თქვენი საქმის გამგრძელებლად ვინ გეგულებათ?**

— აქამდე მართლაც ვწუხდით — ვფიქრობდით, რომ ჩვენს საქმეს ვერავინ გააგრძელებდა. მამაჩემმა მუსიკალური სასწავლებლიდანაც აიყვანა მოსწავლეები, მაგრამ გული ვერ დაუდეს საქმეს. დღეს კი, ჩემი დისშვილი — პატარა ლუკა თავდიშვილი გვეგულება ჩვენი ხელობის გამგრძელებლად... ■

**ჩემი დისშვილი — პატარა ლუკა თავდიშვილი გვეგულება ჩვენი ხელობის გამგრძელებლად...**



# რატომ არ უყვარდა ლადო გუდიაშვილს ყურების ხატვა

*მაია კახიძე*

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, მხატვარ-მოქანდაკეს ბატონ ელგუჯა ამაშუკელს შარშან ვეწვიე, თუმცა, მაშინ ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ რამდენიმე თვის შემდეგ ბატონი ელგუჯა ჩვენ შორის აღარ იქნებოდა.

ახალი ნავადმყოფარი იყო, მაგრამ უარი არ უთქვამს ჩემს თხოვნაზე, გიტარის სიმებს თავისი ჯადოსნური თითები ჩამოჰკრა და რუსული რომანსი იმღერა. შინდისფერი პერანგიც ძალიან უხდებოდა. ნიკოლოზ ბარათაშვილის ქანდაკების ესკიზი მაჩვენა — სულს მალე ჩავუდგამო... თავისი წიგნი მაჩუქა... საუბარში ვახსენე, რომ მისგან ქალბატონ დოდო ჭიჭინაძესთან მივდიოდი, მოკითხვა დამაბარა და მასთანაც გამატანა წიგნი.

ბატონი ელგუჯას სახლის მეორე სართულმა საოცრად მომხიბლა, ზღაპარში მეგონა თავი, იმდენი ქანდაკების ესკიზი ვიხილე. ახლა, რა ნახატები და ფოტოსურათები ვნახე?! ყველაფრით აღფრთოვანებული ვიყავი, მაგრამ განსაკუთრებით ერთმა ფოტოსურათმა მიიპყრო ჩემი ყურადღება: სრულიად ახალგაზრდა ელგუჯა ამაშუკელი ლეგენდარული ადამიანების — ლადო გუდიაშვილის, კონსტანტინე გამსახურდიასა და ირაკლი აბაშიძის გვერდით. მაშინვე ვკითხე: ამ ფოტოზე ვინ ვისი სტუმარია-მეთქი? — ლადო გუდიაშვილის ოჯახში გადავიღეთ ეს ფოტო, ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და სულგანაბული ვუსმენდი გენიოსების საუბარსო — მიპასუხა. ვინ გადაგიღოთ ფოტო-მეთქი? — დავინტერესდი. — არ მახსოვსო...

— იქნებ, ის გახსოვთ, ფოტოს გადაღების დროს, რაზე საუბრობდით-მეთქი? — ჩავეძიე დიდებულ მხატვარს.

— კონსტანტინემ ჰკითხა ლადოს: რატომ ხატავ უყურო ადამიანებსო?

— მერე, რა უპასუხა ლადო გუდიაშვილმა? — ვერ მოვისვენე...

— არ მომწონს ყურების ხატვა და რა ვქნა? — იმიტომაც არ ვხატავ, სამაგიეროდ, ჩემს ნამუშევრებს არ ესმით რა ხდება გარშემოო. ლადოს ვიზუალურად არ მოსწონდა ყური... მერე ვახშმად მიგვიპატიჟა. მართლაც ჭეშმარიტი ქართველების საღამო იყო.

ბატონი ელგუჯას ნებართვით, ამ უნიკალური ფოტოსურათის რეპროდუქცია გადავიღე.

22 ივნისს ელგუჯა ამაშუკელს 74 წელი შეუსრულდებოდა... ■

**დებმა ეკა და ია მანიჟაშვილებმა სახელების ინიციალებს შორის გვარის ინიციალი ჩასვეს და ქართველ მსმენელს ჯგუფი „ემის“ სახელით მოევლინნენ. ეკა იაზე ერთი წლით უფროსია, მაგრამ ბავშვობიდანვე ტყუპივით იზრდებოდნენ და დღესაც ვერ წარმოუდგენიათ თავი ერთმანეთის გარეშე. მათ პროფესიულ საქმიანობაში ცოტა ხნის წინ ერთი სიახლეც მოხდა: მათი პროდიუსერობა სტუდია „მაესტროს“ ხელმძღვანელმა, მამუკა ღლონტმა ითავა.**



# „ემი“ ქართული სცენის დაპყრობას სექტემბრიდან დაიწყებს

ნათია თენიეშვილი

— **რამ განაპირობა ის, რომ მამუკა ღლონტი თქვენი პროდიუსერი გახდა?**

ია:

— ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ჩვენი მეორე კლიპი — „მთვარე დამელოდება“ — ამ სტუდიის რეჟისორებმა — კახა ოთარაშვილმა და კოსტა ჯორბენაძემ გადაიღეს. ჩვენი პირველი კლიპიც — „ვიცი, მელოდება“, „მაესტროს“ ბაზაზე იყო დამზადებული, მეორის შემდეგ კი, მამუკა ღლოტი დაინტერესდა და ჩვენ შორის საბოლოო შეთანხმება მოხდა.

— **რაში დაგეხმარებათ პროდიუსერი? რას ვერ შეძლებდით მის გარეშე?**

— ბევრ რამეს ვერ მოვახერხებდით. აქამდე, ფაქტობრივად, ყველაფერზე ჩვენ თვითონ გვიწევდა ზრუნვა: თვითონ დავდიოდით რადიოსადგურებში და თვითონ გვიხდებოდა მოლაპარაკება სიმღერის ეთერში „დატრიალებაზე“; რეჟისორის, კომპოზიტორის მოძებნა, თანხებზე მოლაპარაკება... ამიერიდან, ყველაფერ ამას მამუკა ღლონტი მოაგვარებს და გადაწყვეტს.

ეკა:

— რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს არის იმიჯის შექმნა. სცენას თავისი კულტურა აქვს და კოსტიუმებს მოითხოვს. იმიჯმეიკერს უკვე მოველაპარაკეთ, მაგრამ ჯერჯერობით არ ვიტყვი, ვინ არის. გვეყოლება ქორეოგრაფიც. როცა სოლო მომღერალი გამოდის სცენაზე და თავის თავზე სათანადოდ არა აქვს ნამუშევარი, მისი მოძრაობა და მანერები შეიძლება უხეშად და გამომწვევად არ აღიქმებოდეს, მაგრამ როცა ორი ადამიანი დგას სცენაზე და ერთიმეორისაგან აბსოლუტურად განსხვავებულად იქცევა, ეს ძალიან ცუდი საყურებელია. ჩვენი მოძრაობა, ცეკვა სინქრონული უნდა იყოს.

— **როდის დაიწყეთ სიმღერა?**

— ბავშვობიდან ვმღერით. სულ დავდიოდით სხვადასხვა წრეზე: პიონერთა სასახლეში, გოჩა ლორიასთან. შემდეგ, გარკვეული პერიოდი, თავი დავანებეთ სიმღერას, რადგან სკოლას ვამთავრებდით და უნივერსიტეტში ვაბარებდით მისაღებ გამოცდებს. ხუთი წელია ისევ დავიწყეთ სიმღერა.

ია:

— ვწვალობდით, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. არც ერთი მუსიკალური სტუდია არ დარჩა თბილისში, რომ არ მივსულიყავით. გვქონდა საკუთარი სიმღერები და ვმუშაობდით კაკო ვაშალომიძესთან. მასთან ურთიერთობისას, ძალიან დიდი სკოლა გავიარეთ — სწორედ მან გვაზიარა სტუდიურ მუშაობას და ბედნიერები ვართ, რომ მოგვეცა ასეთ მუსიკოსთან მუშაობის საშუალება. სხვათა შორის, ჩვენს ჯგუფს „ემი“ მისი ინიციატივით დაერქვა. მერე გამოჩნდა კომპოზიტორი რუსა მორჩილაძე.

ეკა:

— რუსასთან ჩვენ თვითონ მივედით. მოგვისმინა, რამდენიმე გაკვეთილის შემდეგ მიხვდა, რაც გვინდოდა და დაგვიწერა ის ორი სიმღერა, რომელზეც კლიპები გვაქვს გადაღებული. ეს სიმღერები ჩვენს ხასიათში კარგად ჯდება.

— **მომავალმა მეუღლემ რომელიმეს სიმღერისთვის თავის დანებება რომ გთხოვოთ, როგორ მოიქცევით?**

— რატომ უნდა გაკეთდეს ასეთი არჩევანი — არ მესმის. მამაჩემიც ტრადიციების მიმდევარი ქართველი კაცია, მაგრამ არაფერში გვიშლის ხელს, პირიქით — გვეხმარება. არ მესმის, ნორმალურმა, განვითარებულმა ადამიანმა რატომ უნდა წამოგიყენოს ასეთი ულტიმატუმი. მესმის, რომ ქალს ოჯახი უნდა ჰქონდეს და შვილები უნდა აღზარდოს, მაგრამ მე სრულყოფილად და სრულფასოვნად არ ვთვლი ისეთ ქალს, რომელსაც ოჯახის გარდა, არანაირი საკუთარი მისწრაფება, საკუთარი საქმე არ გააჩნია.

ია:

— არ მესმის — კაცმა, რომელსაც ცოლად უნდიხარ, რატომ უნდა აგიკრძალოს საყვარელი საქმე.

— **შეიძლება იმიტომ, რომ ესტრადას დიდი დრო მიაქვს და ამით ოჯახს მოაკლდება ყურადღება.**

— ჩვენ 18 წლის და — თეა და 11 წლის ძმა — გიორგი გვყავს. მშობლები მუშაობენ და საოჯახო საქმე, ფაქტობრივად, ჩვენზეა, მაგრამ ვასწრებთ სწავლასაც და სიმღერასაც. როცა ჩემი ოჯახი მექნება, თუ მივხვდები, რომ ორივეს ერთად ვერ ვასწრებ, ერთით ნაკლებ სიმღერას ჩავწერ... არ მივალ სტუდიაში კვირაში ხუთჯერ და მივალ ორჯერ...

— **თეაც ხომ არ მღერის?**

— კი, სხვათა შორის, ჩვენ ტრიოთი დავიწყეთ და მერე დავრჩით დუეტი.

ეკა:

— თეა არ მიწყენს, თუ ვიტყვი, რომ იგი არაშრომისმოყვარე აღმოჩნდა. იმ პერიოდში, ვოკალის მასწავლებელი არ გვყავდა, ჩვენ თვითონ ვმეცადინეობდით. მე და ია ყოველთვის მზად ვიყავით ამისთვის. თეას რომ დავუძახებდით — მოდი, ვიწყებთ-თქო, — მოიცა, ნახევარ საათში დავიწყოთ, ან — ამხანაგთან მივდივარ ან კიდევ — ჯერ არ მცალიაო, — გვიპასუხებდა ხოლმე ხშირად...

— **ახლა გული არ სწყდება?**

— თეა უნივერსიტეტში, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე სწავლობს და იმდენად მოსწონს თავისი საქმე, რომ მთლიანად იქითკენ არის გადართული.

ია:

— რაღაც მომენტში, ალბათ სწყდება კიდეც გული, მაგრამ ახლა ჩვენი კრიტიკით ერთობა — ის ჩვენი ყველაზე მკაცრი შემფასებე-

ია





არ ვიცი, ათი წლის შემდეგ ეკა რას იფიქრებს, მაგრამ ჩემთვის იარსებებს ან „ემი“ ან არაფერი. „ემი“ სარეპეტიციოში

ლია. მუსიკალურად, ძალიან განათლებულია და კარგი გემოვნება აქვს. როცა რაიმეს ახალს გავაკეთებთ, ინტერესით ველოდებით, თეა რას გვეტყვის. ახალ სიმღერასაც და კლიპსაც პირველად მას ვაჩვენებთ ხოლმე.

— **მშობლები კმაყოფილები თუ არიან თქვენი საქმიანობით?**

ეკა:

— მშობლები მაქსიმალურად გვეხმარებიან და გვქომაგობენ. რაც შეეხება ფინანსებს — ახლა ალბათ სხვანაირად გადაწყდება ეს საკითხი, მაგრამ აქამდე, თუ რაიმე გავაკეთეთ, ეს ჩვენი დედ-მამის წყალობით მოხდა... პრინციპში, კმაყოფილები არიან, თუმცა, უფრო და უფრო მეტს მოითხოვენ ჩვენგან.

ია:

— მე დედაჩემისა და მამაჩემის კმაყოფილი სახეები არ მინახავს და ამან როდის ნახა, არ ვიცი. კონცერტის შემდეგ სახლში მოსვლა არ მინდა ხოლმე, რადგან კრიტიკა იწყება და დიდი წნეხის ქვეშ გვატარებენ: მოხრილი იდექი სცენაზე, ფეხს როგორ იქნევდი და ა.შ. ყოფილა შემთხვევა, რომ ასეთი კრიტიკის გამო, მეორე დღეს კონცერტზეც კი არ წავსულვარ... თუმცა, ეს კარგიც არის, რადგან შემდეგ, როცა სცენაზე ვდგავარ, ეს ყველაფერი მახსენდება და ჩემს მოძრაობას უფრო გულმოდგინედ ვაკონტროლებ.

— **თუ გიფიქრიათ იმაზე, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ, სოლო მომღერლებადაც გამოხვიდეთ?**

— ჩვენს ოჯახში არსებობს თეა, არსებობს გიორგი და — ია და ეკა ერთად: არ მახსოვს, ვინმეს ცალ-ცალკე დაეძახოს ჩვენი სახელები. ტელეფონზეც რომ გვირეკავენ — ეკას ან იას სთხოვეთო, ამბობენ; ამ შემთხვევაში, თაყვანისმცემლებს არ ვგულისხმობ... მე და ეკა ბაღში ერთად დავდიოდით, მერე, ერთი წელი დამელოდა და სკოლაშიც ერთ კლასში ვიყავით. სკოლა რომ დავამთავრეთ, ეკამ მითხრა: მორჩა, შენთან ერთად აღარ მინდა ყოფნა — სიამის ტყუპები ხომ არ ვართ, რომ მთელი ცხოვრება ერთად ვიყოთო. გადავწყვიტეთ, სხვადასხვა ფაკულტეტზე ჩაგვებარებინა. მე ფიზიკის ფაკულტეტზე შევიტანე საბუთები, ეკამ — მათემატიკურზე. სექტემბერში გავიხედე — მე მომყვება: ვერ გადაუწყვეტია იქ წასვლა — ვერ შემელია...

ეკა



ეკა:

— მე მაღლივ კორპუსში სიარული დამეზარა, ჯიბრის გამო, მაღლივში ვერ ვიბოდიალებდი — ვაკეში მერჩივნა...

ია:

— ფიზიკის ფაკულტეტზეც ერთ ჯგუფში აღმოვჩნდით. ერთად დავამთავრეთ, მაგრამ ორი წლის წინ, ჩვენი გზები გაიყარა: ეკამ მაგისტრატურაში ჩააბარა, მე — გოეთეს ინსტიტუტში. პირველად აღმოვჩნდი მარტო უცხო გარემოში, უცხო ხალხში. რაც შეეხება ჯგუფს — არ ვიცი, ათი წლის შემდეგ ეკა რას იფიქრებს, მაგრამ ჩემთვის იარსებებს ან ,,ემი“ ან არაფერი.

ეკა:

— განა იმიტომ, რომ ცალ-ცალკე ვერ ვიმღერებთ, — უბრალოდ მომწონს, ერთად რომ ვაკეთებთ საქმეს.

— **გემოვნებაც ერთნაირი გაქვთ?**

ია:

— აბსოლუტურად განსხვავებული. ეკასთვის ჩემი გემოვნების ბიჭები სასაცილოები არიან. ჩემთვისაც, მისი გემოვნების ბიჭები — სასაცილოზე სასაცილოები. არსებითი სხვაობა ფერებშია: მე ქერა ბიჭები მომწონს, ეკას — შავგვრემანი.

ეკა:

— ხასიათი გვაქვს სხვადასხვანაირი და ამის გამო, გემოვნებაც.

— **რჩევებს აძლევთ ხოლმე ერთმანეთს, ბიჭებთან დაკავშირებით?**

— ამ სფეროში არ ვერევი. თვითონ თუ მომიყვება რაიმეს, მოვუსმენ. დარიგებისგან კი, თავს ვიკავებ.

ია:

— მე ერთი სული მაქვს, როდის მორჩება ხოლმე ტელეფონზე ლაპარაკს, რომ გავიგო რა ხდება, რა უთხრეს. საუბრის დროსაც, ჩუმად ვეკითხები ხოლმე და თუ რამე არ მომეწონა, რეპლიკებს ვესვრი.

ეკა:

— ერთმანეთს თითქმის ყველაფერს ვუყვებით, მაგრამ რაღაცას მაინც ვიტოვებთ ხოლმე... ია ჩემი დაც არის და უახლოესი მეგობარიც. საიდუმლოს ერთმანეთს და დედას ვანდობთ.

ია:

— შეიძლება, რაღაც არ ვუთხრათ ერთმანეთს, მაგრამ ყველაფერს ვგრძნობთ. ფსიქოლოგიაში დამტკიცებულია, რომ თუ ადამიანებს დიდი ხნის განმავლობაში ერთ ოთახში სძინავთ, ერთნაირ სიზმრებს ხედავენ. ჩვენ 24 წელია ერთ ლოგინში ვწევართ. ყველაფერს ერთად ვაკეთებთ, სინქრონულად. ერთად ვდგებით, ვიხეხავთ კბილებს, ვილებავთ თვალებს... ხანდახან ვფიქრობ: რა უბედურებაა, ასეთი რაღაც როგორ შეიძლება-მეთქი?!.

ეკას ხშირად გამოუთქვამს პროტესტი — ეკა და ია ერთი ადამიანი არ არისო...

— **ალბათ ტანსაცმელსაც ხშირად უცვლით ხოლმე ერთმანეთს?**

ეკა:

— არა, ერთმანეთის პირად ნივთებს არ ვეხებით, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ერთი ზომისანი ვართ და შეგვიძლია, ერთმანეთის ტანსაცმელი ჩავიცვათ.

— **ჩაცმის სტილიც განსხვავებული გაქვთ?**

— რადიკალურად განსხვავებული — არა. მე ხანდახან კლასიკურ ტანსაცმელსაც ვატარებ, ია კი ყოველთვის სპორტულად იცვამს.

ია:

— მე თუ კაბაში მნახეთ, ე.ი. გავთხოვდი და ქმარმა ამიკრძალა შარვლის ტარება. ცხოვრებაში არ მცმია კაბა და ალბათ არც ჩავიცვამ. შარვალი თუ ამიკრძალა ქმარმა, იმედია, ,,კაბა-შარვალს“ მაინც ჩამაცმევს...

— **საოჯახო საქმეებსაც ერთად აკეთებთ ხოლმე?**

— ეკას სამზარეულო აბარია მთლიანად. მე ჭურჭელს, სარეცხს ვრეცხავ — შავი სამუშაო ჩემია. შეთანხმება გვაქვს დადებული: რომ გავთხოვდებით, ეკა მოვა, საჭმელს მომიმზადებს, მე კი, ყველაფერს დავურეცხავ...

— **გათხოვების შემთხვევაში, უერთმანეთოდ როგორ გაძლებთ?**

ეკა:

— ძალიან კარგად.

ია:

— შენ ეგოისტი ხარ. მე ალბათ საშინლად ვიგრძნობ თავს... ჩვენს პირად ცხოვრებაში რამდენჯერმე იყო ასეთი კურიოზი: ძმები გვთავაზობდნენ, ცოლად გავყოლოდით. ამაზე მთელი ოჯახი ძალიან ვხალისობდით...

— **რას გვპირდება უახლოეს მომავალში „ემი“?**

ეკა:

— რუსა მორჩილაძემ ახალი სიმღერა დაგვიწერა და მალე ჩავწერთ. ამ ზაფხულს გვინდა მაქსიმალურად ბევრი ვიმუშაოთ, რომ ჩვენი რეპერტუარი გავამდიდროთ და სექტემბრიდან კონცერტები გავმართოთ. ■



*ჟურნალისტი **ᲨᲔᲠᲛᲐᲓᲘᲜ ᲯᲘᲮᲕᲐᲨᲕᲘᲚᲘ** იმერეთში დაიბადა და გაიზარდა. ამაში თითქოს არაფერია გასაოცარი, მაგრამ რამდენიმე ხნის წინ, მან — არც მეტი, არც ნაკლები — ნიანგის ნაკვალევი აღმოაჩინა მშობლიურ სოფელში. იმერეთი ვახსენე და არ იფიქროთ, სათაფლიელი დინოზავრი ნიანგში ამერია. არა, სწორედ ნიანგზე მოგახსენებთ, რომელიც სათაფლიიდან 35-ოდე კილომეტრის მოშორებით დასეირნობდა თურმე უხსოვარ დროში. თუმცა, შიშველი ხელებითა და საჭირო თანხის გარეშე, ამ უნიკალური ნაფეხურების შესწავლა ხომ შეუძლებელია! ამიტომ, კარგა ხნის ფიქრის შემდეგ, შერმადინ ჯიხვაშვილმა გამოსავალი მაინც იპოვა, რომელსაც სულ მალე სისრულეში მოიყვანს.*

# ჩამოვა თუ არა ნახევარი მსოფლიო ძუსას ხეობაში ნიანგის ნაპოვნი ნაკვალევის სანახავად?..

*ᲛᲐᲘᲐ ᲙᲐᲮᲘᲫᲔ*

— **ბატონო შერმადინ, როდის აღმოაჩინეთ ნიანგის ნაკვალევი?**

— თერჯოლის რაიონის სოფელ საზანოში დავიბადე და გავიზარდე. ძუსას ხეობაში, მდინარე ძუსაზე ხშირად ვთევზაობდით ხოლმე ბიჭები. ლიპის ქვას ვეძახდით (კირქვა) — იმ ქვებზე ვისხედით ყოველთვის. მდინარე ძუსა რაჭის მთებიდან იღებს სათავეს. ყმაწვილობაში შემჩნეული მქონდა, კირქვა რაღაც სხვანაირი რომ იყო თითქოს, მაგრამ პატარა ვიყავი და მაშინ ყურადღება არ მიმიქცევია და არ დავფიქრებულვარ იმაზე, თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო ის უცნაური გამოსახულება. ერთ მშვენიერ დღეს, მივლინებაში გავემგზავრე ქუთაისში. საქმეს რომ მოვრჩით, სათაფლიაზე მიგვიწვიეს. არადა, რამდენჯერ ვყოფილვარ იქ, მაგრამ რატომღაც, მაინცდამაინც მაშინ დამიდგა თვალწინ ჩემი სოფლის გარემო და უცნაური ლიპის ქვები. თითქოს ცხადლივ დავინახე ნაფეხურები და გავიფიქრე: თუკი აქ დინოზავრის ნაკვალევია აღმოჩენილი, ჩემი სოფელი ხომ არც ისე შორსაა ამ ადგილიდან და რა ვიცი, იქნებ... მოკლედ, ამ ფიქრით დავტოვე ქუთაისი და თბილისში დავბრუნდი, თუმცა, ფიქრმა არა და არ მომასვენა. მეც ავდექი, საგანგებოდ ავიღე შვებულება და ჩემს სოფელში გავემგზავრე. მთელი შვებულება ძუსას ხეობაში გავატარე. სიმართლე გითხრათ, აღარც მახსოვდა, სად მქონდა ქვები ნანახი. მთელი დღეები, დაღამებამდე, ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევდი წინ და, როგორც იქნა, მივაგენი იმ ადგილს. იქაურობა ხავსით იყო დაფარული. მერე გულმოდგინედ გავწმინდე და ნაკვალევი კვლავ ვიხილე.



**თითქოს ცხადლივ დავინახე ნაფეხურები და გავიფიქრე: თუკი აქ დინოზავრის ნაკვალევია აღმოჩენილი, ჩემი სოფელი ხომ არც ისე შორსაა აქედან-მეთქი**

— **მერე რა მოიმოქმედეთ?**

— თბილისში ჩამოვედი და ჩემს კოლეგას — ცოტნე ალბუთაშვილს ვუამბე ამის შესახებ. ცოტნე ძალიან დაინტერესდა და ფოტოკორესპონდენტ ზურაბ დათუაშვილთან ერთად საზანოში „დინოზავრის" ნაკვალევის სანახავად გაემგზავრა. მერე სპეციალისტები ჩაერთვნენ: აკადემიკოსი ლეო გაბუნია, ბილოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი აბესალომ ვეკუა, ცნობილი გეომორფოლოგი ბორის ეჟოვი და გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი, დემურ ტაბიძე. მეცნიერებმა გარკვეული გეომორფოლოგიური და პალეონტოლოგიური კვლევა ჩაატარეს. მათ არა მარტო ნაკვალევის ასაკი, არამედ ამ გადაშენებული ცხოველის სახეობაც დაადგინეს: მათი ვარაუდით, იგი ნიანგის მსგავსი ქვეწარმავალი იყო. გეომორფოლოგთა აზრით, ძუსას მარჯვენა სანაპიროს კირქვის შრეებს ტექნიკური დეფორმაცია განუცდია, მაგრამ მაინც შემორჩენილია ოთხფეხა ცხოველის ნატერფალები — თათის სიგრძე 15-18 სმ-ს, ნათითურებიანად — 23-25 სმ-ს აღწევს, სიგანე — 9-11 სმ-ს. კირქვები, როგორც ფიქრობენ, ცარცული პერიოდის ზედა ნაწილს უნდა განეკუთვნებოდეს.

— **ესე იგი, სადაც ახლა თერჯოლაა, ოდესღაც ზღვა ყოფილა?**

— უფრო, ზღვის უბეს ვარაუდობენ ან ლიმანის (*გამტკნარებული ზღვის ტალახ-*

*იანი ყურე. — ავტ.)* ნაპირს.

— **როგორც დინოზავრები, ალბათ ნიანგებიც სხვადასხვა ჯგუფს განეკუთვნებიან, არა?**

— სპეციალისტთა ვარაუდით, ეს ნატერფალები ეკუთვნის ნიანგთა რიგის ეუზუხიების ჯგუფის გვიანცარცულ ან ადრეპალეოცენურ წარმომადგენელს. ამ ნაკვალევში სამი უკანა და ორი წინა თათის ანაბეჭდია. ანაბეჭდებიდან კი ჩანს, რომ უკანა თათი ოთხთითა უნდა ყოფილიყო, წინა, რომელიც უფრო პატარა ზომისაა, შესაძლოა — ხუთთითა.



**შერმადინ ჯიხვაშვილი**

— **საინტერესოა, კუდის ნაკვალევი რატომ არ არის შემორჩენილი?**

— თავის დროზე, აკადემიკოსმა ლეო გაბუნიამ აღნიშნა, რომ არ გამორიცხავდა, გარკვეულ პერიოდამდე კუდის კვალი მართლაც ყოფილიყო შემორჩენილი, მაგრამ შესაძლებელია, ბუნებრივი მიზეზების გამო, წაიშალა კიდეც. არსებობს ვერსია, რომ ქვეწარმავალმა ვთქვათ, კუდაწეულმა გაიარა და ამიტომ არ დატოვა კუდის ნაკვალევი.

— **თუ ეს ვარაუდი ბოლოს და ბოლოს, დადასტურდა — მხედველობაში მაქვს ეუზუხიების ჯგუფი, — რა აღმოჩენასთან გვექნება საქმე?**

— ეს იქნება ნამარხ ნიანგთა ნაკვალევის აღმოჩენის პირველი შემთხვევა ევრაზიაში.

— **საზანოსა და სათაფლიის ნაკვალევებს შორის თუ არის რაიმე მსგავსება?**

— სათაფლიის ნაკვალევი ორფეხა ცხოველმა — საშუალო ზომის დინოზავრმა დატოვა, მისი ეკოლოგიური ასაკიც, რა თქმა უნდა, უფრო ძველია — 130 მილიონი წელი, მაგრამ „ჩემი ნიანგი“ 65-70 მილიონი წლისა გახლავთ. დიახ, მას ევრაზიაში ანალოგი არ მოეძებნება...

— **ახლა რა მდგომარეობაშია „თქვენი ნიანგი?“**

— ნაკვალევი სოფლის თავკაცების მიერ არის შემოღობილი და დაცული. იქვე წისქვილია, მეწისქვილე და საფქვავზე მისულებიც იჩენენ ყურადღებას... ჩემი სოფლის მიდამოები გამოქვაბულებითაც ძალზედ საინტერესოა. ერთ გამოქვაბულს საჭიმპია ჰქვია, კამკამა წყალი ჩამოდის, მიწისქვეშა გამდინარებით, თუმცა, სად გადის და სად იკარგება, არავინ იცის. დაახლოებით 1970 წლამდე, სოფელი საზანო ნაკრძალად იყო გამოცხადებული, მაგრამ მას შემდეგ აღარავის გახსენებია მისი არსებობა.

— **იმ კირქვებს, სადაც ნიანგის ნაკვალევია, რაიმე საშიშროება ხომ არ ემუქრება?**

— რა თქმა უნდა: ამ უნიკალურ ნაკვალევს შენახვა-შენარჩუნება უნდა. სოფელში რომ ჩავდივარ, თანასოფლელები მეკითხებიან ხოლმე: ,,შენი ნაკვალევი“ როგორ არის? — მაგის იმედიღა გვაქვსო... არადა, მთავრობას მცირედი ყურადღება მაინც რომ გამოეჩინა, დღეს საზანო უკვე ტურისტულ რუკაზე იქნებოდა აღნიშნული, — თუმცა, მთავრობას ნიანგი კი არა, ადამიანის ბედი არ ანაღვლებს, ასე რომ...

— **ამბობენ, სათაფლიაზე აღმოჩენილი დინოზავრის ნაკვალევიც ცუდ დღეშიაო. მართალია?**

— ჩემი აზრით (და ალბათ, არა მარტო ჩემი), დინოზავრის ნაკვალევს ვერ მივხედეთ ჯეროვნად: დროთა განმავლობაში, შლიდა მზე, წვიმა, დამთვალიერებლის ფეხი... არ ვიცი რატომ, მაგრამ ვერ მოხერხდა მისი პროფესიონალური დაცვა. ყველასათვის ცნობილია, რომ მისი აღმომჩენი, აწ განსვენებული პეტრე ჭაბუკიანი, ძალ-ღონეს არ იშურებდა, თუმცაღა...

— **რადგან თქვენი აღმოჩენა, უსახსრობის გამო, ასე ვთქვათ, დაკონსერვებულია, სპეციალისტებს ან თქვენ, ხომ არ გიფიქრიათ, პირობითი სახელი მაინც შეგერქმიათ საბრალო ნიანგისათვის?**

— როგორ არა? — ჩემმა თანასოფლელებმა მონათლეს და რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს — ,,შერმადინოზავრი“ დაარქვეს...

— **მთავრობა რომ ერთი თეთრის მომცემიც არ არის სამუშაოს შესასრულებლად — ეს ნათელია, მაგრამ თქვენ მითხარით — გამოსავალი ვიპოვეო; რას გულისხმობდით?**

— ფაქტობრივად, ჩაქნეული მქონდა ხელი, თუმცა, თითქოს ვიპოვე გამოსავალი: ვფიქრობ, ინტერნეტის მეშვეობით ვამცნო მსოფლიოს ჩემი აღმოჩენის შესახებ. რატომღაც მჯერა, რომ აუცილებლად გამომეხმაურებიან. არადა, შეიძლება ისეთი დღეც გათენდეს საქართველოში, რომ მთელი თუ არა, ნახევარი მსოფლიო მაინც ჩამოვიდეს იმერეთის ერთ ლამაზ სოფელში, საზანოში...

*...და შესაძლოა, მერე გამოიდონ თავი ჩვენებმა — ოღონდ, იმისდა მიუხედავად, ჩამოვა თუ არა ნახევარი მსოფლიო საქართველოში, ცხადზე უცხადესია, რომ თერჯოლის რაიონში, ძუსას ხეობაში აღმოჩენილი ნაკვალევი საგანგებო ყურადღების ღირსი ნამდვილად არის.*

*P.S. ვიდრე წერილს დასაბეჭდად ვამზადებდი, ამასობაში, ბატონი შერმადინი მშობლიური საზანოდან დაბრუნდა და ახალი ამბავი მამცნო: საზანოს მკვიდრთ კიდევ ერთი გამოქვაბული აღმოუჩენიათ საჭიმპიასთან ახლოს, რამდენიმე დიდი დარბაზითა და სტალაქტიტებით, მაგრამ ,,შეაყარე კედელს ცერცვიო“ — გულდაწყვეტილმა მითხრა...* ■



**„ჩემი ნიანგი“ 65-70 მილიონი წლისა გახლავთ. დიახ, მას ევრაზიაში ანალოგი არ მოეძებნება...**

# უქონელი და „გამჭვირვალე“ ირაკლი ბათიაშვილი იარაღის კოლექციის ღირებულებას არ ამხელს



**ირაკლი ბათიაშვილი — პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, როგორც თავად აცხადებს, უქონელი გახლავთ. მისი ქონებრივი დეკლარაცია მართლაც, სულ ორიოდე ფურცლისგან შედგება. ბათიაშვილების ოჯახის მთელი ქონება — უძრავი იქნება ის თუ მოძრავი, მოსატანიც არ არის, ბევრი პარლამენტარისა თუ ჩინოსნის ცხოვრება-ქონებასთან... და მაინც — რა სიმდიდრეს ფლობს „სუფთა“ და „გამჭვირვალე“ (ყოველ შემთხვევაში, თავად ასე ირწმუნება) ირაკლი ბათიაშვილი?**

ნინო ჯავახიშვილი

დოსიე:

*ირაკლი ბათიაშვილმა 40 წელს ახლახან გადააბიჯა: 8 ივლისს 41-ის გახდა. დაიბადა და გაიზარდა ოჯახში, რომელიც თბილისის ინტელიგენციის „შესამჩნევ“ ნაწილს წარმოადგენდა. მამამისი — დიმიტრი ბათიაშვილი კინორეჟისორი გახლავთ, დედა — კინომცოდნე, თეატრისა და კინოს ინსტიტუტში კითხულობს ლექციებს. ირაკლის ერთი ბაბუა დიდი თანამდებობის პირი ყოფილა, მეორე — პროფესორი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პრორექტორი. პატარა ირაკლის აღზრდაში ძალზედ მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანია დეიდას — მარჯანიშვილს თეატრის რეჟისორს, მედეა კუჭუხიძეს.*

*მდიდრულად არასდროს ცხოვრობდნენ, თუმცა ირაკლისა და მის დეიდაშვილს, რომლებთან ერთადაც იზრდებოდა, არაფერი აკლდათ — არც ჩასაცმელი, არც საჭმელ-სასმელი და არც ზღვაზე დასვენება, აფხაზეთისა თუ აჭარის კურორტებზე.*

*ირაკლიმ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი დაამთავრა. პირველი ქორწინებიდან ჰყავს 18 წლის ქალიშვილი — ნუცა, რომელიც დედასთან, პარლამენტარ მაია ნადირაძესთან ერთად ცხოვრობს; ის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახლავთ.*

*ბატონი ირაკლის მეუღლე — მაია ბათიაშვილი თბილისში 1969 წელს დაიბადა. ცოლ-ქმარს ერთი ქალიშვილი ჰყავთ — 12 წლის ირინა. აი, სულ ეს არის ბათიაშვილის ოჯახის „დეკლარირებულ“ და „არადეკლარირებულ“ წევრთა ჩამონათვალი.*



## „სიმდიდრეს არ უნდა გადააყოლო სინდისი და ნამუსი!..“

*იმ გრაფაში, რომელშიც თანამდებობის პირმა თავისი და ოჯახის წევრთა საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონება უნდა ჩამოთვალოს, დეკლარანტს მხოლოდ საცხოვრებელი ბინა და წიგნების კარადა ჩაუწერია...*

**— ბატონო ირაკლი, მართლა ასეთი ცარიელ-ტარიელი ხართ? შემთხვევით, რაიმე ხომ არ გამოგრჩათ მხედველობიდან, როცა დეკლარაციას ავსებდით?**

— არაფერიც არ გამომრჩენია, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არაფერი გამაჩნია! ისეთ ოჯახში გავიზარდე, სადაც ყველა, „სუფთა“ და „გამჭვირვალე“ იყო, სადაც მასწავლიდნენ, რომ ადამიანმა წესიერად უნდა იცხოვროს, არ უნდა მოიპაროს და სიმდიდრეს არ უნდა გადააყოლოს სინდისი და ნამუსი! ამიტომაც, მდიდრულად არასდროს გვიცხოვრია. უფრო, ხელმომჭირნედ ვცხოვრობდით. ჩვენს ოჯახში არც არასდროს ყოფილა და არც იქნება ნივთის, ავეჯის ან ფულის კულტი, ამისგან ღმერთმა დაგვიფაროს!

**— ვინ დაგიტოვათ ბინა, რომელშიც ამჟამად ცხოვრობთ და დეკლარაციაში 90.000 ლარად შეგიფასებიათ?**

— ეს ბინა ბაბუაჩემმა, უფრო სწორად — პაპაჩემმა დაგვიტოვა. აბრაზეცაა მითითებული, რომ იქ ცხოვრობდა ირაკლი დიმიტრის ძე ბათიაშვილი. ეს არის ძველი ბინა, სტალინის დროს აშენებული, მაგრამ ძალიან მიყვარს — სამი ოთახის, ჰოლისა და ლოჯიისგან შედგება. ფართი საკმაოდ დიდია, სივიწროვეს არ ვუჩივით, მაგრამ როგორც იცით, რამდენიმე კვირის წინ, სახლში ხანძარი გაჩნდა და ძალიან დავზარალდით. იქ ცხოვრება, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახდა. ბინის გარემონტებასაც ასე უცებ ვერ შევძლებდი და ამიტომ, ახლობელმა დროებით, საცხოვრებლად თავისი ბინა დაგვითმო.

**— როგორც ვიცი, ოჯახში ბევრი ძველი ნივთი გაქვთ. არც ერთი ანტიკვარული ნივთი ისეთი ძვირფასი არ არის, დეკლარაციაში რომ მიგეთითებინათ?**

— ისეთი არაფერი მაქვს, რისი ღირებულებაც საარსებო მინიმუმის ორმოცდაათმაგ ოდენობას — ანუ 5.000 ლარს აღემატება. არა მგონია, ამ ფასს რომელიმე ნივთი ან ნახატი გასცდეს. თანაც, აუდიტორი ხომ არ ვარ? — ზუსტად არ ვიცი, ბაზარზე რომ გავიტანო, რომელიმე ნამუშე-



ვარი ან ნივთი რამდენად გაიყიდება. აღარ მახსოვს, რომელი — ბუფეტი თუ წიგნის კარადა, — მაგრამ რომელიღაც ჩავწერე დეკლარაციაში, რაზეც ვეჭვობდი, რომ ძვირი ღირდა *(ეს „საეჭვო", წიგნების კარადა აღმოჩნდა, რომელიც არც მეტი, არც ნაკლები — 5.000 ლარად შეუფასებია დეკლარანტს. — ავტ.)*. აუდიტი რომ მომეწვია, ფული უნდა გადამეხადა, ამიტომაც, სავარაუდო ფასი ჩავწერე. ბინაც, ასევე შევაფასე — იცით, რის მიხედვით? — გვერდით სადარბაზოში სწორედ ასეთი ბინა რა ფასადაც გაიყიდა, ის თანხა ჩავწერე მეც. ასე თუ ჩამოვთვლით, ერთი ძველებური მრგვალი მაგიდაც მაქვს, ბუფეტიც, ძალიან კარგი ბიბლიოთეკაც, მშვენიერი სურათებიც, მაგრამ ეს ყველაფერი ჩემთვის არის ძვირფასი. მატერიალური თვალსაზრისით, არა მგონია, რომელიმე მათგანი დეკლარაციაში აღნიშვნის ღირსი იყოს.

**— ხანძარმა ნახატები არ დაგიზიანათ?**

— ბევრი მათგანი გადაურჩა ხანძარს, მაგრამ რამდენიმე მართლაც სერიოზულად დაზიანდა, რაზედაც ძალიან დამწყდა გული. როგორც კი შესაძლებლობა მექნება, აუცილებლად აღვადგენ.

**— არც აგარაკები, არც მიწის ნაკვეთები, არც ავტომანქანა — თქვენს დეკლარაციაში ვერაფერი ამის მსგავსი ვერ აღმოვაჩინე....**

— არც აგარაკი მაქვს, არც მიწის ნაკვეთი და არც მანქანა. სხვათა შორის, მანქანა არასდროს მყოლია. ბაბუაჩემს ძალიან კარგი აგარაკი ჰქონდა წყნეთში, ორი შვილი ჰყავდა და განაწილებისას, ის ბიძაჩემს ერგო. ჩემი შემოსავლის პატრონი კი, ვერც აგარაკს ვიყიდი და ვერც მანქანას. მანქანა რომც ვიყიდო, შენახვა ხომ უნდა?! ჯერ მარტო საწვავს იმდენი ფული უნდა, რომ... ადრე ფეხით დავდიოდა ან ტაქსით, რადგან საზოგადოებრივი ტრანსპორტით სიარული მაინცდამაინც არ მიყვარს. ამჟამად, როგორც კომიტეტის თავმჯდომარეს, მანქანა მემსახურება და ჯერჯერობით მოხსნილი მაქვს ეს პრობლემა.

**— კი, მაგრამ უშიშროების მინისტრობის დროს გულხელდაკრეფილი იჯექით?.. მინისტრის სავარძელში მოკალათებულნი, როგორც წესი, ხელს კარგად ითბობენ ხოლმე. თქვენ რაღას აკეთებდით?**

— რას ვაკეთებდი და საქმეს! ხელს კი, არც მაშინ ვითბობდი და არც ახლა მოვითბობ! საერთოდ, პოლიტიკაში ვინმეს რაიმე ამბიცია თუ აწუხებს (კარგი გაგებით ამბიციას ვგულისხმობ), ცოტა თავი უნდა შეიზღუდოს და ფულის შოვნაზე არ იფიქროს. ვერც ერთი ადამიანი ვერ წამომაძახებს, რომ ან „გრანდ-ჩეროკი" მყავს, ან „დაჩა" მაქვს სადმე და ან წილი... გამორიცხულია, ჩემზე ასეთი რამ თქვან, გამორიცხულია! დამალულ-დაფარულიც არაფერი მაქვს. თუმცა, იმას როდი ვამბობ — ოჯახი მშიერი მყავს-მეთქი. წუწუნა ისედაც არ ვარ და თანაც, წუწუნის უფლება არც მაქვს: ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი ისეთ გაჭირვებაში ცხოვრობს, რომ ხმაც კი არ ამომეღება...

## „იმდენი გვაქვს, რომ მშივრები არ მოვკვდეთ"

*5 აპრილს, როდესაც ირაკლი ბათიაშვილი დეკლარაციას ავსებდა, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის სავარძელი ჯერ კიდევ არ ეკავა და, როგორც პარლამენტის რიგითი წევრი, თვეში ზუსტად 675 ლარს იღებდა. ახლა კი ხელფასი უმნიშვნელოდ მოემატა, თუმცა, ამის მიუხედავად, ბათიაშვილები დანაზოგის გაკეთებას მაინც ვერ ახერხებენ.*

— ბევრი არაფერი მომმატებია, მაგრამ ამის მიუხედავად, ვფიქრობ, რომ ნორმალური ხელფასი მაქვს. თან ნაომრობისაც არ მექვითება და ესეც ბევრს ნიშნავს. მეუღლემაც დაიწყო მუშაობა, საკმაოდ მაღალი ხელფასიც აქვს და ესეც შემოგვეშველება *(მაია საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციაში პროექტების სოციალური ზემოქმედების შეფასების სამსახურის ხელმძღვანელია და მისი ყოველთვიური შემოსავალი 240 ლარს აღწევს. — ავტ.)*.

**— 240 ლარი არც ისეთი დიდი ხელფასია, როგორც ამბობთ...**

— აჰა, ასე წერია? იცით, მგონი, ახლახან მოემატა, ზუსტად არ ვიცი... მამაჩემმაც დაიწყო მუშაობა — თეატრალურ ინსტიტუტში, ბატონ გიგა ლორთქიფანიძესთან, კონსულტანტად. მოკლედ, იმდენი გვაქვს, რომ მშივრები არ მოვკვდეთ. ფული ყოფითი პრობლემების მოსაგვარებლად გვყოფნის. სიმდიდრის ზედმეტი მოთხოვნილება კი კაცს არ უნდა ჰქონდეს — ეს ადამიანის ფსიქიკას, სულსა და გულს რყვნის...

**— გამოდის, რომ ფული არ გიყვართ?**

— მიყვარს და მჭირდება მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ოჯახს მოვახმარო და დავასვენო. ზოგჯერ კი, როდესაც დასვენების საშუალება თვითონაც მაქვს, ფულის დახარჯვაც მიყვარს ხოლმე.

**— მაინც სად ხარჯავთ ხოლმე ფულს? მეგობრებთან ერთად ქეიფობთ და ხელგაშლილობით იწონებთ თავს?**

— კი, კი, აბა როგორ! თუკი მაქვს ვინმეს დაპატიჟების თავი, რატომაც არა? ძუნწი ადამიანი საშინელებაა. ზოგჯერ, ერთი-ორი თვე ისე გადის, ქეიფისთვის ვერც კი ვიცლი ხოლმე, მაგრამ როცა ასეთი ამბავია, ყოველთვის ხელგაშლილი ვარ.

**— ჩვენს ოჯახში ფულის კულტი არასდროს ყოფილაო — ბრძანეთ, მაგრამ ვერ უარყოფთ, რომ უფუ-**





**ლობას ნამდვილად სჯობს, ბევრი ფული ჰქონდეს კაცს — თუნდაც, ყოველდღიური ყოფითი პრობლემების მოსაგვარებლად. თქვენ კი ხანძრამდეც ამბობდით: ჭერი დაზიანებულია, წყალი ჩამომდის და უფულობის გამო ვერ ვაკეთებო. ახლა რით აპირებთ ბინის გარემონტებას?**

— რაღაცას მოვახერხებ და ნელ-ნელა გავაკეთებ... აბა რა ვქნა? ოჯახს იქ ველარ ვაცხოვრებ და თუ არ გავაკეთე, გამოდის, რომ ვეღარასდროს ვიცხოვრებ ჩემს ბინაში...

— **არანაირი დანაზოგი არ გაქვთ — არც ნაღდი ფულის სახით, არც ანგარიშები გაქვთ გახსნილი და არც ფასიან ქაღალდებს ფლობთ... კიდევ გავაგრძელო?**

— არა-ა! რას ამბობთ?! რა ნაღდი ფული?! დანაზოგი არ გვაქვს. ისე კი, აუცილებელია ფულის გადანახვა. ნეტავი, მქონდეს ფული, მაგას დავმალავდი? რამეში მაინც ხომ გამოვიყენებდი...

— **თუ საიდუმლო არ არის, რა თანხას შეადგენს თქვენი ყოველდღიური ჯიბის ფული?**

— ასე, 15-20 ლარს, ზოგჯერ მეტს და ზოგჯერ ნაკლებს. ჩემს ცოლსაც, დაახლოებით 10 ლარი უდევს ხოლმე საფულეში, მეტი არა...

## „საწოლი, რომელზეც ვწევართ, მაიას მზითევში გამოატანეს...“

*უქონელსა და „გამჭვირვალე“ დეკლარანტს ქორწინებაშიც „უმუხთლა“ ბედმა: როგორც წესი, ბევრ მის კოლეგა-პარლამენტარს ფორტუნა სწყალობს და სოლიდურმზითვიანი მეორე ნახევარი ხვდება ხოლმე: ზოგს ანტიკვარიატი მოაქვს მზითევში, ზოგს — ავტომობილი, ზოგს — ძვირად ღირებული ავეჯი, ზოგსაც — სახლები და აგარაკები. ირაკლი ბათიაშვილი კი ბედის ამგვარ „სიმუხთლეს“ აინუნშიაც არ აგდებს და ჩემს „შენიშვნაზე“: ეს რა უმზითვო ცოლი შეგხვედრიათ-მეთქი, — მშვიდად პასუხობს: არც აქ დამიხვედრებია სასახლეები და ჯიპებიო...*

— მაიასაც მოჰყვა მზითევი, როგორ არა! რაღაც-რაღაცები გამოატანეს. მაგალითად — საწოლი, რომელზეც ვწევართ, — მაგრამ ეს საწოლი ძვირად ღირებული კი არ არის, უბრალოა. ძვირფასი რამეები არც თვითონ მოუტანია და არც აქ დახვედრია ჯიპები და სასახლეები...

— **მოდით, გულახდილად მითხარით: არ გინდათ, რომ თქვენც ბევრი სახლი, კარგი ავტომობილი და საარაკო აგარაკები გქონდეთ?**

— როგორ არ მინდა?! მინდა, მაგრამ ბევრი — ნამდვილად არა! კარგი ცხოვრება ვის არ უნდა?! ადამიანი ღორმუცელა არ უნდა იყოს, ნორმალურად უნდა ცხოვრობდეს — უნდა ჰქონდეს მოწესრიგებული სახლ-კარი და იმის საშუალება, რომ ცოლშვილი სადმე სამოგზაუროდ წაიყვანოს, ვთქვათ — პარიზში. სამწუხაროდ, ამის საშუალება არა მაქვს, არადა, რატომ არ უნდა მქონდეს?! ნორმალურ ქვეყანაში ყველას უნდა ჰქონდეს დასვენების, ჭამა-სმისა და კარგი ცხოვრების საშუალება.

— **მერე მეუღლე პრეტენზიული არ გყავთ? არ გთხოვთ კარგ ჩაცმა-დახურვასა და გავლა-გამოვლას?**

— პრეტენზიული სულაც არ არის. ასე რომ ყოფილიყო, ერთად ყოფნა გაგვიჭირდებოდა. ერთი სურვილი კი აქვს: ძალიან უნდა, ოდესმე სამოგზაუროდ წავიდეთ. მე თვითონ მოგზაურობის დიდი მოყვარული არ ვარ და იქნებ, ოდესმე მაინც ავუსრულო მაიას ეს ოცნება, ვნახოთ...

— **ძვირფას საჩუქრებს არ უძღვნით ხოლმე მეუღლეს?**

— *(იცინის)* ძვირფას საჩუქრებს? ვჩუქნი ჩემს სიყვარულს!..

— **ე.ი. სამკაულებში, სუნამოსა და სხვა რაღაც-რაღაცებში ფული არ გეხარჯებათ. აბა, რაღაში ხარჯავთ ხოლმე ფულს დაუნანებლად ან პირიქით, რაში გენანებათ მისი „გადაყრა“?**

— არ მენანება წიგნში ან იარაღში გადახდილი ფული. რაში მენანება?.. რაში და, აი, ამდენ ფულს რომ ვყრით შუქის, გაზის, წყლის გადასახადებში.

— **თქვენი ჰობი — იარაღიც ახსენეთ და არ შემიძლია არ გკითხოთ: რამდენი იარაღი გაქვთ და რა ფასიანი?**

— საიდუმლოა! რაც მთავარია, ყველა იარაღი ოფიციალურად მაქვს გაფორმებული. უმეტესობა ნაჩუქარია. რაც შეეხება ღირებულებას — არც ერთი არ არის ისეთი ძვირად ღირებული, რომ დეკლარაციაში შემეტანა. ბევრი იარაღი გავაჩუქე, თუმცა ძალიან მენანებოდა...

— **სიტყვას ბანზე ნუ მიგდებთ — რა ღირს ყველა თქვენი იარაღი, ერთად აღებული, არ მეტყვით?**

— არ აღემატება 5.000 ლარს... მოკლედ, ბევრი არ ღირს...

— **ე.ი. არ მეუბნებით და აღარც ჩაგაცივდებით, თორემ, ალბათ ძალიან საშიში იქნება თქვენი გაბრაზება — ამდენი იარაღის პატრონი ბრძანდებით და...**

— არა, რას ამბობთ, როგორ გეკადრებათ? სახლში არც ვინახავ იარაღს, მით უმეტეს — თან არასდროს დამაქვს...

## პოსტსკრიპტუმის მაგიერ:

დეკლარანტს საკუთარი შრომითა და გარჯით მოპოვებული პირველი შემოსავალი — სტიპენდია, ბოლო კაპიკამდე თანაკურსელებთან ერთად ქეიფში დაუხარჯავს; ის დროს ტარება არღნითაც კი დაუგვირგვინებიათ... როგორც საუკეთესო სტუდენტს, თურმე მარქსის სახელობის სტიპენდიას — 100 მანეთს უნიშნავდნენ, მაგრამ ახალგაზრდა კაცს უარი უთქვამს ამ „სიამოვნებაზე“: კომკავშირის ბიუროს წევრი უნდა გამხდარიყო და იმიტომ!.. მაშინ ურჩი სტუდენტისთვის, 100 მანეთის მაგივრად, 70 მიუციათ — შალვა ნუცუბიძის სახელობის სტიპენდია... აი, ასე, ემოციურ-პატრიოტულად არის განწყობილი ფილოსოფოსი პარლამენტარი ფულისა და საერთოდ, ცხოვრება-ქონების მიმართ: შეუძლია უარი თქვას ზედმეტ ფულზე, მაშინაც კი, როდესაც დაზიანებული ჭერიდან წყალი ჩამოსდის და საყვარელი მეუღლისთვის ყველაზე სანუკვარი ოცნება — სამოგზაუროდ წასვლა სწორედ უფულობის გამო დღემდე ვერ აუსრულებია... ■



თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე

# ბალერინის საბედისწერო ნახტომში, ბერიას გამქრალი მზერა

## და ინგუშეთში გატაცებული ბიჭუნას სამშობლოში დაბრუნების ამბავი

***ათი წლის წინ ამერიკაში გარდაიცვალა „ნიუ-იორკ სითი ბალეტის“ მოცეკვავე ტუსია სეილანოვა. ჯორჯ ბალანჩინის თეატრის ერთადერთმა თბილისელმა სოლისტმა მემკვიდრეობა საქართველოში მცხოვრებ და-ძმას დაუტოვა... (თუ როგორ დასცინცლეს ეს თანხა ქართველმა ფინანსისტებმა ერთ-ერთ მემკვიდრეს — ჩვენს დღევანდელ რესპონდენტს, — ამაზე შარშან, გაზეთი „კვირის პალიტრის“ №35-ში მოგვითხრობდა ავტორი, ამიტომ მოკლედ შეგახსენებთ: ჟანა შაქარიანმა დეიდის გამოგზავნილი მემკვიდრეობა — 20.000 დოლარი „გაერთიანებული ქართული ბანკის“ ერთ-ერთ წინამორბედ და შემდგომში დამფუძნებელ — „ექსიმბანკში“ 1991 წელს ჩარიცხა, რამდენიმე წლის მერე, თანხის ნაწილის გამოტანის შემდეგ კი აღმოაჩინა, რომ მოტყუებულ მეანაბრეთა ამალაში აღმოჩნდა. მისი მრავალწლიანი სასამართლო დავა დარჩენილი თანხის სრულად მიღების მიზნით, ჯერჯერობით უშედეგო აღმოჩნდა...) ქალბატონი ჟანა ძალიან მოკრძალებული ადამიანია. ყოველ შეკითხვაზე გაოცებული თვალებით მიყურებს და პასუხს ერთი და იმავე ფრაზით იწყებს: „თქვენ ეს გაინტერესებთ?“ ნათქვამია: ზოგი ადამიანი თავისი შეუმჩნევლობით ხდება შესამჩნევიო. ქალბატონი ჟანა იმდენად ცდილობდა „არ შემემჩნია“, რომ შევამჩნიე და როგორც იქნა, საუბარშიც ავიყოლიე.***

*იზო რიკაძე*

### ჯორჯ ბალანჩინის საყვარელი ბალერინა

— დეიდაჩემმა, ტუსია სეილანოვამ თბილისში დაამთავრა პერინის საბალეტო სკოლა. ოპერისა და ბალეტის თეატრში ცეკვავდა ვახტანგ და თამარ (ვახტანგ ჭაბუკიანის და) ჭაბუკიანებთან ერთად. ისინი დეიდაჩემის ახლო მეგობრები იყვნენ. დეიდას არ უნდოდა საბჭოთა კავშირში ცხოვრება, ოცნებობდა, როგორმე თავი დაეღწია აქედან. 1929 წელს ერთი ამერიკელი გაუცნია, უცხოეთში წასვლის მიზნით მას ცოლად გაჰყოლია და იმავე წელს დაუტოვებია თბილისი. 6 თვის შემდეგ ქმარს გაჰყრია და ჯორჯ ბალანჩინთან მისულა — თქვენს დასში მსურს ცეკვაო. იმ დღიდან მოყოლებული, სიკვდილამდე ბალანჩინის თეატრში მუშაობდა. მისი საბალეტო დასის ერთ-ერთი წამყვანი მოცეკვავე იყო. ოჯახის შექმნაზე აღარც უფიქრია. ბალეტი იყო მისი უდიდესი გატაცება და სიყვარული. თურმე თავდაუზოგავად შრომობდა, ბოლომდე იხარჯებოდა. ერთხელ, რთულ ილეთს რომ ასრულებდა, ნახტომი ძალიან გრძელი გამოუვიდა, პარტნიორმა ხელი ველარ შეაშველა, იატაკს დაენარცხა და... მას შემდეგ, ,,ფეხმოტეხილი გედი“ შეურქმევიათ. ძალიან უჭირდა იმ აზრთან შეგუება, რომ ველარასოდეს იცეკვებდა. დიდხანს, დიდხანს მკურნალობდა. ლაზეროთერაპიის კურსის ჩატარება ურჩიეს თურმე, მაგრამ დახეთ ბედის ირონიას: ამერიკელები შეცდნენ და ჯანმრთელ ფეხზე ,,უმკურნალეს“. ის თანხა, რომელიც მემკვიდრეობით დამიტოვა დეიდამ, სწორედ იმ კლინიკის მიერ გადახდილი ჯარიმა იყო, რომელიც მას სასამართლომ დააკისრა არასწორი მკურნალობის გამო... დეიდა სცენაზე ველარ დაბრუნდა, მაგრამ თეატრიდან არ წასულა. ჯორჯ ბალანჩინი დაეხმარა, რომ საარსებო წყარო ჰქონოდა და ყოფილი მოცეკვავე სასცენო კოსტიუმების სახელოსნოს ხელმძღვანელად დანიშნა. ბალეტის მონატრებას იმ ბავშვებთან მუშაობით ინაზღაურებდა, რომელთაც საბალეტო ხელოვნებას აზიარებდა...

— **სამშობლოში აღარ დაბრუნებულა?**

— მხოლოდ ერთხელ იყო ჩამოსული, 1964 წელს. მოსკოვში დავხვდით და იმავე საღამოს თბილისში გადმოვფრინდით. ძალიან შეშინებული იყო. მახსოვს, მოსკოვის მეტროში არ ჩაგვყვა. ქუჩაში მილიციელის დანახვაზე უცნაურად იბუზებოდა, ფრთხებოდა — ეგონა, ხელს სტაცებდნენ და სადღაც წაიყვანდნენ... თბი-



ტუსია სეილანოვა ნიუ-იორკში



**უჩვეულოდ გამოწყობილი, ქუჩაში მოსეირნე ვანო შაქარიანი თურმე ბერიას შეუნიშნავს და თავდაპირველად, უცხოელი ჯაშუშის იარლიყიც კი მიუწებებია...**

ლისში რომ ჩამოვედით, დედამ და ბებიამ სთხოვეს: ჩვენთან დარჩიო. დეიდამ იუარა: გამაფრთხილეს, რომ მხოლოდ სასტუმროში შემიძლია დაბინავებაო. მამამ ნაცნობობით მოახერხა „კა-გე-ბე“-დან ნებართვის მიღება, რომ დეიდა ჩვენთან გადმოსულიყო, მაგრამ მან თვითონ არ მოინდომა. „ინტურისტში“ დაბინავდა. მეორე დღეს, სასტუმროში ძალზედ განერვიულებული დამხვდა. ჩხუბობდა: ეს რანაირი ლუქსია?! — ნათურა არ ინთება, ტუალეტი გაჭედილია, ონკანი — გაფუჭებულია, ფარდებიც კი არ არის ფანჯარაზეო... მაგრამ მაშინ, დეიდას პრეტენზიებზე მეტად, მისმა ბარგმა გაგვაოცა: უამრავი ჩემოდანი ჩამოიტანა. გვიკვირდა — რად უნდოდა ამდენი ტანსაცმელიო, — მაგრამ საიდუმლოს მალე აეხადა ფარდა: აღმოჩნდა, რომ დეიდას ერთი, ყველაზე დიდი ჩემოდანი ტუალეტის ქაღალდით გაეძეძგა, მეორე კი — „ფილიპ-მორისის“ სიგარეტით. ვკითხეთ: ამდენი ტუალეტის ქაღალდი რად გინდოდაო? გაოცებულმა შემოგვხედა: აბა რა მექნა? — ჯორჯ ბალანჩინმა მითხრა, — იქ გაზეთებს ხმარობენ და მე გაზეთით არ შემიძლიაო... სიგარეტი კი მართლაც გამოადგა — აქ ხომ იმ დროს „პრიმას“ ეწეოდნენ... დეიდას შეეძლო, ერთი თვე მაინც დარჩენილიყო, მაგრამ ვერ გაჩერდა. ძაღლი მოიმიზეზა: მეგობართან მყავს დატოვებულიო — და ათ დღეში წავიდა... ვფიქრობ, შიშის გამო — ვაითუ, უკან აღარ გამიშვანო...

რამდენიმე წლის შემდეგ, ბალანჩინის დასი ჩამოვიდა თბილისში. ჩვენთან ვერ მოვიდნენ. არადა, დეიდამ დაგვირეკა და გვთხოვა: ჩემს მეგობრებს პატივი ეცითო. როგორც შევიტყვეთ, ჯორჯ ბალანჩინი თავის მსახიობებთან ერთად მხოლოდ ეთანაც ძლივს ახერხებდა მისვლას. ფილარმონიაში მათთან არ მიგვიშვეს, მერე როგორღაც მოვახერხე სასტუმრო „ივერიაში“ მისულიყავი დეიდას მეგობრებთან და რამდენიმე ქილა ხიზილალა მივუტანე. დეიდას საჩუქრები გამოეტანებინა ჩვენთვის. სანამ „ივერიიდან“ მარჯანიშვილის ქუჩამდე მივედი, უშიშროების რამდენიმე მანქანა ამედევნა. დამფრთხალი მივედი შინ...

## ბერია მამაჩემს მანქანით დასდევდა

მამაჩემი ვანში დაბადებულა. მშობლები მალე დახოცვია. 3 წლისა ინგუშებს მოუტაციათ. 8 წლისა იქიდან გამოქცეულა. ჯერ ვლადიკავკაზში ჩასულა, მერე ვანში დაბრუნებულა. დაუწყია ნათესავებისა და გვარის ძიება. საეკლესიო ჩანაწერის თანახმად, მიუციათ სახელი და გვარი — ვანო შაქარიანი. იქ, ვანში შაქარაშვილებიც ცხოვრობდნენ, მაგრამ მამა ბოლომდე შაქარიანის გვარს ატარებდა. ალბათ ინგუშების გამო — მთის ხალხი ძალიან უყვარდა. მთიანეთში უამრავი მეგობარი ჰყავდა. თვითონაც ხშირად გამოეწყობოდა ხოლმე მთიულურ ტანისამოსში. უამრავი ფოტო შემომრჩა, სადაც მამა მთიულ გლეხებთან არის გადაღებული — იქაური ჩოხითა და პაჭიჭებით მორთული... მამა ხელოვანი კაცი იყო — მხატვარი და შესანიშნავი ფოტოგრაფი. ძერჟინსკის სახელობის კლუბში მუშაობდა. სამსახურში ბელადებისა და პოლიტბიუროს წევრების სურათების ხატვა უწევდა, შინ კი მშვენიერ ტილოებს ქმნიდა. გამორჩეულად ჰყვარებია ჩაცმა. ელბაქიძეზე ვცხოვრობდით. მამის სამსახური „იმელის“ შენობაში იყო. სამსახურიდან სახლამდე ორიოდე ნაბიჯი იყო და შინ ყოველთვის ფეხით ბრუნდებოდა. ერთხელ ქუჩაში ბერიას შეუნიშნავს და უკითხავს: ვინ არის ეს გამოპრანჭული ვაჟბატონი, უცხოეთის ჯაშუშს რომ ჰგავსო? კარგა ხანს აკვირდებოდა თურმე. ბოლოს, დარწმუნებულა მის საიმედოობაში და თავი დაუნებებია...

დედაჩემი მდიდარი ოჯახის შვილი იყო. ბაბუა თბილისის თამბაქოს ფაბრიკების მფლობელი ყოფილა. ტაბიძის №18 სახლი მისი აშენებული იყო. საქართველოს გასაბჭოებისთანავე ქონება ჩამოურთმევიათ, თურმე დაჭერასაც უპირებდნენ, მაგრამ ბათუმიდან ბოლო გემს გაჰყოლია თურქეთში. 5 წელი უცხოვრია იქ. დღესაც არის სტამბოლში ბაბუაჩემის დაარსებული სუპერმარკეტი, რომელსაც „სეილნბაზარი“ ჰქვია. ბაბუა ვერ შეეგუა თურქეთს, თბილისში ნატრობდა დაბრუნებას. ამ დროს ჟენევიდან ჩასულა ბიძაჩემი და მამისთვის უთხოვია: საფრანგეთში წავიდეთ მთელი ოჯახითო. გასამგზავრებლად ბილეთებიც კი შეუძენიათ, მაგრამ ბოლო წუთს გადაუფიქრებია ბაბუას: უთბილისოდ ვერ გავძლებ, უნდა დავბრუნდეო. მოუკიდია ხელი 6 შვილისთვის და ჩამოსულა. თავის სახლში სხვები დახვედრია. ელბაქიძის №21-ში, მეორე სართულზე უქირავებია ბინა. ჩვენს ზემოთ, მე-3 სართულზე, მიხეილ ჯავახიშვილი ცხოვრობდა. ბატონი მიხეილი მე არ მახსოვს, მაგრამ მის ქალიშვილთან, რუსუდანთან ერთად გავიზარდე. ჩვენ დღესაც ვმეგობრობთ.

მამას ძალიან დიდი სამეგობრო ჰყავდა. ჩვენს ოჯახში ხშირად მოდიოდნენ: ვასო გოძიაშვილი და მისი მეუღლე, სანდრო ჟორჟოლიანი და აკაკი კვანტალიანი. მახსოვს მათი საოცრად მხიარული და ლამაზი მოლხენა. ღმერთო, როგორი უბრალოები და სიყვარულით აღსავსენი იყვნენ! სახელდახელოდ გაიკეთებდნენ გრიმს, გამოიცვლიდნენ ტანსაცმელს და იწყებოდა მართლაც გენიალური მინისპექტაკლები... ერთხელ მამამ და ბატონმა ვასომ საიდანღაც „გედის“ კოსტიუმები მოიტანეს, მოულოდნელად გამოგვეცხადნენ თეთრად შემოსილები და გედების ცეკვაც შეგვისრულეს... როცა ამ დიდებულ ადამიანებს ვიხსენებ, სულ მიკვირს — საიდან ჰქონდათ ასეთი უბრალოება. ახლა საკმარისია, ვინმემ რაღაც თანამდებობას მიაღწიოს და ისე იბღინძება, რომ შეგებრალება...

## ჩემი მეგობარი ჯერმენი კოსიგინის სიძე იყო

ჩვენს სახლთან, ელბაქიძეზე, ყოველ შაბათ-კვირას სამთავრობო „პობედა" ჩერდებოდა. მამის მეგობარი — ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარე მიხეილ გვიშიანი თავისი ცოლ-შვილით გამოგვივლიდა ხოლმე. მამა და მიშა ბიძია საბარგულს ათასგვარი ნუგბრით ავსებდნენ და ლისის ტბაზე მივყავდით. ზინა და ჯერმენი (მიხეილ გვიშიანის შვილები), ჩემი თანატოლები იყვნენ. მაშინაც, ქალაქგარეთ იმ საოცარ, სითბოთი სავსე უბრალოებას ვგრძნობდი, რაც დღეს ასე აკლია ჩვენს ხალხს და განსაკუთრებით მაღალჩინოსნებს. მიშა გვიშიანი, როცა შორეული აღმოსავლეთის რეგიონის უშიშროების ხელმძღვანელად დაინიშნა და თბილისში თავისი სალონვაგონით ჩამოდიოდა, მაშინაც არ შეცვლილა. უმალ ფუნიკულიორს მიაშურებდა ხოლმე, რომელიც მისი „მერობის" დროს აშენდა. თურმე სტალინის სიკვდილის შემდეგ რაღაც ინტრიგაში ეცადნენ მის გარევას, ამიტომ მიატოვა სამსახური და თბილისში დაბრუნდა. აქვე, ჩვენს მეზობლად, მაჩაბლის №7-ში ცხოვრობდა. მისი ვაჟი ჯერმენ გვიშიანი МГИМО-ში *(საერთაშორისო ურთიერთობათა მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტში. — ავტ.)* ჩაირიცხა. იქ გაიცნო ალექსეი კოსიგინის *(საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე 70-80-იან წლებში. — ავტ.)* ქალიშვილი ლუდმილა. ერთმანეთი შეუყვარდათ და მალე დაქორწინდნენ კიდეც. თავიდან, თბილისშიც ხშირად ჩამოდიოდნენ ხოლმე. ჩვენი მეგობრობა ისევ გრძელდებოდა. როცა ვაჟი შეეძინათ, მისი ფოტოც გამომიგზავნეს. ის უკვე აკადემიკოსი იყო, როცა 50 წლის იუბილე გადაუხადეს, მეც მიმიწვია. მართალია, ვერ წავედი, მაგრამ იმ მოსაწვევს დღესაც ვინახავ...



ვანო შაქარიანის კინოსინჯი

### თქვენს ცხოვრებაზეც მიამბეთ რაიმე-მეთქი, _ ვთხოვე ქალბატონ ჟანას

ჩემ ირგვლივ ყოველთვის უამრავი ადამიანი იყო, დღეს კი მარტო დავრჩიო, — *შემომჩივლა, ამოიოხრა, ხელი ჩაიქნია და ცოტა ხნის დუმილის შემდეგ განაგრძო:* — ჩემი ქმარი მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში, იურიდიული განყოფილების უფროსი გახლდათ. პარლამენტის სწორედ იმ ფლიგელში იჯდა, სადაც ამჟამად თავმჯდომარის კაბინეტია. მისი მშობლები რეპრესიებს ვერ გადაურჩნენ. ჩემი მამამთილი, სახელმწიფო საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე, 1937 წელს დახვრიტეს, დედამთილი 10 წელი ყოფილა გადასახლებული. შვილებს — ჩემს მეუღლესა და მის ძმას, ნათესავი ზრდიდა. როცა სასჯელი მოიხადა, იმდენად დაუძლურებული ყოფილა, ნათესავს ჩაუკითხავს მისთვის და ჩამოუყვანია. ჩემს დედამთილს მთელი ცხოვრება ტანჯავდა კითხვა: რატომ, რის გამო გაგვიმეტეს ასეო?!. უნდოდა, დაუმსახურებელი ჩირქი მოეწმინდა... როგორც იქნა, 1958 წელს მიაღწია ქმრის რეაბილიტაციას. სახელმწიფომ უდანაშაულოდ დახვრეტილის ოჯახს ფულადი კომპენსაცია გადაუხადა. იმ ფულით დედამთილმა მე და ჩემს მაზლის ცოლს ოქროს საათები გვიყიდა, — ეს თქვენი მამამთილის საჩუქარიაო...

*ქალბატონი ჟანა კარამდე გამომყვა. დამშვიდობებისას გულდაწყვეტით მითხრა:* დღეს გარეთ ვიყავი გასული და გული შემეკუმშა — სად იყო თბილისში ამდენი მათხოვარი, ან ქუჩები რას დაამსგავსეს? — ეს ხომ დედაქალაქის შეურაცხყოფააო...

■

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

# ტესტი ერუდიციაზე

**1. რით დაიწყო თავისი კარიერა ინგლისელმა დრამატურგმა ჯორჯ ბერნარდ შოუმ?**



ა) მომღერლობით;
ბ) კომპოზიტორობით;
გ) მუსიკის კრიტიკოსობით.

**2. აშშ-ის დროშის ფერები, რომელი ქვეყნის დროშის ფერებს ემთხვევა?**



ა) რუსეთის;
ბ) ირანის;
გ) იტალიის.

**3. აზიის, აფრიკის და წყნარი ოკეანის ზოგიერთი კუნძულების ადგილობრივი მცხოვრებლები ფულად ერთეულებად იყენებენ:**



ა) გახვრეტილ ქვებს;
ბ) ფერადი შუშის ნატეხებს;
გ) კაურის მოლუსკებს.

**4. „ნუ უღალატებ მერანსა, ჩოთქი ძირს დადე ილია, ეს ყველა წავა იცოდე, დარჩება „განდეგილია" — რომელი გაზეთი საყვედურობდა ასე ილია ჭავჭავაძეს ეროვნული ბანკის დაარსებას?**



ა) „დროება";
ბ) „ერთობა";
გ) „ივერია".

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე



დასაბამიდან ქალი მუდამ უკმაყოფილო იყო ღვთით ბოძებული გარეგნობით და მასში კორექტივების შეტანას ცდილობდა. ამიტომაც უძველესი დროიდან იყენებდა დეკორატიულ კოსმეტიკას და სახეს იხატავდა. თუმცა ხშირად, დისკომფორტსაც განიცდიდა, საღებავი საშუალებების მავნე ზემოქმედების გამო. მაგრამ თანდათან, სხვადასხვა სფეროს განვითარებასთან ერთად, კოსმეტიკაც სულ უფრო იხვეწებოდა. შესაბამისად, გაიშვიათდა მის უარყოფით გავლენაზე ლაპარაკი და პირიქით – კანზე მის დადებით ზემოქმედებაშიც ყველა დარწმუნდა.

# კოსმეტიკური რევოლუცია

XX საუკუნის ბოლო წლებმა კოსმეტიკის წარმოებაში რადიკალური ცვლილებები შეიტანა. უფრო მეტიც – ამ დარგის უახლესი მიღწევები გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ოცი-ოცდაათი წლის შემდეგ, დეკორატიული და სამკურნალო პროფილაქტიკური კოსმეტიკა ერთმანეთს შეერწყმება, თუმცა ძნელი სათქმელია, ზუსტად როდის გაჩნდება ისეთი ტონალური კრემი, რომელსაც ღამით სახიდან მოშორება აღარ დასჭირდება და ეს კანს არავითარ ზიანს არ მიაყენებს. აი, ის კი უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ წამწამების თანამედროვე ტუში ნამდვილად არ იწვევს წამწამების ცვენას, ხარისხიანი ტონალური დღის კრემი კი სახის კანს ნამდვილად არ ვნებს. მართლაცდა, სულ რამდენიმე წელიწადში, ქალის ხელჩანთაში ნამდვილი კოსმეტიკური რევოლუცია მოხდა.



აღსანიშნავია, რომ ამ რევოლუციას XX საუკუნის დასაწყისში დაედო სათავე, მაშინ, როცა ყოფა-ცხოვრებაში მყარად მოიკიდა ფეხი ელექტრობამ. მაკიაჟი, რომელიც კარგად გამოიყურებოდა სანთლის შუქზე, სრულიად შეუწყნარებელი აღმოჩნდა ელექტრონათურების შუქზე. ამის გამო მიუღებელი გახდა სახეზე თეთრი თიხის სქელი ფენის წასმა, ტყვიის შემცველი მათეთრებლის გამოყენება, ქუთუთოების მკვეთრ ფერად შეღებვა და წარბების ნახშირით გამუქება. კოსმეტიკის მწარმოებლებმა თავიანთი ნაწარმის მომავალზე დაიწყეს ფიქრი.

მალე კოსმეტიკური სიახლეები სოკოებივით მოედო მსოფლიოს. 1915 წელს აშშ-ში პომადის „პენალი" გამოიგონეს, რომელიც დღეს საყოველთაოდაა დამკვიდრებული, თუმცა, თვით პომადა ჯერ კიდევ 1803 წელს გაჩნდა და მას ირმის ცხიმისგან ამზადებდნენ. 1914 წელს გრიმიორმა მაქს ფაქტორმა კინომსახიობებს კრემის სახით დამზადებული გრიმი შესთავაზა. ამ ნაწარმს არნახული მოწონება ხვდა წილად და ჰოლივუდის ფარგლებსაც ძალიან მალე გასცდა. წარმატებით ფრთაშესხმულმა მაქს ფაქტორმა მაკიაჟის სტუდია გახსნა, რომლის კლიენტებსაც კანისა და თვალების ფერის მიხედვით ურჩევდნენ კოსმეტიკას: ქერა ქალებს ცისფერ კაბინეტში ეპატიჟებოდნენ, წითურთმიანებს – მწვანე, შავგვრემნებს – ვარდისფერში, ხოლო წაბლისფერთმიანებს კი – ატმისფერში... ერთი ფერის ფრჩხილის ლაქისა და პომადის შერჩევის წესმა დაახლოებით 60 წელი გაძლო და მხოლოდ XXI საუკუნეში დათმო პოზიციები.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, პარიზმა ნამდვილი კოსმეტიკური ბუმი განიცადა. მაღაზიის ვიტრინებში გაჩნდა „რუჟბეზე" – პომადა, რომელიც რეკლამის თანახმად,

| კინოინდუსტრიის ქალაქი აშშ-ში | ძლიერნი ... ქვეყნისანი | „ბაღში ვაზი ობოლი მეტის ლხენითა ..." | ბარაქა | ის, რაც ხის დაწვის შემდეგ რჩება | მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრ... ... დაკიდული ბაღები |
|---|---|---|---|---|---|

| მოსაცდელი დარბაზი | კინორეჟისორი | დიალექტიკური მატერიალიზმი, როგორც სასწავლო საგანი | ძლიერი წყრომა, გაჯავრება | ... გააჩინა თხაო, იმან მოუგრიხა რქაო | „..., ასრულდა ოცნება..." | არაბულ ქვეყნებში მმართველის ტიტული | მეფე, რ... შეხება ყვ... ოქროდ ა... |
|---|---|---|---|---|---|---|---|



„კოცნის საშუალებას იძლეოდა“. მის პოპულარობას ძალიან შეუწყვეს ხელი ცნობილმა მსახიობებმა ბეტი დევისმა და ელიზაბეტ ტეილორმა. ეს ვარსკვლავები პირველები იყვნენ, ვინც მსგავს პროდუქციას რეკლამა გაუწია.

XX საუკუნის ბოლოს, კოსმეტიკის წარმოებაში მრავალი სიახლე გაჩნდა. თუ თავის დროზე, მერილინ მონრო თავის მიმზიდველ ტუჩებს სამი სხვადასხვა ფერის პომადით და ვაზელინისა და ცვილის ნაზავით ილებავდა, დღეს ყველა ქალს აქვს უთვალავი ფერისა და ფაქტურის პომადიდან სასურველის შერჩევის შესაძლებლობა, თანაც, პომადები და ტუჩის საცხები ტუჩებს მზისგან და ცუდი ეკოლოგიისგანაც იცავს, კვებავს და ატენიანებს. სულ მალე კი, კოსმეტიკის მწარმოებლები ქალებისთვის კიდევ ერთი სიახლის შეთავაზებას აპირებენ: თუ მათ დავუჯერებთ, ახალი პომადის გამოყენებიდან 15 დღის შემდეგ, დამჭკნარი ტუჩებიც კი მკვეთრად იცვლება და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ქალს ტუჩზე კოლაგენის მსუბუქი ინიექცია ჰქონდეს გაკეთებული. სულ ცოტა ხნის წინ, სავაჭრო ქსელებში გაჩნდა მენთოლიანი პომადა, რომელიც ალბათ სერიოზულ კონკურენციას გაუწევს სალეჭ რეზინს. ასეთ პომადას პიტნის არომატი აქვს, სასიამოვნოდ აგრილებს ტუჩებს, ხოლო მის შემადგენლობაში შემავალი ნივთიერებები, ყოველგვარი პლასტიკური ქირურგიის გარეშე, ამობურცული ტუჩების ილუზიას ქმნის.

XXI საუკუნის წამწამების ტუშს, პრაქტიკულად, ყველანაირი ფერი შეიძლება ჰქონდეს: ვარდისფერი, ცისფერი, შავი, თეთრი და სხვადასხვა ფერის ბრჭყვიალა ნაწილაკებიანიც კი. სპეციალური ფუნჯისა და ტუშის საგანგებოდ შერჩეული შემადგენლობის წყალობით, წამწამები გრძელდება, სქელდება, ბრწყინავს, მეტ მიმზიდველობასა და სიმტკიცეს იძენს. თვალის ახალი ჩრდილები კი ისეთ დამატებით ნივთიერებებსა და შუქის ამრეკლავებს შეიცავს, რომელიც ოპტიკურად ამცირებს თვალის ნაოჭებს.

წარსულს ჩაჰბარდა ისეთი ტონალური კრემი, რომელიც სახის კანს სუნთქვის საშუალებას არ აძლევდა და ფორებს ახშობდა. თანამედროვე კრემ-პუდრები დღის დამატენიანებელი საცხის ყველა თვისებით გამოირჩევა, ამდენად, მის მაგივრობასაც საუცხოოდ გასწევს. ბოლო დროს, განსაკუთრებით პოპულარული, სამკურნალო თვისების მქონე ტონალური კრემები გახდა. ისეთი საშუალებაც არსებობს, რომლის მეშვეობითაც სახე ბრილიანტისფერს ან გამჭვირვალე ეფექტის მქონე ელფერს იძენს. ახლა ფართოდ იყენებენ სპეციალურ კორექტორსაც, რომელიც იდეალურად ფარავს თვალის ქვეშ გაჩენილ მუქ წრეებს. წასმის სპეციალური სქემა იმის საშუალებას მოგცემთ, რომ აიცილოთ ხელოვნური განათების დროს წარმოქმნილი





არასასურველი ჩრდილები.

დღეს ძალიან პოპულარულია კოსმეტიკის მწარმოებლებისთვის ნაწარმის ინდივიდუალურად შეკვეთა: ამ შემთხვევაში, ფრჩხილის ლაქს ზუსტად ჩანთის ფერის შესაბამისად შეგირჩევენ ან ისეთ კრემ-პუდრას დაგიმზადებენ, რომელსაც თქვენი საყვარელი სუნამოს არომატი ექნება. ალბათ შორს აღარ არის ის დრო, როცა დეკორატიული საცხი ადამიანის მგრძნობელობის ორგანოებზეც მოახდენს გავლენას და ხელს შეუწყობს ყნოსვის ან მხედველობის გაძლიერებას, ან პირიქით — ნერვების დაწყნარებას. ზოგიერთმა კომპანიამ აქტიურად მიჰყო ხელი ერთჯერად შეკვრებში შეფუთული კოსმეტიკის წარმოებას, რადგან მათი გამოყენება მაქსიმალურად დაიცავს კანს ბაქტერიებისგან.

და მაინც, ყველა ეს სიახლე დეკორატიული კოსმეტიკის მოდაზე რადიკალურ გავლენას მაინც ვერ მოახდენს: ის ძირითადად, მაინც 60-70-იანი წლების მიჯნაზე არსებულ სტილს ინარჩუნებს. მთავარი კი ის გახლავთ, რომ სახე არ უნდა იყოს მაკიაჟით გადატვირთული: უმჯობესია, ტუჩები, არცთუ ისე მკვეთრად შეიღებოთ, თვალების აქცენტირებას მოყავისფრო ჩრდილებით მიაღწიოთ. მოდაშია აგრეთვე ფართო წარბები და მკვეთრად დატუშული ზედა და ქვედა წამწამები. სხვათა შორის, სულაც არ არის აუცილებელი ფრჩხილის ლაქის ფერი ემთხვეოდეს პომადის ფერს, პირიქით — დღეს არა მარტო მაკიაჟთან, არამედ ჩაცმულობასთან კონტრასტულიც შეიძლება იყოს. ■

| ...ბა: | ნაბიჯით ... | ბერის ოთახი მონასტერში | ...-ახალუხი | „ვაჟკაცსა გული ..., აბჯარი თუნდა ხისაო" | გამარჯვების ქალღმერთი | ბამბის ამობურცულ-ზედაპირიანი ქსოვილი | მშვილდით სასროლი ჯოხი |
|---|---|---|---|---|---|---|---|

| ...მლის ...ლაფერს ...ქცევდა | მ. ჯავახიშვილი. „... მარაბდელი“ | ვემის უკანა ნაწილი | დამარცხებული ქვეყნის მიერ გაცემული გადასახადი | იაპონური ავტომანქანა | მამაკაცის ერთგვარი ქუდი | ძველი რომის იმპერატორების ტიტული |
|---|---|---|---|---|---|---|

# დმანისში აღმოჩენილი თავის ქალები ოქროს ზოდებზე ბევრად ძვირი ღირს!..

— აცხადებს უცხოური პრესა

*სალომე შოშიტაშვილი*

*... დმანისი ამ ზაფხულს თითქმის მთელი მსოფლიოს მეცნიერებს მასპინძლობს.*

*... ცივ შხაპს ამერიკელი სტუდენტებიც არ უცხოობენ.*

*... დმანისური ჰომინიდები 2000 წლის მსოფლიო აღმოჩენათა სამეულში!*

*... ინგლისური წარმოშობის ამერიკელი ჟურნალისტი საქართველოს თავის „სამშობლოდ“ მიიჩნევს.*

*... იაპონელი მაცუმი სტოუმი: „საქართველოში რიჩარდის წინაპრების ისტორია ინახება“.*

*... ორი წლის არონისთვის საქართველო 24-ე ქვეყანაა.*

*... მსოფლიოს მეცნიერებს კიდევ არაერთგზის ვაიძულებთ გადაამოწმონ თავიანთი შეხედულებანი!*

ამ ზაფხულს ძალიან გამიმართლა — დმანისის პალეოანთროპოლოგიური ექსპედიციის წევრი ვარ (პალეოანთროპოლოგია შეისწავლის ადამიანის წარმოშობას, განამარხებული ადამიანის ნაშთების საშუალებით). ეს ის დმანისია, მსოფლიო რომ აალაპარაკა. აქ აღმოჩენილმა ჰომინიდებმა (პრეისტორიული ადამიანების ნაშთებმა) თავდაყირა დააყენა მეცნიერული მოსაზრებანი იმის შესახებ, რომ ევროპაში პირველი ადამიანი აფრიკიდან იყო მოსული. თურმე ნუ იტყვით და, პირველი ქართველის, პირველი ევროპელის (და პირველი აზიელისაც) სამშობლო თბილისიდან სულ ახლოს, საათნახევრის სავალზე ყოფილა — დმანისის უძველეს ნაქალაქარში.

დმანისში, თემურ-ლენგის მიერ მე-14 საუკუნეში მიწასთან გასწორებულ ნაქალაქარში, სამნავიანი ბაზილიკის მიმდებარე ტერიტორიაზე ახლა ლამის მთელი მსოფლიოდან ჩამოსულან. აქ არიან სტუდენტები, ჟურნალისტები, არქეოლოგები, ბიოლოგები და პალეოანთროპოლოგები — ამერიკიდან, ინგლისიდან, შვეიცარიიდან, საფრანგეთიდან, ესპანეთიდან, გერმანიიდან... და, რა თქმა უნდა, თბილისიდან...

უძველეს ნაქალაქარს უამრავი ადამიანი „დაჰპატრონებია“. მუშაობენ ფრთხილად, ყურადღებით, შიშველი ხელებითაც უწევთ მიწის თხრა, რადგან ზოგჯერ რეზინის თხელი ხელთათმანიც შეიძლება უხეში აღმოჩნდეს, იმდენად სათუთი მოპყრობა ესაჭიროება იმ ნაშთებს, რომელიც 1.7-1.8 მილიონი და მეტი წლითაც კი თარიღდება...



**დავით ლორთქიფანიძე ქალიშვილთან, ელისაბედთან ერთად ფრანგი მოქანდაკის ელიზაბეტ დენის მიერ „ხორცშესხმული“ ჰომინიდების გარემოცვაში (ფილიპ პლაიის ფოტო)**

დმანისის ექსპედიციის სამუშაოები ხორციელდება ამერიკის ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოების დაფინანსებით და, როგორც ქართველი მეცნიერები აღნიშნავენ, ასეთი ავტორიტეტული ორგანიზაციის დაინტერესება საქართველოში, კერძოდ დმანისში მიმდინარე გათხრებით ძალზედ დიდი პატივია და ამ სამუშაოების დიდ საერთაშორისო რეზონანსზე მეტყველებს.

... სტუდენტები სპეციალისტების „კვალდაკვალ“ ვმუშაობთ. ქვებიდან და ქვიშიდან ვარჩევთ ძვლებს, კბილებს (ჯერჯერობით მხოლოდ პრეისტორიული ცხოველების). რამდენიმე დღეში თითები სულ დამეკოჟრა, მტკივა კიდეც, მაგრამ ეგ არაფერი, როგორც მითხრეს, მალე შევეჩვევი. თუმცა, კიდევ ერთი მოულოდნელობაც მელოდა. როცა პირველად შხაპის ქვეშ დავდექი და ონკანი მოვუშვი, ვერც წარმოვიდგენდი, ცივი წყალი თუ წამოვიდოდა... თავი ძლივს შევიკავე, ყვირილი რომ არ დამეწყო. მაგრამ ახლა მომწონს კიდეც. სხვათა შორის, ცივ შხაპს არც ამერიკელი სტუდენტები აპროტესტებენ...

შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ჩვენს ტრადიციულ რუბრიკას — „საგანძურს“, ამჯერად დმანისში აღმოჩენილ ჰომინიდებს ვუთმობთ. ეს აღმოჩენა ორი წლის წინ პოპულარულმა ამერიკულმა სამეცნიერო ჟურნალმა „საიენსმა“ წლის მსოფლიო აღმოჩენათა შორის, მეორე ადგილზე დაესახელა, გენეტიკური კოდის გაშიფვრის შემდგომ.

ჟურნალი „საიენსი“ ამ ცოტა ხნის წინათაც მიუბრუნდა დმანისურ აღმოჩენებს, უფრო სწორად, შარშან ნაპოვნ კიდევ ერთ ჰომინიდს. კერძოდ, ჟურნალი თავის ვრცელ რეპორტაჟში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჰომინიდების რიგით მესამე თავის ქალა გაცილებით უკეთესი დაცულობისაა, ვიდრე წინა აღმოჩენები; რომ დმანისის ჰომინიდების კოლექცია უნიკალურია, რადგან არსად მსოფლიოში, აფრიკაშიც კი, ერთ შრეში არ არის ნაპოვნი ასე ადრეული ეპოქის ადამიანის ამდენი ნაშთი.

ამჟამად დმანისში მსოფლიოში სახელგანთქმული ქართველი მეცნიერების აბესალომ ვეკუას, დავით ლორთქიფანიძის და ჯუმბერ კოპალიანის ხელმძღვანელობით ხორციელდება ფართო მასშტაბის პროგრამა, რომელშიაც, როგორც აღვნიშნეთ, ლამის მთელი მსოფლიოს მეცნიერები მონაწილეობენ.

დმანისს ეწვია ჟურნალ „საიენსის“ ვაშინგტონელი რედაქტორი ბატონი **რიჩარდ სტოუნი** ცოლ-შვილთან ერთად. მე შესაძლებლობა მქონდა სტოუნების ოჯახს გავსაუბრებოდი.

***— ბატონო რიჩარდ, „საიენსმა“ უკვე მეორედ, ვრცელი პუბლიკაცია მიუძღვნა დმანისურ აღმოჩენებს. რამ გამოიწვია თქვენი საქართველოში ჩამობრძანება?***

*— რამდენიმე წელია, რაც ძალიან მაინტერესებს დმანისში მიმდინარე გათხრები. ამ აღმოჩენას „საიენსი“ ფართოდ აშუქებდა და მინდოდა ეს საოცრება საკუთარი თვალით მეხილა...*

***— რით დაგამახსოვრათ თავი***




**ჰომინიდების „ოდისეა“ აფრიკიდან დმანისში, დმანისიდან – ევროპასა და აზიაში! (გიორგი დავთიანის კომპიუტერული გრაფიკა)**

***საქართველომ?***

*– საქართველო არაჩვეულებრივი ქვეყანაა. ჩემი წინაპარი წარმოშობით „ქართველი“ იყო (არადა, ბატონი რიჩარდი წარმოშობით ინგლისელია. – ავტ.) და თავს ისე ვგრძნობ, თითქოს შორი მოგზაურობიდან საკუთარ სახლს დავუბრუნდი.*

***— პირველად ხართ საქართველოში?***

*– არა, აქ პირველად ექვსი წლის წინათ ჩამოვედი. ვიყავი აბასთუმანში, ბორჯომში, გორში, თბილისში. ყველგან რამდენიმე დღით, მაგრამ ყოველი დღე გუშინდელივით მახსოვს. თქვენი ბუნება განუმეორებელია. მიხარია, რომ მეც შემიძლია თავი საქართველოს შვილად ჩავთვალო (ბატონი რიჩარდი ამ სიტყვებს ისეთი გულწრფელობით ამბობდა, მართლა აღარ მეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ საერთო წინაპარი გვყავდა. – ავტ.). ყველაზე ძალიან მაინც აბასთუმნის მთები მომეწონა. დმანისმა ხომ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. აქ ყველაფერმა იმდენად დამაინტერესა, რომ აგვისტოში ისევ ვაპირებ ჩამოსვლას... ჰო, კიდევ, ქართულ სამზარეულოს გავუშინაურდი – მწვადის მომზადება მეც ვისწავლე, გრძელ ჯოხებზე... რა ჰქვია?*

– **შამფური!** *(მექანიკურად წამოვიძახე, თუმცა შემდგომშიც კი, ამაოდ ვეძებე ლექსიკონში შამფურის შესატყვისი ინგლისური სიტყვა. – ავტ.)* ***— ბატონო რიჩარდ, ქართული კერძებიდან კიდევ რომელი მოგწონთ?***

*– თქვენი სამზარეულო ყოველთვის გამორჩეულად მომწონდა. საქართველოს ფარგლებს გარეთაც შევდივარ ქართულ რესტორნებში. თქვენი კერძები უბრალო და ძალიან გემრიელია. მიყვარს მწვადი, „ხაჩაპური“ და... ყველაფერი, თუმცა სახელები აღარ მახსოვს (და ჩემ მიერ დასახელებულ ყველა კერძზე ღიმილით მიკრავდა თავს. – ავტ.).*

ბატონი რიჩარდის შემდეგ მის მეუღლეს, ქალბატონ **მაცუმი სტოუმს** გავესაუბრე. მაცუმი იაპონელი ჟურნალისტია, ტოკიოში მუშაობდა, გაზეთ „ნეუტონ“-ში. დაინტერესებული იყო არქეოლოგიით და პალეოანთროპოლოგიით. აქვე გაიცნო ამერიკიდან მივლინებით ჩამოსული რიჩარდი...

***— ქალბატონო მაცუმი, თქვენ პირველად ხართ საქართველოში და საინტერესოა თქვენი პირველი შთაბეჭდილებები.***

*– მე მართლაც პირველად ვარ საქართველოში, მაგრამ დიდი ხანია ვოცნებობდი აქ ჩამოსვლაზე. ამდენ ხანს ეს ვერ მოხერხდა და ახლა, როცა შესაფერისი სიტუაცია იყო, იმის მიუხედავად, რომ მეორე შვილს ველოდები (და წამოზრდილ მუცელზე ხელები ბავშვივით დაიტყაპუნა. – ავტ.), ამ სიამოვნებაზე თავს უარს ვერაფრით ვეტყოდი, რადგან რიჩარდი ინგლისზე არ ლაპარაკობს იმდენს, რამდენსაც საქართველოზე. რიჩარდისგან მსმენია აქაური მართლაც გასაოცარი ბუნების შესახებ, აქაური სტუმართმოყვარე და ლამაზი ხალხის შესახებ... თანაც, აქ, საქართველოში, რიჩარდის წინაპრების ისტორია ინახება...*

მაცუმი ტიპური იაპონელი ქალია, მოჭუტული თვალებით და სპილოსძვლისფერი კანით... ოღონდ კიმონოს გარეშე.

მაცუმის და რიჩარდის ბიჭუნა – აარონი, მხოლოდ ორი წლისა და სამი თვისაა, ამიტომაც მას ჯერჯერობით ქართული კერძები არ გაუსინჯავს. უნდა გენახათ, როგორ მოუთმენლად ელოდებოდა ბრინჯის მოხარშვას... როგორც ჩანს, აარონსაც მოეწონა საქართველო და კიდევ... საქართველოში იპოვა პირველი სიყვარული – ერთი ამერიკელი გოგონა, ჯულია, რომელსაც ახლა ყველანი აარონის გელფრენდს ვეძახით.

ერთი დეტალიც: ორი წლის აარონისთვის საქართველო 24-ე ქვეყანაა, რომელშიაც ბიჭუნას „უმოგზაურია“...

ამჯერად, დმანისის ექსპედიციის ხელმძღვანელს, მსოფლიოს არაერთი უნივერსიტეტის საპატიო პროფესორს, ბატონ **დავით ლორთქიფანიძეს** მივმართავ რამდენიმე შეკითხვით:

***— ბატონო დავით, ექსპედიციის მუშაობა არცთუ ისე დიდი ხნის წინ დაიწყო და აგვისტოს ბოლომდე გასტანს. ხომ არ „აღმოგვიჩენია“ რაიმე საყურადღებო მასალა?***

*– რა თქმა უნდა! ზოგჯერ თითქოს უმნიშვნელო დეტალიც ძალზედ საყურადღებო აღმოჩენად იქცევა. თანაც, ორთვიან საველე სამუშაოებს ათთვიანი ლაბორატორიული, სამეცნიერო კვლევა მოჰყვება. თუნდაც ის ფაქტი, რომ შარშან ნაპოვნი ჰომინიდი წელს აღიარა მსოფლიო მეცნიერებამ, ამაზე მეტყველებს – თითქმის მთელი წელია (და ზოგჯერ ბევრად მეტი დროც) საჭირო იმისათვის, რომ პირველმა ანალიზმა და დასკვნებმა საბოლოო სახე მიიღოს.*

***— რა ითვლება დღეს სამეცნიერო აღმოჩენათა შეფასების უმაღლეს კრიტერიუმად?***

*– ეს არის მაღალი რანგის სამეცნიერო ჟურნალები „ნეიჩერი“ („ბუნება“) და „საიენსი“ („მეცნიერება“); როდესაც ამ ჟურნალებში ხვდება ესა თუ ის აღმოჩენა (ჩვენ უკვე რამდენჯერმე მოვხვდით ორივე ჟურნალის წამყვან რეპორტაჟებში), ე.ი. მან უმძლავრესი ფილტრები გაიარა და ეს არის საბოლოო დასტური ამ აღმოჩენის აღიარებისა. ჩვენ გვაქვს უნიკალური შანსი, შევისწავლოთ ფართო სპექტრი მეცნიერული პრობლემებისა და ასევე დიდი პოტენციალი, კიდევ და კიდევ აღმოვაჩინოთ პრეისტორიული ძეგლები საქართველოში და არა მარტო დმანისში, არამედ დავითგარეჯში, დასავლეთ საქართველოშიც... იმედი მაქვს, კიდევ არაერთხელ ვაიძულებთ მსოფლიოს წამყვან მეცნიერებს, გადაამოწმონ თავიანთი შეხედულებანი...* ■

# პელეს მესამედ გაჩემპიონება



ბრაზილიის ნაკრები

**ალექსი რეხვიაშვილი**

1970 წელს მექსიკაში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე ბევრი ისეთი რამ მოხდა, რასაც მუნდიალის ისტორიაში მანამდე ადგილი არ ჰქონია. მწვრთნელებს პირველად მიეცათ მატჩის მსვლელობის პროცესში მოთამაშის გამოცვლის უფლება. მსაჯებს პირველად ედოთ ჯიბეში ყვითელი და წითელი ბარათები. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მათ წითელი ბარათის გამოყენება მექსიკის მუნდიალზე საერთოდ არ დასჭირვებიათ. ამ მხრივ, 1970 წლის მსოფლიო თასის გათამაშება დღემდე ერთადერთია, რომელზეც ფეხბურთელი მოედნიდან არ გაუძევებიათ.

მეცხრე მსოფლიო ჩემპიონატი, მექსიკის მაღალმთიან რეგიონებში მდებარე ქალაქების სტადიონებზე მიმდინარეობდა, რის გამოც მოთამაშეებს იქაურ კლიმატურ პირობებში თამაში უჭირდათ. ამ ჩემპიონატმა მთელი პლანეტის მოსახლეობის უდიდესი ინტერესი გამოიწვია. თანამგზავრ „ტელესტარ-3“-ის საშუალებით მსოფლიოს 73 ქვეყნის 800 მილიონამდე ტელემაყურებელი ადევნებდა თვალს მექსიკის სტადიონებზე ჩატარებულ მატჩებს. ტურნირის მიმართ გულგრილი, ბევრი საქვეყნოდ ცნობილი პიროვნებაც არ დარჩენილა. მაგალითად, ინგლისის მაშინდელი პრემიერ-მინისტრი, ვილსონი ტელეგრამებით რეგულარულად ამხნევებდა თავისი ქვეყნის ნაკრების მოთამაშეებს, ხოლო რომის პაპმა — პავლე VI, ჩემპიონატის მონაწილეებს მისასალმებელი ბარათი გაუგზავნა.

მექსიკის მსოფლიო პირველობაზე ბრწყინვალე თამაშით თავი კვლავ ბრაზილიელებმა გამოიჩინეს. პირველივე მატჩში მათ ჩეხოსლოვაკიის ნაკრები ანგარიშით 4:1 დაამარცხეს. ამ შეხვედრაში და საერთოდ, ტურნირზეც საუკეთესო, პელე იყო, რომელიც განვლილი მუნდიალების შემდეგ, კიდევ უფრო დაბრძენებული მოევლინა საფეხბურთო სამყაროს. იგი არ ერიდებოდა ე.წ. შავ სამუშაოს, ღირსეულად ხელმძღვანელობდა თავის პარტნიორებს, მათ შესანიშნავი პასებით ამარაგებდა და თავადაც ულამაზესი გოლები გაჰქონდა. აღსანიშნავია ბრაზილია-ჩეხოსლოვაკიის მატჩის (რომელშიც პელემ ბრწყინვალე გოლი გაიტანა) ერთ-ერთი ეპიზოდი, როდესაც „ფეხბურთის მეფემ“ მოწინაალმდეგის მეტისმეტად წინ გამოსული მეკარე შენიშნა და უმალვე მის კარში გოლის გატანა სცადა: ამ დროს პელე მოედნის ცენტრში იმყოფებოდა და მისი დარტყმული ბურთი სულ რამდენიმე სანტიმეტრით ასცდა მოწინააღმდეგის კარს. „ერთადერთი, რისი გაკეთებაც ვერ შევძელი, ეს მოედნის ცენტრიდან გოლის გატანა იყო“, — განაცხადა უკვე წლების შემდეგ თავისი სპორტული კარიერის დასრულებისას ბრაზილიელმა სუპერვარსკვლავმა, რომელიც ლამაზი გოლის გატანას ცდილობდა ინგლისთან გამართულ მატჩშიც, თუმცა ამჯერად, უკვე ალბიონელთა მეკარემ, ბენკსმა იმარჯვა. „იმ მომენტში ვერ ვიტანდი ბენკსს“, — გამოტყდა მატჩის შემდეგ პელე, რომელსაც თამაშის მსვლელობისას მართლაც რაინდულად ეჭირა თავი (ისევე როგორც ყოველთვის) და ინგლისელთა მეკარეს იმ ეპიზოდის შემდეგ ხელიც ჩამოართვა.



კარლოს ალბერტო ჟიულ რიმეს თასით ხელში

ნახევარფინალურ მატჩებში ბრაზილიამ ურუგვაი დაამარცხა (3:1), ხოლო იტალიელებმა დამატებით დროში გერმანიის ნაკრებს სძლიეს (4:3).

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ გუნდები, რომლებიც ორ-ორჯერ იყვნენ ჟიულ რიმეს თასის მფლობელნი. ერთ-ერთ მათგანს იგი მესამედ უნდა მოეპოვებინა, რაც იმას ნიშნავდა, რომ „ოქროს ქალღმერთის“ სამუდამო მფლობელი გახდებოდა. გადამწყვეტ მატჩში, რომელშიც კვლავ ბრწყინვალედ გამოიყურებოდა პელე, სამხრეთამერიკელებმა ყველა სათამაშო კომპონენტში დაჯაბნეს ევროპელები. ანგარიში თავად „ფეხბურთის მეფემ“ გახსნა. ამის შემდეგ იტალიელებმა მხოლოდ ანგარიშის გათანაბრებაღა შეძლეს, ბონისენიას გოლის წყალობით. მეორე ტაიმში კი, ჟერსონმა, ჟაირზინიომ და კარლოს ალბერტომ (კვლავ პელეს ჩინებული პასის წყალობით) კიდევ სამი გოლი გაუტანეს იტალიის ნაკრებს და მესამედ და სამუდამოდ დაეუფლნენ ჟიულ რიმეს თასს. ამ გამარჯვებით გახარებული ბრაზილიელები დიდ კარნავალს რომ მოაწყობდნენ რიო-დე-ჟანეიროში ეჭვი არავის ეპარება. სამწუხარო ის იყო, რომ რამდენიმედღიან ზეიმს 73 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, 2000-მდე კი — დაშავდა. მაშინ ჯერ კიდევ არავინ იცოდა, რომ „ქალღმერთი ნიკე“ 1983 წელს კიდევ ერთხელ „გაუჩინარდებოდა“ (შემდგომში გავრცელებული ხმების თანახმად, იგი მოპარვის შემდეგ გადაადნეს) და ამჯერად უკვე სამუდამოდ.

მეცხრე მსოფლიო პირველობის საუკეთესო ბომბარდირი გერმანელი გერდ მიულერი (10 გოლით) გახდა. პელემ მესამედ იზეიმა მსოფლიო ჩემპიონობა, ხოლო მარიო ზაგალო ამჯერად ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელის ამპლუაში გახდა მუნდიალის გამარჯვებული. ■

# ჩემპიონატზე კორეის ნაკრების არანორმალური ქომაგი გავხდი

***თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, ისტორიკოსი გოგი დემეტრაძე არაერთ მსოფლიო ჩემპიონატს დასწრებია. როგორც თავად ბატონი გოგი ამბობს, ნაცნობმეგობრების დახმარებით, მან წლევანდელ მუნდიალზე, კორეაში გამგზავრებაც შეძლო, საიდანაც შთაბეჭდილებებით აღსავსე დაბრუნდა. ბუნებრივია, მასზე უკეთესად ვერავინ გადმოგვცემდა იმ რეალობას, რაც ჩემპიონატის მსვლელობისას კორეაში სუფევდა. ამასთანავე, ბატონი გოგი არაორდინარული მოსაუბრე აღმოჩნდა, რაც მასთან ინტერვიუს კიდევ უფრო დიდ ინტერესს სძენდა. ხშირად კი, ჩვენი საუბარი კამათშიც გადაიზრდებოდა ხოლმე.***



**გოგი დემეტრაძე თავბრუდამხვევი ატრაქციონის სავარძელში**

*ალექსი რეხვიაშვილი*

**— გქონდათ თუ არა იმის არჩევის საშუალება, თუ რომელ მასპინძელ ქვეყანაში გამგზავრებულიყავით?**

— მაშაყირებ?!. რა დროს არჩევანია?! — ჩვენ ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, რომ დამთავრებულია ყოველგვარი არჩევანი: საბანი იმდენზე უნდა დაიხურო, რამდენზეც გაგწვდება. „შესაძრომი“ ვნახე (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) და „შეეძვერი“. არც მრცხვენია ამ სიტყვებისა: ჩემმა ძმაკაცმა, ვალერი კობახიძემ „კოკა-კოლას“ მოგებული თავსახური მომიტანა და მითხრა, — შენ ხარ წასვლის ღირსიო. მართალიცაა: თუ ვინმე იყო იქ წასვლის ღირსი, მე ვიყავი. ორ თამაშს დავესწარი: კორეა-ესპანეთის და კორეა-გერმანიის. იაპონიაში 1964 წელს ვარ ნამყოფი და ვიცნობ ამ ქვეყანას. ახლა კი, ბედად, ახალ ქვეყანაში წავედი, რომელიც, სხვათა შორის, იაპონიას არ ჩამოუვარდება.

**— და მაინც, თქვენ უფრო საით გსურდათ წასვლა?**

— რიო-დე-ჟანეიროს პლაჟზე!.. *(იცინის)* რა თქმა უნდა, მე სურვილი მქონდა, რომ ფინალსაც დავსწრებოდი იოკოჰამაში, მაგრამ ამისთვის ფული იყო საჭირო. ხომ იცი — ფული თუ გაქვს, კოსმოსშიც წახვალ.

**— მეჩვიდმეტე მსოფლიო ჩემპიონატის ხსენებისას პირველ რიგში, რა ასოციაცია აღგეძვრებათ?**

— კარგად დამიგდე ყური, ხომ იცი — კარგ მთქმელს, კარგი გამგონი უნდა. მეექვსე თუ მეშვიდე ჩემპიონატს დავესწარი, 1970 წელს კი ტიტველ, სისხლში ამოსვრილ პელეს ვარ ჩახუტებული. მთელი „აცტეკას“ სტადიონი რომ დაესია ფინალის შემდეგ და რომ წიწკნიდნენ, ხორცებს აგლეჯდნენ, ჩემი თვალით მაქვს ნანახი. შემდეგ ის „სასწრაფოთი“ წაიყვანეს. მე რაღა უნდა გამიკვირდეს, პელეს მნახველს?! მაგრამ, კორეაში წასვლის წინ, უკვე ვიცოდი რომ ახალ რამეს აღმოვაჩენდი. აღმოვაჩინე კიდეც. 31 მაისს, საქართველოს რადიოს ინტერვიუ მივეცი და ვთქვი, რომ ტრანსფორმაციას განიცდის დედამიწა, ცხოვრება, მსოფლმხედველობა. მე, საერთოდ, ჰიტლერისტი ვარ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით... 1936 წელს ბერლინში ოლიმპიადა ჩატარდა. 100-მეტრიან დისტანციაზე მამაკაცებს შორის სირბილში შეჯიბრი ოლიმპიადის კულმინაციად ითვლება. ჰიტლერი იჯდა იმ შეჯიბრის დროს ტრიბუნაზე. როდესაც ფინიში პირველად ზანგმა მორბენალმა გადაკვეთა, გაბრაზებულმა ფიურერმა გადააფურთხა და ტრიბუნა დატოვა... წარმოიდგინე, მე ვხედავდი, რომ გერმანიის ნაკრებში ზანგი თამაშობდა. წარმოიდგინე, რომ გერმანიაში თურქები თამაშობენ და ლიდერობენ. თავის დროზე კალათბურთი თეთრკანიანებმა მოიგონეს, მაგრამ შემდეგ ზანგებმა განავითარეს. ახლა ფეხბურთში გამოჩნდა მონღოლოიდური რასა. ფეხბურთმა ტრანსფორმაცია განიცადა და ალბათ ეს მისი განვითარების რაღაც კანონზომიერებას ექვემდებარება. მე ეს წინასწარ ვიცოდი. ჩემდა საბედნიეროდ, კორეის ნაკრების არანორმალური ქომაგი გავხდი. ეს ქვეყანა ჩემი მასპინძელი იყო და, როგორც იტყვიან, სადაც შეხვალ, იქაური ქუდი უნდა დაიხურო. სეულში, კორეა-გერმანიის ნახევარფინალურ მატჩზე 1000 გერმანელი გულშემატკივარი იმყოფებოდა. ქართველებიდან მხოლოდ მე ვიყავი და კორეის გუნდს ვქომაგობდი.

**შეიძლება ითქვას, რომ კორეაში 49 მილიონი „ფუტკარი“ ცხოვრობს.**

**— კი, მაგრამ კორეის ნაკრებს ხომ აშკარად ეხმარებოდნენ მსაჯები — თუნდაც, მხოლოდ ესპანეთთან გამართულ მატჩში.**

— კატეგორიულ განცხადებას აკეთებ, მსაჯების შეცდომებზე რომ ლაპარაკობ. რა იცი, ის მსაჯი შეცდა თუ არა? ასი ტელეარხია სეულში და ასევე ფეხბურთს ატრიალებდა. მე მგონი, ჩუმად იქ მინდორზეც აქვთ დაყენებული კამერები და ქვემოდან გიყურებენ... კოსმოსიდანაც გიღებენ და საერთოდ, ისეთ დონეზე აქვთ აყვანილი გადაღების ტექნიკა — გაგიჟდები. ჰოდა, გიჩვენებენ სხვადასხვა ხედიდან გადაღებულ გვერდით მსაჯს, აწეული ალმით. ხედავ, რომ ის ყველაზე





სტადიონზე არც როკ-მუსიკა იყო და არც კლასიკური. ვისხედით სკამებზე კი არა, — სავარძლებში და ვისმენდით, თუ როგორ მღეროდა 80 ათასი კაცი უდირიჟოროდ, ჰარმონიულად

ახლოს იდგა იმ ადგილთან და გოლი არ ჩათვალა; შეეშალა თუ ბრუტიანი იყო, ეს ჩემი საქმე არ არის. კორეის ნაკრების წარმატება შენ მსაჯებს დააბრალე. როგორ, მათ თამაშში რაციონალური ვერაფერი დაინახე?

— **როგორ ვერ დავინახე!** — **თუნდაც, კორეული ფეხბურთის პროგრესი, მათი ფიზიკური მომზადება, მობილიზებულობა და ამ ყველაფერში, ჰიდინგის დამსახურება. მაგრამ მსაჯებიც რომ აშკარად ეხმარებოდნენ, ესეც დავინახე.**

— ჯერ ერთი, კანონზომიერია, რომ მასპინძელ გუნდს ყოველთვის მეტი მხარდაჭერა აქვს, თავის მეტოქესთან შედარებით. მაგალითად, ჩვენი „დინამო“ რომ ეთამაშებოდა ხოლმე მოსკოვის „დინამოს“, მსაჯები 99%-ით რუსებს უჭერდნენ მხარს და მხოლოდ 1% იყო ჩვენი. ისეთი რამეები გვინახავს, რომ რაღა უნდა გაგვიკვირდეს? მერე კიდევ, შენ ხომ მარადონისტი ხარ (*საუბრის დაწყების წინ ბატონ გოგის ვუთხარი, რომ პელესთან შედარებით, მარადონას ვანიჭებ უპირატესობას. — ავტ.*), არა გრცხვენია ასეთ დასკვნებს რომ აკეთებ? იცი, რა ქნა მარადონამ?

— **რა ქნა?**

— შენ თვითონ მიხვდი.

— **ხელით რომ გაიტანა?**

— ჰოო, ხელით რომ გაიტანა. ის თუ იცი, მარადონამ რა გააკეთა კიდევ? მე და დათო ყიფიანი იმ მატჩზე ერთად ვისხედით ნეაპოლში...

— **ეგეც მახსოვს: საბჭოთა კავშირის ნაკრებთან მატჩში, 1990 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე ხელით რომ გააჩერა კარისკენ გაფრენილი ბურთი.**

— ა-ა, გახსოვს? „კორეისტი“ არა ხარ და „მარადონისტი“ ხარ? დაინახე, რა გააკეთა ჰიდინგმა? ათამაშა თუ არა კორეელებს ტოტალური ფეხბურთი, რომელიც ჰოლანდიელების მოგონილია და ამ ტაქტიკის წყალობით, მათ კინაღამ გერმანელებს წაართვეს მსოფლიო ჩემპიონობა 1974 წელს. კორეელებმა კი, მათი ტოტალური ფეხბურთი სადამდე აიყვანეს?.. შენ წარმოიდგინე, რა მოხდებოდა, მათ რომ ბრაზილიელთა ტექნიკა ჰქონდეთ. არ უარვყოფ, რომ მათ მსაჯების მხრიდან დახმარება ჰქონდათ, მაგრამ მე ეს მიხაროდა, რადგან „კორეისტი“ ვიყავი. ცოტა ბედიც რომ ჰქონოდათ, ფინალშიც გავიდოდნენ. 31 მაისს, ინტერვიუში ვთქვი: უფრთხილდით სენეგალს, კორეას, ამერიკას, იაპონიას-მეთქი. მეორე დილით ვიღაცა მირეკავს და მეკითხება: „სენეგალას“ ბინაა? ერთს სენეგალზე დავადებინე და 100 დოლარი მოვაგებინე.

— **თვით კორეაზე რას იტყვით?**

— კორეაში არის ჩვენი წელთაღრიცხვით 23-ე საუკუნე და ჩვენს წელთაღრიცხვამდეც 23-ე საუკუნე. რაც კორეაში ვნახე, იმას ჩემს სამშობლოში ვერასოდეს ვნახავ. დედაჩემი ჟენევაშია დაბადებული. კორეა შვეიცარიაზეც და გერმანიაზეც უფრო სუფთა ქვეყანაა. საოცარი მეტროპოლიტენი, აეროპორტები, სასტუმროები, სტადიონები აქვთ. სტადიონზე რომ ზიხარ, არც გცივა, არც გცხელა... მორფი გაგიკეთებია?

— **არა.**

— არც მე. ხომ გაგიგონია, რომ იტყვიან ხოლმე: მორფს რომ გაიკეთებ, თურმე სიამოვნებისაგან იტყვი: „ავოიეეე!..“ — აი, სწორედ „ავოიეეე“ სტადიონები აქვთ კორეაში. ჩვენთან ზოოპარკში ცხოველები გალიაში ჰყავთ და ისე ათვალიერებენ. იქ — შენ თვითონ ხარ გალიაში და ისე დაგატარებენ მანქანით, რადგან ცხოველებს პატივს სცემენ... ზიხარ ტყვიაგაუმტარ მანქანაში და უკან კიდევ მანქანა მოგყვება, შეიარაღებული ხალხით. წვიმა წამოვიდა და სპილო ვერ გვანახვეს. იცით, რატომ? წვიმას ვერ იტანს და თავისი ქოლგის ქვეშ დგასო...

— **მართლა, ცხოველებზე გამახსენდა, ჩემპიონატის წინ დიდი მითქმა-მოთქმა იყო ატეხილი — კორეელები ძაღლის ხორცისაგან მომზადებულ კერძებს მიირთმევენ და ცხოველთა დამცველი ზოგიერთი ორგანიზაცია თუ პიროვნება ამის გამო მათ უჩიოდა კიდეცო...**

— მამაჩემი მეუბნებოდა ხოლმე: რაც არ იცი, იმაზე ნუ ილაპარაკებო. ასეთი რამ არ მინახავს. ისე კი, ძალიან მრავალფეროვანი სამზარეულო აქვთ. აი, რაც შეეხება ძაღლს... ქალი მოდიოდა ბავშვით ხელში და ბავშვმა ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. კარგად დავაკვირდი და ბავშვი კი არა — თურმე... ძაღლი ყოფილა. მოასაქმებინა იქვე ტროტუარზე, ამოიღო შემდეგ ბამბები, მოასუფთავა, სუნამო აპკურა და ისე წავიდა. კორეის ნომერ პირველი კომპონენტი სისუფთავეა!

— **რა თვალსაზრისით?**



— ყველანაირი თვალსაზრისით — რასობრივი, კლასობრივი, სექსუალური, ფიზიკური, სულიერი. მიმაჩნია, რომ სუფთა ქვეყანამ უნდა ითამაშოს ფეხბურთი და საქართველოსაც ვუსურვებ, რომ სუფთა ქვეყანა ყოფილიყოს.

— **კორეელები როგორ სტუმართმოყვარეობას იჩენდნენ?**

— საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს ტელევიზორს ვუყურებდი. ალბათ 25 კაცი გამოვიდა და ოცდახუთივემ ერთი და იგივე თქვა: „მე მინდა“. კორეაში „მე მინდას“ ვერ გაიგონებ. შეიძლება ითქვას, რომ კორეაში 49 მილიონი „ფუტკარი“ ცხოვრობს. ქუჩაში კი, ყველა გიცინის... სტადიონზე როგორ მივსულიყავი, არ ვიცოდი. ვხედავ, გოგო და ბიჭი დგანან. არ ვიცოდი, შეყვარებულები იყვნენ თუ და-ძმა. უცხო ენა არ ვიცი და ვეუბნები: „სტადიონ, სტადიონ!..“ მიხვდნენ. მართლაც გენიალური გოგო იყო და მომხუსხა. გამიყარეს „პოდრუჩკი“ და წამიყვანეს. შემდეგ მეტროს ბილეთიც ამიღეს. მე ფულის მიცემა მოვინდომე. არ გრცხვენიაო?! — მითხრა იმ გოგომ. მეტროდან რომ ამოვედი, „მედია ცენტრს“ (იყო ასეთი ადგილი ჟურნალისტებისთვის) დავუწყე ძებნა. მივმართე პირველივე შემხვედრს — „მედია ცენტრი“ მინდა-მეთქი — და იმანაც მიმიყვანა... ერთი სიტყვით, რომ დაელაპარაკები, აღარ მოგეშვებიან. შენ მუსიკასთან როგორა ხარ?

— **მიყვარს.**

— ეგრე მე ტარაკანაც მიყვარს, კაცო. განიცდი მუსიკას? კლასიკური მუსიკა თუ გიყვარს?

— **მე როკ-მუსიკა მიყვარს.**

— სტადიონზე არც როკ-მუსიკა იყო და არც კლასიკური. ვისხედით სკამებზე კი არა, — სავარძლებში და ვისმენდით, თუ როგორ მღეროდა 80 ათასი კაცი უდირიჟოროდ, ჰარმონიულად, მოტივით. უცბად, ყველა ერთად ხელის აწევით დააგვირგვინებდა სიმღერას. აქეთ-იქით ვიყურებოდი, — დირიჟორი ხომ არ ჰყავთ მეთქი. შემდეგ წამოდგებოდნენ და ერთად, რიტმულად, ტაშს უკრავდნენ. ნახევარფინალში რომ წააგეს კორეელებმა, კინაღამ გული წამივიდა. თამაში რომ დასრულდა და გულშემატკივრებმა მომხდარი გააცნობიერეს, მთელმა სტადიონმა გერმანიის ნაკრებს უმღერა. შემდეგ ოლივერ კანი მივიდა და კორეის გუნდის თითოეულ მოთამაშეს მხარზე ეამბორა (ეს უკვე აღარ გადაცემულა ტელევიზიით)... დიდხანს დავრჩი მატჩის შემდეგ და შეიძლება ითქვას, ყველაზე ბოლომ დავტოვე სტადიონი. გამოიარა ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის კორეელმა თავმჯდომარემ. მივვარდი და „ჯორჯიან“-მეთქი, — შევძახე. შემომხედა, ალბათ გაიფიქრა — ცოტა, „ვერ არისო“ — და ძალის-ძალად გამიღიმა.

— **თუ იცნობენ საქართველოს?**

— არც გაუგონიათ.

— **შევარდნაძეც არ გაუგონიათ?**

— შევარდნაძეს არა, მაგრამ მიშა სააკაშვილს იცნობენ კარგად *(იცინის)*...

— **როგორ აგებინებდით, საიდან ხართ?**

— ვეტყოდი — „მოსქაუ“, „რაშენ“, შემდეგ მივანიშნებდი რუკას სამხრეთით და ვეტყოდი — „თბილისი“. მერე ხვდებოდნენ — თუმცა, რაში აინტერესებთ, საიდან ხარ...

— **იაპონიაშიც ყოფილხართ. რა განსხვავებაა ამ ორ აზიურ ქვეყანას შორის?**

— ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანდა. ისე კი, კორეა არაფრით ჩამოუვარდება იაპონიას. კორეაში ვერც ერთ იაპონურ მანქანას ვერ ნახავ, „მერსედესი“ რომ დავინახე, გამიკვირდა. თვითონაც ძალიან კარგი მანქანები ჰყავთ. სასტუმრო, სადაც ვცხოვრობდი, თურმე იმ უბანში ყოფილა, რომელშიც უამრავი ბორდელია. ეს არ ვიცოდი და შემდეგ შევიტყვე: ბორდელის წინ რომ გაივლიდი, პოლიკლინიკა გეგონებოდა. მომსახურე პერსონალი, მომხიბვლელი კორეელი გოგონები, სულ თეთრ ტანისამოსში იყვნენ გამოწყობილები და გაიფიქრებდი: ამათ რამე როგორ უნდა აკადრო-თქო?.. „დისნეილენდში“ რომ შევდიოდი, შენ რომ მაინცდამაინც არ მოგწონს, იმ მუსიკას უკრავდნენ — შტრაუსის ვალსს. როდესაც გამოვდიოდი, კვლავ შტრაუსის ვალსი მაცილებდა. აი, ასეთი საინტერესო გადასვლა მოხდა კორეაში მონღოლოიდური რასიდან.

— **რომელმა ფეხბურთელმა დატოვა თქვენზე დიდი შთაბეჭდილება?**

— ჩემთვის ჩემპიონატის აღმოჩენა რონალდინიოა. ჩემპიონატის ფინალი კი, ინგლის-ბრაზილიის მატჩი იყო, რომელშიც რონალდინიო მოედნიდან გააძევეს. სხვადასხვა კორეული ტელეარხით გამეორებებში ვნახე, რომ იმ მომენტში რონალდინიოს ინგლისელი მოთამაშისათვის ფეხი არც შეუხია. მოედნიდან მისი გაძევება ძალიან დიდი შეცდომა იყო... იმდენად აღმაფრთოვანა რონალდინიოს თამაშმა, რომ ერთმა ჩემთან იგი ჰომოსექსუალისტად მოიხსენია და მე ამით გაბრაზებულმა გავიფიქრე: თავად ხარ-მეთქი, ჰომოსექსუალისტი...

— **არაერთ ჩემპიონატზე ყოფილხართ და რომელს გამოყოფდით?**

— ისევ და ისევ, მექსიკაში 1970 წელს ჩატარებულ ჩემპიონატს; ისევ და ისევ ტიტველ პელეს. დასავლეთის ტრიბუნაზე ვიჯექი და შეხვედრის ბოლოს, მაშინ, როდესაც ბრაზილია ანგარიშით 3:1 უგებდა ფინალში იტალიის ნაკრებს, ბურთი პელემ მიიღო. ვხედავ — კარლოს ალბერტო ფლანგზე იტალიელთა კარისკენ გარბის და იხსნება. ხალხით გადაჭედილ „აცტეკას“ სტადიონზე უცბად მთელი ხმით ვიყვირე: „კარლოს ალბერტო!..“ პელემ ბურთი მართლაც კარლოს ალბერტოს გაუგორა და მანაც მეოთხე გოლი გაუტანა იტალიელებს. ■



**კორეა შვეიცარიაზეც და გერმანიაზეც უფრო სუფთა ქვეყანაა. საოცარი მეტროპოლიტენი, აეროპორტები, სასტუმროები, სტადიონები აქვთ.**



მსახიობ უმა თურმანს ხშირად ადარებენ ჰოლივუდის ე.წ. ოქროს ხანის ისეთ ვარსკვლავებს, როგორებიც იყვნენ გრეტა გარბო, მარლენ დიტრიხი და ლორენ ბეკოლი. მის სილამაზეს იდუმალს და ამოუცნობს უწოდებენ, მის თვალებს სფინქსის მზერას ადარებენ, მის ღიმილს კი – აღორძინების ხანის მადონას ღიმილს. უმა ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან მსახიობ ქალებს შორის, რომელსაც მარტო კინოს მოყვარულები კი არა, ამ ხელოვნებისადმი საკმაოდ გულგრილად განწყობილი როკერებიც ეთაყვანებიან. თავად ვაინონა რაიდერიც, რომელიც ხშირ-ხშირად იცვლის მეგობარ-მუსიკოსებს, არ გამხდარა ისეთი პატივის ღირსი, როგორიც თურმანს ხვდა წილად: მას მიუძღვნეს კომპოზიციები: – „უმა" – ჯგუფმა Majesty Crush-მა და – „უმა 14-ჯერ" – ჯგუფმა Zoinks!-მა არადა. უმას ჯერ არ შეუსრულებია დიდი როლი დიდ კინოჰიტში.

# უმა თურმანი – ყველაზე სექსუალური

## გარეგნობის „ალბერტ აინშტაინი“

უმა თურმანი 1970 წლის 29 აპრილს მასაჩუსეთსის შტატის ქალაქ ბოსტონში დაიბადა. მამამისი აღმოსავლური რელიგიების სპეციალისტი და კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორია, დედა — შვედი ნენა ამერიკაში იმ მიზნით ჩავიდა, რომ ჰიპი გამხდარიყო, მაგრამ ბედმა სხვაგვარად ინება და ქალი მოდელი გახდა. მალე ის ცნობილ გურუსა და კონტრკულტურის ლიდერს, ტიმოთი ლირს გაჰყვა ცოლად, მასთან განქორწინების შემდეგ კი, ლირის საუკეთესო სტუდენტთან, რობერტ თურმანთან იქორწინა. უმა თურმანს საკმაოდ ეფექტური საგვარეულო შტო აქვს. მამამისის დედა თეატრის მსახიობი ელიზაბეტ ფერარი იყო და თავის დროზე ბეტ დევისთან მეგობრობდა. უმას მამა პირველი ამერიკელია, რომელიც ბუდისტი ბერი გახდა, გარკვეული დროის მანძილზე ის ტიბეტის მონასტერში ცხოვრობდა, შემდეგ ისევ აშშ-ში დაბრუნდა და კოლუმბიის უნივერსიტეტში ბუდიზმის მთავარი სპეციალისტი და რელიგიური ფაკულტეტის დეკანი გახდა. უმას დედამ მოდელად რამდენიმე წელი იმუშავა, შემდეგ კი საკმაოდ სოლიდური პროფესია აირჩია — ფსიქოთერაპევტი გახდა. შვილებს მეუღლეებმა ინდური ღმერთების სახელები — დეჩენი, განდენი, მიპამი და უმა დაარქვეს. უმა ღვთით ბოძებულ ნიჭს ნიშნავს.



ბავშვობაში გოგონას ბევრ უხერხულობას უქმნიდა ეს სახელი და მას ხშირად უფიქრია, ხომ არ შეეცვალა იგი რაიმე მარტივი და ტრადიციული სახელით — მაგალითად, კელით ან ლინდათი. უმას კიდევ ერთი რამე აშფოთებდა: სკოლაში სწავლისას ის თავს სხვებზე ბევრად უფრო ჭკვიანად და ამასთან, ძალიან შეუხედავად მიიჩნევდა. გოგონა მაღალი და გამხდარი იყო, თანაც გრძელი ხელ-ფეხი და სახის უცნაური ნაკვთები ჰქონდა.

უმას მშობლების აღმოსავლური კულტურით გატაცება საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. სანამ უმა დაწყებით სკოლაში სწავლობდა, მისი დედ-მამა ინდოეთში ცხოვრობდა, მაგრამ ამერიკაში დაბრუნების შემდეგაც, თურმანთა ოჯახს ხშირად სტუმრობდნენ ბუდისტი ბერები, მათ შორის თვით დალაი-ლამაც, რომელსაც რობერტ თურმანი თავის დიდ მეგობარს უწოდებს. რამდენიმე წლის წინ, მსახიობის მამამ რიჩარდ გირთან ერთად, საზოგადოება „ტიბეტური სახლი" დააარსა, რომელიც ჩინელი კომუნისტების მიერ დევნილ ლტოლვილებს უწევს დახმარებას.

როცა გოგონა თხუთმეტი წლის გახდა, მასში, დედამისის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ოჯახურმა დაუდგრომლობამ" გაიღვიძა: უმამ ნიუ-იორკში გამგზავრება და მსახიობობა გადაწყვიტა.

მანჰეტენზე დასახლებული უმა პირველ ხანებში თავს ჭურჭლის რეცხვითა და ფოტომოდელობით ირჩენდა. მან თითქმის გაიმეორა დედამისის მიერ ახალგაზრდობაში განვლილი გზა, თუმცა, უმას უფრო გაუმართლა და 16 წლის ასაკში ახალგაზრდა ვამპირის როლი მიიღო მცირებიუჯეტიან ფილმში — „კოცე მამას



**კადრი ფილმიდან „გატაკა“, რომლის გადაღებებზეც უმა თურმანმა თავის მომავალი მეუღლე იტან ჰოუკი გაიცნო**



**„ქალი – ვამპი“ კვენტინ ტარანტინოს საკულტო ფილმში „კრიმინალური საკითხავი“**

ძილის წინ“. ფილმი გამოსვლისთანავე კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა და ჩაფლავდა კიდეც, მაგრამ ქალის მთავარი როლის შემსრულებელი სრულიად ახალგაზრდა გოგონა პროდიუსერებმა შეამჩნიეს და მიმზიდველი პროექტები შესთავაზეს.

საოცარი ის იყო, რომ უმას მიერ შესრულებული მეორეხარისხოვანი როლები ყურადღებას იქცევდა, ხოლო ფილმებს, რომელშიც მან მთავარი როლები შეასრულა, ჩავარდნა არ ასცდა. კვენტინ ტარანტინოს გახმაურებულ ,,კრიმინალურ საკითხავში“ უმას მიერ განსახიერებული ნარკომან მიას როლს ,,დეკორატიულიც“ კი უწოდეს, მაგრამ ამას მისი დიდი პოპულარობისთვის ხელი არ შეუშლია. უფრო მეტიც – უმა თურმანისა და ჯონ ტრავოლტას მიერ შესრულებული ცეკვა ეროტიკულობის მწვერვალადაც იქნა აღიარებული და, როგორც ქრესტომათიული ცეკვა, ისე შევიდა კინოს ისტორიაში. ,,სახიფათო კავშირებში“ კი უმა თურმანმა ისეთი ძლიერი მსახიობების გვერდით შეძლო თავის გამოჩენა, როგორებიც არიან: ჯონ მალკოვიჩი, მიშელ პფაიფერი, გლენ კლოუზი და კიანუ რივზი.

როგორც უკვე აღინიშნა, კინოგაქირავებაში დიდი წარუმატებლობა ხვდა წილად უმა თურმანის მონაწილეობით გადაღებულ რამდენიმე ფილმს. ყველაზე მეტად,



**ჟერარ დეპარდიესთან ერთად ფილმში „ვატელი“**

ეს ითქმის სტუდია Columbia Pictures-ის ,,ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალზე“, სადაც უმამ მთავარი როლი შეასრულა. თრილერი ,,ჯენიფერ 8“, ეკრანზე გასვლამდე საშინლად დაჭრეს და დაამახინჯეს, შემდეგ კი საერთოდ მოხსნეს გაქირავებიდან. რეჟისორ ფილ კაუფმანის ეროტიკული დრამის ,,ჰენრი და ჯუნის“ შესახებ თითქმის ერთი წელი არ ცხრებოდა დებატები და აურზაური, ამერიკულმა სარეიტინგო საბჭომ კი ამ ფილმისთვის გაქირავებაში მანამდე არარსებული "NC-17" შემოიღო. ფილმში ასახულია მწერალ ჰენრი მილერის, მისი ცოლის – ჯუნისა და მათი საერთო საყვარლის, ფრანგი მწერლის ანაის ნინის ცხოვრების ამბავი. უმა თურმანმა მილერის ცოლის როლი შეასრულა. ფილმი ,,ცოფიანი ძაღლი და გლორია“, რომელშიც თურმანს პარტნიორობა თავად რობერტ დე ნირომ გაუწია, გაქირავებიდან რატომღაც გამოსვლიდან ორი კვირის შემდეგ გაქრა. პომპეზურად რეკლამირებული კინოკომიქსი – ,,ბეტმენი და რობინი“, რომელშიც თურმანმა ბოროტი დოქტორის პამელა აისლის როლი შეასრულა, ადამი-



**„რკინის ლედი“ ფილმში „ბეტმენი სამუდამოდ“**



**აბეზარი პაპარაცები გადასაღები მოედნის მიღმაც არ ასვენებენ მომხიბლავ კინოვარსკვლავს**



## სასარგებლო აზრები



დაფნის დაწვნა იოლია ბევრად,
ვიდრე მისი ღირსი თავის პოვნა.

***იოჰან ვოლფგანგ გოეთე***

ყოველ ადამიანში ბუნება შედის მარცვლეულის ან სარეველას სახით. დროზე უნდა მორწყას პირველი და ამოძირკვოს მეორე.

***თომას მორი***

სიხარულს, სიმშვიდეს, ნეტარებას, ნუგეშსა და კეთილდღეობას პოულობს ადამიანი მხოლოდ ცოდნაში, რასაც შობს გონება და შემეცნება.

***ჟოფრუა ვალა***

ის, ვინც ერთხელ იცრუა,
მეორედაც იცრუებს
შვიდსაც თუ არ დაურთავს,
ერთს არავინ ირწმუნებს!

***თეოდორ შტორმი***

სრული ბედნიერება არ არის შფოთიან ცხოვრებაში. სრული ბედნიერება მშვიდია, როგორც ზღვა ზაფხულის სიწყნარეში.

***ალექსანდრ გერცენი***

სწავლულმა უნდა დაივიწყოს, რაც გააკეთა და იფიქროს მხოლოდ იმაზე, რომ კიდევ რაიმე გააკეთოს.

***იოჰან გოტლიბ ფიხტე***

უვიცობა ყველა ბოროტების მშობელია.

***ფრანსუა რაბლე***

## ვარსკვლავი

ანი-ღამურას შესახებ შექმნილ ფილმებს შორის ყველაზე წარუმატებელი აღმოჩნდა და ჰოლივუდის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და შემოსავლიანი სერიალის ბოლო ფილმად იქცა. ფილმ „შურისმაძიებლების" შესაქმნელად ისეთი ძლიერი გუნდი შეიკრიბა, რომ მისი წარმატება თითქოს იმთავითვე გარანტირებული უნდა ყოფილიყო. მთავარ როლზე უმა თურმანიც მას შემდეგ შეარჩიეს, რაც ემა ტომფსონისა და ნიკოლ კიდმანის კანდიდატურები უარყვეს, თუმცა, ფილმ „შურისმაძიებლების" ჩავარდნას უმაზე დიდად არ უმოქმედია, რადგან პრემიერის დროისთვის მას გოგონა, მაია რეი გაუჩნდა და დედობრივმა ინსტინქტმა კარიერის პრობლემები დროებით მეორე პლანზე გადაიტანა.

იტან ჰოუკი უმა თურმანმა ფუტურისტული დრამის — „გატაკას" გადაღების დროს გაიცნო. წყვილმა ოფიციალურად 1998 წლის მაისში, ქალიშვილის გაჩენამდე ორი თვით ადრე იქორწინა. პატარძალი მანჰეტენის ნეოგოტიკურ ეკლესიაში ლიმუზინითა და პოლიციის ხუთი მანქანის თანხლებით გამოცხადდა. ეკლესიას გარს დაცვა ერტყა, საქორწინო ცერემონიაზე პრესა არ მიუშვეს. უმაზე ერთი წლით უმცროსმა ჰოუკმა უამრავი ყვავილი შეუკვეთა და ქორწილის დღეს ირგვლივ იების გამაბრუებელი სურნელი იდგა. „ეს იდეალური კავშირია, — აღნიშნა ერთ-ერთმა მღვდელმა. — მართლაც შესანიშნავი წყვილია!" ქორწილს სიძე-პატარძლის უამრავი მეგობარი ესწრებოდა, მათ შორის რიჩარდ გირი, რობერტ შონ ლეონარდი და სხვები.

ამჟამად უმა თურმანი საკმაოდ იშვიათად და ძუნწად საუბრობს თავისი და ჰოუკის ურთიერთობის შესახებ;

ჟურნალისტები იმასაც აღნიშნავენ, რომ ამ „რკინის ლედის" საუბარში ჩაბმა საერთოდაც საკმაოდ რთული საქმეა, მით უმეტეს მაშინ, როცა უმას ამა თუ იმ საკითხზე ლაპარაკი არ სურს.

უმას შესახებ იტან ჰოუკიც ცოტას საუბრობს: „უმა ძალიან ნიჭიერი, ჭკვიანი და მიზანმიმართული ქალია, მას შეუძლია ყველაფერი სრულყოფილებამდე მიიყვანოს. ის კინოში გაიზარდა, თეატრშიც უთამაშია და მაინც, საქმეს დღემდე უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდება". შეგახსენებთ, რომ უჩვეულო სილამაზითა და მუშაობის ინტელექტუალური ხერხებით გამორჩეულ უმა თურმანს ქალგამოცანას, ხან ყველაზე სექსუალურ ახალგაზრდა ვარსკვლავს, ხან კიდევ „სახიობის ალბერტ აინშტაინსაც" კი უწოდებდნენ.

შარშან უმა თურმანსა და ეტან ჰოუკს კიდევ ერთი შვილი, ამჯერად ვაჟი შეეძინათ. მაშინ პრესა გატაცებით ჰყვებოდა, თუ როგორ გაემგზავრა მთელი ოჯახი ნიუ-იორკის საბუნებისმეტყველო მუზეუმში და ლამის იყო, იქიდან დაბრუნებისთანავე უმა სამშობიაროში გააქანეს...

მისი ბიოგრაფიის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და უცნაურ მონაკვეთად უმაზე ასაკით გაცილებით უფროს მსახიობთან — გერი ოლდმენთან მისი ძალზედ ხანმოკლე ქორწინებაა მიჩნეული, რომლის ხსენებაც ჟურნალისტებს პრაქტიკულად აკრძალული აქვთ.

ბოლო წლებში უმა თურმანმა კვლავ გამოიჩინა თავი ეკრანზე. მის მიერ შექმნილ ეფექტურ როლებს შორის აღსანიშნავია ვიქტორ ჰიუგოს რომანის — „განკიცხულნის" ეკრანიზაციაში განსახიერებული კოზეტა. ამ სურათში თურმანს პარტნიორობას უწევდნენ ლაიამ ნისონი და ჯეფრი რაში. 2000 წელს კი, უმა თურმანი ისტორიულ დრამაში — „ვატეში" ჟერარ დეპარდიესა და ტიმ როტთან ერთად გადაიღეს...

ამჟამად მსახიობს რაიმე განსაკუთრებული შემოქმედებითი გეგმები არა აქვს. როგორც უმა თურმანი აღნიშნავს, მას დიდი იმედი აქვს, რომ კვლავ შეხვდება გადასაღებ მოედანზე რეჟისორ კვენტინ ტარანტინოს, რომელსაც დიდ რეჟისორად მიიჩნევს. „კვენტინთან გადაღების დროს თავს ბუნებრივად გრძნობ, — აღნიშნავს თურმანი, — სრული შესაძლებლობა გაქვს იგრძნო, რომ მსახიობი შეიძლება რეჟისორის სრულუფლებიანი პარტნიორი იყოს და არა უბრალო თოჯინა, რომელსაც საერთოდ არ ესმის, თუ რას მოითხოვენ მისგან..."

■




შინაგანი ხმა მამხნევებდა, მომავალს ოპტიმისტურად ვუმზერდი

# ერთ დღეში ნაშოვნი 60 დოლარი და გზა ისევ „Золотое кольцо“-სკენ...

მოგზაური კაცის ცხოვრება რომ მოულოდნელობებითაა აღსავსე, ეს არცთუ ისე ახალი მოსაზრება გახლავთ, მაგრამ მოგზაური რომ ფოტო და ტელეობიექტივს გვერდზე გადადებს და მიწის თხრაზე ან სულაც ავეჯის გადაზიდვა-გადმოზიდვაზე იმუშავებს, ეს უკვე ახალი „დროის მოთხოვნად" იქცა. იმ დროის, რომელმაც იძულებული გამხადა, თბილისში ოჯახი დამეტოვებინა და ამერიკაში, რომ იტყვიან, ქვეყნის დასალიერს, ორიოდე გროშის საშოვნელად „გადავხვეწილიყავი"... თუმცა წუწუნი არასოდეს მიქცევია ხელობად, და ჩემი ცხოვრების გამოცდილებიდან გამომდინარე, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს სულაც მე მეკუთვნის ფრთიანი გამოთქმა, „იმედი სულ ბოლოს კვდება!"

**აკაკი გეგენავა**

## „ქართული ბირჟა" დამკრძალავ ბიუროსთან...

ერთი კვირა გავიდა, რაც რესტორნიდან წამოვედი. რუსულ ბირჟაზე უშედეგო წანწალმა სასოწარკვეთაში ჩამაგდო. მაგრამ შინაგანი ხმა მამხნევებდა, მომავალს ოპტიმისტურად ვუმზერდი. ხოლო როდესაც გავიგე, რომ ბრუკლინში ყოფილა ისეთი ადგილი, სადაც ჩემი თანამემამულენი ერთმანეთს ეხმარებიან, დილაუთენია წამოვიჭერი, ჩემი ძალად დამეგობრებული ჩეჩენი „თანანომრელი" (ხომ გახსოვთ, იაფფასიანი სასტუმროს ერთ ნომერში ვცხოვრობდით) სულ მუჯლუგუნით წამოვაგდე საწოლიდან და კი არ მივდიოდი, არამედ მივფრინავდი ქართველების ბირჟისკენ.

— ისე გარბიხარ, კაკო, თითქოს ძვირფასი განძი გელოდებოდეს!.. — შემომიღრინა არაქათგამოცლილმა ჩეჩენმა.

— განძზე უკეთესი რამ მელოდება, თანაც, ჩემიანებს ვნახავ!.. — ამოსუნთქვის საშუალება არ მივეცი ნარკოტიკებისგან ისედაც ძალაგამოცლილ მუსას. თუმცა, არც ის დამრჩა ვალში და ჩეჩნურად დამგესლა:

— ძვირფას „ზემლიაკებს" ნამდვილად ნახავ, აი, სამსახურისა კი რა მოგახსენო... — თან ეტყობა, მიხვდა — შეიძლება მომხვდესო და ძუნძულიდან სირბილზე გადავიდა.

ბრუკლინის ე.წ. „ქართული ბირჟა" მე-14 ავენიუსა და 39-ე ქუჩის გადაკვეთაზე მდებარეობდა. როდესაც ამ ადგილს მივუახლოვდით, ჩემი ყურადღება სამგლოვიარო ტანსაცმელში გამოწყობილი ადამიანების დიდმა ჯგუფმა მიიპყრო. თავიდან ვერ მივხვდი, ამ დილაადრიან რა ხდებოდა, ან ამ ქალებს რა ატირებდათ. თანაც სრულიად მოულოდნელი იყო ბირჟასთან დამკრძალავი ბიუროს არსებობა, თუ პირიქით — ქართველების ბირჟა დამკრძალავ ბიუროსთან!..

— არ მიყვარს ეს ადგილი, რამდენჯერაც აქ მოვედი, იმდენჯერ ვიღაცას კრძალავენ... — გამიზიარა მუსამ თავისი გულის წუხილი და ქუჩის იმ კუთხისკენ მიმანიშნა, სადაც ათიოდე მამაკაცი იდგა.

— აგერ, შენი „ზემლიაკები". მე აქ დავრჩები, სულერთია, ახლოს არ მიმიშვებენ. თუ რაიმე სამუშაო „გაიჩითა", იცოდე, არ დაგავიწყდე... — მუდარა იგრძნობოდა მუსას ხმაში.

ალბათ ქრისტეფორე კოლუმბის მეზღვაურებს ისე არ გახარებიათ ოკეანის სიღრმიდან ნანატრი ხმელეთის დანახვა, როგორც მე მშობლიური სახეებისა. იდგნენ თავისთვის მშვიდად და საუბრობდნენ, თან თვალი გზისკენ ეჭირათ. ძველი ნაცნობივით მივესალმე ყველას და სათითაოდ ჩამოვართვი ხელი...

## შეხვედრა შუა ბრუკლინში... წნორელ გივისთან

გაცნობის პროცესმა ასე თუ ისე ჩაიარა და სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. არც მე ვიცოდი, ამდენ უცნობ ადამიანთან პირველს როგორ ამეხსნა ჩემი გასაჭირი და არც ისინი ინტერესდებოდნენ ჩემი უმუშევრობით, თავიანთი სადარდებელიც ჰყოფნიდათ.

ამ დროს ცაზე მეხის გავარდნასავით, მოულოდნელი რამ მოხდა.

— შენა, თბილისელი კაკო არა ხარ?! — ერთიანად გაბადრული მეკითხება ერთ-ერთი და ვეება დათვის თათებით მაჯანჯღარებს.

თვალებს არ დავუჯერე. ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ ამ გადასაკარგავში, მართლა ოკეანის გაღმა, ზედ შუა ბრუკლინში დიდი ხნის უნახავი წნორელი გივი მჭედლიშვილი თუ გადამეყრებოდა, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი.

— წეღანა, ხელი პირველად მე რომ ჩამომართვი, ვიფიქრე, მიცნო-მეთქი!.. — მითხრა.

— ვა, გივი, აქ საიდან?!. — სიხარული და გაოცება ერთდროულად გამოვხატე.

— მაშ, მარტო ქალაქელებმა უნდა იაროთ კარგ ადგილებში?..

გივი ამ რამდენიმე წლის წინ გავიცანი. თბილისში, ცენტრალურ უნივერმაღში ვმუშაობდი, მოსკოვიდან შეკვეთილი ავეჯი უნდა ჩამოგვეტანა და სატვირთო ტრაილერების გარაჟში შევედი მანქანის დასაქირავებლად. იმდენ რუს, ქერა მძღოლში უცბად შევნიშნე ერთი შავტუხა, მზემოკიდებული, ჯანიანი ახალგაზრდა კაცი. გულმა მიგრძნო, რომ ქართველი იყო და არც შევმცდარვარ...

ასე შევხვდი პირველად გივის, რომელ-



იც რამდენიმე წლის მანძილზე, მოსკოვი-თბილისის ხიფათიან გზაზე სატვირთო გადაზიდვებით იყო დაკავებული და უზარმაზარ ტრაილერს ისე დააგრიალებდა, როგორც მისი არცთუ ისე შორეული წინაპარი სახედარშებმულ „ტაჩკას“. ორჯერ გივის ტრაილერით ჩამოვიტანე მოსკოვიდან ავეჯი და კაბინაში მის გვერდით ვიმგზავრე.

— გივი, რაღაც შენს ტრაილერს ვერ ვხედავ... — უცბად გამომიკეთდა გუნება.

— შენა, ჩემს ტრაილერს აგრე ნუ უყურებ, ძმასავითა მყავდა. ეეჰ... ის რომ მყოლოდა, აქ რა წამამიყვანდა, ამ უსისხლო ჯონებში და მაიკლებში... — მე კი გავიხარე, მაგრამ ჩემი შეკითხვით გივის გავუფუჭე ხასიათი.

— ვალებში ჩავვარდი, ძმაკაცმა გადამაგდო! მომიწია მანქანის გაყიდვა. უმუშევარი დავრჩი, რაღაცა ორი კაპიკი მქონდა, ცოტაც პროცენტიანი ვისესხე, ავიკარი გუდა-ნაბადი და აგე, სად ამოვყავი თავი... — განაგრძო გივიმ თავისი სევდიანი მონოლოგი.

— სამაგიეროდ, ამერიკა ხომ ნახე!.. — მეც ჩემებურად გავამხნევე.

— ეს თუ ნახვაა!.. ყოველდღე ორსამ ებრაელს ვაცილებ სამოთხეში. ისე შევეჩვიე ამ პროცესიებს, ალბათ მალე ვიყიდი შავ კოსტიუმს, შავ ქუდს, შავ პრიალა ფეხსაცმელებს და მთავარი გამცილებელი გავხდები!..

— ყოჩაღ, ძმაო, მომავალი გარანტირებული გაქვს! — საუბარში გივის ერთ-ერთი ნაცნობი ჩაერია და ყველას გაგვეღიმა.

— მომიყევი, გივი, რას აკეთებ, როგორ ცხოვრობ, როგორ მუშაობ? — ერთი სული მქონდა, გამეგო, ამ უკანასკნელზე რა პასუხს გამცემდა.

— რა ვიცი, ვცხოვრობ, რა... ამ ბირჟის გადამკიდე, როცა სამუშაო მაქვს, ერთ-ორ კაპიკს წნორშიაც ვაგზავნი, ვალები გავისტუმრე. რა ვიცი, თუ ღმერთი შემეწია, ერთი ტრაილერის ფული მინდა მოვაგროვო, ხო იცი, ძნელია შეჩვეულის დავიწყება!.. მოკლედ რო გითხრა, ყოველდღე მოვდივარ აქა, თუ გადავეყრები რამეს, ხო კარგი, თუ არა და, ვარ ასე, დინებას აყოლილი...

— ჩემზე რას იტყვი, გივი, როგორ მოვიქცე?..

— თუ მუშაობა არ გეზარება და შავ საქმესაც არ იუკადრისებ, ასე თუ ისე, ერთი-ორ კაპიკს გააკეთებ. შენა, კიდევა, თბილისელი კაცი ხარ, ინგლისურიც გეცოდინება და ჩათვალე, რო თავი ქუდში გაქვს. შეიძლება ბედმა ისე გაგიღიმოს, მაგარ სამუშაოსაც გამოჰკრა ხელი!..

ამასობაში ტროტუარს ერთი ავტომანქანა მოუახლოვდა და გაჩერდა. რუსული ბირჟისგან განსხვავებით (რაც განსაკუთრებით მომეწონა), ადგილიდან არავინ დაძრულა. ცოტა ხნის შემდეგ, ჯგუფიდან ახალგაზრდა, ხვეულთმიანი მამაკაცი გამოგვეყო და მძღოლს დაუწყო ლაპარაკი (როგორც შემდგომ გავიგე, ახლა მისი რიგი ყოფილა).

საოცარია, მთელი 70 წელი რუსები ქართველებს რიგში დგომას გვასწავლიდნენ. როგორც ჩანს, იმდენად კარგად გვასწავლეს, რომ თავად დაავიწყდათ კიდეც...

## თამაშის წესები „ქართულ ბირჟაზე“

— მიწის თხრაზე ოთხი კაცი სჭირდებათ! — გადმოგვძახა ხვეულთმიანმა.

— რამდენს იხდის? — დაინტერესდა ვიღაც.

— საათში 6 დოლარს!

— 8 გადაიხადოს და წავყვებით! — იყო პასუხი.

— არ იხდის. მეტი არ შემიძლიაო!

— წამო, გივი, რაც იქნება — იქნება, წავიდეთ, ვიმუშაოთ, თან ძველი ამბები გავიხსენოთ... — გაუბედავად შევთავაზე გივის.

— აუ, ოღონდ მიწის სათხრელად ნუ წამიყვან და თუ გინდა, ჯოჯოხეთში წამოგყვები... წინა კვირას სამჯერ მომიწია ბარის და წერაქვის ქნევა. ლამის გავთავდი კაცი, წელი ახლაცა მტკივა!.. — შემაცოდა თავი ძველმა მეგობარმა.

— აბა, გავუშვათ?! — გაოცებულმა ვიკითხე. რუსული ბირჟის „გამოცდილებით“, ვერ წარმომედგინა, ასე გულგრილად თუ გაუშვებდნენ დამქირავებელს.

— შენ მაგაზე ნუ ნერვიულობ. იტრიალებს, იტრიალებს და მერე მაზანდასაც აუწევს. ჩვენა, აქა, აგრე ნუკი გვიყურებ, ჩვენი კანონები გვაქვს, ეგ ამერიკელი კიდევა, ისეთი შებერტყილი ჩანს, აქედან მუშის გარეშე არ წავა: მუქთა ვირი ყველას უნდა...

...ჩვენმა კლიენტმა ვერა და ვერ შეკრიბა ოთხი კაცი. ბოლოს, ჭკუა იხმარა და თანხა 7 დოლარამდე გაზარდა. როგორც იქნა, ორმა ქართველმა გადაწყვიტა გაჰყოლოდა.

უცბად მუსა გამახსენდა, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს რომ იდგა, ახლოს მოსვლა ვერ გაებედა. გავხედე და... რწყილნაკბენივით ცმუკავდა, ერთი სული ჰქონდა, რაიმე გაეგებინებინა ჩემთვის. მუსა შემეცოდა და გივის ვუთხარი:

— როგორ დაგიშინებიათ ეს კაცი, სათოფეზეც არ გიახლოვდებათ!

— ვინა, მუსა? ეგ ისეთი ოხერია, ახლოს როგორ მოვუშვებთ. ერთი-ორჯერ რომ მივეცით სამუშაო, მერე გათამამდა და კლიენტიც წაგვართვა. წაგვართვა და ყოფაც ვუტირეთ, ერთი კვირა გარეთ ვერ გამოვიდა, ისე მოვუნგრიეთ ყბა... მაიცა, მაიცა, შენ საიდანღა იცნობ მუსას? — დაინტერესდა გივი.

— რაღა საიდან, იაფი სასტუმროს ძებნაში მუსას და კიდევ ხუთი მაგისნაირის ოთახში მძინავს...



ფრაზები

გენიალური

ხელოვნური ინტელექტი არაფერია, ბუნებრივ სიბრიყვესთან შედარებით.

— აბა, კაი დრო გაგიტარებია... მიდი, კაკო, მოაშორე აქედან, წავიდეს, წაჰყვეს იმ მანქანას, თავში ქვა უხლია.

მუსას ვანიშნე, მანქანასთან მიდი-მეთქი და ისიც რეაქტიული რაკეტის სისწრაფით მიიჭრა. არც უკითხავს, სად მიდიოდა, რა უნდა გაეკეთებინა, არც მადლობის თქმით შეუწუხებია თავი.

## ისაკად „მონათლული“ გივი

დროდადრო ჩვენს ბირჟას ავტომანქანები უახლოვდებოდნენ. ზოგს ნაგვის გატანა უნდოდა, ზოგს შეღებვა, ზოგს რა და ზოგს რა. ერთი სიტყვით, სხვადასხვა სამუშაო ჩნდებოდა და ვისაც რა შეეძლო, იმის მიხედვით კლიენტს მოელაპარაკებოდნენ და მიჰყვებოდნენ.

— გივი, როდემდე უნდა ველოდოთ? არ მოგბეზრდა უსაქმოდ დგომა? — ახლა მეც დავიწყე ჩერჩენივით ბოლთის ცემა.

— წავალთ, ნუ ნერვიულობ, უბრალოდ, იოლი საქმე მინდა შევარჩიოთ, რომ ლაპარაკის საშუალება გვქონდეს... — ამიხსნა გივიმ.

...როგორც იქნა, დამქირავებელი გამოჩნდა, ჩია ტანის ებრაელი, მკვირცხლი და საქმიანი გამომეტყველებით. მას საკუთარი წიგნების მაღაზია ჰქონდა და წიგნების დალაგებაში უნდა მივხმარებოდით.

მაღაზიასთან რომ მივედით, ებრაელმა სახელი მკითხა. აკაკი მქვია-მეთქი, ვუთხარი და ასეთ უაზრო სიტუაციაში პირველად აღმოვჩნდი: ბორძიკ-ბორძიკით წარმოთქვა ჩემი სახელი და თან დაამატა — ძალიან რთული სახელი გრქმევიაო(!). მერე გივის მიუბრუნდა.

— მე ისაკა მქვია!.. — მშვიდად მიუგო წნორელმა გივიმ.

— როგორ, ებრაელი ხარ? — გაუკვირდა კლიენტს.

— ჰო, ქართველი ებრაელი ვარ და ამერიკაში სამუშაოდ ჩამოვედი!.. — არ დაიბნა გივი, და რატომღაც გავიფიქრე, რომ იგი ახლა გაზეპირებულ წინადადებას ამბობდა...

გივის სიტყვებს დამქირავებლის მოულოდნელი „გარდაქმნა“ მოჰყვა: — სულ ერთიანად გაუბრწყინდა წითური სახე — დიდი ხნის ნაცნობივით გადახვია ხელი ისაკად ქცეულ გივის და გვერდით ოთახში შეიყვანა.

ცოტა ხნის შემდეგ, სამნი შემოვიდნენ — ებრაელი, გივი და ვიღაც შავკანიანი მამაკაცი. მაღაზიის მეპატრონემ აგვიხსნა, თუ რა უნდა გაგვეკეთებინა — მე და შავკანიანს წიგნები უნდა ამოგვეტანა და თაროებზე დაგვეწყო, გივის კი დავთარი და საწერკალამი მიაწოდეს — მას წიგნების აღრიცხვა ევალებოდა(!).

მთელი რვა საათის მანძილზე შეუჩერებლივ ვზიდავდით წიგნებს. თითქოს მძიმე სამუშაო არ იყო, არც ძალიან მაღლა — მეორე სართულზე გვიწევდა 10-15 წიგნის ატანა, მაგრამ მაინც გვარიანად დავიღალეთ მე და ის შავკანიანი. გივი კი მთელი დღე მხოლოდ კალამს აწრიპინებდა და ბატიფეხურით გადაჰქონდა ბეჭდური ლათინური ასოები ფურცელზე... ერთი-ორჯერ ისეთი პატიოსანი კაცივით ამომხედა, ვუთხარი, — აბა, გივი, მხრები მოისინჯე, ფრთები ხომ არ ამოგდის-მეთქი?!

როგორც იქნა, დავამთავრეთ წიგნების აზიდვა-დალაგება. ებრაელმა ერთი საათი იქექა ჯიბეში და ფული ამოიღო. მე და ზანგს 60-60 დოლარი მოგვცა, გივის 80(!). მადლობა გადაგვიხადა და მაღაზიიდან გამოგვისტუმრა.

— ეს რა ქენი, ბიჭო, ქართველობა უარყავი? — სხვა სიტყვები ვერ მოვიგონე.

— უარვყავი არა, ისა... უბრალოდ, ყარაულის თოფივით გამივარდა სიტყვა. მოვსინჯე, რა... ხომ ხედავ, როგორ გაჭრა: იოლი საქმეც მომცა და მეტიც გადამიხადა. ნუ გეშინია, იმ ზედმეტ ფულს ერთად დავხარჯავთ, ჩემო კაკო!..

— რომ მიმხვდარიყო, ებრაელი რომ არა ხარ?

— აი, დარდი, ბოლოს და ბოლოს, წიგნებს ავზიდავდი და ყველაფერი ამით დამთავრდებოდა... შენ გიჯობს, მაგაზე ფიქრს თავი დაანებო და მოდი, დღეს ჩვენი შეხვედრა აღვნიშნოთ, შვიდი წელია ერთმანეთი არ გვინახავს... სადმე ჩავჯდეთ და წყნარად გავიხსენოთ ძველი დრო!..

*P.S. და მე გამახსენდა, შვიდი წლის წინ კი არა, შვიდი დღის წინ იძულებით მიტოვებული ჩემი საყვარელი რესტორანი „Золотое кольцо“ და გივის შევთავაზე, იქ წავსულიყავით. თან დავძინე: თუ კარგად მოიქცევი, ჩემს „დამლუპველ“ სიმღერებსაც მოგასმენინებ-მეთქი. რესტორნისკენ მიმავალ გზას დავადექით. თუმცა მანამდე, სასტუმროში შევიარეთ, შხაპი მივიღე, ჩემს საკონცერტო კოსტიუმში გამოვეწყვე (გივის გაოცებისგან თვალები შუბლზე აუვიდა, თეთრ პერანგზე ჭრელი პეპელა რომ დავიბნიე), გივისაც ჩემი მეორე კოსტიუმი მოვარგე და ასე გამოწკეპილები გავუყევით რესტორნისკენ მიმავალ გზას...*

*რა მოხდა რესტორანში? ძალიან, ძალიან საინტერესო და მოულოდნელი რამ... რის შესახებაც, მორიგ წერილში შეიტყობთ...*

■

ტესტი

# ერთგული მკითხველი

*თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...*

**1. ვინ იყო გიორგი სანაიას მოძღვარი?**



ა) მამა სოკრატი;
ბ) მამა ბაგრატი;
გ) მამა ზენონი.

**2. როგორი მცენარეა სამკურნალო კატაბალახა, რომელიც ივნის-აგვისტოში ყვავის?**



ა) მრავალწლიანი;
ბ) ერთწლიანი;
გ) მარადმწვანე.

**3. როგორ ჟღერს ტიციან ტაბიძის ქალიშვილის ნიტას სრული სახელი, რომელიც გოგონას „ცისფერყანწელებმა“ შეარქვეს?**



ა) ნატალია;
ბ) ტანიტ;
გ) ანტონინა.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე



რუსუდან ბერიძე

# ლანდების ცეკვა

*დასაწყისი იხ. „გზა“, №25-28*

*ღამის კლუბის მოცეკვავე ანი ახვლედიანი ტელეგადაცემიდან ახალგაზრდა ქალის მკვლელობის ამბავს შეიტყობს. სამართალდამცავთა ვარაუდით, ის „ქალაქში მოთარეშე მანიაკის მორიგი მსხვერპლი უნდა იყოს“. არადა, ანი ისედაც შეშფოთებული იყო თავისი მეგობრის, მარი მხეიძის მოულოდნელი გაუჩინარებით... გამოძიებას ამერიკაში სტაჟირებაზე ნამყოფ ლუკა ძიძიგურს ავალებენ. მოკლული მართლა მარი მხეიძე აღმოჩნდება.*

*შოკირებული მდგომარეობის მიუხედავად, ანი ლუკას მამაკაცურ ღირსებებსაც ამჩნევს და მისით მოხიბლული გამომძიებლის ყურადღებასაც. დამატებითი ცნობების მისაღებად, ლუკა და მისი მეწყვილე ვაჟა ღამის კლუბში, რეპეტიციის დროს მიდიან, სადაც მარი მუშობდა და ახლა, ანი და ლალა განაგრძობენ საქმიანობას. გამომძიებლები კლუბის მეპატრონეს, აჩისა და მოცეკვავეებს დაჰკითხავენ. თითების ანაბეჭდების აღებისას ანი ისტერიულად უკივის ლუკას: როგორ ბედავთ ჩემში ეჭვის შეტანასო?!.*

*რამდენიმე დღეში, დასის წევრი დიტო ყველას, წვეულებაზე შინ იწვევს. გამალებული ცეკვა-დროს ტარებისას, დიტოს ჩაბნელებულ ბინაში ლუკა ძიძიგური მოდის...*

ლუკას ეგონა, რომ მისი გამოჩენა მოცეკვავეებს გულს გაუხეთქავდა. მსგავსი ეფექტი მას სხვადასხვა საქმის გამოძიებისას არაერთხელ და არაერთ, ბევრად უფრო რესპექტაბელურ საზოგადოებაშიც მოუხდენია, თითქოს ამჯერადაც ასე უნდა ყოფილიყო, მაგრამ როგორც ჩანდა, მოცეკვავეებს დიდად არც ლუკას პოლიციელობა აფრთხობდა და არც მისი დაკვირვებები ანაღვლებდა. ყოველ შემთხვევაში, როცა, მისი მართლაც მოულოდნელი გამოჩენით გამოწვეულმა უხერხულობამ ოდნავ გაუარა, გარს შინაურულად შემოეხვივნენ და სრულიად განყენებულ თემებზეც გაუბეს საუბარი.

ლუკა დისტანციის დაცვას ყველანაირად ცდილობდა: აქაოდა, ნამდვილად სამუშაოდ ვარ მოსული და არა თქვენსავით დროის სატარებლადო, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. მხნელად ისევ ლალა მოევლინა, რომელმაც მოცეკვავეებს შეუტია: „აბა, აბა, ჩემს სტუმარს შეეშვით!.. ბატონო ლუკა, ხომ არ გვეცეკვა?“ – მიუბრუნდა შემდეგ გამომძიებელს და პიჯაკის სახელოზე შინაურულად დაჰქაჩა. ლუკამ ის იყო, თავაზიანი უარის სათქმელად პირი დააღო, რომ მის წინ ანიც გაჩნდა. ლუკას ხმა ჩაუწყდა, ლალას მკლავში ხელი მექანიკურად ჩაავლო და ისე მოუჭირა, რომ საბრალო ქალს ცრემლები წამოსცვივდა:

– რას შვრებით, ბატონო ლუკა, ხელი არ მომტეხოთ!

– ოჰ, ლალა, მაპატიეთ, – გამოერკვა ლუკა, – ფიქრებში წავედი. ხომ არაფერი დაგიშავეთ? აბა, ხელი მიჩვენეთ, – დაიხარა ლუკა და სიმწრით ლამის უკვე იატაკზე ჩაკეცილი ლალას წამოყენება დაიწყო.

– ახლავე ხელი უშვი ჩემს მეგობარს, შე თავხედო! – ჩაესმა უცბად გაცოფებული ხმა. ლუკას ლალასთვის ხელი არ უშვია, მაგრამ ისე უცბად კი შემობრუნდა, რომ ანის კინაღამ ზედ შეასკდა.

– არ გესმის, რა გითხარი? ხელი-მეთქი! – გაუმეორა ანიმ. – საერთოდაც, რა გინდათ აქ? ვინ მოგიწვიათ? რას ერჩით, რა გესაქმებათ ჩემს მეგობრებთან?..

– ძალიან კარგი, რომ შემახსენეთ. აქ მე მართლაც არაფერი მესაქმება და მივდივარ კიდეც! – უპასუხა ლუკამ და კარისკენ გაიწია.

– არსადაც არ წახვალთ! – სასწრაფოდ გონს მოსულმა ლალამ სიტუაციის სასწრაფოდ განმუხტვაც სცადა. – ანი, ნეტავი რამ გადაგრია?! ბატონი ლუკა მე დავპატიჟე...

გაოგნებულმა ანიმ ლალას გამომცდელად გადახედა და თავისი გამოხდომის უადგილობასაც მაშინვე მიხვდა. „მართლაც, რამ გადამრია?“ – ჩაეკითხა გულში საკუთარ თავს.

— ბოლოს და ბოლოს, მაცეკვებთ თუ არა, ბატონო ლუკა? — დროს ფუჭად არ კარგავდა ლალა.

— ჩემო გოგონი, წარმოდგენაც კი არა გაქვს, რა რისკზე მიდიხარ, — უცბად გაუშინაურდა ლუკა, — ხელის მოტეხას კი გადაურჩი, მაგრამ ახლა საფრთხე, შენს მშვენიერ ფეხებს ემუქრება: მე ხომ ცეკვა, თითქმის, არ ვიცი?! თუმცა, არა უშავს. მაგალითს სხვებისგან ავიღებ: წეღან ხომ ქალბატონი ანი და მისი კავალერი მშვენიერ „ჭიპხახუნას" ასრულებდნენ?!.

ანის სახეზე ალმურმა გადაურბინა.

— აუ, რა კარგია, ბატონო ლუკა, „ჭიპხახუნა" იყოს, ოღონდ, ჩქარა, ჩქარა, თორემ მუსიკა დამთავრდება! — ექაჩებოდა სულ მთლად აცეტებული ლალა.

ლუკა საცეკვაოდ ანის რომ გაეწვია, ადგილიდან, ალბათ, ფეხსაც ვერ მოიცვლიდა, მაგრამ ლალა სხვა იყო. ლალასთან თავს შებოჭილად ნამდვილად არ გრძნობდა. ის ხომ ყველა იმ ქალს აგონებდა, ვისთანაც დროდადრო თავს ხანმოკლე რომანებით ირთობდა ხოლმე. ასეთ ქალებს, როგორც წესი, თავისუფალი ქცევა და დამყოლი ხასიათი აქვთ. რაზეც გინდა, იმაზე დაელაპარაკები და რასაც გინდა, იმას სთხოვ. გაკვირვებით ხომ არაფერი გაუკვირდებათ და თხოვნასაც უსათუოდ აგისრულებენ... ასე რომ, ლუკა ამჯერად ნამდვილად არ დაბნეულა და ლალას მარტო საცეკვაოდ კი არ გაჰყვა, ვნებიანი ჩურჩულიც გაუბა:

— მართალი გითხრათ, ის, რასაც წეღან ზოგიერთი აკეთებდა, — ლუკას ამჯერად ანის სახელი აღარ დაუკონკრეტებია — ცეკვაზე მეტად ვერტიკალური „წერაობა" უფრო იყო, მაგრამ თუკი თქვენს საზოგადოებაში ასეა მიღებული...

— მიღებულია! ჩვენთან, ყველაფერი მიღებულია! ოღონდ, გაფრთხილებთ: ასე „წერაობას", ოჰ, ოჰ, ეს რა წამომცდა, „ცეკვა" უნდა მეთქვა, — ცბიერად ჩაიღიმა ლალამ, — ცოტა სხვა გამოცდილებაც სჭირდება...

ამ სიტყვებზე ლუკამ ერთი გულიანად გადაიხარხარა და ლალას წელზე ხელი მოხვია...

ანი ცოტა ხანს დაბნეული იდგა. შემდეგ, თვალზე მომდგარი სიმწრის ცრემლი რომ არავის შეენიშნა, ისევ ოთახის კუთხეში მიიყუჟა.

„მაინც რა გაცოფებს?" — ისევ ჩაეკითხა საკუთარ თავს — „ლუკამ ლალას ხელის უხეშად მოკიდება რომ გაუბედა? თუ ის, რომ ლალა შენზე მოქნილი აღმოჩნდა და, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „კაცი ცხვირწინაც აგწაპნა"?.. როდის იყო, თუ თავად არ უნდოდა და არ სიამოვნებდა, ლალა რამეს ითმენდა?! მოითმენდა კი არა, ისეთ წივილ-კივილს ატეხდა, რომ... არა, არა, ეს უკვე ჩემს ძალებს აღემატება. აქაურობას უნდა გავეცალო", — დაასკვნა ბოლოს. თუმცა, ზრდილობა არც ამჯერად დავიწყნია და, დასამშვიდობებლად, დიტოსკენ გაემართა.

დიტომ ანის სამადლობელი სიტყვები მალევე გააწყვეტინა:

— ერთი წუთით, ძვირფასო, — წარმოთქვა მან, ანის ხელი ნაზად ჩაავლო და მათგან ზურგშექცევით მდგარ და ლალასთან მხიარულად მოსაუბრე ლუკას ლამის ზედ მიაყენა:

— ბატონო ლუკა, კიდევ ერთხელ მოგესალმებით...

ლუკა მაშინვე შემობრუნდა

— გამარჯობათ, გამარჯობათ... — დაბნეულად დაიწყო მან.

— ბატონო გამომძიებელო, — აღარ აცალა დიტომ, — რამდენადაც ვხედავ, ცეკვა უკვე დაგისრულებიათ...

— არა მარტო ცეკვა. დროა, თქვენი მყუდროების დარღვევასაც წერტილი დავუსვა და დაგტოვოთ, — ანგარიში ჩააბარა ლუკამ.

— ბატონო გამომძიებელო, — არ ცხრებოდა დიტო, — მინდა, დაგარწმუნოთ, რომ თქვენი სტუმრობით ჩვენ მხოლოდ სიამოვნება მოგვანიჭეთ, მაგრამ რაკი წასვლა გადაგიწყვეტიათ, იქნებ, ანისთვის მეგზურობაც გაგეწიათ, წასვლას არც ის იშლის...

— არა, არა, რა საჭიროა... ნამდვილად არ მინდა, ბატონი გამომძიებელი საქმეს მოვწყვიტო, — შეცბა ანი.

— თქვენი უსაფრთხოების დაცვა ჩემი უმთავრესი საქმე და მოვალეობაა, — არ დაიბნა ლუკა.

ანიმ ლალას და დიტოს, მავედრებელი თვალებით გადახედა. ლალამ მხოლოდ მხრები აიჩეჩა, დიტომ კი მას სასწრაფოდ ხელკავიც გამოსდო და იქაურობას გაარიდა, თანაც ყურშიც წასჩურჩულა:

— ჩემო საყვარელო, აქ ერთი ყმაწვილია მოსული, გაგიჟდები, ისეთი კარგი ვინმეა. მთელი საღამო არ მომასვენა: შენი გაცნობა უნდა. წამოდი, ბოლოს და ბოლოს, გაგაცნობ და დანარჩენი თავად იცით...

— ოჰო! — წამოიძახა ლალამ და ტუჩები მსუნაგად ააცმაცუნა, — მგონი, ამაღამ აქ, მართლაც, რაღაც მოხდება.

მარტო დარჩენილმა ლუკამ და ანიმ ერთმანეთს დაბნეულად გადახედეს. შემდეგ ისევ ლუკა გამოერკვა, სიმხნევისთვის ერთი ჩაახველა და ჰკითხა:

— რა ვქნათ, წავიდეთ?

— წავიდეთ, — უპასუხა ანიმ და ჩანთა მხარზე გადაიკიდა.

ანის, მანქანა პირდაპირ სადარბაზოს შესასვლელთან გაეჩერებინა. ის იყო, კარს გასაღები მოარგო, რომ ლუკამ შეაჩერა. კარი თავად გამოაღო, მანქანაში გვერდულად ჩაჯდა და სალონი საგულდაგულოდ მოათვალიერა:

— ყველაფერი რიგზეა. ახლა შეგიძლიათ, თქვენც დაბრძანდეთ, — უთხრა მან ბოლოს. — ოღონდ, გახსოვდეთ, ქუჩაში მარტო სიარულს მაინც ყველანაირად ერიდეთ. ხოლო, როცა ეს აუცილებელი იქნება, მაქსიმალური სიფრთხილეც გამოიჩინეთ, გასაგებია?

— გასაგებია, ამხანაგო გამომძიებელო, — სიფრთხილე და კიდევ ერთხელ სიფრთხილე! ახლა ხომ მაინც შემიძლია წასვლა თუ ინსტრუქტაჟი კიდევ არ დაგისრულებიათ? — წაკბინა ანიმ, რომელიც ამქვეყნად ყველაზე მეტად, ნოტაციების კითხვას ვერ იტანდა.

— რა თქმა უნდა, შეგიძლიათ, ოღონდ, არც ის დაგავიწყდეთ, რაც გითხარით, — არაფერი შეიმჩნია ლუკამ.

— აბა, თქვენს სიტყვებს რა დამავიწყებს! — ენამწარობას განაგრძობდა ანი. თუმცა, აქაოდა, არც ზრდილობის წესები მავიწყდებაო, დასამშვიდობებლად მანქანის ღია ფანჯრიდან ხელი მაინც გაუწოდა. ლუკამ მაშინვე თავისი ტორი შეაგება, რომელიც ანის ლამის იდაყვამდე მისწვდა. „ღმერთო ჩემო, საიდან აქვს ამ დათვს ასეთი ჟრუანტელის მომგვრელი სითბო?!." — კიდევ ერთხელ გაიფიქრა ანიმ, ლუკას ხელი გამოჰგლიჯა და მანქანა ადგილს ფეთიანივით მოწყვიტა...

შემდგომი რამდენიმე კვირის განმავლობაში, ანის ცხოვრება ნელ-ნელა უწინდელ კალაპოტში ჩადგა. ლუკა ძიძიგურმა, როგორც ჩანს, მასთან გასარკვევი ყველა საკითხი ამოწურა და თავი დაანება. შეწუხებით აღარც სხვა პოლიციელებს შეუწუხებიათ. მარის დაკრძალვის შემდეგ, ანიმ მისი ოთახი წესრიგში მოიყვანა და დღეს თუ არა, ხვალ, ალბათ, ახალ მდგმურზე ფიქრიც უნდა დაეწყო. თუმცა, ჯერ ჰორიზონტზე, მაინცდამაინც, არავინ ჩანდა. შოუს მოცეკვავე ქალებიდან ბინა უკვე ყველას ჰქონდა. ანი, პრინციპში, მდგმური მამაკაცის წინააღმდეგიც არ იყო. მაგრამ ასეთი მის ნაცნობებს შორის მხოლოდ დიტო სხიერელი იყო. მან ანის რამდენჯერმე მიანიშნა, რომ საკუთარ სახლში აღარ ედგომებოდა. მართლაც, ზედმეტად ცნობისმოყვარე მეზობლები დიტოს ლამის უკვე „კვალში ედგნენ". და დღეს თუ არა — ხვალ მათი შეთქმული ჩურჩული, — მგონი, ცისფერიაო, — ხმაურშიც გადაიზრდებოდა. დიტოს კი სკანდალი, ნამდვილად არ სჭირდებოდა.

დიტო სხიერელი ზედმეტად აქტიური „ცისფერი" იყო. ანი მას, ამის გამო,

ფიქრშიც კი არასოდეს კიცხავდა, რადგან სხვის ცხოვრებაში ჩარევა წესად არ ჰქონდა. მაგრამ საკუთარ სახლში მის შემოშვებაზე ნამდვილად ვერაფრით დასთანხმდებოდა, რადგან მარის უბედურებამ უფრო წინდახედული გახადა: „ისდა მაკლია, ჩემი სახლის გარშემო ათასნაირმა გადახრილმა დაიწყოს წოწიალი! თანაც, მიდი მერე და არკვიე, მათ შორის ვინ დიტოს მორიგი სექსუალური პარტნიორია, ვინ კიდევ მანიაკი მკვლელი...“

ლუკას ცხოვრებაც თავისი გზით მიდიოდა. უფრო სწორად, თავად წარმართავდა მას — დინჯად და მეთოდურად. ძიძიგური კარგად ხვდებოდა, რომ ამერიკიდან თბილისში მარტო ერთი საქმის გამოსაძიებლად ნამდვილად არ იყო გამოძახებული. თუმცა, ისიც აშკარა იყო, რომ ამ გამოძიებას მისი შემდგომი კარიერისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა. ამიტომ, ყოველგვარი შეცდომა თავიდანვე უნდა გამოერიცხა.

საგამოძიებო ჯგუფის წევრებთან საუბრის დაწყებამდე ლუკა საგანგებოდ მოეწყო: სკამი ზურგით შეაბრუნა, ცხენივით გადააჯდა, საზურგეზე შემოწყობილ ტორებში ნიკაპი ჩარგო და შეკრებილთ გამომცდელად დააშტერდა:

— ბიჭებო, — დაიწყო მან, — თქვენს გამოცდილებაში ეჭვი ნამდვილად არ შემაქვს და არც ლექციის კითხვის ხასიათზე ვარ. ამიტომ, მოკლედ გეტყვით: სერიული მკვლელობა ნებისმიერ სხვა მკვლელობაზე უფრო რთული გასახსნელია და სწრაფი შედეგის იმედი არც ჩვენ უნდა გვქონდეს.

— უფროსო, მკვლელი მკვლელია... — დაიწყო ოთახის კუთხეში მიმჯდარმა ერთმა ჯმუხმა პოლიციელმა, მაგრამ ლუკამ არ აცალა:

— არ არის ეგრე! მანიაკი მკვლელი სხვებზე უკეთ ინიღბება. გინდათ, ტიპური მანიაკი მკვლელის პორტრეტი დაგიხატოთ?

— თუ გულები არ გაგვისკდება, კი გვინდა! — გახუმრება სცადა ისევ იმ პოლიციელმა.

— ჩემო შალვა, — მიუბრუნდა მას ლუკა და თვალი თვალში გაუყარა, — როგორც ჩანს, უკვე დაგავიწყდა, რომ მკვლელმა, რომელსაც ჩვენ ვეძებთ, გული უკვე, სულ მცირე, სამ უმწეო ქალს გაუხეთქა, მგონი, ამაზე გაჩერებას არ უნდა აპირებდეს...

სახელით მიმართვამ პოლიციელი ისე დააბნია, რომ ფეხზეც კი წამოდგა.

— დაჯექი, დაჯექი, — დაამშვიდა იგი ლუკამ, — მივხვდი, რამაც გაგაოცა: თქვენთან შეხვედრამდე თითოეული თქვენგანის პირად საქმეს გულმოდგინედ გავეცანი და მარტო გვარ-სახელი კი არა, თქვენი ფასიც ნამდვილად ვიცი, მაგრამ, მოდით, ისევ საქმეს მივხედოთ: მანიაკ მკვლელს, საშუალოზე მაღალი ინტელექტი აქვს და იმასაც ჯიუტად ცდილობს, რომ გარშემომყოფთ საკუთარი ინტელექტუალური უპირატესობა ყოველ ნაბიჯზე აგრძნობინოს. ჩვეულებრივ, გემოვნებით იცვამს, არ უყვარს მყვირალა და გამომწვევი ფერები. სამსახურში კარგ მუშაკად იცნობენ. მეზობლები მშვიდ, წყნარ, ზედმიწევნით თავაზიან ადამიანად ახასიათებენ. ჩვეულებრივ, ძალიან ფრთხილობს, მაგრამ თუ მაინც ჩავარდა, დაკითხვების დროს, მთელ თავის ნიჭსა და შესაძლებლობას მოუხმობს და თავის დაძვრენას ეცდება. სხვათა შორის, ამას იმდენად ვირტუოზულადაც აკეთებს, რომ არცთუ ისე იშვიათად, გამოძიება შეცდომაშიც შეჰყავს...

— ბატონო ლუკა, მანიაკის დახასიათების კვალობაზე ზედმეტად მიმზიდველი პორტრეტი ხომ არ გამოგივიდათ? — ახლა სხვა პოლიციელმა ესროლა ლუკას რეპლიკა.

— თქვენ წარმოიდგინეთ, მანიაკი მკვლელი გარეგნულად სწორედ ასე გამოიყურება, — მშვიდად განაგრძო ლუკამ, — ოღონდ, ცხადია, მხოლოდ მაშინ, როცა ეს თავად სჭირდება, სულის სიღრმეში კი ყოველთვის ულმობელი მკვლელია... ერთი სიტყვით, ეს ფსიქოლოგიური ფენომენი ბოლომდე ჯერ ვერც კრიმინალისტებმა ამოხსნეს და ვერც ფსიქოლოგებმა. ცხადია, ამის პრეტენზია არც ჩვენ უნდა გვქონდეს, ამიტომ, ისევ იმას მივხედოთ, რაც შეგვიძლია: ჩვენს განკარგულებაში დღეს რამდენი კაცი იქნება? — მიუბრუნდა ის ვაჟას.

— ყველა, ვისაც აქ ხედავთ, — უპასუხა ვაჟამ, — დღეს რვანი ვიქნებით.

ლუკამ კარგად იცოდა, რომ გამოცდილი კადრების ნაკლებობას თბილისში კი არა, წამყვანი ქვეყნების დიდი ქალაქების პოლიციის განყოფილებებშიც ხშირად განიცდიდნენ. ამიტომ, რვა კაცი ნამდვილ ფუფუნებად ჩათვალა. ცოტა ხანში ყოველ მათგანს კონკრეტული დავალება მისცა და გაუშვა. თავად კი რამდენიმე წუთი ოთახში ჩაფიქრებული იჯდა: წინ მომქანცველი სამუშაო ელოდა და, ჯერჯერობით, რეალურად ხელჩასაჭიდიც არაფერი ჩანდა...

ლუკას ყველაზე მეტად, მაინც, პრესისა და ტელევიზიის მომაბეზრებელი ყურადღება ღლიდა. ამერიკიდან საქმის გამოსაძიებლად საგანგებოდ ჩამოყვანილი ქართველი გამომძიებელი ჟურნალისტებისთვის ზედმეტად გემრიელი ლუკმა იყო. ამიტომ, ისინი უკან არაფრის წინაშე არ იხევდნენ და ლუკას ლამის სულშიც კი უძვრებოდნენ. არადა, მან პრაქტიკიდან კარგად იცოდა, რომ პრესაში ატეხილ ხმაურს მანიაკი მკვლელი ნადირივით ბუნაგიდან გამოჰყავდა, რადგან, ამას სამართალდამცავების მხრიდან გამოწვევად აღიქვამდა და მათთან ერთგვარ „სასიკვდილო თამაშში“ ჩართული, არცთუ ისე იშვიათად, ახალ მკვლელობაზეც მიდიოდა...

ლუკამ ცნობისმოყვარე ჟურნალისტებისგან თავიდანვე შორს დაიჭირა თავი და მხოლოდ მოკლე პასუხებით შემოიფარგლა. მასმედიასთან პირველი შეხვედრა მარი მხეიძის გვამის ამოცნობის მეორე დღესვე ჰქონდა. პოლიციის სამმართველოდან გამოსულ ლუკას ათამდე ჟურნალისტი აედევნა:

— ბატონო ლუკა, ნამდვილად მანიაკ მკვლელთან გვაქვს საქმე?

— ამ ეტაპზე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ დროის მოკლე მონაკვეთში სამი მკვლელობაა ჩადენილი და მათი ხელწერა ერთმანეთს ძალიან ჰგავს...

— სამივე მოკლული მართლა ღამის შოუს მოცეკვავე იყო?

— დიახ.

— ბატონო ლუკა, რა გაარკვიეთ, მაინც, ვინ არის ის საშინელი ადამიანი, რომელიც ქალებს ასე გულგრილად ხოცავს და შემდეგ — ვითომც აქ არაფერიაო, ცხოვრებას ჩვეულებრივად განაგრძობს?

ლუკა ამ კითხვის დამსმელ ჟურნალისტ გოგონას, რომელიც სკოლის მოსწავლეს უფრო ჰგავდა, გაოცებული დააშტერდა:

— ეტყობა, პრესაში სულ ახალი მოსული ხართ...

— როგორ გეკადრებათ, უკვე სამი წლის სტაჟი მაქვს... — იტკიცა მან.

— მაშინ თქვენთვის უკვე ისიც ცნობილი უნდა იყოს, რომ საკუთარ მოსაზრებებსა და ვარაუდებს პოლიცია პრესას, როგორც წესი, არ უზიარებს...

— მაშინ, თქვენც მხოლოდ ფაქტებით გველაპარაკეთ! — არ აცალა სხვა ჟურნალისტმა.

— კონკრეტულად მაინც რა გაინტერესებთ?

— თუნდაც ის — სამივე ქალი მართლა ქერათმიანი იყო თუ არა?

— დიახ, სამივე ქერათმიანი იყო.

— ბოლო მოკლული ვინ ამოიცნო?

— ამ კითხვაზე არ გიპასუხებთ.

— კარგი, რა, ბატონო ლუკა, განა ისეთი რა გკითხეთ?.. — ახმაურდნენ ჟურნალისტები, — მხოლოდ გვარი და სახელი გვითხარით...

— კატეგორიულ უარს ვაცხადებ! ადამიანს, ვინც გვამის იდენტიფიკაციაზე დაგვეთანხმდა, უსიამოვნებები თქვენ გარეშეც არ აკლია.

— მაგრამ საზოგადოებამ ხომ სიმარ-

თლე უნდა იცოდეს, მას ამის უფლება აქვს!..

— საზოგადოებას ნამდვილად ბევრი რამის უფლება აქვს, მაგრამ მან ისიც უნდა იცოდეს, რომ ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევის უფლება, მხოლოდ იმიტომ, რომ ის მოკლულს იცნობდა და გამოძიებას საქმის წინ წაწევაში დაეხმა-



რა, ნამდვილად არავის აქვს...

ლუკა მშვენივრად ხვდებოდა, რომ დღეს თუ არა — ხვალ, ჟურნალისტები ანიმდე მის გარეშეც მიაღწევდნენ, მაგრამ თავს იმით იმშვიდებდა, რომ თავად მაინც ყველაფერი გააკეთა, რომ მისთვის ეს უსიამოვნება დროებით მაინც აეცილებინა.

ჟურნალისტებმა დიდხანს მართლაც არ ალოდინეს და ტელევიზიით ლუკას პირველი გამოჩენიდან სულ ორიოდე დღეში, ანი ახვლედიანის სახელიც ახსენეს. იმ მომენტში ტელევიზორთან მჯდარი ლუკა დაშლილი პისტოლეტის ნაწილების წმენდით იყო გართული. ნაცნობის სახელის გაგონებაზე თავი სასწრაფოდ ასწია და ეკრანიდან ანის უჩვეულოდ იისფერმა და უკვე ასე ნაცნობმა და საყვარელმა თვალებმაც შემოანათა.

ტარანივით „გამომშრალ“ ჟურნალისტ ქალს, ანი საგრიმიოროს კუთხეში ჰყავდა „მიმწყვდეული“. ეტყობოდა, რომ გოგონა კლუბში ახალი მისული იყო, რადგან არც საცეკვაო კოსტიუმი ეცვა და ვერც გრიმის გაკეთება მოესწრო, ამიტომ, ძალიან ფერმკრთალი და საკმაოდ დაღლილიც ჩანდა. იერიშზე გადასული ჟურნალისტი კითხვას კითხვაზე აყრიდა. ანი მშვიდად და აუღელვებლად პასუხობდა. თანაც, ყველაზე მწვავე და ზოგჯერ ძალიან უხერხულ კითხვებსაც თავს იმდენად ოსტატურად და ტაქტიანადაც არიდებდა, რომ ლუკამ აღფრთოვანება ვერ დამალა. „მაინც, რა უნდა ასეთ ქალს ღამის შოუში?!“ — გაოცებითა და ერთგვარი ბრაზითაც კი ჩაიბურდღუნა ბოლოს და პისტოლეტის ნაწილების წმენდა კიდევ უფრო გულმოდგინედ განაგრძო...

აჩიმ ახალი მოცეკვავე მამაკაცი მოიწვიაო — ამ მოულოდნელმა ცნობამ საცეკვაო დარბაზიდან გასახდელამდე, ელვის უსწრაფესად მიაღწია და მოცეკვავეები იმდენად დააინტრიგა, რომ ბევრმა შხაპის მიღებაზეც კი უარი თქვა და ისევ დარბაზში შემობრუნდა. მათ კარგად იცოდნენ, რომ ახალბედა ამ დასში შემთხვევით არასოდეს ჩნდებოდა. ვითომ, აჩის რომელიმე ჩვენგანის გაშვება აქვს ჩაფიქრებული? — გულში ერთნაირად ცივად გაჰკრა შოუს ყველა მოცეკვავე მამაკაცს...

ამასობაში აჩიმ ახალბედას დამოძღვრა დაამთავრა და პიანისტს ანიშნა, დაკკრა დაიწყეო. სცენაზე მდგარ მოცეკვავეს დარბაზიდან ოცი წყვილი თვალი მიაშტერდა.

ახალბედა საშუალოზე ოდნავ მაღალი იყო. ზომაზე მეტად დაძარღვული სხეული, ღია წაბლისფერი თმა, ცივი სახე და თავხედობამდე თავდაჯერებული გამოხედვა ჰქონდა. როგორც კი მუსიკის ხმა დარბაზს მოეფინა და აჩიმ მას მაგიდაზე მუშტის ენერგიული ბრაგუნიცააყოლა, მოცეკვავემ მკლავები გაშალა და აჩის მიერ მითითებული ყველა ილეთი ოსტატურად და ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე შეასრულა.

— ეშმაკსაც წაუღია მაგის თავი, უფრო მეტად კი — ტანი! — წამოიძახა უცბად მამუკამ, რომელიც სცენას საკმაოდ ნირწამხდარი მისჩერებოდა. ანიმ, თანაგრძნობის ნიშნად, მხარზე ხელი ფაქიზად შეახო, მაგრამ მამუკა, ეტყობა, იმდენად გაოგნებული იყო, რომ ქალის ხელის შეხებაზე არც კი შერხეულა...

ახალბედა მართლაც კარგად ცეკვავდა, რაც ანიმაც მაშინვე დააფიქსირა. მაგრამ განა მას შოუს რომელიმე მოცეკვავე მამაკაცი რაიმეთი ჩამოუვარდებოდა?!.

ანის არაფრით უნდოდა იმის დაშვება, რომ თუნდაც ისეთი დაუნდობელი ადამიანი, როგორიც აჩი იყო, ვინმეს ასე უცერემონიოდ გაწირავდა.

მუსიკა მოულოდნელად შეწყდა და მოცეკვავეც მაშინვე ადგილზე გაშეშდა. დარბაზში ჩამოწოლილ სიჩუმეს ახლა მხოლოდ მისი ხშირი სუნთქვაღა არღვევდა. უცნობმა თავი ამაყად ასწია და დარბაზს თვალი ქედმაღლურად მოავლო. გამომეტყველებაზე ეტყობოდა, რომ საკუთარი უპირატესობის სრული შეგრძნებით ტკბებოდა.

— ეს ყველაფერი ძალიან კარგი, — გაისმა ბოლოს აჩის ხმა, — მაგრამ, როგორც უკვე გითხარით, თავისუფალი ადგილი ნამდვილად არ მაქვს. თუმცა, თქვენი კოორდინატები მაინც დაგვიტოვეთ. თუ ვაკანსია გამოჩნდა, აუცილებლად მოგძებნით. ძალიან, ძალიან კარგად ცეკვავთ, ნამდვილად მოხიბლული ვარ...

— ოჰო, აჩი და კომპლიმენტი?! როგორც ჩანს, ერთ-ერთ ჩვენგანს აქედან პანღურის კვრითაც გაუძახებენ! — ჩაიბურტყუნა საბოლოოდ საქციელწამხდარმა მამუკამ.

ანიმ ჯერ მამუკას გადახედა, შემდეგ მზერა სცენაზე ამაყად მდგარ უცნობზე გადაიტანა: „ასე მაინც, რით მოხიბლა აჩი, რომ თუნდაც, შემოწმებაზე დაითანხმა? — ფიქრობდა გაკვირვებული ანი. — თუმცა, არა, ეს მოცეკვავე ნამდვილად არაფერ შუაშია. უბრალოდ, აჩიმ ამ „სპექტაკლით“ ყველას ხაზგასმით გვაგრძნობინა — საკუთარი შეუცვლელობის იდეა თავიდან საბოლოოდ ამოიგდეთო. თანაც, ეტყობა, იმისიც სჯერა, რომ საწადელს მიაღწია და ამიერიდან სცენაზე მართლა თავებს დავიხოცავთ...“

— რატომღაც, მგონია, რომ „სპექტაკლი“ ამით არ დამთავრდება. აჩის კიდევ რაღაც აქვს ჩაფიქრებული. სულ არ გამიკვირდება, ხვალ საღამოს სცენაზე ახალი მოცეკვავე ქალიც რომ დაგვახვედროს, — გადაუჩურჩულა ანიმ მამუკას, რომელმაც ამაზე მხოლოდ ხელი ჩაიქნია და დარბაზიდან გავიდა.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# ნეკა სებისკვერაძის ტრიუმფი ისრაელში

ისრაელში საქართველო-ისრაელის კვირეული ჩატარდა. მასში მონაწილეობდნენ ნეკა სებისკვერაძე, ნუგზარ ერგემლიძე და ბათუმის ცეკვისა და სიმღერის ფოლკლორული ანსამბლი. ყოველდღიურად, პროგრამით გათვალისწინებული იყო ერთი კონცერტი, ორი პოეზიის საღამო და სამეცნიერო კონფერენცია.

კვირეული გაიხსნა გრანდიოზული კონცერტით, რომელიც იერუსალიმში ცნობილ „ბენიამინ იომას“ დარბაზში გაიმართა. კონცერტი ნეკა სებისკვერაძემ გახსნა ებრაული სიმღერით — „იერუშალაიმ“, რასაც მაყურებელი ოვაციით შეხვდა. ნეკას გამოსვლას ისეთი დიდი წარმატება ხვდა წილად, რომ კვირეულის ორგანიზატორებმა ის კიდევ ერთი



კვირით დატოვეს ისრაელში. მან კონცერტები გამართა ქალაქებში — თელავივსა და აშდოდში. ყოველ კონცერტზე სრული ანშლაგი იყო, მისი პრესკონფერენციის შემდეგ კი ჟურნალ-გაზეთები ნეკას ფოტოებით აჭრელდა. რადიოში სისტემატურად ისმოდა ქართველი მომღერლის სიმღერები.

ისრაელში ფუნქციონირებს ორგანიზაცია „არტ მასტერ გრუპ“, რომელმაც ახალგაზრდა მომღერალი ისრაელში სექტემბრისთვის მიიწვია. ნეკა იქ ერთ თვეს დაყოფს და იმღერებს დუეტებს პოპულარულ მომღერლებთან, რომელთა სახელებს ჯერჯერობით არ გვიმხელს. მანამდე კი, კერძოდ, პირველ აგვისტოს, ნეკა სებისკვერაძე ბორჯომში გამართავს კონცერტს. ■

# რაში იყენებს საშა La Jolie კლიენტების თმას



როდესაც კონკია მეჯლისზე მოხვდა, კეთილმა ფერიამ მას არა მარტო ლამაზი კაბა და ფეხსაცმელი აჩუქა, არამედ ვარცხნილობაც შეუცვალა. იმიჯის ერთ-ერთი მთავარი და აუცილებელი კომპონენტი ვარცხნილობაა. ადამიანი ვარცხნილობით (ისევე, როგორც სამოსითა და მანერებით) გამოხატავს თავის განწყობას, შინაგან ბუნებას. სწორედ ამაში გვეხმარება პროფესიონალი სტილისტი საშა ლა ჟოლი. საშა ერთადერთი „თმის დიზაინერია“ საქართველოში, რომელსაც ვარცხნილობების დეფილეს იდეა დაებადა და განახორციელა კიდეც. მის ხელში არაერთმა „პოპულარულმა თავმა“ გაიარა, რაც თავისთავად მეტყველი ფაქტია. თუმცა, საშა არ ამხელს კონკრეტული ვარსკვლავების ვინაობას, რადგანაც, როგორც თვითონ ამბობს, ისინი პირველ რიგში, მისი მეგობრები არიან და არა კლიენტები და მას არ სურს სახელის მოსახვეჭად გამოიყენოს მეგობრების პოპულარობა. საშას „ადვილად დამეგობრების ნიჭი“ მისი ხასიათიდან გამომდინარეობს — მხიარულია და ადვილად შედის კონტაქტში. მისი ერთ-ერთი ახლობელია მსახიობი ია ფარულავა. „იასნაირი მეგობარი იშვიათად თუ შეგხვდება ცხოვრების მანძილზე“, — ამბობს სტილისტი.

მოგეხსენებათ, თბილისში, საშას სახელით ცნობილი კიდევ ერთი სტილისტია. ამ დამთხვევამ გამოიწვია ის, რომ „სეხნიები“ არა მარტო სახელით, არამედ პროფესიითაც, ხშირად ერევათ ერთმანეთში, მაგრამ როგორც ჩანს, ლა ჟოლის ეს არ აღელვებს:

— ყველამ იცის, ვინ არის ის და ვინ ვარ მე. ის სახელს იხვეჭს იმით, რომ „თხოვდება“, მე კი ჩემი საქმის პროფესიონალი ვარ. გარდა ამისა, მე დაბადებიდან მქვია საშა, ხოლო მისი ნამდვილი სახელი არც კი ვიცი. ჩვენ, მას მერე ვერევით ხოლმე ერთმანეთში, რაც მან გაავრცელა ინფორმაცია, რომ მოსკოვიდან არის ჩამოსული. სინამდვილეში, მოსკოველი საშა მე ვარ, ის კი, მგონი, აჭლაბრელი საშაა...

საშა ლა ჟოლი მართლაც, მოსკოვში იზრდებოდა, სადაც თავიდან, მოცეკვავედ მუშაობდა პოპულარულ რუს მომღერლებთან: შურასთან, ალიონა აპინასთან, მაშა რასპუტინასთან. ოთხი წლის წინ, ჩამოვიდა თბილისში და სტილისტობას მიჰყო ხელი. თავისი პროფესიიდან გამომდინარე, ცხადია, დიდ ყურადღებას აქცევს თავის ვარცხნილობას, ჩაცმულობას, ფეხსაცმელს. მის იმიჯს აგვირგვინებს თმისგან დამზადებული მინიატურული ჩანთა. ეს თავისთავად ორიგინალურია, მაგრამ ჩემი გაოცება საშას ამ ინფორმაციამ გამოიწვია:

— ეს ჩანთა დამზადებულია ჩემი კლიენტის თმისგან, სხვათა შორის, თმა ბუნებრივად შავი ფერისაა. თქვენ წარმოიდგინეთ, მეორე ჩანთაც მაქვს — ასევე თმისგან დამზადებული, რომელიც ბუნებრივად ქერაა...

როგორც იტყვიან, ჭეშმარიტი ხელოვნის ხელში, „უვარგისი“ მასალაც, შეიძლება შედევრად იქცეს... ■

# „ფლეში“, პატარა ანი და ფესტივალი „სუბტროპიკი“

შუა ზაფხულში, სულ უფრო აქტუალური ხდება ზღვის თემა. ჰოდა, „ფლეშის“ ბიჭებმაც აჭარისკენ გასწიეს, სადაც ახალი კლიპის გადაღება გადაუწყვეტიათ. ამჯერად, ისინი არც „გიჟ“ და „თიშ“ ქალს დასდევენ და არც დაბადების დღეს იხდიან. ახალი კლიპი ზღაპრული და იუმორისტული შინაარსისაა და მით უფრო საინტერესოა, რომ რაჯა, ბადრი და ჩიბო, მებადურების ამპლუაში გვევლინებიან, მაგრამ ოქროს თევზის დაჭერას ნუ ელით. ამგვარად, კლიპის მთავარი პერსონაჟი პატარა ანი ფაცაციაა: სწორედ მასთან დუეტში ასრულებენ ბიჭები თავიანთ ახალ სიმღერას. ტექსტზე და მუსიკაზე ლილიკო ნემსაძე და ირინა სანიკიძე მუშაობდნენ, ხოლო რეჟისორი ნიკა ლომიძე გახლავთ. ამით „ფლეშის“ სიახლეები არ იწურება. როგორც ვიცით, ბათუმი ფესტივალ „სუბტროპიკს“ მასპინძლობს და მისმა ორგანიზატორებმა „ფლეშსაც“ შესთავაზეს მასში მონაწილეობა. ■

მოამზადა ნეკა დადიანმა

# მოდელი ლუდის ხათრით გაშიშვლდა



ფილმში — ,,აკლდამების მძარცველი ქალი“ ლარა კროფტის როლის ერთ-ერთი კანდიდატი, მოდელი ლიუსი კლერკსონი, შიშველ მდგომარეობაში ფოტოს გადაღებაზე მას შემდეგ დათანხმდა, რაც დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ ოფიციალურად დართო მას დღეში ექვსი ლიტრი ლუდის დალევის ნება. ბრიტანული გაზეთი The Sun იტყობინება, რომ 19 წლის მოდელს ძალიან უყვარს ეს სასმელი, მაგრამ ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად, მისი დალევა ინგლისში მხოლოდ 21 წლიდანაა ნებადართული. ჟურნალისტები იტყობინებიან, რომ მოდელმა სიხარულით მიიღო წინადადება და აღნიშნა, რომ ლუდზე უარის თქმა მის ძალებს აღემატება. ჟურნალისტები იმასაც აღნიშნავენ, რომ ფუშფუშმკერდიანი მოდელი ისედაც საკმაოდ სრული ფორმებით გამოირჩევა და თუ დღეში ექვს ლიტრ ლუდს დალევს, მალე, ალბათ იძულებული იქნება, ხელი აიღოს მოდელის კარიერაზე. სხვათა შორის, როგორც კი ლიუსის ფოტო მამაკაცების ჟურნალში გამოქვეყნდა, მკითხველებმა გოგონა თვის ყველაზე სექსუალურ მოდელად დაასახელეს. ■

# კურნიკოვასა და იგლესიასის ხმაურიანი კავშირი



როგორც ახლახან გახდა ცნობილი, მომღერალი ენრიკე იგლესიასი და ჩრდილოეთ ჩოგბურთელი ანა კურნიკოვა ერთ საღამოს ლონდონის კლუბში შეხვდნენ ერთმანეთს. ვახშმის შემდეგ წყვილმა სასტუმრო ,,ოთხ სეზონს“ მიაშურა, სადაც მომღერალს წინასწარ ჰქონდა შეკვეთილი ნომერი, რომლის სადღეღამისო ღირებულებაც 2.500 დოლარს აღწევს. როგორც კი წყვილი ნომერში შევიდა, მას შამპანური და დელიკატესები მიართვეს. დილით კურნიკოვამ და იგლესიასმა სასტუმრო დატოვეს, ხოლო მათ მეზობლად მცხოვრებმა სტუმრებმა ოტელის ხელმძღვანელობასთან უჩივლეს: ,,მთელი ღამე ვერ დავიძინე, რადგან მათი ნომრიდან ხმამაღალი კვნესა მესმოდა“... — განაცხადა მეზობელ ნომერში მცხოვრებმა ქალმა. სასტუმროს ადმინისტრაციამ სულ ექვსი, დაახლოებით ერთნაირი შინაარსის საჩივარი მიიღო. თავად კურნიკოვასა და იგლესიასს აღნიშნული ფაქტისთვის კომენტარი არ გაუკეთებიათ. ■

# პამელა ანდერსონი მესამე შვილს ელოდება?

როგორც დასავლური მედია იუწყება, მალიბუს პლაჟის ლამაზმანი მაშველი კვლავ ორსულადაა და მესამე შვილის გაჩენას აპირებს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი განცხადება თავის სატელევიზიო ინტერვიუში ჯგუფ Aerosmith-ის ლიდერმა სტივ ტაილერმა გააკეთა, რომელმაც აღნიშნა, რომ პამელას თავის საქმროსთან კიდ როკთან ერთად ტურნეში გამგზავრება სურდა, მაგრამ ამ მიზეზის გამო, ვერ ახერხებს. 34 წლის ლამაზმანს წინა ქორწინებიდან — მუსიკოს, ტომი ლისთან ორი შვილი ჰყავს. ამ რამდენიმე ხნის წინ პემმა და კიდმა იჩხუბეს და დაგეგმილი ქორწილიც ჩაიშალა, მაგრამ სულ მალე ისევ შერიგდნენ, რაც, მორალური ხმებით, სწორედ პამელას ორსულობით არის გამოწვეული. ■



# ექს Spice Girls ბიოგრაფიებს აქვეყნებენ

სხვადასხვა გარემოების თანხვედრის გამო, ჯგუფ Spice Girls-ის ორი წევრის — მელ ბისა და ჯერი ჰოლიუელის ახალი წიგნები დღის სინათლეზე ერთსა და იმავე დღეს, 2 სექტემბერს გამოვა. მელ ბის ავტობიოგრაფიას, რომელიც მისი დღიურების მიხედვით დაიწერა (მომღერალი მას 13 წლიდან წერდა), Catch A Fire (,,ცეცხლის დაჭერა“) ეწოდება. წიგნში ასახული იქნება მომღერლის ახალგაზრდობა, მისი მცირეხნიანი ქორწინება ჯიმი გალზართან, Spice girls-ის დაშლა და მელ ბის სოლო კარიერა, რომელიც დიდი მიღწევებით არ აღინიშნა — მუსიკალურ ასპარეზზე იქნებოდა ეს, თუ



სატელევიზიო თოქ-შოუს წამყვანის ამპლუაში ბის გამოსვლისას. სხვათა შორის, აღნიშნული გამოცემით 26 წლის მელანი ბრაუნი თავისი ფინანსური მდგომარეობის გამოსწორებას იმედოვნებს. რაც შეეხება ჯერი ჰოლიუელს — ამ, მისთვის უკვე მეორე წიგნს Just For The Record (,,მხოლოდ ჩასაწერად“) ეწოდება. 29 წლის ვარსკვლავის ეს ნაშრომი 1999 წელს გამოსული მისი პირველი წიგნის გაგრძელებაა და ჯგუფ Spice Girls-ის სკანდალურ დაშლასა და ჯერის შემდგომ ცხოვრებას ასახავს. ჯერის პირველ ავტობიოგრაფიას დიდი წარმატება ხვდა წილად, მეორე წიგნში კი, კონტრაქტის თანახმად, ნახევარ მილიონ გირვანქა სტერლინგს მიიღებს. წიგნში 125, მანამდე გამოუქვეყნებელი ფოტო შევა. მკითხველი იმედოვნებს, რომ ჯერი, რობი უილიამსთან და კრის ევანსთან აქამდე გაუხმაურებელ რომანებსაც შეეხება. ■

# შერონ სტოუნი კვლავ გადასაღებ მოედანზე გადის

ავადმყოფობის შემდეგ ჩვეული ფორმა დაიბრუნა და უკვე როლთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებს აწარმოებს „ოქროს გლობუსის“ მფლობელი კინოვარსკვლავი, რომელიც რუპერტ ევერეტთან ერთად ფილმში – „ალტერნატიული ერთგულება“ გადასაღებად მიიწვიეს. შესაძლოა, მსახიობმა კიდევ ერთი სურათის – „მატყუარების კლუბის“ შექმნაშიც მიიღოს მონაწილეობა. როგორც ცნობილია, შარ-



შან ოქტომბერში შერონ სტოუნი ქმარმა – ჟურნალისტმა ფილ ბრონშტეინმა, სან-ფრანცისკოს ერთ-ერთ კლინიკაში იმის გამო მიიყვანა, რომ მსახიობი თავის ძლიერ ტკივილს უჩიოდა. მკურნალობის კურსის შემდეგ ექიმმა განაცხადა, რომ შერონი სრულიად ჯანმრთელია და არც პირად ცხოვრებასა და არც პროფესიონალურ მოღვაწეობაში პრობლემები არ შეექმნება. თავად მსახიობმა აღნიშნა, რომ გადატანილი ავადმყოფობის დროს მან სიკვდილთან მიახლოება იგრძნო და თეთრი ღვთაებრივი ნათელიც კი იხილა... ■



# პრინცი უილიამი შეიძლება ტერორისტთა სამიზნედ იქცეს

ინგლისის პოლიციამ სასწრაფოდ გაზარდა სამეფო ოჯახის დაცვის წევრთა რაოდენობა. ცოტა ხნის წინ, უმუშევარ ჰაკერს ხელში ჩაუვარდა ინფორმაცია, რომელიც სხვადასხვა ექსტრემისტულ ორგანიზაციას სამეფო რეზიდენციაზე თავდასხმის დროს შეიძლება გამოადგეს. ამ ფაქტმა ძალიან შეაშფოთა პრინცი ჩარლზი, რადგან დედოფლის დაზვერვის სამსახური რეგულარულად აწვდის მას ცნობებს იმის შესახებ, რომ გარდაცვლილი პრინცესა დაიანას ვაჟი, ინგლისელთა საყვარელი პრინცი უილიამი ტერორისტთა მთავარ სამიზნეს წარმოადგენს. ■

# ტობი მაგუაირსა და კრისტინა აგილერას რომანი გაუბამთ



ფილმის – „ადამიანი-ობობა“ ვარსკვლავი ტობი მაგუაიერი ამ ბოლო დროს სერიოზულად გაება პოპ-ვარსკვლავ კრისტინა აგილერას მომხიბვლელობის ტყვეობაში. მსახიობის მეგობრები აღნიშნავენ, რომ ლათინურამერიკელ მომღერალს ტობი რამდენიმე კვირაა ხვდება, მაგრამ წყვილი თავისი ურთიერთობის აფიშირებას არ ჩქარობს. დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც მაგუაიერი თავის ადრინდელ შეყვარებულს, მუსიკალური პროდიუსერის ქუინსი ჯონსის ქალიშვილს, რაშიდას დაშორდა და აი, უკვე მოასწრო ახალი რომანის გაბმა. კრისტინას მეგობრებიც ირწმუნებიან, რომ ეს უბრალო ფლირტი არ არის, რადგან გოგონას ტობისადმი სერიოზული გრძნობა გაუჩნდა. ■

# ვის უანდერძა ქონება ელტონ ჯონმა?

მისი უდიდებულესობის რაინდმა, სერ ელტონ ჯონმა ამას წინათ განაცხადა, რომ მთელ თავის ქონებას ბოიფრენდს – კანადელ პროდიუსერს დევიდ ფერნიშს დაუტოვებს.



ელტონისა და დევიდის ურთიერთობა უკვე 9 წელია გრძელდება. პარტნიორის ერთგულებაში დარწმუნებულმა მომღერალმა მას უყოყმანოდ უადერძა 235 მლნ დოლარი, თუმცა შესაძლოა, ეს ქონება ერთ დღეში შემცირდეს რამდენიმე ათეული მილიონით, რადგან ელტონი ფულის უზომო მფლანგველია. ცნობილია, რომ მომღერალს ფოტოსურათების, სათვალეებისა და ავტომობილების საუცხოო კოლექცია აქვს. საინტერესოა, რომ თუ ფოტოებს ელტონი დროდადრო მაინც ათვალიერებს, ზოგიერთი სათვალე მას არასოდეს გამოუყენებია და არც თავის ყველა მანქანაში მჯდარა. ■

# სტივენ სპილბერგმა ცხენებისთვის 12 მილიონი გაიღო



ქველმოქმედებით ცნობილმა ჰოლივუდელთა წყვილმა – რეჟისორმა სტივენ სპილბერგმა და მისმა მეუღლემ ქეით ქეფშოუმ ლოს-ანჯელესის ერთ-ერთ საცხენოსნო კლუბს 12 მლნ დოლარი გადასცა. ეს თანხა ცნობილმა ოჯახმა იმისთვის გაიღო, რომ 3 ჰა მიწა, სადაც ცხენები ბალახობენ, შენობების ასაგებად არ გაეყიდულიყო. ლოს-ანჯელესის ერთ-ერთმა სკოლამ ეს მიწა საცხენოსნო კლუბს იჯარით გადასცა, მაგრამ ამჟამად მისი 12 მილიონ დოლარად გაყიდვა გადაწყვიტა, რაც კლუბის ფინანსურ შესაძლებლობებს აღემატებოდა. ფორმალურად, ამ მიწის მფლობელი სპილბერგი იქნება, მაგრამ ეს არანაირად არ აისახება კლუბის მდგომარეობაზე. საცხენოსნო კლუბების ასოციაციის აღფრთოვანებულმა ხელმძღვანელმა მერი სვინმა განაცხადა: „ეს საოცრად გულუხვი საჩუქარია“. ■

# ჯიმ ქერი კარაოკეზე გიჟდება



აღმოჩნდა, რომ კომიკოს ჯიმ ქერის ერთი საიდუმლო გატაცება ჰქონია: თურმე კარაოკეში მონაწილეობის დროს, მას ძალიან უჭირს თავის შეკავება. ამას წინათ, ჰოლივუდში მან ადგილობრივი კარაოკე-ბარის მუდმივი სტუმრები გააოგნა, როცა შუაღამემდე მღეროდა და ისე იქცეოდა, როგორც კინოშიც კი არასოდეს მოქცეულა. იქ მყოფებმა გაოცება ვერ დაფარეს, როცა ქერიმ ელვის პრესლისა და როი ორბისონის სიმღერები შეასრულა. საკუთარი სიმღერით დამტკბარმა ჯიმ ქერიმ იაპონური კერძი, სუში შეუკვეთა და კმაყოფილმა დატოვა ბარი. ■

# ჯულია რობერტსი – ქმრებზე მონადირე ქალი

რამდენიმე კვირის წინ, კინოვარსკვლავისა და ოპერატორ დენი მოდერის ქორწილი გაიმართა. ქორწილის შემდეგ მოდერის ყოფილმა ცოლმა ვერამ ჟურნალისტებს საკმაოდ გულახდილი ინტერვიუ მისცა და განაცხადა, რომ ქმრის წართმევას ჯულია რობერტსს არასოდეს აპატიებს და



ისიც დასძინა – ჯულიამ მის ყოფილ ქმარზე დიდი იმედები ტყუილად არ უნდა დაამყაროს, რადგან დენი ერთგულებით არ გამოირჩევა – როგორც მე მღალატობდა, ჯულიასაც ასევე უღალატებსო... „მე ახლა დავთმე პოზიცია, მაგრამ გავა ერთი წელი და რობერტსი იძულებული გახდება, კვლავ სანადიროდ გამოვიდეს...“ – განაცხადა ვერა მოდერმა. ამბობენ, ვარსკვლავმა ქმრის სანაცვლოდ, ვერას 400 ათასი დოლარი გადაუხადა. ღირდა თუ არა ამ თანხის გაღება – ამას დრო გვიჩვენებს... ■

# ნიკოლ კიდმანმა რუმინულ სოფელს წარმატება მოუტანა



კინოვარსკვლავს ტრანსილვანიის ოლქის პატარა სოფელ პოლიგრაფუს საპატიო მცხოვრების ტიტულს მიანიჭებენ. ადგილობრივი მცხოვრებლები აღნიშნავენ, რომ მიუზიკლ „მულენ რუჟში“ მთავარი როლის შემსრულებელმა, რუმინულ სოფელს წარმატება და სახელი მოუტანა. საქმე ის გახლავთ, რომ ამჟამად სოფელ პოლიგრაფუში რეჟისორ ენტონი მინგელას ფილმის – „ცივი მთის“ გადაღება მიმდინარეობს. სოფლის თითქმის ყველა მცხოვრები მასობრივ სცენებშია ჩართული, ბრძოლის ამსახველი სცენების გადასაღებად კი ჯგუფმა სოფლის მკვიდრთა მიწები იჯარით აიღო. გარდა ამისა, თითოეული პირუტყვის შენახვისთვის ადგილობრივ ფერმერებს 100 გირვანქა სტერლინგის გადახდას შეჰპირდნენ. სოფლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა აღნიშნა: „ეს ფილმი ღმერთის ნამდვილი საჩუქარია!“ ნიკოლ კიდმანის გარდა, გადაღებებში მონაწილეობენ: ჯუდ ლოუ, რენე ზელვეგერი, ნატალი პორტმანი და დონალდ საზერლენდი. ნიკოლ კიდმანს თან მისი ორი ნაშვილები ბავშვი და 10 დამხმარე ახლავს, მათ შორის – მცველი, მწვრთნელი და ძიძა. არადა, თავიდან ნიკოლს თურმე ძალიან ეშინოდა უცნობ ქვეყანაში გამგზავრებისა. ფილმი „ცივი მთა“ იმ დაჭრილი ჯარისკაცის ცხოვრების ამბავს ასახავს, რომელიც თავის შეყვარებულს ამერიკის სამოქალაქო ომის შემდეგ უბრუნდება. ფილმის სცენარი ჩარლზ ფრეზერის ბესტსელერის მოტივებზეა შექმნილი. ■

*მოამზადა მანანა ლოლობერიძემ*

**წერილი მე-3. დასაწყისი იხ. „გზა“, №27-28**

**რამდენადაც ტრაგიკული არ უნდა იყოს, ინტრიგები საქართველოს სამეფო კარზე და ძალაუფლებისაკენ სწრაფვა, ქვეყნის გაერთიანების პროცესში ყველაზე აქტიურად გაგრძელდა. დასავლეთ საქართველოში ტახტზე თვალდამწვარი თეოდოსის ასვლამ და აფხაზთა სამეფოს დასუსტებამ, გაერთიანებისათვის ბრძოლაში ტაოს სამეფოს ჰეგემონია გამოიწვია. ამით იყო განპირობებული, რომ 975 წელს აფხაზთა სამეფოს (დასავლეთ საქართველო) ერისთავემა შიდა ქართლში იოანე მარუშისძემ, ტაოს მეფე დავით III კურაპალატს ქართლის შეერთება შესთავაზა.**

*კახა მაისურაძე*



# ინტრიგები საქართველოს სამეფო კარზე

## ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის (X-XI სს.)

წინადადება მიღებულ იქნა იმავე წელს. დავითი დიდი ჯარით გადავიდა შიდა ქართლში და ადგილობრივ დიდებულებს თავისი შვილობილისა და მემკვიდრის, ბაგრატ უფლისწულის მორჩილება უბრძანა. ამრიგად, ქართლი ტაოს სამეფომ დაიკავა, მაგრამ იმავე 975 წელს საქართველოს გაერთიანების მოწინააღმდეგე, ქართლის აზნაურები დაუკავშირდნენ კახეთის სამეფოს და ტაოს მეფისგან გათავისუფლება შესთავაზეს. პასუხად კახთა მეფე კვირიკე მეორემ ქართლში დიდი ჯარი გააგზავნა. შეიპყრეს ბაგრატ უფლისწული და მშობლებთან, გურგენ მეფესა და დედოფალ გურანდუხტთან ერთად კახეთში წაიყვანეს.

ამის საპასუხოდ ბაგრატის მამობილი დავით კურაპალატი ქართლში შეიჭრა, კახელთა ჯარი სასტიკად დამარცხა და მძევალთა გათავისუფლების პირობებზე უმალვე დაითანხმა კახთა მეფე კვირიკე.

სამი წლის შემდეგ, აფხაზთა სამეფოში თვალდამწვარ მეფე თეოდოსის მმართველობის გამო არეულობა დაიწყო. ამით ისარგებლეს როგორც დავით კურაპალატმა, ისე იოანე მარუშისძემ და 978 წელს ბაგრატი უკვე აფხაზთა მეფის სახლით დასავლეთ საქართველოში გაამეფეს, ხოლო სნეული თეოდოსი ტაოში გააგზავნეს, მაგრამ დავითისა და ბაგრატ III აფხაზთა მეფის მამობილ-შვილობილობა დიდხანს ვერ გაგრძელდა. ყოველივე იმით დაიწყო, რომ ბიზანტიის იმპერატორ ბასილ მეორეს მისივე სარდალი ბარდა ფოკა აუჯანყდა — 987 წელს. დავით კურაპალატმა დახმარება მეამბოხე სარდალს აღმოუჩინა ბასილ მეორის წინააღმდეგ. პასუხად ბიზანტიის იმპერატორმა სამხედრო-პოლიტიკური კავშირი ბაგრატ აფხაზთა მეფესთან დაამყარა და მოუწოდა, გაელაშქრა თავისი მამობილის დავით კურაპალატის წინააღმდეგ. მართლაც ბაგრატის ჯარი ტაოს მეფესთან საბრძოლველად გაემზადა და თრიალეთში დაბანაკდა. მამამისმაც, გურგენ მეფემ ბაგრატს სათანადო სამხედრო დახმარება აღმოუჩინა. სამაგიეროდ, შვილსა და შვილიშვილს განუდგა და დავით კურაპალატს მიემხრო ბაგრატის პაპა ბაგრატ II ქართველთა მეფე — რეგვენი (ამიერტაოსა და შავშეთ-კლარჯეთის გამგებელი). დავით კურაპალატს ასევე დაეხმარნენ სომხური სამეფოების მფლობელები: ანისის მეფე სუმბატი და ყარსის მეფე აბასი.

დავითის გაერთიანებული ლაშქარი ჯავახეთში — სოფ. დლივს დაბანაკდა. პირველი შეტაკება მის ლაშქარს ბაგრატ მესამის მამის, გურგენის ძალებთან მოუხდა. გურგენი სასტიკად დამარცხდა, რამაც ბაგრატ მესამესაც გამარჯვების რწმენა შეურყია. ასეთ ვითარებაში მან დათმობა ამჯობინა. იგი თვითონ გამოცხადდა დავით კურაპალატთან და ყველაფერი გაუგებრობას დაუკავშირა: თითქოს მან ლაშქარი შეკრიბა არა ტაოს მეფის, არამედ კლდეკარის ურჩი ერისთავის, რატი ბაღვაშის წინააღმდეგ. ძნელი გასარკვევია, თუ რამდენად დაუჯერა მას დავითმა, მაგრამ ფაქტია: კონფლიქტი ორივე მხარემ თავიდან აიცილა. დავითმა ლაშქარი დაშალა და ბაგრატს რატის წინააღმდეგ გალაშქრების უფლება მისცა.

ამასობაში კი, ბიზანტიის იმპერატორმა ბასილმა ამბოხებული სარდალი ბარდა ფოკა აბიდოსთან ბრძოლაში (989 წ.) სასტიკად დაამარცხა. ერთი წლის შემდეგ, იგი მისი მოკავშირის, დავით III კურაპალატის წინააღმდეგ დაიძრა. ბაგრატ მესამესთან ურთიერთობის გაფუჭების შემდეგ, დავით მესამისთვის შვილობილისთვის თავისი სამფლობელოს მემკვიდრეობით დატოვების საკითხი, დღის წესრიგიდანაც მოიხსნა. ამიტომ დავით კურაპალატი იძულებული გახდა, ბასილისათვის მორჩილება გამოეცხადებინა. მან ტახტის შენარჩუნების სანაცვლოდ, პირობა დადო, რომ გარდაცვალების შემდეგ ბიზანტიას გადასცემდა ტაოს სამეფოს. 1001 წელს გარდაიცვალა დავით კურაპალატი და შეთანხმებისამებრ, ბასილი კეისარი ბიზანტიური ჯარით ტაოში (იგულისხმება იმიერტაო) შემოვიდა. დავითის აზნაურებმა თავიანთი ციხეები ბიზანტიელებს ჩააბარეს. ამ დროს ტაოში იმპერატორთან გამოცხადდნენ ბაგრატ III და მისი მამა გურგენიც, რომელთაც იმედი ჰქონდათ, რომ კეი-

სარი ბასილი დავითის სამფლობელოს მათ გადასცემდა, მაგრამ ანგარიშში მოტყუვდნენ. კეისარმა ტაო (იმიერტაო) თვითონ დაიჭირა. სამაგიეროდ, შვილს – კურაპალატის, მამას – მაგისტროსის (უფრო დაბალი ხარისხი) ტიტულები უბოძა. ამ ფანდით იმპერატორს სურდა, მათ შორის შური აღეძრა და ისინი ერთმანეთისთვის დაეპირისპირებინა, მაგრამ როგორც გურგენმა, ისე ბაგრატმა მამაშვილური ურთიერთობა ბოლომდე შეინარჩუნეს...

საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში ინტრიგები სამეფო კარზე ამის შემდგომაც გაგრძელდა. ბაგრატ მესამე ქვეყნის გასაერთიანებლად თითქმის არავითარ საშუალებებს არ ერიდებოდა. როგორც ჩანს, შავშეთ-კლარჯეთში გარკვეული სეპარატიზმი გამომჟღავნდა, ამიტომ 1010 წელს მან ფანასკერტის ციხეში (ამიერტაოშია) წვეულებაზე მიიწვია თავისი მამის დისშვილები – სუმბატ და გურგენ არტანუჯელები და მოულოდნელად დაატყვევა. იგივე პოლიტიკა მეფემ კახეთ-ჰერეთის მიმართაც გამოიყენა. 1010 წელს გარდაიცვალა კახეთ-ჰერეთის მეფე დავითი. იმავე წელს ბაგრატი ამ მხარეში შეიჭრა და ახალბედა მეფე, კვირიკე მესამე ბოჭორმის ციხესთან დაატყვევა. კახეთ-ჰერეთიც გაერთიანებულ აფხაზთა და ტაო-კლარჯეთის სამეფოებთან მან ერთიან საქართველოს შემოუერთა.

1014 წლიდან საქართველოში უკვე ბაგრატის მემკვიდრე – გიორგი I გამეფდა. მის დროს, დაკარგულ ტაო-ბასიანის დასაბრუნებლად, ბიზანტიასთან დაპირისპირება ახალი ძალით გაგრძელდა. გიორგი I, რომელიც ემზადებოდა ბასილი კეისრის წინააღმდეგ საბრძოლველად, ბიზანტიასთან მტრულ დამოკიდებულებაში მყოფ ეგვიპტის სულთან ალ-ჰაქიმს, ერთობლივი საომარი მოქმედებების დაწყება შესთავაზა, მაგრამ კეისარმა დაასწრო. მისი ინტრიგებით საქართველო-ბიზანტიას შორის გაჩაღებული გადამწყვეტი ომის წინ, ალ-ჰაქიმი უგზო-უკვლოდ დაიკარგა, ხოლო ქართულმა ლაშქარმა ბიზანტიასთან სასტიკი მარცხი განიცადა, მაგრამ გიორგი პირველმა ინტრიგები იმპერატორ ბასილის წინააღმდეგ, კვლავაც აქტიურად გააგრძელა. მისი ჩარევითა და კონსტანტინოპოლელი ქართველების დახმარებით სტრატეგოსები: ქსიფე და ფოკა, ბასილი კეისარს აუჯანყდნენ, მაგრამ იმპერატორმა ამჯერადაც სძლია აჯანყებულებს და ფოკას მოკვეთილი თავი გიორგის გამოუგზავნა.

1025 წელს გარდაიცვალა ბასილი II და ბიზანტიის ტახტი მისმა ძმამ, კონსტანტინე მერვემ დაიკავა. გიორგი პირველმა ამჯერად აქტიურად დაუჭირა მხარი შეთქმულებას, რომელსაც კონსტანტინეს წინააღმდეგ ვასპურაკანის ოლქის მმართველი, ნიკიფორე კომნენოსი ხელმძღვანელობდა, მაგრამ შეთქმულება ჩავარდა. კონსტანტინე მერვემ საიმპერატორო ტახტზე პოზიციები მალე გაიმყარა, ხოლო შეთქმულთა მთავარ ძალებთან ანგარიშსწორების შემდეგ, ბიზანტიური ჯარი გიორგის წინააღმდეგ დაძრა, მაგრამ 1027 წელს აფხაზ-ქართველთა მეფე მოულოდნელად გარდაიცვალა და მამის ცოდვების მთელი სიმძიმე, ახალბედა მეფე, ბაგრატ მეოთხეს დააწვა. კონსტანტინეს ჯარმა მთელი მესხეთი საშინლად ააოხრა. ვითარების გამოსწორება შესაძლებელი, მხოლოდ ბიზანტიის ახალი იმპერატორის, რომანოზ არგიროსის (1028-34) მმართველობის პერიოდში გახდა. თუმცა მისსავე პერიოდში, დემეტრე უფლისწულმა თავისი ნახევარ ძმის, ბაგრატ მეოთის საწინააღმდეგოდ, საუფლისწულო ანაკოფიის ციხე (ახალი ათონი) ბიზანტიელებს გადასცა და თვითონაც კონსტანტინოპოლში გადასახლდა. ეს საქართველოს სამეფო კარზე მორიგი ინტრიგებისთვის საუკეთესო საბაბი გახდა. განსაკუთრებით კი მდგომარეობა ახალი იმპერატორის კონსტანტინე მონომახის მმართველობის პერიოდში დაიძაბა. ბიზანტიამ ისარგებლა საქართველოს მეფისა და ერთ-ერთი ერისთავის დაპირისპირებით, მეამბოხე კლდეკარის ერისთავ ლიპარიტ IV – ბაღვაშს თავისი არმია მიაშველა და ბაგრატის ნაცვლად, დემეტრე უფლისწულის გამეფება დაავალა.

**ბაგრატ III**



მართლაც, პირველად ბიზანტიური ჯარით ლიპარიტი საქართველოში 1045 წელს შემოიჭრა, დემეტრე უფლისწულთან ერთად დაეუფლა მთელ მესხეთს და შიდა ქართლის ცენტრს – ატენის ციხე-ქალაქს ალყა შემოარტყა, მაგრამ ქალაქის აღება ვერ მოახერხა, რის შემდეგაც ბაგრატ მეოთხეს დროებით დაუზავდა. მიღწეული შეთანხმებით, იგი დაინიშნა შიდა ქართლის ერისთავად, მაგრამ კოსტანტინე მონომახს, მის გადიდკაცებაზე მეტად, ბაგრატ მეოთხის დამხობა სურდა. ამიტომ მალე ომიც განახლდა. ამჯერად ბიზანტიის იმპერიამ დემეტრე უფლისწულსა და ლიპარიტ ბაღვაშს ახალი სკანდინავიელი მეომრებისგან შემდგარი დაქირავებული არმია გამოუგზავნა. გადამწყვეტი ბრძოლა 1047 წელს სასირეთის ჭალასთან (ახლანდელი კასპის რაიონი) გაიმართა. ბრძოლაში ბაგრატ IV სასტიკად დამარცხდა და თავი დასავლეთ საქართველოს შეაფარა. თუმცა საბოლოო მიზანს ვერც ბიზანტიამ მიაღწია: ბრძოლის წინ დემეტრე უფლისწული მოულოდნელად გარდაიცვალა.

1048 წელს ბიზანტიის არმიაში მებრძოლი ლიპარიტ ბაღვაში თურქ-სელჩუკებს ტყვედ ჩაუვარდა, რის გამოც ინტრიგები საქართველოს სამეფო კარზე ერთხანს მიწყნარდა. მაგრამ უკვე 1051 წელს, კონსტანტინოპოლმა ერთგული ქვეშევრდომი დიდძალი საფასურის გადახდით ტყვეობიდან დაიხსნა და ახალი არმიით კვლავ ბაგრატის წინააღმდეგ გამოგზავნა. კრიტიკული ვითარების გამო, საქართველოს მეფეც იძულებული გახდა, გარკვეული კომპრომისისთვის მიემართა. იგი თვითონ გამოცხადდა იმპერიის დედაქალაქში და ლიპარიტთან შერიგება შესთავაზა, მაგრამ ბაგრატი კონსტანტინოპოლში გამოკეტეს და სამი წელი საპატიო ტყვეობაში ჰყავდათ. ამ პერიოდში საქართველოს მეფე,ფაქტობრივად,ლიპარიტ ბაღვაში გახდა, რომელმაც ტახტზე სიმბოლურად, ბაგრატის მემკვიდრე, გიორგი უფლისწული (II) აიყვანა. მაგრამ თურქ-სელჩუკების საფრთხემ ბიზანტია აიძულა, ენერგიული ბაგრატი კვლავ კავკასიაში გამოეგზავნა. იმპერატორმა მიხეილმა ბაგრატ IV, როგორც იქნა, საქართველოს მეფედ (მთავრად) აღიარა. თუმცა იმავე ბიზანტიელთა მოთხოვნით, ბაგრატი ლიპარიტ მეოთხის გაზრდილ უფლებებს დათანხმდა და იგი მთელი მესხეთის მთავრად აღიარა, მაგრამ ლიპარიტისთვის ესეც ხანმოკლე აღმოჩნდა. 1058 წელს მისი გადიდკაცებით შევიწროებულმა მესხმა აზნაურმა სულა კალმახის ერისთავმა იგი შეიპყრო და ბაგრატ მეოთხეს გადასცა. მეფემ ის იძულებით ბერად აღაკვეცა, შემდეგ კი თავად ბერი, ანტონის სახელით ბიზანტიაში გადასახლდა. ■



# სამეფო Bentley

ტახტზე ასვლის ოქროს იუბილის აღსანიშნავად დიდი ბრიტანეთის დედოფალმა ელისაბედ მეორემ ახალი „სამსახურებრივი“ ავტომობილი მიიღო. ეს არის Bentley-ს ლიმუზინი, რომელიც აღჭურვილია სპეციალური დაკვეთით დამზადებული, 6,7 ლ სამუშაო მოცულობის 8-ცილინდრიანი ძრავათი. მონარქთა ყველა მოთხოვნისა და მაქსიმალური უსაფრთხოების წესების დაცვით, მის შესამუშავებლად ბრიტანული ფირმების მთელი კონსორციუმი შეიკრიბა, თუმცა ამ მანქანას ინგლისურს, ამ სიტყვის სრული გაგებით, ნამდვილად ვერ უწოდებ: როგორც ცნობილია, ამჟამად „ბენტლი“ გერმანულ კონცერნ „ფოლკსვაგენს“ ეკუთვნის, რომელსაც ასევე გერმანელი მენეჯერი, ფრანც-იოზეფ პეფგენი უდგას სათავეში.

ლიმუზინის სალონი იშვიათი ჯიშის ხის მასალითა და ძვირფასი ტყავით არის გაწყობილი. უკანა სავარძლები განცალკევებულია და სიმაღლეში რეგულირების მექანიზმი ახლავს. ავტომობილი ტყვიაგაუმტარი საბურავებითაა აღჭურვილი. აქვე დავძენთ, რომ დედოფლის ფარეხი შვიდი ავტომობილისგან შედგება, მათ შორისაა 5 „როლს-როისი“ და ორი „დაიმლერი“. აქამდე ელისაბედ II უმეტესად, Rolls-Royce Phantom VI-ით დადიოდა, რომელიც 1977 წელსაა გამოშვებული. 25 წლის მანძილზე ამ ავტომობილმა 200 ათასი კილომეტრი გაიარა. „ფოლკსვაგენის“ მთავარი დიზაინერის თქმით, ახალი „ბენტლი“ 25-წლიანი ექსპლუატაციისთვისაა გათვალისწინებული. მართალია, სადედოფლო ლიმუზინის გარეგნული იერი უფრო დინამიკური გახდა, ის მაინც მშვიდი, სოლიდური კონტურით გამოირჩევა. ■

# Citroen: Evasion-ს C8 შეცვლის



უკვე ამ თვეში, ევროპაში ამ ახალი ვენის გაყიდვა იწყება. თუმცა, საფრანგეთში ის უკვე ივნისში შევიდა სარეალიზაციო ქსელში. თავდაპირველად, C8-ის პრემიერა შემოდგომისთვის იყო დაგეგმილი, მაგრამ საავტომობილო ბაზარზე შექმნილმა სიტუაციამ – კერძოდ, მრავალადგილიანი მანქანების მზარდმა პოპულარობამ, ფრანგული ფირმის ხელმძღვანელობა აიძულა, დაეჩქარებინა პროცესი, მით უმეტეს, რომ C8-ის წინამორბედი – Citroen Evasion-ზე დიდი მოთხოვნა შეინიშნება.

დილერები ახალი ვენის ხუთ ვარიანტს მიიღებენ – 3 ბენზინისა და 2 დიზელისძრავიანს. საბაზო კომპლექტაციაში შედის: კონდიციონერი, კომპაქტდისკიანი მაგნიტოლა, მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემა და უსაფრთხოების 6 ბალიში. Excluziv-ის კომპლექტაციას შეიძლება დაემატოს აგრეთვე ტყავის სალონი და გამათბობლებით აღჭურვილი სავარძლები. ოფციად კი მომხმარებელს წვიმის სენსორსა და საბურავებში ჰაერის წნევის ელექტრონულ მაჩვენებლებსაც შესთავაზებენ. ■

# საიმედო „იაპონელები"


Toyota Urban Utility


Honda Jazz

იაპონელმა ავტომწარმოებლებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ უმაღლესი კლასის მანქანებს აწარმოებენ. ამჯერად ეს აშშ-ში მოხდა, რასაც ამერიკული ორგანიზაციის – J.D. Power and Associates-ის მიერ ჩატარებული ის რეიტინგი ადასტურებს, ყოველწლიურად, მთელი ქვეყნის ავტობაზარზე შექმნილ სიტუაციას რომ აანალიზებს. გამოკვლევის საფუძველს, ყოველ 100 ახალ ავტომობილში აღმოჩენილი ტექნიკური ხარვეზების ჯამი წარმოადგენს. საშუალოდ, ამ ციფრმა 131-ს მიაღწია, რაც 2001 წელთან შედარებით, 10%-ით ნაკლებია. საიმედოობით კი, იაპონური ავტოგიგანტის – „ტოიოტას" პროდუქცია ლიდერობს, რომელსაც საშუალოზე გაცილებით ნაკლები წუნი აღმოაჩნდა. მეორე ადგილზე „ჰონდას" ავტომობილები გავიდა, რეიტინგის მესამე სტრიქონი „ბე-ემ-ვე"-მ, მეოთხე კი „პორშემ" დაიკავა. საინტერესოა, რომ მეხუთე ადგილზე გასულმა „ჯენერალ მოტორსმა" (130 ხარვეზი ყოველ 100 მანქანაზე) „დაიმლერ კრაისლერს" გაუსწრო (141 ხარვეზი 100 მანქანაზე). „ფორდი" მეშვიდე ადგილს დასჯერდა. რაც შეეხება „ფოლკსვაგენს" – ამერიკული რეიტინგის თანახმად, მის 100 ავტომობილს 152 ხარვეზი აღმოუჩინეს და ამის შედეგად, გერმანული ავტოგიგანტი მეათე ადგილზე მოხვდა და ისევ იაპონური ფირმები – „მიცუბიში" და „ნისანი" გაუშვა წინ. საერთო ჯამში, საავტომობილო მრეწველობის პროდუქციის ხარისხი, ბოლო 5 წლის მანძილზე საგრძნობლად გაუმჯობესდა. საუკეთესო მაჩვენებლებს ამ ხუთწლეულის მიხედვით, „ტოიოტამ" და „ჯენერალ მოტორსმა" მიაღწიეს, რომლებმაც თავიანთი პროდუქცია შესაბამისად, 31 და 30 პროცენტით გააუმჯობესეს. ■

# საოჯახო Space Star-ი




კომპანია „მიცუბიშიმ" გამოაცხადა, რომ 2004 წელს მისი მანქანების დიზაინი რადიკალურად შეიცვლება. მათ გარეგნულ იერზე „დაიმლერ კრაისლერის" დიზაინერი ოლივიე ბიულაი მუშაობს, რომელმაც ცოტა ხნის წინ, ლუქსის კლასის ლიმუზინი „მაიბახი" დააპროექტა. სპეციალისტთა ვარაუდით, კომპანიის ახალი ავტომობილები უახლოეს საერთაშორისო ავტოსალონებზე იქნება წარმოდგენილი, ჯერჯერობით კი, „მიცუბიშის" მანქანებს არანაირი ცვლილება არ განუცდია. მაგალითად, სულ ცოტა ხნის წინ, ფირმამ ავტომოყვარულთა სამსჯავროზე წარმოადგინა განახლებული ვენი Mitsubishi Space Star-ი, რომელსაც ახალი მხოლოდ რადიატორის ცხაური, მაშუქები და უკანა ფარნები აქვს. სამაგიეროდ, ძრავების სპექტრს, რომელშიც აქამდე 2 ბენზინის (1,3 ლ-იანი და 1,6 ლ-იანი) და 1 დიზელის (1,9 ლ-იანი) ძრავა შედიოდა, კიდევ ერთი – პირდაპირი შეშხეფების პრინციპით მოქმედი 1,8 ლ-იანი, 112 ცხ.ძ-იანი აგრეგატი შეემატა. ეს ავტომობილი იმთავითვე კარგად მიიღო მომხმარებელმა. ის საკმაო პოპულარობით სარგებლობს ევროპაში – მაგალითად, გერმანიაში შარშან 11400 Space Star-ი გაიყიდა, რაც ამ ქვეყანაში „მიცუბიშის" მიერ რეალიზებული პროდუქციის მესამედს შეადგენს.

ამ ვენს ძალზედ მოსახერხებელი კონსტრუქცია აქვს. ის კომპაქტურია (სიგრძე – 4 მ, სიგანე – 1,5 მ), მაგრამ ამავე დროს, ძალზედ ტევადია და ნამდვილი საოჯახო მანქანის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს. „სფეის სთარის" საბარგულის მოცულობა 370 ლ-ს აღწევს, ხოლო უკანა სავარძლების დაკეცვისას, ეს მაჩვენებელი 1000 ლ-მდე იზრდება. ევროპაში Space Star-ი 14.310 ევრო ღირს (იგულისხმება 1,3 ლ-იანი ძრავით აღჭურვილი საბაზო მოდელი). განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ განახლებული მოდელის ფასი უცვლელი დარჩა. ■

# დეჟა-ვიუ — განმეორება იქნება

*რუბრიკას უძღვება ექიმი*
*თამარ მამაცაშვილი*

ზოგჯერ რომელიმე უმნიშვნელო საგანი, სიტყვა, ან ხელის უბრალო მოძრაობა კარგავს სინამდვილის მწყობრ მიმდინარეობას და თქვენ რაღაც უცნაური განცდა გეუფლებათ. უეცრად გეჩვენებათ, რომ ეს უკვე იყო — ოდესღაც თქვენ უკვე იჯექით ზუსტად ამგვარად, ვიღაცამ უკვე წარმოთქვა ეს სიტყვები და სადღაც შორს, დიახ, ზუსტად ასე ჟღერდა მელოდია, ფანჯარაზე კი იგივე კაქტუსები იდგა...

მეცნიერებამ დღემდე ვერ იპოვა დეჟა ვიუ-ს ფენომენის ახსნა. მის განსაზღვრას ცდილობენ სხვა ფენომენების, მაგალითად, ცრუ მეხსიერების გზით. ნამდვილისგან განსხვავებით, ცრუ მეხსიერება არ წარმოადგენს თქვენი წარსულის გამოცდილებას, არამედ მხოლოდ მისი იმიტაციაა: ქმნის მოგონების ილუზიას. მაგრამ რატომ ხდება ეს? ახლა გაგაცნობთ რამდენიმე ჰიპოთეზას, რომელიც ფანტასტიკური რომანების ნაწყვეტებს უფრო ჰგავს.

## 1. პარაფსიქოლოგიური ჰიპოთეზა

პარაფსიქოლოგები დეჟა ვიუ-ს რეინკარნაციის იდეით ხსნიან. ამ იდეის თანახმად, ცოცხალი ორგანიზმის არსებობა არ მთავრდება სხეულის სიკვდილთან ერთად, არამედ გრძელდება სხვა სხეულში. რეინკარნაციის იდეის მიმდევრები იყვნენ ინდოელები, ბუდისტები, ძველი ბერძნები და ცნობილი შვეიცარიელი ფსიქოლოგი კარლ გუსტავ იუნგიც კი.

პირველად დეჟა ვიუს განცდა იუნგს 12 წლის ასაკში ჰქონდა და სიცოცხლის ბოლომდე გრძნობდა, თითქოს ორი, პარალელური ცხოვრებით ცხოვრობდა. მეორე პიროვნება, რომელსაც იუნგი საკუთარ თავში განიცდიდა, იყო XVIII საუკუნეში მცხოვრები ექიმი, რომლის პორტრეტიც მან შემთხვევით ნახა. „მისი თასმებიანი ჩექმების დანახვაზე გამიჩნდა გრძნობა, რომ ოდესღაც ისინი მე მეცვა“.

ლევ ტოლსტოი მეგობრისადმი მიწერილ წერილში აღწერდა დეჟა ვიუს მოვლენას, რომელიც ნადირობის დროს შეემთხვა. ცხენიდან ჩამოვარდნის მომენტში მას საოცარი რამ გაახსენდა: 200 წლის წინ ერთი ცხენოსანი ზუსტად ასე ჩამოვარდა ცხენიდან. ტოლსტოი დარწმუნებული იყო, რომ ეს ცხენოსანი თავად იყო.

## 2. გენეტიკური ჰიპოთეზა

დეჟა ვიუს შემდეგი ახსნა გენეტიკური მეხსიერების მოქმედებასთანაა დაკავშირებული. მის შესახებ ცოდნაც ბურუსითაა მოცული. ვარაუდობენ, რომ ამ მეხსიერებაში ჩადებულია ამოუწურავი გენური არქივები, რომელშიც ჩაწერილია ცოდნა მშობლების, მათი მშობლების და ა.შ. შესახებ დედამიწის პირველ ადამიანამდე. ასეთ შემთხვევაში, დეჟა ვიუს ფენომენი იშიფრება, როგორც ინტუიციური, ჯერჯერობით უცნობი ფორმულებით ამოკითხული მეხსიერების ნაწყვეტები წინაპართა ცხოვრებიდან.

იუნგის ფიგურა პარადოქსულად აახლოებს ერთმანეთთან პირველ და მეორე ჰიპოთეზებს. თუ თავად მეცნიერისათვის რეინკარნაციის იდეა იყო ახლოს, მის მიერ მოწოდებული თეორია „კოლექტიური არაცნობიერის“ შესახებ გენეტიკური მეხსიერების იდეას უახლოვდება.

## 3. ფსიქოანალიზური ჰიპოთეზა

ზოგიერთი ფსიქოანალიტიკოსი დეჟა ვიუს განიხილავს, როგორც ქვეცნობიერის უცნობი სიტუაციებისაგან დამცავ მექანიზმს. უჩვეულო, საშიში მდგომარეობა აიძულებს ადამიანს, გაუცნობიერებლად ეძებოს მასში წვრილმანი, ნაცნობი ელემენტები (სუნი, ნივთების განლაგება, ცალკეული სიტყვები...). უცხოს დაახლოვების სურვილი იმდენად დიდია, რომ დეტალთა შეცნობა ქვეცნობიერად მთელ სიტუაციაზე ვრცელდება და ადამიანს ეჩვენება, რომ ეს ყველაფერი მან უკვე ნახა, მოისმინა, იგრძნო და მისი შიშიც შეუცნობლის წინაშე ქრება.

## 4. ფსიქიატრიული ჰიპოთეზა

ფსიქიატრები დეჟა ვიუს მეხსიერების დამახინჯებით ხსნიან და მას ფსიქოლოგიურ დარღვევას უკავშირებენ. მათი აზრით, დეჟა ვიუს საკმაოდ სერიოზულად უნდა მივუდგეთ. ამ ეფექტის ხშირი და ძლიერი გამოვლინება, მეხსიერების ან ტვინის მუშაობის დარღვევის ზოგიერთი ფორმის სიმპტომებს წარმოადგენს და შესაძლოა, ბოდვითი ფანტაზიები, ჰალუცინაციები ან ამნეზიაც კი გამოიწვიოს. თუ დეჟა ვიუ უცნობის ნაცნობად მიღებაა, ამნეზია ხომ ნაცნობის უცნობად მიღებას წარმოადგენს. ამიტომ, თუ ხშირად და მკვეთრად გრძნობთ დეჟა ვიუს მოვლენებს, უნდა მიმართოთ ფსიქიატრს, რათა ტვინის მუშაობის პათოლოგია გამოირიცხოს.



## 5. სიზმრისეული ჰიპოთეზა

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, დეჟა ვიუსა და სიზმარს შორის პრინციპული სხვაობა არ არსებობს. დეჟა ვიუ მხოლოდ დავიწყებული სიზმარია. როცა რეალური ცხოვრებიდან რაღაც შეერწყმის სიზმრისეულ წარმოსახვას, ეს იმდენად დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზე, რომ დავიწყებული სიზმარი ზედაპირზე ამოტივტივდება ხოლმე.

## 6. ტვინთან დაკავშირებული ჰიპოთეზა

შემდეგი ვერსიის მომხრენი დარწმუნებულები არიან, რომ დეჟა ვიუს ფენომენი მხოლოდ ადამიანის ტვინს ახასიათებს. გარე გამღიზიანებლები ჩამრთავი მექანიზმის როლს ასრულებს: რაიმე სუნი, ბგერა ან გამოსახულება ააქტიურებს ტვინის გარკვეულ უბანს, რომელიც ილუზიურ მოგონებას აღძრავს. ტვინი თითქოს იგონებს მას და ამ შეთხზული მოგონებებით გვეუბნება რაღაც მნიშვნელოვანს, რისი გაგებაც ჩვენ არ შეგვიძლია.

## 7. ჰოლოგრაფიული ჰიპოთეზა

სპეციალისტთა აზრით, დეჟა ვიუს ფენომენი ჰოლოგრაფიის პრინციპზეა აგებული. ეს სიტყვა ბერძნულად ნიშნავს „ვწერ ყველაფერს“. ჰოლოგრაფიულ გამოსახულებაზე თითოეული წერტილი იმდენ ინფორმაციას შეიცავს, რომ მის მიხედვით მთელი სურათის აღდგენა შეიძლება.

კოდირებული, არქივირებული სახით, ტვინი ინახავს პრაქტიკულად მთელ ინფორმაციას, რომელსაც ჩვენ ცხოვრებაში ვღებულობთ, მაგრამ თავის ქალაში ამ ინფორმაციის ჩასატევად, ტვინი კუმშავს მას ისე, რომ ძნელი ხდება საჭირო ცნობების ამოგდება. სამაგიეროდ, მცირე დეტალის მეშვეობით ესა თუ ის ინფორმაცია ადვილად ამოტივტივდება. ჰოლოგრაფიის მსგავსად, ერთი ნაცნობი დეტალის მიხედვით, გვეჩვენება, რომ გვახსოვს მთელი ცხოვრებისეული ეპიზოდი.

### საშუალო ასაკის დეჟა ვიუ

დადგენილია, რომ დეჟა ვიუს ასაკობრივი პიკები ახასიათებს: 16-18 წლის და 35-40 წლის ასაკში. პირველი პიკი იმით აიხსნება, რომ მოზარდი ძალიან დრამატულად და მკვეთრად აღიქვამს მოვლენებს და რადგანაც ცხოვრებისეული გამოცდილება მას მცირე აქვს, დახმარებისათვის ფიქტიურ გამოცდილებას – ცრუ მეხსიერებას მიმართავს. მეორე პიკიც გარდატეხის პერიოდზე – შუახნის ასაკის კრიზისზე მოდის, მაგრამ ამჯერად დეჟა ვიუს მომენტები ნოსტალგიურ ფერებშია შეღებილი, როცა ყველაფერი წარსულს ახსენებს ადამიანს.

და მაინც, რატომ გვაშინებს ასე დეჟა ვიუ? რატომ ვერ ვპოულობთ ადგილს, როცა აღმოვაჩენთ, რომ მეხსიერება გვღალატობს? პასუხი მარტივია: იმიტომ, რომ მეხსიერების დაკარგვა თავის დაკარგვას ნიშნავს. ჩვენი „მე" იმის იდენტურია, როგორიც გვახსოვს საკუთარი თავი. თითოეულ ჩვენთაგანს ამ ცხოვრებაში თავისი როლი აქვს და იგი სუფლიორის გარეშე უნდა შევასრულოთ. ■

# მტრის პორტრეტი

**იძებნება:** სახლის ტკიპი (იგივე მტვრის, იგივე საპროფიტი).

**განსაკუთრებული ნიშნები:** მისი ნახვა მხოლოდ ელექტრონული მიკროსკოპით შეიძლება, რადგან ტკიპის ზომა 0,3 მმ-ს არ აღემატება. აქვს რვა ფეხი. ობობას მონათესავეა.

**ჩადენილი დანაშაულობანი:** ამ მიკროსკოპული არსების ცხოველქმედების პროდუქტები – ნერწყვი და ექსკრემენტები (საჭმლის მონელების პროცესის პროდუქტი) შეიცავს ალერგენ PI-ს და შეიძლება გახდეს ისეთი ალერგიული რეაქციების მიზეზი, როგორიცაა რინიტი (სურდო) ან ატოპიური ბრონქული ასთმა.

**საცხოვრებელი გარემო:** ტკიპისთვის ძალზედ ხელსაყრელია ის ეკოლოგიური პირობები, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს. განსაკუთრებით კარგად გრძნობს თავს +20-25 გრადუს ტემპერატურაზე და 70-75% ფარდობით ტენიანობაზე. მას შეუძლია აიტანოს ტემპერატურის ცვლილება -10-დან +60 გრადუსამდე. გამრავლების პერიოდი ზამთარია.

ცხოვრობს ლოგინში (80%-ში), განსაკუთრებით ლეიბების ნაკეცებში. ორსაწოლიან ლოგინში თავსდება 500 მილიონამდე ტკიპი, რომლებიც, სხვათა შორის, ერთ ადგილზე კი არ სხედან, არამედ თავისუფლად დახეტიალობენ ოთახიდან ოთახში.

მეცნიერთა მონაცემებით, ბინა, რომელიც ცუდად თბება და კარგად ნიავდება ორპირი ქარით, საუკეთესოა ჯანმრთელობისათვის, რადგან მასში გამორიცხულია საპროფიტი ტკიპების გამრავლების შესაძლებლობა.

**კვების რაციონი და ჩვევები:** საკუთრივ ბუმბული და ბეწვი ტკიპის მენიუში არ შედის – ეს ცოტა ხნის წინ დაამტკიცეს კიოლნის ანთროპოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარებმა, მაგრამ ბუმბულის ბოლოზე არსებული სისხლის მიკრონაწილაკები კი საკმაოდ ნოყიერი გარემოა ტკიპისათვის. ყველაზე საყვარელი სასუსნავი კი ცხოველისა და ადამიანის ეპიდერმისის (კანის ზედა შრის) ქერცლია. ყოველდღიურად ჩვენ კანის 1 გ-მდე მიკრონაწილაკებს ვკარგავთ. ამ რაოდენობის მეოთხედიც კი საკმარისია იმისათვის, რომ რამდენიმე ათასმა ტკიპმა ერთი თვის განმავლობაში არ იშიმშილოს. სიცოცხლის განმავლობაში ერთი საპროფიტი იმდენ ექსკრემენტს გამოყოფს, რომ მათი მასა 2 ათასჯერ აღემატება თვით ტკიპის მასას. ტკიპის ნაწლავი ხომ დღის განმავლობაში 20-ჯერ იცლება.

**აღმოჩენისას გაანადგურეთ! როგორ?** სახლის ტკიპთან ბრძოლის ყველაზე რადიკალური მეთოდი იქნებოდა მედიკოსების რჩევის გათვალისწინება და ძველი ბალიშების, საბნების და ლეიბების გადაყრა და ახლის შეძენა ყოველ 3-4 წელიწადში ერთხელ, მაგრამ რამდენადაც ეს ხერხი საგრძნობლად იმოქმედებს თქვენს ჯიბეზე, უმჯობესია სხვა გზა მოვნახოთ.

ალერგიული დაავადების მქონე ავადმყოფებს დღეს ექიმები ურჩევენ ხელოვნური შიგთავსის მქონე ლოგინს, რომელიც რეგულარულად შეიძლება გაირეცხოს.

ლოგინი ხშირად უნდა განიავდეს (საწოლიდან ადგომისას, მაშინვე ნუ გადაასწორებთ ლოგინს – საბანი გადაწიეთ, ფანჯარა გამოაღეთ და ასე დატოვეთ ნახევარი საათი), ბალიშები დაიბერტყოს, გამზეურდეს.

ტკიპებს არ უყვართ ყინვა და დაბალი ტენიანობა (50%-ზე ნაკლები), ამიტომ კარგი იქნება, თუ ზამთარში რეგულარულად გაიტანთ ლოგინს აივანზე 2-3 საათით ცივ, გამჭოლ ნიავზე.

მზის პირდაპირი სხივები ტკიპების დიდი მტერია. ულტრაიისფერი სხივი 2 საათის განმავლობაში შლის თვით ტკიპების ცხოველქმედების პროდუქტებსაც კი, რომელიც აქტიურ ალერგენებს შეიცავს. ზაფხულში ლოგინი ხშირად გაამზეურეთ. 60-95 გრადუსი ტემპერატურა ხოცავს საპროფიტებს. ამიტომ ლოგინის თეთრეული რეგულარულად გარეცხეთ ცხელ წყალში.

ლეიბს შეიძლება გადაეკრას სპეციალური ანტიმიკრობული გადასაკრავი, რომელიც პარაზიტის შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს. ასეთი ანტიალერგიული გადასაკრავი დამზადებულია სპეციალური მასალისაგან, რომელიც არ ატარებს ჰაერს ტკიპების ცხოველქმედების პროდუქტებთან ერთად. იგი უნდა გაირეცხოს ნახევარ წელიწადში ერთხელ მაინც.

შეძლებისდაგვარად ბინაში უნდა შექმნათ ტენიანობა 40-50%. ამაში კონდიციონერები და ჰაერის გამწმენდი საშუალებები დაგეხმარებათ.

საგულდაგულოდ დაალაგეთ საძინებელი – თუ ყოველდღე არა, კვირაში ერთხელ მაინც. გამოიყენეთ ტკიპების გამანადგურებელი პრეპარატები – აკარიციდები. გახსოვდეთ: რაც ნაკლები მტვერი იქნება საძინებელში და ლოგინზე, მით ნაკლებია ეს საპროფიტი. ასე რომ, ნუ დატვირთავთ საძინებელს წიგნებით, ბევრი ავეჯით და რელიეფებიანი ხალიჩებით, რომელიც მტვრის ბუდეს წარმოადგენს, თორემ მთელი თქვენი ცხოვრება რვაფეხიან მტრებთან მტანჯველ ბრძოლად გადაიქცევა. ■



# შხაპი თუ აბაზანა



## რისთვის შევდივართ საბაზანოში?

გამოსაფხიზლებლად: დილის ძილის შემდეგ, მოდუნებული სხეული წყლის ჭავლის ქვეშ მთელი დღის სამყოფი ენერგიით იმუხტება. რელაქსაციისათვის: ძალზედ სასიამოვნოა სურნელოვან, თბილ წყალში ჩაძირვა და დღის განმავლობაში დაგროვილი დაღლილობის „ჩამობანა“. სისუფთავისთვის: წყალი ხომ გამწმენდ სტიქიად ითვლება — იგი ჩამოგვბანს არა მხოლოდ მტვერს კანიდან, არამედ ენერგეტიკულ „ჭუჭყსაც“. ამრიგად, საბაზანო უბრალო ოთახი კი არა, მთელი ფსიქოლოგიაა, მაგრამ რას ანიჭებთ უპირატესობას: სწრაფ შხაპს თუ მშვიდ აბაზანას?

თუ თქვენთვის მნიშვნელოვანია, რომ დახარჯოთ ნაკლები რაოდენობის წყალი და პროცედურა სწრაფად ჩატარდეს, მაშინ შხაპს აირჩევთ. შხაპი აბაზანასთან შედარებით უფრო ჰიგიენურია, რადგან ჭუჭყი გამდინარე წყლით ჩამოირეცხება (სწორედ ამიტომ, კრიტიკულ დღეებში ქალებისთვის რეკომენდებულია შხაპი და არა აბაზანა).

მეორე მხრივ, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ აბაზანაში ყოველდღიურად ჩაწოლა ჰიდროთერაპიის (წყლით მკურნალობის) ერთ-ერთი ფორმაა. მით უმეტეს, თუ აბაზანა ჰიდრომასაჟის თანამედროვე მოწყობილობითაა აღჭურვილი.

საშხაპეებისა და საბაზანოების თანამედროვე მოდელებში შეგიძლიათ, კომპიუტერს შეუკვეთოთ თქვენი გემოვნების შესაფერისი მასაჟი: მომადუნებელი ან მასტიმულირებელი, კონტრასტული, ზონალური; შესაძლებელია თითოეული კუნთის მასაჟირებაც — კეფიდან ქუსლამდე. ზოგიერთ აბაზანაში მასაჟის ტიპი წყლის განათების ფერის მიხედვითაც შეგიძლიათ ცვალოთ: ცისფერი ჭავლი ამშვიდებს, ხოლო წითელი — ამხნევებს ადამიანს.

## აბაზანის შერჩევისას გახსოვდეთ:

● თუჯისა და რკინის აბაზანები საკმაოდ მოძველდა. ისინი, რა თქმა უნდა, შედარებით იაფია, მაგრამ — საკმაოდ სტანდარტულიც. დღეს ძალზე პოპულარულია აკრილი — ორგანული მასალა, რომელიც ძვირია, მაგრამ სითბოს უკეთესად ინარჩუნებს, ვიდრე ფოლადი ან თუჯი. ადვილად იწმინდება, ფეხი მასზე არ ცურავს და დენს არ ატარებს (მაშასადამე, უსაფრთხოა ელექტროხელსაწყოების გამოყენების დროს). სანტექნიკისათვის ყველაზე ეგზოტიკური და ყველაზე ჰიგიენური მასალა კი... ხეა, რომელიც მიკრობებზე დამღუპველად მოქმედებს.

● თუ სანიტარული კვანძი პატარაა, მაგრამ სურვილი გაქვთ, დადგათ აბაზანა, სცადეთ კუთხის ფორმისა.

● თუ ჰიდრომასაჟისათვის განკუთვნილი აბაზანის მოწყობა გადაწყვიტეთ, შეამოწმეთ თქვენს ბინაში ხარიხების სიმყარე, რადგან პირამდე სავსე ასეთი აბაზანა ორ ტონამდე იწონის და შესაძლოა გასაპნული, ქვედა სართულზე აღმოჩნდეთ.

## საშხაპე კაბინის შერჩევისას გახსოვდეთ:

● კაბინის კედლები შეიძლება დამზადებული იყოს თერმომდგრადი პლასტიკის ან გამოწრთობილი მინისაგან. მინა უმჯობესია, რადგან 15-ჯერ მდგრადია პლასტიკაზე, ადვილად იწმინდება, არ იჩხაპნება და დამტვრევის შემთხვევაში მისი ნატეხები სრულიად უსაფრთხოა; თუმცა, მისი დამტვრევა პრაქტიკულად შეუძლებელია.

● საშხაპე კაბინა უნდა იყოს ჰერმეტული, კუთხეების და წვრილი დეტალების მინიმალური რაოდენობით, რადგან მათში ჭუჭყი გროვდება.

● შენობაში, სადაც საშხაპე კაბინაა მოწყობილი, აუცილებლად უნდა იყოს ვენტილაცია.

შხაპის სარწყავს სასურველია ჰქონდეს „თვითგამწმენდი სისტემა“.

*ახლა კი, რამდენიმე ზოგადი რჩევა:*

● გახსოვდეთ: რაც უფრო რთულია მექანიზმი, მით მეტი ფუნქცია აქვს მას (ხშირად, თქვენთვის სრულიად ზედმეტი), მით ძნელი მოსავლელია და სწრაფად გამოდის მწყობრიდან.

● თუ სახლი ძველია და კანალიზაციის სისტემა დიდი ხნის სარემონტოა, ნუ იჩქარებთ ძველი აბაზანის შეცვლას კომპიუტერიზებული ტექნიკით. სისტემის მცირე დანაგვიანებაც კი საკმარისი გახდება იმისათვის, რომ კრისტალურად სუფთა შხაპის ნაცვლად, ძალიან ჭუჭყიანი შეგრჩეთ ხელთ.

● აუცილებლად ჩადგით ფილტრი ახალი ძვირად ღირებული სანტექნიკის დაყენებისას — წყალსადენის წყალში ძალიან ბევრი მექანიკური მინარევია, რომელიც მას მწყობრიდან გამოიყვანს.

წყლის ჭავლი აღიზიანებს ნერვული დაბოლოებების რეცეპტორებს და დადებითად მოქმედებს ჩვენზე: ხსნის დაღლილობას და გაღიზიანებას, აუმჯობესებს ძილს, შრომისუნარიანობას, ზრდის ორგანიზმის დამცავ მექანიზმს. ექიმ-ფიზიოლოგთა და კურორტოლოგთა მონაცემებით, წყლის პროცედურების მოყვარულებს ნაკლებად აშინებთ სურდო, ბრონქიტი, ოტიტი (ყურის ანთება), ანგინა — დაავადებები, რომელიც ადვილად ერევა ხოლმე გაუკაჟებელ ორგანიზმს.

## მივიღოთ შხაპი წესის მიხედვით

● დაიწყეთ თბილი შხაპით. შემდეგ მკვეთრად გადადით ცივზე: თანდათანობით, ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, წყლის ტემპერატურა 1-2 გრადუსით უნდა შეამციროთ.

● დილის შხაპის შემდეგ, სხეული სპეციალური ჯაგრისით დაიზილეთ. ასეთი მასაჟი აფხიზლებს ორგანიზმს და სასარგებლოა კანისთვისაც — იგი უფრო მკრივი და ელასტიკური ხდება, თხელდება ჭარბი ცხიმის ფენა.

● თუ არ მოგწონთ თქვენი სიარულის მანერა ან გაწუხებთ თავის ტკივილი, ჩაიტარეთ შოტლანდიური შხაპის სეანსები: რიგრიგობით ჩართეთ ცხელი და გრილი წყალი. წყლის ჭავლი მიმართეთ ზევიდან ქვევით ხერხემლის გასწვრივ. სისხლის მოდინება და გადინება ამ უბანზე ასტიმულირებს ზურგის ნერვების ფუნქციას.

● საღამოს, თუ გსურთ, რომ ადვილად და ღრმად დაგეძინოთ, მიიღეთ თბილი შხაპი. ნაზი ჭავლით სხეულის განებივრების მერე, ტანზე პირსახოცი შემოიხვიეთ, შემდეგ კი, მაშინვე დაწექით დასაძინებლად. კანის თანდათანობით გამოშრობა საბნის ქვეშ, ადუნებს და აძინებს ადამიანს. ■



- პერიოდული გამოცემა
- ბიბლიური წყალდიდობა
- ზეთისხილის ზეთი
- თხევადი ცხიმოვანი ნივთიერება
- ტემპერატურის საზომი
- ჰომეროსის პოემა
- საწოლი ძველად
- მოსწავლეთა ნიშნების ჩასაწერი რვეული
- ღვინო (კნინ. მოფერებით)
- ლაწვი
- რუსული ავტომობილი
- ქალის სახელი
- დიდი საზეიმო კონცერტი
- დანიელ დეფოს ნაწარმოების გმირი
- „ქუქუნა წვიმა მოვიდა დიდი მინდორი ...“
- მდინარის გადმოსვლა კალაპოტიდან
- მომგებიანი კომბინაცია პოკერში
- ნაბოკოვის რომანი
- 100 სმ
- ქსოვილი ბილიარდის მაგიდაზე
- სოფელი რაჭაში
- კარგი მორბენალი ცხენი
- პატარა რესტორანი ესტრადით
- გიტარაზე აკორდის აღების ხერხი
- სანდ. თოფის სახურავის ლულების რაოდენ. მიხ
- იაპონური სანათი
- რისამე სრულყოფის განსახიერება
- თავდავიწყებით გატაცება
- მთავარი არტერია
- სახოტბო ლექსი
- პერსონაჟი მულტ-დან „ჩხიკვთა ქორწილი“
- გამომხატველი პიტერ ფელკის შესრულებით
- „მილანის ფეხბურთელი“
- პერსონაჟი „კავკასიური ცარცის წრეში“
- ფანჯრის ჩასაკეტი რკინა
- ქალაქი ბელგიაში
- სოკოს ქსელი საკვებზე
- ნოტი

შეადგინა რამაზ ალანიამ



*31-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-გ; 2-ა; 3-გ; 4-გ.*
*45-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-გ; 2-ა; 3-ბ.*

# კვირის (22 – 28 ივლისი) ასტროლოგიური პროგნოზი

## კირჩხიბი – 22/VI-22/VII



კვირის უმეტეს დროს პრაქტიკულ, საქმიან და ფინანსურ საკითხებს დაუთმობთ. კვირის შუა პერიოდში ამ საკითხების გადაჭრის შანსიც მოგეცემათ, მაგრამ დიდი ყურადღება უნდა გამოიჩინოთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას. უქმეებში სუფთა ჰაერზე აქტიური დასვენება მოგიხდებათ.

## ლომი – 23/VII-23/VIII



კვირის დასაწყისშივე მთელი ქვეყნის დაპყრობის სურვილი მოგეძალებათ. გაგიკვირდებათ და, ამის შანსიც მოგეცემათ: მთელ კვირის მანძილზე ძალიან დინამიკურად, ენერგიის მოზღვავებითა და წარმატებით იმოქმედებთ. რაღაც ახალსაც ისწავლით და სარგებლიანადაც გამოიყენებთ ამ ცოდნას.

## ქალწული – 24/VIII-23/IX



მრავალმხრივ დატვირთული კვირა გელით. შესაძლოა, სამსახურში სასიკეთოდ შემოგიბრუნდეთ საქმე. თუმცა, არც უარყოფითი მომენტებისგან იქნებით დაზღვეული: კვირის შუა პერიოდში პირადული ხასიათის პრობლემები დაგიდგებათ და შესაძლოა, უახლოეს ადამიანთან ურთიერთობა დაგეძაბოთ.

## სასწორი – 24/IX-23/X



კვირის პირველ ნახევარში ფინანსურ მდგომარეობას გაიუმჯობესებთ. კვირის შუა პერიოდისთვის არცთუ ისე სასიამოვნო ცვლილებებია მოსალოდნელი. თავის დასამშვიდებლად, უახლოეს ადამიანთა წრეს მიაშურეთ. შემდეგ ყველაფერი დალაგდება და ფორტუნაც გაგიღიმებთ. ეცადეთ, უქმეებში ზედმეტი არ ჭამოთ.

## მორიელი – 24/X-22/XI



ამ კვირაში ყველაზე მეტად... შეცდომები გამოგივათ. ამიტომაც, ეცადეთ, სანამ რაიმე ნაბიჯს გადადგამთ, საფუძვლიანად აწონდაწონოთ გადაწყვეტილება. თუმცა, თქვენს ინტუიციასაც შეიძლება დაეყრდნოთ — წესით, ის არ გიღალატებთ. ალბათ თვითკონტროლი კვირის ბოლოსთვის მეტისმეტად დაგღლით, ამიტომ უქმეებში კარგად დაისვენეთ.

## მშვილდოსანი – 23/XI-21/XII



კვირის პირველ ნახევარში ნებისმიერ საქმეს შეგიძლიათ მოჰკიდოთ ხელი. სიძნელეებს ნუ შეუშინდებით: ყველა პრობლემას ადვილად გაუმკლავდებით. მეორე ნახევარში არათუ სიტუაცია, არამედ თავად თქვენ შეიცვლებით — შეიძლება, მეტისმეტად ეჭვიანი და ბუტია გახდეთ, რაც თქვენც გაგიფუჭებთ გუნებას და გარშემომყოფებსაც.

## თხის რქა – 22/XII-20/I



ამ კვირას საკმაოდ ბევრ სიძნელეს წააწყდებით, უმარტივესი საქმის მოსაგვარებლადაც კი, დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ. ამ ვითარებაში საუკეთესო გამოსავალი ის არის, რომ კოლეგებთან, მეგობრებსა და ახლობლებთან ერთად გადაწყვიტოთ თქვენ წინაშე წამოჭრილი პრობლემები. ასეთ შემთხვევაში წარმატებაც გარანტირებული გაქვთ და უქმეებში სასიამოვნო დროსაც გაატარებთ.

## მერწყული – 21/I-19/II



ძალიან გაგიჭირდებათ ყურადღების კონცენტრირება. ამა თუ იმ ამოცანაზე დაფიქრებისას, ხშირად დააფიქსირებთ, რომ ფიქრი სულ სხვაგან გაგირბით. ამრიგად, ეს კვირა საუკეთესო იქნება ფილოსოფიური აზროვნებისთვის, კონკრეტული ამოცანები კი სხვა დროისთვის უნდა გადადოთ.

## თევზები – 20/II-20/III



ძალზედ ორგანიზებული და კატეგორიული იქნებით. გარშემომყოფებს, თქვენი გამოჩენისთანავე ფეხზე წამოდგომისა და გაჯგიმვის სურვილიც კი აღეძრებათ. ძალიანაც კარგი: თქვენ ადვილად შეძლებთ ადამიანთა დიდი ჯგუფების ხელმძღვანელობას, კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად.

## ვერძი – 21/III-20/IV



კვირის დასაწყისიდანვე ორიგინალური იდეების კორიანტელი გაგიჩნდებათ. მაგრამ სხვის მხარდაჭერას უმალ ნუ დაელოდებით: ეს მხოლოდ კვირის მეორე ნახევარში შეიძლება მოხდეს, მანამდე კი არც კონფლიქტებია გამორიცხული. ხუთშაბათიდან ყველა ნაბიჯი კარგად უნდა აწონ-დაწონოთ და გადაწყვეტილებებიც ამგვარად მიიღოთ.

## კურო – 21/IV-21/V



აქტიური და ამასთანავე, მშვიდი კვირა გექნებათ, უმნიშვნელო დაბრკოლებები კი გუნება-განწყობასაც არ გაგიფუჭებთ. კვირის მეორე ნახევარში საქმიან სფეროში დიდი წარმატება გელით. ამ დროს განხორციელებულმა პროექტმა სახელიც კი შეიძლება მოგიტანოთ. უქმეებშიც კი სერიოზული ამოცანების გადაწყვეტის უნარს შეინარჩუნებთ.

## ტყუპები – 22/V-21/VI



ორშაბათიდანვე უნდა მოჰკიდოთ ხელი დიდი ხნის ჩაფიქრებული იდეების ხორცშესხმას. სამშაბათს-ოთხშაბათს შეიძლება, საქმეებით გადაიტვირთოთ. მაგრამ მეტისმეტად რომც დაიღალოთ, ფეხით სეირნობისთვის ნახევარი საათი მაინც უნდა გამოყოთ. კვირის ბოლოს ყურადღება მიაქციეთ საქმიან საუბრებს. უქმეებში კი, ეცადეთ, გამოეთიშოთ ყოველგვარ სერიოზულ საფიქრალს.

# შეგიძლიათ თუ არა სხვისი საიდუმლოს შენახვა?



**1) შეიძლება თუ არა სხვისი საუბრის მოსმენით გართულს, ტრანსპორტიდან ჩასვლა დაგავიწყდეთ და თქვენს გაჩერებას გასცდეთ?**

ა) დიახ, ეს შესაძლებლად მიგაჩნიათ — 1;

ბ) სხვის კერძო საუბრებს არასოდეს უსმენთ — 0.

**2) ცდილობთ თუ არა ქუჩაში შემთხვევით შეხვედრილი ნაცნობებისგან ბევრი ახალი ამბის შეტყობას?**

ა) დიახ, აუცილებლად — 1;

ბ) ნაცნობთან საუბრისას მხოლოდ მოკითხვით შემოიფარგლებით — 0.

**3) როგორ იქცევით, როცა ვინმე, საკმაოდ საინტერესო ახალ ამბავს შეგატყობინებთ?**

ა) ენა გექავებათ, ისე, გსურთ ეს ამბავი ვინმეს გაუზიაროთ — 1;

ბ) ამბავს მოისმენთ და მშვიდად გააგრძელებთ თქვენს საქმეს — 0.

**4) გიყვართ თუ არა ნაცნობებთან ახლო მეგობრების უარყოფითი თვისებების განხილვა?**

ა) დიახ, ამაზე სიამოვნებით საუბრობთ — 1;

ბ) არავითარ შემთხვევაში — 0.

**5) გიყვართ თუ არა ტელეფონზე დიდხანს საუბარი?**

ა) დიახ — 1;

ბ) არა — 0.

**6) შეგიძლიათ თუ არა წვეულებაზე ყოფნისას ვინმეს გაუმხილოთ, რომ თქვენს მეგობარს თქვენგან ნათხოვარი ტანსაცმელი აცვია?**

ა) დიახ, ამას ყველა შემხვედრს ეტყვით — 1;

ბ) ამის თაობზე კრინტსაც არ დაძრავთ — 0.

**7) გაანდობთ თუ არა ყველა ნაცნობს იმას, თუ რა თანხა გადაიხადა თქვენმა მეგობარმა ამა თუ იმ ნივთში?**

ა) დიახ, ასეთ საკითხებზე საუბარი ძალიან გსიამოვნებთ — 1;

ბ) არა, ეს თქვენ არ გეხებათ — 0.

**8) გიყვართ თუ არა სხვისი ბინის საგულდაგულოდ დათვალიერება?**

ა) დიახ, ეს უდიდეს სიამოვნებას განიჭებთ — 1;

ბ) არა — 0.

**9) გიყვართ თუ არა სხვისი სასიყვარულო ურთიერთობის განხილვა?**

ა) დიახ, ძალიან — 1;

ბ) არა — 0.

**10) უთქვამთ თუ არა თქვენთვის ოდესმე, რომ მეგობრების წრეში ყველაზე მეტს საუბრობთ?**

ა) დიახ, ხშირად — 1;

ბ) არა, არასოდეს — 0.

## დააჯამეთ ქულები

**0-3 ქულა:** ჭორიკანა ნამდვილად არ ხართ და სხვების საიდუმლოსაც ერთგულად ინახავთ, მაგრამ ამის გამო, ხშირად ზედმეტი მოწყენილობაც გიპყრობთ: გეჩვენებათ, რომ თქვენი ცხოვრება ერთფეროვანია. დროდადრო, უწყინარი „წაჭორავება" ალბათ არავის ავნებს და მხიარული ადამიანების კომპანიაში თავს ზედმეტად აღარ იგრძნობთ.

**4-7 ქულა:** მეგობრების წრეში ჭორაობა საკმაოდ გიყვართ, მაგრამ ამით ზიანს არავის აყენებთ, თანაც გულითადი მეგობრების შესახებ ჭორაობა და მათი საიდუმლოებების სხვებისთვის გამხელა თქვენი სტილი არ არის. თქვენი ამ თვისებების გამო მეგობრები გაფასებენ და უყვარხართ კიდეც.

**8-10 ქულა:** სუპერჭორიკანა ადამიანი ხართ, სხვისი საიდუმლოს შენახვის უნარი საერთოდ არ გაგაჩნიათ. შეიძლება, კი ხვდებით, რომ საიდუმლო არ უნდა გაამჟღავნოთ, მაგრამ ენა არ გიჩერდებათ. ისე კი, გარშემომყოფებს თქვენი მოსმენა უყვართ, რადგან ყველა ნაცნობ-მეგობრის ინტიმური ურთიერთობების საქმის კურსში ხართ და ამის შესახებ სიამოვნებით საუბრობთ ხოლმე.



# ლიანდაგზე შემდგარი ომნიბუსი

ლონდონის საქალაქო საბჭომ გადაწყვიტა, აღადგინოს ცენტრში ორსართულიანი ტრამვაის მოძრაობა. დღეს მთელი მსოფლიოსთვის ცნობილია ორსართულიანი წითელი ლონდონური ავტობუსები (ომნიბუსები), რომლის წინამორბედი ორსართულიანი ტრამვაი იყო. პირველად ეს ტრანსპორტი 1861 წელს ამუშავებულა და 1952 წლამდე მოძრაობდა, სანამ ომნიბუსით არ შეიცვალა. ამჟამად ლონდონში ტრამვაის სამი ხაზი არსებობს, რომლის ლიანდაგებზეც ვენიდან ჩამოყვანილი ჩვეულებრივი ვაგონები დაქრის. როგორც ვარაუდობენ, XX საუკუნის ორსართულიანი ტრამვაის ხაზზე გაშვება 2011 წელს – ამ ტრანსპორტის 150-წლიანი იუბილეს აღსანიშნავად მოხდება. ■

# ქალის გადარჩენას ოთხი მაშველი შეეწირა



აშშ-ში ერის ტბაზე ბანაობისას გასაჭირში ჩავარდნილი ქალის გადასარჩენად ერთდროულად ოთხი მამაკაცი გადაეშვა წყალში და ოთხივე დაიკარგა. ვარაუდობენ, რომ მამაკაცები დაიხრჩნენ, თუმცა მათი გვამები ჯერ ნაპოვნი არ არის. ქალი წყლიდან ორმა მეხანძრემ ამოიყვანა. ის, მაშინვე საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ ძალიან მალე გაწერეს კიდეც, რადგან ექიმის დახმარება თითქმის არც დასჭირვებია. სანაპირო დაცვის სამსახურის თანამშრომელთა ვარაუდით, მოხალისე მაშველთა დაღუპვა სწორედ იმ დროს ამოვარდნილმა მეტრნახევრიანმა ტალღებმა გამოიწვია, თუმცა, აღნიშნული ადგილი ძლიერი წყალქვეშა დინებითაც არის ცნობილი. ■

# მოწყენილმა ჰოლმსმა სამაშველო სამსახურს 800-ჯერ დაურეკა



ფლორიდაში მცხოვრებ 20 წლის მაიკ ჰოლმსს სამაშველო სამსახურში – „911“, 1100 უმიზეზო დარეკვა ედება ბრალად. როგორც ალაჩუას ოლქის შერიფმა განაცხადა, ჰოლმსმა „911“-ის სადისპეტჩერო სამსახურის პარალიზება გამოიწვია იმით, რომ გამუდმებით რეკავდა „911“-ზე და დისპეტჩერს ეუბნებოდა – მოწყენილი ვარო... მესამე დღეს ყმაწვილი დააპატიმრეს და გადაუდებელი სამსახურის არამიზნობრივად გამოყენება წაუყენეს ბრალად. „ჩვეულებრივ, დღე-ღამეში 190 ზარს ვიღებთ ხოლმე. ჰოლმსმა ერთ ღამეში 800-ჯერ დაგვირეკა! – აღნიშნა სერჟანტმა ქეით ფოლკმა. – ამ დროს სადმე მართლაც რომ რაღაც საშინელი ამბავი მომხდარიყო, ჰოლმსის გამო ადამიანებისთვის დახმარების აღმოჩენას ვერ შევძლებდით“. ■

# კონტრაბანდული სუვენირები ეგვიპტეში დააბრუნეს

ეგვიპტის ხელისუფლებამ, როგორც იქნა, ქვეყნიდან კონტრაბანდული გზით გატანილი სუვენირების დაბრუნება შეძლო. პირველი ასეთი ნივთი 4400 წლის წინანდელი სამარხის ფრაგმენტია, რომელიც ნაპარავი ნივთების გაყიდვისთვის სამწლიანი პატიმრობით დასჯილ არტ-დილერს, ფრედერიკ შულცს ჩამოართვეს. შულცი სისტემატურად ყიდდა ეგვიპტურ ფასეულობებს. მის ხელში მოხვედრილ ნივთებს შორის იყო ფარაონ ამენჰოტეპ მესამის ბიუსტი, რომელიც 1,2 მილიონ დოლარადაა შეფასებული. ეს ბიუსტიც ეგვიპტის ხელისუფლებას გადაეცემა, ისევე როგორც ღმერთ გორას ბრინჯაოს ქანდაკება და მრავალი სხვა უძველესი ნივთი. როგორც გამოძიებამ დაადგინა, ეროვნული განძის ქვეყნიდან გატანას არტ-დილერი ტოკელეიპერი ახერხებდა და საამისოდ საოცარ გამომგონებლობას იჩენდა – მაგალითად, ბევრ ნივთს პლასტმასის თხელი შრით დაფარავდა, სახელდახელოდ მოხატავდა და უგემოვნო, მოდური სუვენირების სახით გადაჰქონდა საბაჟოს საკონტროლო პუნქტზე. ■

## ფანტაზია · ფანტაზია · ფანტაზია · ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის – „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვეს ბატონებმა კობა ნარჩემაშვილმა, ავთანდილ ჯორბენაძემ და მირიან გოგიაშვილმა..

ვულოცავთ ბატონ კობას, ბატონ ავთანდილს და ბატონ მირიანს და ვუსურვებთ წარმატებებს!

### მეტოქე კი არ ჩანს...

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნებები)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გავარჯიშებას გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს.

გთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (23 ივლისის) 13 საათამდე.


„ფანტაზია"
მეტოქე კი
არ ჩანს...


„ფანტაზიორობს
მკითხველი"
ცოტაცა,
ცოტაცა და...

# გამოვა 20 ივლისს!

6 58/26




# ყველაზე გასართობი ჟურნალი